# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 18 თებერვალი 2011 №4(134)

1516
2011

ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღი

მარიო ვარგას ლიოსას ნობელის სიტყვა

გემის ანძად — დაღლილი სულისათვის

სალომე კაპანაძე ზაზა ბიბილაშვილზე

თამარ შაიშმელაშვილის ლექსები

ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობა

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის მუზა

მართალი წიგნის ფორმულა

ჩეზარე პავეზეს ღმერთები

ლევან ლორიას ნოველა

ეზრა პაუნდის ლექსები



# წიგნის თარო




დავით
წერედიანი
ორიონი


ნატა ვარადა
ერთი
საათით
გვიან


ლექსები


ეთერ თათარაიძე
ამირან არაბული


ბია კობახიძე


ნათელა არველაძე
მ
ა
რ
ა
დ
ბ ე რ ი კ ა


გაქცევა ისტორიიდან


ზურაბ კანდელაკი
სულ ერთი წუთი

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| წუთები და წლები | 2 | როსტომ ჩხეიძე **გემის ანძად — დაღლილი სულისათვის**<br>(ბაჩანა ბრეგვაძის „ბოლო წლების ჩანაწერები“) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 7 | ნინო ვახანია **„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“**<br>(მოამზადა ნატა ვარადამ) |
| პროზა | 8 | ნიკოლოზ ჩუბინიძე **უგემური საკითხავი** |
| ლიტერატურული ცხოვრება | 14 | კობა ალიბეგაშვილი **შეიქმნა ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოება** |
| პროზა | 15 | ლევან ლორია **ზეგამდე ჯერ ხვალ არის...** |
| პოეზია | 19 | თამარ შაიშმელაშვილი **სადაც ღრუბელი მიშვილებს...** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 22 | მარიო ვარგას ლიოსა **კითხვისა და წერის სადიდებელი** |
| ჰიპოთეზა | 30 | მერაბ კალანდაძე **იყვნენ ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში?** |
| დაუვიწყარი სახელები | 31 | საბა სულხანიშვილი **საოჯახო ლოცვანი და ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღი** |
| დოკუმენტური ნოველა | 33 | ეკა ბუჯიაშვილი **„თითქოს ამ ძეგლსაც აქვს სული“**<br>(კვლავ ელიზბარ ერისთავის მემორიალთან) |
| პოეტის ერთი ლექსი | 35 | გიზო თავაძე **და ავირჩიოთ ნაზარეველი!** |
| ახალი წიგნები | 36 | კოტე კაიშაური **მაკამა და მისი სიცოცხლის ძარღვი**<br>(ნინო დოლიძის „მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში“) |
| ელვარე და ლომფერი | 38 | ლიზიკო გაბუნია **სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა** |
| რეპორტაჟი | 43 | ანა ბერძენიშვილი **მართალი წიგნის ფორმულა**<br>(ნატო ჩხეიძის „ის ოთხი წელიწადი“) |
| კრიტიკა | 47 | სალომე კაპანაძე **ზაზა ბიბილაშვილის მდოგვის მარცვალი** |
| | 50 | ნანა კუცია **რეკვიემი პატარა ქალაქისათვის**<br>(ინგა მილორავას მოთხრობა „პატარა ქალაქში“) |
| რეპლიკა | 55 | დავით წერედიანი **ზაზა შათირიშვილის მორიგი ხუმრობის გამო** |
| აკაკი — 170 | 56 | **აკაკის დღე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში** |
| პოეზიის მერიდიანები | 57 | ეზრა პაუნდი **ჩაიხანა და სხვა ლექსები** |
| | 58 | ირაკლი ცხვედიანი **როგორ მიიღებს ხალხი ამ სიმღერებს?** |
| უცხოური ნოველა | 59 | ჩეზარე პავეზე **ღმერთები** |
| ლიტერატურული ცხოვრება | 60 | გვანცა შუბითიძე **ზოგჯერ სიჩუმე ყვირილზე უფრო ხმამაღალია**<br>(ნინო ჩხიკვიშვილის „საუბრები თემურ ჩხეიძესთან“) |
| ნაკვესები | 61 | **მახვილსიტყვაობის ნიმუშები** |
| მოზაიკა | 63 | **მეტამორფოზა** |



ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა ტეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: ინგა მილორავა
ჯემალ კასრაძის ფოტოეტიუდი


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 მარტს


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# გემის ანძად — დაღლილი სულისათვის

*

## ბაჩანა ბრეგვაძის „ბოლო წლების ჩანაწერები“

ნეტა მართლა იცნობდა იბერიის მეფე ფარსმანი რომის მომავალ იმპერატორს მარკუს ავრელიუსს?

ვითომ რა მნიშვნელობა აქვს, იცნობდა თუ არა?

მნიშვნელობა რომ არა ჰქონდეს, ბაჩანა ბრეგვაძე ასერიგად არც დაინტერესდებოდა ამ ურთიერთობის გამორკვევით, და თუნდაც ჰიპოთეზას ვერ გასცილებოდა, ეს ვარაუდი ისეთი დამაჯერებელია, თითქოს თვალნათლივ შევყურებდეთ, თუ როგორ მოხდა მათი გაცნობა და იმთავითვე როგორი ალტაცებით განიმსჭვალა ფარსმან მეორე იმ ჭაბუკისადმი, რომელსაც ბედად ეწერა, ერთი საუკეთესო მმართველი ყოფილიყო კაცობრიობის ისტორიაში — მხედართმთავრისა და სულიერი კაცის, პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსის იდეალური შენადნობი, რამდენადაც ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს იდეალს.

თვითონ აუცილებლად უარყოფდა, ვინმეს ამგვარი ხოტბა რომ შეესხა მისთვის.

იგი არა ყოფილა სხვა იმპერატორებივით გამოდევნებული სახელისმოხვეჭასა და საკუთარი მრავალმხრივობის გაცხადებას საქვეყნოდ, თორემ „ფიქრები“, სულიერ ძიებათა ეს თვალსაჩინო მონაპოვარი, მისი გარდაცვალების შემდგომ კი არ აღმოჩნდებოდა მის არქივში, არამედ სასწრაფოდ გამოქვეყნდებოდა — იულიუს კეისრის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნისა არ იყოს: „გალიის ომის ქრონიკები“, — რომელსაც გარდა პირწმინდად პოლიტიკური დანიშნულებისა, ის მიზანიც უდავოდ ჰქონდა, დაედასტურებინა რომის ამ ახალი მმართველის მწერლური ტალანტი და ხელოვნება.

მარკუს ავრელიუსი შემწყნარებლურად უყურებდა ამგვარ გატაცებებსა თუ მცდელობებს, არავის განსჯიდა, არავის განიკითხავდა, ეგაა, თვითონ ვერ წარმოედგინა აჰყოლოდა ცხოვრების ამგვარ სტილს და მწერლურ-ფილოსოფიური უჩინარობა ერჩივნა. როგორც სამეფო ოჯახის შთამომავალი და ქვეყნის მმართველი, ცხადია, უჩინრად ცხოვრებას ვერ შეძლებდა, თუმც იმას მაინც აღასრულებდა, რომ ხელისუფლება ფილოსოფიური მრწამსით განემსჭვალა, მარტოდენ მოცალეობის ჟამს კი არ ეკითხა სტოიკოსთა თხზულებანი.


შაბათს, 19 თებერვალს
ილია ჭავჭავაძის
სახლ-მუზეუმის სალონში
ალექსანდრე ორბელიანის
საზოგადოების
თაოსნობით
გაიმართება წარდგინება

**ნატა ვარადას**
პოეტური კრებულისა

**„ერთი საათით გვიან“**

დასაწყისი 15 საათზე
ივანე ჯავახიშვილის 7


და თუ იბერიის მეფე ფარსმანი მარკუს ავრელიუსს ჰადრიანესა და ანტონინუს პიუსის კარზე შეხვდებოდა, ბაჩანა ბრეგვაძეს ამ სიხარულის შეგრძნება 1800 წლის შემდეგ ეწვეოდა.

შეგრძნება იმისა, რომ წიგნს კი არ ეცნობოდა, არამედ კაცს, ვისაც წამიერადაც არ უფიქრია გავლენა მოეხდინა სხვებზე ან გამოესწორებინა ისინი. ეს კაცი მხოლოდ იმას ესწრაფოდა, რომ უღრმესი გულწრფელობით განემსჭვალა საკუთარი ნაწერი, ფიქრი შეულამაზებლად გადმოეტანა ფურცელზე და ფორმის უბრალოებითა და თავისუფლებით მიეღწია იმ სულიერი გადახსნილობისათვის, რაც ასერიგად აკლია ავტობიოგრაფიათა და აღსარებათა უმეტესობას.

— იყავი როგორც კლდოვანი კონცხი, რომელსაც ღრიალით აწყდებიან ტალღები, ის კი მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარებაო, — მარკუს ავრელიუსი რომ შეგაგონებდა, ზოგადად კი არ გამოთქვამდა ამ სენტენციას ანდა მხოლოდ საკუთარ იდეალს კი არ გიზიარებდა, არამედ თვითონვე გახლდათ ხორცშესხმული დასტური, რომ ყოფით რეალობაში შესაძლებელი იყო კლდოვანი კონცხივით დგომა, ოდნავადაც რომ ვერ შეეკრთე ღრიალით მომწყდარ ტალღებს. და ამ მხრივ თვით ქრისტიანი ანაქორეტებისთვისაც კი გადაგეჭარბებინა.

ერნსტ რენანი ირწმუნებოდა: როცა ეგზალტირებული ქრისტიანები ბოლოს და ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უფლის სუფევის დამკვიდრება ამქვეყნად შესაძლებელია მხოლოდ უდაბნოში გაქცევის გზით, და ყოველივე მანკიერებისაგან განდგომას გამოაცხადებდნენ ცხოვრების უმაღლეს კანონად, თებაიდას ეს მოძღვარნი თავიანთ განდგომილებაში ვერ მიაღწევდნენ იმ სიმაღლესა და სრულქმნილებას, რასაც მიაღწია მათმა გვირგვინოსანმა თანამოძმემო, — ბაჩანა ბრეგვაძე დასძენდა: „ფიქრები“ რომ ანონიმურ ძეგლად მოსულიყო დღემდე, ჩვენთვის ალბათ სამუდამოდ დაფარული დარჩებოდა, თუ როგორი ვნებები ბობოქრობდნენ მისი ავტორის ირგვლივ და რა ისტორიული კატაკლიზმები არყევდნენ მის სულსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა






და კიდევ:

— მარკუს ავრელიუსის თებაიდა მისივე სული იყო.

და მაშ მისი სილუეტი, განივთებული თვითჩაღრმავებასა და საკუთარი ადგილის ძიებაში სამშობლოსა და კაცობრიობის ფონზე, ამ სტრიქონებშიც შეიძლება ჩაინუროს:

— სინამდვილის ტრაგიზმზე ამაღლებული, თავის თავში განმარტოებული და ბედისწერასთან მოსაუბრე თუ საკუთარი სრულქმნილების, სიკეთისა და ღმერთის მიმართ მიმსწრაფი სულის თვითშეგრძნება თუ ალსარება...

ეს შეფასება კი ძალდაუტანებლად მიგვიძღვის იქით, რომ აღარც ჩვენ მოგვეჩვენოს პარადოქსად, თუ ეს მრავალტანჯული კაცი ბედნიერი იყო:

— ბედნიერი იყო მაშინ, როცა ფიქრობდა, რომ მისი ჰუმანური კანონები ოდნავ მაინც უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს ჩაგრულთა და მიუსაფართ, როცა ტრიუმფით ბრუნდებოდა რომში და თავის თანამოქალაქეების სიხარულით გაბრწყინებულ თვალებში კითხულობდა, რომ მისი სამშობლო კვლავ თავისუფალია, და მაშინაც, როცა ახალ ჭეშმარიტებას პოულობდა თავისი თავისა და მთელი კაცობრიობისათვის.

ბაჩანა ბრეგვაძისათვის რომაელი გვირგვინოსნის ეს თხზულება სულიერადაც აღმოჩნდებოდა მახლობელი და ჟანრობრივადაც, რაკილა ქართულად მისი ამეტყველების შემდგომ ჩვენს ენობრივ სამოსელში მოაქცევდა ბლეზ პასკალისა და პოლ ვალერის აზრებსაც და ჟან დე ლაბრიუიერის „ხასიათებსაც“, რომელიც ამავე ყაიდის ქმნილებას ნაავგავს; და, რაც მთავარია, თვითონაც შექმნიდა ამ ჟანრის დიდებულ ნიმუშს „ბოლო წლების ჩანაწერების“ სახელით, ბოლოსდაბოლოს წიგნადაც რომ გაერთიანდებოდა და გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წამოწყებულ ახალ სერიაში თავის გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებდა, როგორც ნიმუში მცირე ჩანაწერთა შინაგანი სივრცისა და ძალმოსილებისა.

ამასთან, იმ მიმართულებას ჩაუდგებოდა სათავეში, დლიურის ეს თავისებური ფრაგმენტები ფილოსოფიური სულისკვეთებით რომ აღვსილა, ცოდნის უდიდესი ნაკადი გამოივლის სულიერ ქურას და ყოფითი რეალიებიც ამ გადასახედიდან განისჯება უკიდეგანო დროსა და სივრცეში, რაკილა არც არაფერია მზის ქვეშ ახალი.

არ გინდა ამ უკიდეგანობაში თავისუფლად მოგზაურობა?

ბაჩანა ბრეგვაძისათვის ეს ყოველივე ხელმისაწვდომია, ეგაა, მკითხველი თუ გაუძლებს ამ თავბრუდამხვევ მიმოსვლას ბრძენკაცთა სულისა და გონების ხვეულებზე.

ისე ბაჩანა ბრეგვაძე თარგმანთა კომენტარებისასაც ვერ ეტევა ვიწრო ფარგალში და ცალკეული შენიშვნა-ფრაგმენტები ვრცელ ექსკურსებად თუ მცირე გამოკვლევებად გადაიქცევა ხოლმე მის ხელში; და, რა გასაკვირია, ამ ჩანაწერებშიც არაერთი შეგვხვედროდა ამ ყაიდის ნიმუშები: „მატერიალიზმი“, „შეშლილობა“, „სიმარტოვე“, „სამი ეტაპი“, „სამი არგუმენტი“, „ქარის წისქვილები“, „აჩრდილთა შორის“, „მანიქეიზმი“, „სინათლის წრეში“... ის სერია კი, რომელსაც პირობითად „ციტატების კრიალოსანიც“ შეიძლება ვუწოდოთ, ძველი აღმოსავლური, ბერძნული თუ სუფიური სიბრძნიდან ამოკრებილ სენტენციებს, ცხადია, სიახლეა ბაჩანა ბრეგვაძისაგან, გამოწვეული „ბოლო წლების ჩანაწერების“ ჟანრობრივი თავისებურებით.

ლაბრიუიერი თავის წიგნს ამ სიტყვებით აბოლოვებდა: გამიკვირდება, თუ მკითხველს არ მოეწონა „ხასიათები“, და თუ მოეწონა, ესეც გამიკვირდებაო.

ბაჩანა ბრეგვაძე პირდაპირ კი არ გაიმეორებდა ამ სტრიქონებს, მათ პერიფრაზს ამჯობინებდა:

— გამიკვირდება, თუ მკითხველს მოეწონა ჩემი „ჩანაწერები“ და თუ არ მოეწონა, ეს უკვე მისი საქმეა.

პარადოქსული აზრი აქ ოდნავ შეიმალებოდა, თუმც თავის მუხტს მაინც შეინარჩუნებდა და იმ სინათლით გაასხივოსნებდა ჩანაწერებს, რაც აუცილებელია მკითხველისათვის ინტელექტუალურ სამყაროსთან მიახლოებისას, სამყაროსთან, რომლის თვითეული წახნაგიც ასერიგად კაშკაშა და მიმზიდველია.

„ჩანაწერების“ ამ რკალს ხსნის მარკუს ავრელიუსის სახელი, ფარსმან მეფესთან მისი პირადი ნაცნობობის, იდუმალებაში ჩაძირული ამბის, ამოცნობის მცდელობა, და არც შემდგომ შეიძლება ადგილი შეიცვალოს, როდესაც „ბოლო წლების ჩანაწერების“ გამოქვეყნება გაგრძელდება და რამდენიმე ტომსაც გადაწვდება. ეგებ სხვა ფრაგმენტები კიდეც გადაადგილ-გადმოადგილდეს, მაგრამ ჩანაწერი „18 საუკუნის შემდეგ“ კვლავაც დარჩება ამ ქმნილების გამხსნელად.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ბაჩანა ბრეგვაძე რომაელ გვირგვინოსანს შესთხოვდეს შეწევნას ამ წამოწყების გასასრულებლად.

და რათა მკითხველისათვის სავსებით დამაჯერებელი და გასაზიარებელი აღმოჩნდეს მარკუს ავრელიუსისადმი მიგებული ეს განსაკუთრებული პატივი, ერთი ჩანაწერი გულდასმით უტრიალებს იულიანე განდგომილის სატირული ყაიდის თხზულებას „ნადიმი ანუ კრონიები ანუ კეისარნი“, რომელშიც ღმერთები კონკურსს მართავენ ყველაზე ღირსეული იმპერატორის გამოსავლენად. მანამდე სალვთო სუფრიდან უამრავ მბრძანებელს აძევებენ, კონკურსში მონაწილეობის უფლებას კი ანიჭებენ მარკუს ავრელიუსს, იულიუს კეისარს, ოქტავიანე ავგუსტუსს, ტრაიანეს, ალექსანდრე მაკედონელსა და კონსტანტინე დიდს — და ხმების უმრავლესობით გამარჯვება მარკუს ავრელიუსს დარჩება.

იულიანე განდგომილი მას არამარტო ყველაზე უკეთეს იმპერატორად იხსენიებდა, არამედ ერთ წერილში ისიც კი აღუნიშნავს: პირდაპირ სასოწარკვეთილებაში მაგდებდა მარკუს ავრელიუსის ზნეობრივი სრულყოფილებაო.

ამ შეფასებებთან ერთად ბაჩანა ბრეგვაძე მოიხმობს პასაჟს ლევ ტოლსტოის ბარათიდან ჰენრიკ სენკევიჩი-

27899
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმი, როგორც ბიზანტიელი იმპერატორის აზრის გაგრძელებას („...წარმართულ სამყაროში შეიძლებოდა ყოფილიყო ქველი იმპერატორი — მარკუს ავრელიუსი...“), აგრეთვე პასაჟს ადამ მიცკევიჩის პოემიდან „ძიადები“, უაღრესი სიზუსტით რომ არის აღწერილი რომის კაპიტოლიუმში მდგარი მარკუს ავრელიუსის ძეგლი, როგორც სიმბოლო ადამიანის ზნეობრივი სიმაღლისა.

„ჩანაწერებში“ იმ მხრივაც გახმიანდება ამ დიდებული ხელმწიფის სახელი, თუ რაოდენ სიახლოვეს იჩენდა მისი ესა თუ ის შეხედულება სხვა ბრძენკაცთა ნააზრევთან. თუნდაც სამყაროსა და ადამიანის ეს აღქმა, კალდერონი ცხოვრებას სიზმართან რომ აიგივებდა, და სიზმარსაც მხოლოდ სიზმრად იხსენიებდა; და უილიამ შექსპირიც ამასვე ირწმუნებოდა: ჩვენც იმავე მასალისაგან ვართ ნაგებნი, რომლითაც ითხზვიან ზმანებანი, და ჩვენი მყიფე სიცოცხლე მოცულია სიზმრითო; მიგელ დე უნამუნო კი ამ სტრიქონებს დასძენდა: აქ თვით ადამიანიც სიზმართანაა გაიგივებული — დიდებულია სიზმარი, რომელიც ხედავს სიზმარსო.

განსაკუთრებით მაინც გაახარებდა „ფიქრების“ ფრაგმენტთა შეხვედრები რუსთველურ სტრიქონებთან, ვთქვათ და, ამგვარი: რაცა ვის რა ბედმან მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდესო, — „ვეფხისტყაოსანი“ რომ შეგვაგონებდა, მარკუს ავრელიუსიც ამასვე გვარწმუნებდა: კეთილ კაცად შეიძლება იწოდებოდეს მხოლოდ ის, ვინც სიხარულითა და მადლობის გრძნობით იღებს თავის კუთვნილსა და თავის წილხვდომილსო.

ამისთანა შემთხვევებში არა ხედავდა უნებურ დამთხვევას, არამედ რაღაც უფრო მეტს — იმ გარდუვალობას, რასაც იქ, ზენაარ სივრცეებში ერთმანეთი უნდა ეპოვნინებინა დროითა და მანძილით დაშორებულ შემოქმედთათვის, და როდესაც ააფორიაქებდა რუსთველსა და დანტეს შორი სულიერი სიახლოვის პოვნა, ამისაკენ გზას გაუკვალავდა ის გადაძახილი, სტრიქონთა მსგავსება რომ გამოიწვევდა: ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანებიო, — ასე რომ შეაფასებდა ქართველი ეპიკოსი თავის ქმნილებას, იტალიელი შემოქმედი „ლხინში“ ჩართულ ერთ-ერთ კანცონას სწორედ ამ განცდით აღამაღლებდა: ეს კანცონა ხელიდან ხელში გადადისო (უფრო ზუსტი შესატყვისით — „გადარბის“, უშუალოდ რომ იმეორებს „ხელისხელ საგოგმანებლის“ იდიომები შინაარსს).

რუსთველის სახელმა არაერთხელ უნდა ამოჰყოს თავის „ჩანაწერებში“, გამორჩეულად კი ის ფრაგმენტი გვევლინება „ავტობიოგრაფოსებად“ სახელდებული, ჩვენი დროის მთაწმინდელს რალფ უოლდო ემერსონის ერთი მახვილგონივრული დაკვირვება — „შექსპირის ერთადერთი ბიოგრაფი თვით შექსპირია“ — ქართულ გარემოში რომ გადმოაქვს და აღრმავებს:

— რამდენად უფრო მეტი უფლებამოსილებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ „რუსთველის ერთადერთი ბიოგრაფი თვით რუსთველია“, და ეს მაქსიმა არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის, არამედ მისი პიროვნების იდუმალ სამყაროში წვდომის მეთოდოლოგიურ პრინციპად გვექცია.

იქვე დასძენს, რომ მისი გამოკვლევა „პლატონი და რუსთველი“ სწორედ ამ მეთოდის მომარჯვების ერთ-ერთი ყველაზე სრული ცდაა. და თუ გამოქვეყნება ეღირსა, მკითხველი ალბათ დაინახავს, რომ სწორი მეთოდით წარმართულმა კვლევა-ძიებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო.

თუ გამოქვეყნება ეღირსაო...

აქ უკვე ცნაურდება შეუფარავი ტკივილი ჩვენი სამწერლო-კულტურული რეალობის მოუწესრიგებლობით (ქაოტური რომ აღარც ითქვას!), საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევა ავტორის არქივში რომ რჩება წლობით, მაგრამ ტკივილი კიდევ უფრო უნდა გამძაფრდეს, როდესაც წარმოიდგენს, რომ გამოქვეყნება ჩვენს დროში პირობითობად უფრო ითქმის და მოსალოდნელია ადვილადაც მიიკარგოს, ისე, რომ ვერავითარი კვალი ვერ დააჩნიოს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

ამიტომაც მოსდევს „საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგის“ ხსენებას ეს სკეპტიკური სტრიქონები:

— თუმცა, არა, როგორც ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მარწმუნებს, „ვერაფერსაც ვერ დაინახავს“.

სკეპსისი უჩვეულო არ გახლავთ ბრძენკაცთათვის, და თუ პოლ ვალერის იუმორი და ირონია შველოდა მისგან სულის მოსათქმელად, ბლეზ პასკალი იმ საშიშსა და უძირო უფსკრულს ჩაჰყურებდა გათანგული მთელი ცხოვრება, რაც სულაც შეშლილობამდე მიიყვანდა ფრიდრიხ ნიცშეს.

ამ შეგონებას პირადი გამოცდილება უფრო ათქმევინებდა, ვიდრე ფილოსოფიურ-ანალიტიკური განსჯა:

— დიდხანს ნუ ჩასცქერი უფსკრულს, თორემ უფსკრული აირეკლება შენში.

გულისშემძვრელი რჩევაა და აუცილებლად გასაზიარებელი, ოღონდ მაშინ, თუ შენს ხელთაა შენი ბედი — პირადიც და სახელმწიფოებრივიც.

მაგრამ თუკი სხვა გზას აღარ გიტოვებენ?

და ბაჩანა ბრეგვაძე მხოლოდ ფილოსოფიური აზრის სიმაღლიდან კი არ უკვირდება ნიცშეს იმ სენტენციას, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის ფონზე და ისეთ წყლულს აშიშვლებს, რისი მიფარვითა თუ შეფერადებით უარეს განსაცდელს ვუმზადებთ საკუთარ თავს, თორემ სახეიროს არაფერს უნდა ველოდეთ:

— ჩვენ მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ჩავშტერებოდით სოციალიზმის პირქუშ უფსკრულს. დღეს არანაკლებ ამაზრზენ უფსკრულს ჩავცქერით.

და შეჯამებად... მწარე ღიმილი, გონების სიმახვილით განათებული:

— ჩვენი გვარია „უფსკრულიშვილნი“.

რაკილა სამართლიანად გვარწმუნებენ, რომ უგვაროდ არაფერი არ ვარგა და ერიც არ უნდა დარჩეს უგვაროდ, ჩვენი დროის მთაწმინდელს ეს გვარი შეურჩევია, უმწვავესი შეგრძნებით განმსჭვალული, მაგრამ სიმხნევის შთამბერავიც იმავდროულად — როდესაც არ უშინდები გულსაკლავი სინამდვილისათვის თვალის გასწორებას, მაშ ჰეროიკული სულიც არ ჩანავლებულა და კვლავაც შეგაძლებინებს ფეხზე მყარად დადგომას, როდესაც „უფსკრულიშვილობის“ ხანას შორეულ მოგონებებშიღა შემოინახავ გაფრთხილებად.

მაგრამ მანამდე?

რა გასაკვირია, უფსკრულის ძედ თავის შეგრძნებისას რევოლუციის აჩრდილი მოელანდოს, აჩრდილმა კი ვიქ-

ტორ ჰიუგოს სიტყვები გაახსენოს: სილატაკეს რევოლუციისკენ მივყავართ, რევოლუციას კი — სილატაკისკენო, — რათა მწუხარედ ამოიგმინოს:

— როგორც ჩანს, ჩვენი საშველი არ არის.

ყოფითობა მარტოდენ ამ განცდით გთრგუნავს, მაგრამ როდესაც ახერხებ ყოფითობის საზღვრების გარღვევას, აღარც ისეთი სასოწარმკვეთი გეჩვენება ხილული სინამდვილე, და შენი სკეპსისიც მსოფლაღქმა უფროა, ვიდრე რწმენა, რაკილა ჭეშმარიტი სკეპსისი ვერაფრისდიდებით ვერ შეგაქმნევინებს იმ გრანდიოზულ შენობას, ბაჩანა ბრეგვაძის ღვაწლი რასაც მოიცავს ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე.

ამ გადმოსახედიდან კი უძლებ თვით იმ თავზარდამცემ ვითარებას, რომ ვერ ხედავ არსებით ცვლილებას „საბჭოეთის დიადი ქვეყნის“ კულტურულ პოლიტიკასთან შედარებით: მაშინ ხომ სარეველისაგან კი არა წმენდნენ ჯეჯილს, პირიქით, ჯეჯილისაგან წმენდნენ სარეველას.

უძლებ იმის გაცნობიერებასაც, რომ XX საუკუნის 90-იან წლებამდე ემიგრანტად გრძნობდი თავს შენს სამშობლოში, 90-იანი წლების შემდეგ კი — ხიზნად.

დიდი შეღავათია!..

ფელეტონების ეპოქა დაგვიდგაო, — გულს შემოჰყროდა ჰერმან ჰესეს.

ბაჩანა ბრეგვაძე ამ „დიდებულ“ ეპოქას ტომას ელიოტის სტრიქონებს მიუსადაგებდა თავისებურ ეპიგრაფად: სადაა სიბრძნე, ცოდნის გულისათვის რომ დავკარგეთ? სადაა ცოდნა, დაკარგული საგაზეთო ცნობებისათვის? — და ეს განსაზღვრება გულისხმობდა დასავლეთის სახელმწიფოთა ყოფას, ჩვენთვის მიუწვდომელ, ასერიგად შორეულ რეალობას, და რაღა უნდა თქმულიყო ჩვენზე, მართლაც უფსკრულის შვილებზე, რომელთა თავზეც ეს ტრაგიკული, მეფისტოფელური სუნთქვა ათასწილად მწარედ განიცდება. და რამხელა შვებაა, რომ სულიერად არამცთუ ამ ათასწილად მწარე სინამდვილეს შეიძლება დააღწიო თავი, არამედ თვით ფელეტონების ეპოქასაც იმ დიად გონებასთან შერწყმა-ზიარებით, რომელსაც სხვადასხვა სახელი ჰქვია გაპიროვნებისას, მაგრამ ყველა ეს ბრძენკაცი ერთი წიაღიდან ამოზრდილა და საუკუნეთა გადაძახილიც ამიტომაა ასეთი ძალდაუტანებელი და ბუნებრივი.

ამგვარ გადაძახილთა თავისებური კოლექციის შეგროვებასთან ერთად ბაჩანა ბრეგვაძის ერუდიციის პიროვნებისათვის ხელმისაწვდომია პირველწყაროთა მიკვლევადადგენაც, რაც ჩვენ ისე იოლად გვებოძება, თითქოს ეს პროცესი თივის ზვინში ნემსის ძებნას არ წააგავდეს.

შურის ეს განმარტება — „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“ — ამოკითხული სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, მართლაც უამრავჯერ განმეორებულა ჩვენს მწერლობაში, მეცნიერებასა თუ პერიოდიკაში, ბაჩანა ბრეგვაძე კი საგანგებოდ რომ აღნიშნავს: დიდი ლექსიკოგრაფი სულაც არ იყო ვალდებული მკითხველისათვის მიეთითებინა ამ სიტყვის წარმომავლობაო, — დასძენს, რომ, სამწუხაროდ, ეს ზუსტი და სხარტი დეფინიცია სულხან-საბას კი არა, ბასილი დიდს ეკუთვნის, რაკილა პირველად სწორედ მის მცირე ტრაქტატში — „შურისათვის“ — გამოჩნდა.

ანდა:

„აზრების“ ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ ფრაგმენტში პასკალი ასე რომ განსაზღვრავდა სამყაროს: ეს არის უსაზღვრო და უსასრულო სფერო, რომლის ცენტრიც ყველგანაა, პერიფერია კი არსადო, — ამ თხზულების მთარგმნელი გულდასმით ჩაუღრმავდებოდა ამ ბრწყინვალე დეფინიციის სავარაუდო ავტორის ძიებას და საგულისხმო სურათსაც აღადგენდა. მითუმეტეს, რომ ეს დეფინიცია გაცილებით უფრო ზუსტად შეესაბამებოდა სამყაროს დღევანდელ ხატს, აინშტაინის რელატივობის თეორიაზე დაფუძნებულს, ვიდრე პასკალისდროინდელ წარმოდგენას უნივერსუმის შესახებ.

ვოლტერი მის ავტორად მიიჩნევდა პლატონის ეპოქის პითაგორელ ფილოსოფოსს ტიმეოსს, მაგრამ შემდგომდროინდელი კომენტატორები დამაჯერებლად უარყოფდნენ ამ ვარაუდს. გამოითქმოდა ჰიპოთეზა, რომ პასკალს ეს ფრაზა შეეძლო ამოეკითხა მადმუაზელ გურნეს წინასიტყვაობიდან, მონტენის „ცდებს“ რომ დაერთვოდა, ხოლო თვით გურნეს მის პირველწყაროდ „ჰერმეს ტრისმეგისტოსი“ მიაჩნდა და ამ ვარაუდისას რაბლეს ეყრდნობოდა.

„გარგანტუა და პანტაგრუელის“ მესამე წიგნში ამ სტრიქონებს, თუ როგორ ტოვებს ძილის დროს სული სხეულს, რათა მოიხილოს თავისი ჭეშმარიტი სამშობლო — ზეცა, მოსდევს:

— ეს უსასრულო და ინტელექტუალური სფერო, რომლის ცენტრი სამყაროს ყველა ადგილშია, პერიფერია კი არსად (ეს არის ღმერთი, თანახმად ჰერმეს ტრისმეგისტოსის მოძღვრებისა)...

კომენტატორები ამაოდ ეძებდნენ იმ თხზულებაში ამ ფრაზას, და მხოლოდ მის ოდნავ მიმსგავსებულ ვარიანტს აღმოაჩენდნენ.

ეს უებრო მეტაფორა თვით რაბლეს წარმოსახვის ნაყოფიც შეიძლება ყოფილიყო („კაცმა რომ თქვას, „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ ავტორისაგან არც ამნაირი ბრწყინვალებაა მოულოდნელი და არც მსგავსი მისტიფიკაცია“), მაგრამ მასზე ადრე ეს განმარტება გვხვდებოდა ფრანგი თეოლოგის ჟან შარლიე დე ჟერსონის თხზულებებში, ხოლო თვით ჟერსონი, მისივე მოწმობით, თითქოს „სერაფიკული დოქტორის“, ბონავენტურას თხზულებიდან უნდა სესხულობდეს მას.

ვიქტორ ლუ კლერი იმოწმებდა XII საუკუნის მწერალს ვენსან დე ბოვეს, რომელიც ამ უკვდავი ფრაზის ავტორობას მიაწერდა ქრისტეს დაბადებამდე V საუკუნის ბერძენ ფილოსოფოსს ემპედოკლეს („გადმოცემით, ემპედოკლე ასე განმარტავს ღმერთს: ღმერთია სფერო, რომლის ცენტრი ყველგანაა, გარშემოწერილობა კი არსად“), მაგრამ... ამ ფილოსოფოსის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში მხოლოდ ამ ფრაზის მიახლოებითი, ან, უფრო ზუსტად, საეჭვოდ მსგავსი ვარიანტი თუ შეგვხვდებოდა.

ვენსან დე ბოვემდე ნახევარი საუკუნით ადრე ფრანგი ღვთისმეტყველი ალენ დე ლილი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ღმერთის ამგვარ დეფინიციას.

შუა საუკუნეთა ფილოსოფიის ისტორიკოსის ეტიენ ჟილსონის მიხედვით, სამყაროსა და ღმერთს ზუსტად ასევე განსაზღვრავდნენ ფრანგი ჰუმანისტი მიერ რამუსი, ფრანგი მწერალი პიერ-ჟოზეფ შარონი, იტალიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო და „ყველა საუკუნის ურიცხვი სხვა ავტორი".

და ლაბირინთივით რომ გამოიკვეთება იმ ულრმესი სტრიქონის მოგზაურობის სურათი, მისი ფინალი ასეთნაირად შეიკვრის:

— ასე რომ, ძიება გრძელდება, პოვნისა კი რა მოგახსენოთ.

ცხადია, მთავარი აქ სწორედ ის ჟინია, რომ: ძიება გრძელდება... და თუნდ სათავის მიკვლევა მართლაც გაძნელდეს, თვითონ პროცესის აღდგენაც ზოგად მონახაზებში წარმოგვიდგება მცირე ლიტერატურული დეტექტივის მიმზიდველ ნიმუშად, ძალუმად რომ გიბიძგებს ამგვარი ჩაღრმავებისაკენ — სათავეთა მიგნების წყურვილით გზადაგზაც რაოდენ საგულისხმო და დამაფიქრებელი რეალიები ჩნდება.

ასეთი მცირე ლიტერატურული დეტექტივები ჩვეულია ბაჩანა ბრეგვაძისათვის — სხვადასხვა თარგმანზე დართულ მის კომენტარებში დროდადრო სწორედ ამგვარი ნიმუშებიც ამოჩნდება ხოლმე — ექსკურსები, დეტექტიური ელფერით აღბეჭდილნი.

ამგვარი ფაქიზი ნიუანსობრივი ჩაკირკიტებაც ნიშანდობლივია მისი სტილური მანერისათვის, სხვადასხვა თარგმანზე დართულ კომენტარებშიც არაერთხელ რომ წავწყდომივართ, „ჩანაწერებში" კი ამ სახით შეგხვდებათ, რუსთველურ სტრიქონს — „ან მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი" — ჯერ ეს განმარტება რომ მოედევნება:

— „დესი" — არსებითი სახელი „და" („დაი") აქ აღმატებით ხარისხშია აყვანილი: ზედსართავი სახელისათვის ნიშნეული გრამატიკული კატეგორია არსებით სახელზეა გადატანილი, რაც განუმეორებელი ხიბლით მოსავს და უჩვეულო ექსპრესიულობას ანიჭებს „ვეფხისტყაოსნის" ამ სტრიქონს.

რათა გამოიხმოს ანალოგიური ნიმუში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნააზრევიდან, სადაც არსებითი სახელი „უფალი" ასევე აღმატებით ხარისხში აჰყავს ავტორს: „უუფლესი".

ვითომ წვრილმანია?

არადა, ეს იმ შემთხვევათაგანია, როდესაც წვეთი ლამის უკეთაც ლაღადებს ოკეანეზე, ვიდრე თვით ოკეანის ხილვა, რაკილა დეტალი შინაგანი მონუმენტურობით წარმოგვიდგება და დიდ განზოგადებასაც ამის წყალობით აღწევს.

ამიტომაცაა, ბაჩანა ბრეგვაძე ამ „წვრილმანის" გადასახედიდან რომ გამოთქვამს უმნიშვნელოვანეს დასკვნას:

— აღსანიშნავია, რომ რუსთველი მხოლოდ ორ, ორადორ ფილოსოფოსს იხსენიებს სახელდებით: პლატონსა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, და არამარტო იხსენიებს, არამედ, როგორც ირკვევა, ამომწურავადაც იცნობს ორივე დიდი მოაზროვნის შემოქმედებას.

დაე ამ შეხედულების თავისებური სიმბოლო თუ ტვიფარი იყოს ამ ანალოგიის მიკვლევა: „დესი" და „უუფლესი".

და თუ ფარსმან მეფე არ იცნობდა მარკუს ავრელიუსის შემოქმედებას, სხვა მათი თანამედროვეებისა არ იყოს, გუმანით ხომ უეჭველად ამოიცნობდა ჭაბუკ უფლისწულში სხვა სულიერი წყობისა და ყალიბის კაცს, ვისი ყოველი მოქმედებაც შეთანხმებული იქნებოდა ერთადერთ მიზანთან, ერთადერთ ჭეშმარიტ, საერთო და საყოველთაო სიკეთესთან.

თუკი მისი შეგონება — „დაუცადებლად იზრუნე მისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ისე, როგორც შეჰფერის რომაელს და მამრს — ჭეშმარიტი სიდინჯით და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით; ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი" — ძნელად ხორცშესასხმელი მოგეჩვენება და შეკრთები მისი გრანდიოზულობის წინაშე, მარკუს ავრელიუსი მისი აღსრულების გზასაც გასნავლის: ყოველ საქმეს ისე მოეკიდე, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეშიო.

ეს შეგრძნება, ეს რწმენა შეგაძლებინებდა ძალთა მოკრებასაც, სიმხნევით აღვსებასაც და განსაკუთრებულ აღმაფრენასაც.

ბაჩანა ბრეგვაძე ამ მხრივაც დაემსგავსებოდა თავის დიდ წინამორბედს, ყოველ საქმეს სიცოცხლის უკანასკნელი დღის ტოლფარდად რომ მიიჩნევდა; და იმ მხრივაც, თებაიდად საკუთარ სულს რომ გადააქცევდა.

მისწრაფებად კი იმ განზრახვას დაისახავდა, რაც ძველი ჩინელი პოეტისა და მოაზროვნის ჯუან-ძის ერთ ლექსში ასე გამოხატულიყო: ბადით იჭერენ თევზს. თევზს რომ დაიჭერენ, ბადეს ივიწყებენ. მახით იჭერენ კურდღელს, კურდღელს რომ დაიჭერენ, მახეს ივიწყებენ. სიტყვებით გამოხატავენ აზრს. აზრს რომ მოიხელთებენ, სიტყვას ივიწყებენ. ნეტა ეს დავიწყებული სიტყვა მანახა და მასთან მალაპარაკაო.

„ჩანაწერებში" ამ ლექსის პროზაული ვერსია გადმოვიდოდა — ყოველგვარი მინაწერის გარეშე... თუმც რაღა მინაწერი სჭირდებოდა, როდესაც უკომენტაროდაც თვალნათლივ გვიმჟღავნებდა არა მარტოდენ პოეტის, არამედ მთარგმნელის ჩანაფიქრსაც — გამჭვირვალედ მიენიშნებინა მკითხველისათვის „დავიწყებული სიტყვის" იდუმალებაც და მისკენ სწრაფვის აუცილებლობაც.

გზა უფლისაკენ ამ და ამგვარ ლტოლვაზეც გადის — წყურვილით აღვსილზე, დაუშოშმინებელზე.

„ბოლო წლების ჩანაწერებიც" შინაგანად სწორედ ამ ლტოლვით გასხივოსნებულა — დავიწყებულ სიტყვასთან მიღწევისა და მასთან გამოლაპარაკების.

ათასგვარი ტკივილით დასერილი ლტოლვით.

თებაიდად საკუთარ სულს რომ გადააქცევდაო...

მისთვის მარკუს ავრელიუსის „ფიქრებიც" იმ მეტაფორით განისაზღვრებოდა, როგორც ყველა სულიერი მონაპოვარი, ყველა ჩინებული წიგნი უკუნისიდან უკუნისამდე:

— ბედნიერებაა, როცა წიგნის ფურცლებზე ისე ისვენებს დაღლილი სული, როგორც გადამფრენი ფრინველები ისვენებენ გაშლილ ზღვაში გემის ანძაზე.

გემის ანძას დამგვანებოდა ბაჩანა ბრეგვაძის სახელით აღბეჭდილი წიგნებიც, თარგმანი თარგმნის ქრესტომათიულ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება, ნარკვევი-ნარკვევისა და კომენტარ-ექსკურსები კომენტარ-ექსკურსებისა...

და „ბოლო წლების ჩანაწერებიც", ჟანრობრივად თითქოს განსხვავებული, მაგრამ არსებითად უშუალო ნაწილი მისი უზღვავი შემოქმედებისა, დაღლილი სულის დასასვენებლად მისწრებაა.

გაშლილ ზღვაში.

გემის ანძასავით.

ნინო ვახანია

# „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა შენს სახლამდე ორი ნაბიჯია, მაგრამ იქამდე არ გიშვებენ და სხვაგან არავის უნდიხარ.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— ომამდელ სოხუმში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— საკუთარი ოთახი (ვირჯინია ვულფის ასოციაცია).

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?**

— ავთანდილი, თორნიკე ერისთავი, ჯოყოლა, სოფიო, ლუარსაბი...

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?**

— ცოტნე დადიანი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— მრავალთაგან ამჟამად ნანა გერასიმოვას ვახსენებ.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ზაქარია ფალიაშვილი, გია ყანჩელი...

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— პასუხისმგებლობის გრძნობას, პირმტკიცობას.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ზომიერი კეკლუცობის უნარს.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლველი?**

— სხვის სულში წვდომისა და ფარულად თანადგომის უნარი.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— უსაქმოდ ყოფნა (მაგრამ ეს საქმიანობა არ არის, ჰო?)

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?**

— მაკა ჯოხაძე და როსტომ ჩხეიძე ერთად.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ჩემს თავს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მე მგონი მაინც ეს — იოლად მოწყვლადი ვარ.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— შეუმჩნევლად ნუგეშინის ცემის უნარს.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— მეუბნებიან, რომ ჯიუტი ვარ, მე ჩემი თავი ზედმეტად დამთმობი მგონია.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,... ბედნიერი ვიყავი ბავშვობაში, როცა ჩემს ქალაქში, ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— შვილებმა რომ გამიმტყუნონ იმედები.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— თამამი, უკომპლექსო, ცოტა ქერქეტა.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ხოხბის ლაპისფერი, თავთუხისფერი... (მგონი, უფრო სიტყვები მომწონს, ვიდრე ფერი)



**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ია, ბნელ ხევში მოსული.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ჩხიკვნი, ქერონები, ნიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ლობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— გოგებაშვილი, ყაზბეგი, ბარნოვი, ბალზაკი.

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ... — გრიგოლ ორბელიანი, ემილი დიკინსონი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

— სოფიო, ალაზა, მაიკო ბარათაშვილი...

**— საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?**

— ალექსანდრე ორბელიანი, ცოტნე დადიანი...

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— თეკლე ბატონიშვილი.

**— საყვარელი სახელი?**

— თეკლე, თამარი, ვახტანგი...

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— თავალერილ უვიცობას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— იასე ფალავანდიშვილი (თუმცა ისიც მებრალება, ეტყობა, ზიზღი საერთოდ არ ვიცი).

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— ასპინძის ომი.

**— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ქართული ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად („და არლა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“...)

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ნათელხილვის და წერის (მწერლის).

**— როგორი გინდოდათ მომკვდარიყავით?**

— უცებ, ტკივილის გარეშე.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ზომიერად აფორიაქებული.

**— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?**

— გულუბრყვილობითა და გულწრფელობით გამოწვეულნი.

**— თქვენი დევიზი?**

— მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— მიპატიებია.

ნიკოლოზ ჩუბინიძე

# უგემური საკითხავი

## ეროვნულის გამსწორებელი

(მოთხრობა)

*ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტური დავალებები ქართულ ენასა და ლიტერატურაში*

ქართული ლიტერატურა

**(2ქ.) 1. ყურადღებით წაიკითხეთ ლექსის მოცემული ფრაგმენტი. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც განსაკუთრებულ ხმაურს აღნიშნავენ:**

„გარეთ ისეთი როკვა, პაკაპუკია, თითქოს არ არსებობდეს მუხათგვერდი, კუკია."

***(4ქ.) 2. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ლექსიდან „ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე":***

„ადამიანმა არსებობა ტ..ნით და კვლით დაიწყო,
ადამიანი ყოველდღე იწყება ველურიდან,
ესაა ერთადერთი, რაც არ უსწავლია,
ერთადერთი, რითაც არ მოაქვს თავი".

**1. რას გულისხმობს მეტაფორა, რომლითაც ავტორი აღნიშნავს არსებობას (არა უმეტეს სამი სიტყვისა).**

**2. განმარტეთ რით ხსნის ავტორი იმას, რომ ადამიანი არ ამაყობს იმით, რაც არ უსწავლია (ციტირება დაუშვებელია).**

**3. განმარტეთ, რის თქმა სურს ავტორს მეორე სტრიქონით.**

(პასუხების სქემა იხ. ქვემოთ.)[1]

ლანა ჯერ თავის პროფესიას წყევლიდა და მერე თავის ქარაფშუტა მეგობრებს, მათ გამო შემორჩა თბილისს. იმდენი ქნეს, რომ ეროვნული გამოცდების გამსწორებლობაზე მაინც დაითანხმეს. — საქმით დაკავდები, ანდროსა და სიკვდილზე ფიქრსაც შეეშვები, და მარტოობის მტანჯველი განცდისგან თავდახსნის ამაზე უკეთეს საშუალებასაც ვერ იპოვი, ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებითო.



ისე ძალიან უნდოდა ვინმეს რაიმე ეთქვა, ვინმეს რაიმე ერჩია, ისე უნდოდა, ოდნავ მაინც დამშვიდებულიყო, რომ ბევრი აღარ უფიქრია და დათანხმდა „ეროვნულის გამსწორებლობას."

მალევე მიხვდა, კვლავ ძველებურად ყოფნა ერჩივნა, ფიქრიც კვლავინდებურად უნდოდა და მარტოობაც. ეშინოდა მოსალოდნელი ეიფორიების, მაგრამ ეს უაზრო საქმიანობა რომ ვერ გაათავისუფლებდა მტანჯველი განცდებისგან, ამას ზუსტად ხვდებოდა.

საფრანგეთში გამგზავრებამდე აეროპორტში იმაზე ფიქრობდა, რას ნიშნავდა „საქმით დაკავება" მისი მეგობრების ენაზე. პირველ რიგში: ალბათ, ანდროს დავიწყებას, მერე — არამარტო სიკვდილზე ფიქრისთვის, საერთოდ ფიქრისთვის თავის დანებებას; ყველაფერზე და ამავე დროს არაფერზე ლაპარაკს; და ბოლოს, წინაპრის ანდერძის: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა"-ს უპირობო შესრულებას. მისი ნაცნობ-მეგობრები და მთელი ქვეყანაც — დიდ-პატარიანად, რატომღაც ამ ანდერძზე იყო გაგიჟებული, ამ ანდერძში პოულობდა სულის სიმშვიდესა და ნეტარებას...

ო, როგორ ახსოვს, როცა ანდროს გაყვა, ეს „ქართვლის დედის" აპოლოგეტი ქალბატონები როგორი ერთსულოვანი გაშმაგებით დაინტერესდნენ მისი ცხოვრების სექსუალური დეტალებით. ლანაც ლაღი გულწრფელობით უზიარებდა მათ საკუთარ გამოცდილებას. ისინი კიდევ ნაზად და რაღაცნაირი სიურცხვით იშმუშნებოდნენ, თუმცა კითხვები არ ელეოდათ. ლანას რჩევებმა ზოგი ბედს ანია, ზოგი კი ახლაც მძიმედაა და სახეზე ნაიარევივით ატყვია სექსუალური ჭრილობები.

მარტოობის დამთრგუნველ განცდას ვერაფერი მოუხერხა, ანდროსთან ყოფნამაც ვერ გააქრო ბოლომდე ეს საშინელი გრძნობა. მაშინ მიხვდა, რა ცუდია, როცა სხეულები ერთმანეთს ეჩვევიან და ვნება ქრება. მისი დაქალებისთვის სანატრელი გენიტალიური ორგაზმიც კი ვერ შველის თურმე მარტოობის შიშს.

ანდრო?! ანდრო რა! ანდროს უეცრად დაეწყო თავბრუსხვევები და მუდმივი ულონობა.სწორედ მაშინ, როცა ექიმებმა უთხრეს, რომ ქმარს რამდენიმე თვის სიცოცხ-

---

*[1]პასუხების სქემა:*

1.1. „როკვა, პაკაპუკი"; ითვლება აგრეთვე: „ისეთი როკვა პაკაპუკია" ან: „ისეთი როკვა........ 1ქ.

**2.1. ხორციელი ძალაუფლების ინსტინქტებს;..................2ქ.**

**არ ითვლება: სექსი და გაუტანლობა;**

**2. ადამიანი საკუთარ დამსახურებად არ თვლის თანდაყოლილ თვისებებს ........................................................ 1ქ.**

**არ ითვლება: ამ დროს ადამიანს განსაკუთრებულობის განცდა უქრება და უუფერულდება.**

**3. ადამიანი ველური არსებაა.............................................1ქ.**

**არ ითვლება: ადამიანი მდაბალი, პირველყოფილი ინსტინქტების ტყვეა; ადამიანის ყოფას ცხოველური ინსტინქტები წარმართავს.**

ლელა ჰქონდა დარჩენილი, თვითონ ლანას სიკვდილიც დაიწყო. თვითონაც ცხადად გრძნობდა მოსალოდნელი აღსასრულის საშინელებას. სიკვდილის სიახლოვემ დათრგუნა. ძალიან უმწეო და ულონო გახდა. უცებ გაირინდებოდა, თვალები გაუშტერდებოდა, ანდროს კვნესაც შორიდან ჩაესმოდა, რეალობის შეგრძნება ეკარგებოდა. თითქოს ვიღაც უცხო ხმა უმეორებდა საკუთარ ფიქრებს: „ — შენ მოკვდები, შენ მოკვდები ძალიან მალე! აბა წარმოიდგინე როგორი იქნები სიკვდილის წინა წამებში — აი ასეთი — ანდროსნაირი! ანდრო კიდევ კარგი ვარიანტია, შენ საერთოდ მოიფშხალები, ჩვრად იქცევი, ტირილს და ხვეწნამუდარას დაიწყებ, რომ გადაგარჩინონ, მაგრამ რა?! ვინ გიშველის, ყველა უაზროდ მოგაშტერდება და შენი ავადმყოფობით გაბეზრებულნი სულმოუთქმელად დაელოდებიან შენს სიკვდილს. შენ კი მიხვდები, რაც იმალება მათი გულმოწყალე გამომეტყველების მიღმა, მაგრამ შიშით გათანგული სიტყვასაც ვერ დაძრავ. ასე გამოეთხოვები სიცოცხლეს. უშენოდ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება, არც არავის გაახსენდები, ჩალპები და ჩაიმზღლევი კუბოს ფიცრებთან ერთად, აი მანამდე კი მარტო მოგიწევს საშინელი ტკივილების ატანა, დაიგრიხები და დაიკლაკნები მტანჯველი ფიქრებისგან სიკვდილის მოლოდინში და არც არავინ გეყოლება ნუგეშისმცემელი...“

ოთახიდან გარბოდა და თავისთვის სულმოუთქმელად ფიქრობდა:„— მეშინია, ძალიან მეშინია, არ მინდა სიკვდილი, არც ანდროსი, არც ჩემი, არც ნატალისი, არც არავისი .“ წამოწვებოდა, მოიკუნტებოდა, პლედს გადააფარებდნენ, აკანკალებულს ჩაეძინებოდა და, აკანკალებულსავე, გულამოვარდნილს ეღვიძებოდა.

ხვდებოდა, რომ საკუთარი მარტოობის ეშინოდა, საკუთარი სიკვდილისაც, და რცხვენოდა, ძალიან რცხვენოდა საკუთარი ეგოიზმის, მაგრამ ამ ყოვლისმომცველ შიშს ვერაფერს უხერხებდა. სინამდვილეში ანდროზე კი არ ფიქრობდა, რომელიც მასზე დიდ განსაცდელში იყო და დღე-დღეზე სიცოცხლეს დაასრულებდა, უფრო თავის მარტოობასა და გარდაუვალ აუცილებლობას — სიკვდილს გლოვობდა.

ამდენი წლის მერეც აღიარებს, რომ ასე იყო, შიშმა დაიმორჩილა. ისეთ ადამიანს კარგავდა, რომელთანაც საინტერესო ცხოვრება აკავშირებდა და არასოდეს უფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი შეწყდებოდა, უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა. რატომღაც ამ კაცთან გააიგივა სამყარო და ეს კაციც ახლა ხელიდან ეცლებოდა.

ახსოვს, როგორ უნდოდა თავისი ტკივილის ხმამაღლა გამოხატვა, მაგრამ ეშინოდა იმ ტყუილუბრალო ნუგეშისა და არაფრისმთქმელი ფრაზებისა, რომლებიც მის გულწრფელ შიშებს ჯებირივით დაუხვდებოდა და უმოწყალოდ აისხლიტავდა.

ახლა ერთადერთ ნუგეშად ნატალიდა დარჩა. იქნებ უცხო ქვეყანას უკეთ გაერკვია მისი მუდმივი ეიფორიების მიზეზები. შეიძლება ვერც გაერკვია, მერე რა?! რაც მთავარია, აქაურობას მოშორდებოდა და ხვალ უკვე სენტ-ეგზიუპერის აეროპორტში, დილის ათ საათზე — საკუთარ შვილს ჩაეხვეოდა.

ძნელია, ასეთ ქალს კაცმა ბედნიერება არ უსურვოს!

## პირადი წერილები

(ნოველა)

ლანამ თვითონაც არ იცოდა რატომ ინახავდა წერილებს. შეიძლება, უბრალოდ ვერ იმეტებდა გადასაყრელად. არასოდეს მონდომებია ვინმესთვის გაეზიარებინა მისი სევდიანი ამბების დეტალები და ახლა რატომღაც გადაწყვიტა შვილთან მაინც ყოფილიყო გულწრფელი...

სანამ შვილს წერილებს წააკითხებდა, სთხოვა: არასოდეს ყოფილიყო მასავით სენტიმენტალური და მგრძნობიარე და ცხოვრებისთვისაც რეალურად შეეხედა. ნატალი კარგად იცნობდა დედამისს, თუმცა დილაადრიან ლანას დამრიგებლური ტონით გამოთქმულმა რჩევებმა ძალიან გააკვირვა. თვითონ ლანა გულის სიღრმეში სულ სხვა რამეს ფიქრობდა — ძალიან უნდოდა შვილის თვალებში მშობლის წარსულისა და ტკივილიანი განცდებისადმი თანაგრძნობა დაენახა, ამიტომაც რვეულის ფურცლები საჩქაროდ მიაჩეჩა ნატალის, თვითონ სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ნაღვლიანი თვალებით შეაჩერდა ნაწერში თავჩარგულ საყვარელ არსებას...

**...სანდრიკ, მე დაგპირდი, რომ აღარ მოგწერდი. აღარც მინდა მოგწერო... აღარ მინდა ჩაკეტილ წრეში აღმოვჩნდე... შენ რაღაცას ითხოვ, მაგრამ თავად არ იცი, რას ითხოვ... მე ვიცი, რაც მინდა ცხოვრებისაგან... თუ ღმერთმა ინება და კიდევ მომცა სიყვარული, მინდა ვიცხოვრო ამ გრძნობით, არ მინდა დავიმალო, ბედნიერების განცდა მინდა და არა შეურაცხმყოფელი შეგრძნებებით სიარული... მე ყველაზე მეტად ის მინდა, ჩემ გვერდით ის იყოს, ვინც მიყვარს... მე არ ვარ და არც არასოდეს ვიქნები დროებითი სიყვარულის მომხრე... მე ან მთელი არსებით მიყვარს, ან არ არის ასეთი სიყვარული და ვწუხვარ, მეტი არაფერი... თუ მოვა, ბედნიერი ვიქნები,**

**თავს იმით გავიმხნევებ, რომ ერთი ადამიანისთვის საკმარისი ბედნიერებაც მქონდა და ნუხილიც, ტანჯვაც და სიხარულიც... ეტყობა, მეტი არ მეკუთვნის, მაგრამ იმავე სიყვარულს, რომელსაც მე ასე ველი და რომელიც ასე მნიშვნელოვანია ჩემთვის, უბრალო გართობად და ჩემ შეურაცხყოფად ვერ ვაქცევ... (გაიხსენე გონიო)... მე ვერ გავხდები შენი თავისუფალი დროის ამომვსები არსება.... ჩემი შენთან ურთიერთობა ყველაფრით სრულყოფილი იყო, ... მაგრამ შენ აღმოჩნდი სუსტი, არ იცი, რა გინდა და არც აცნობიერებ ამას... მე გთავაზობდი ყველაფერს, რაც სიყვარულს ახლავს, კარგსაც და შეიძლება ცუდსაც... რადგან არ გსურს, როგორც გინდა, ისე იცხოვრე...**

*ლანა. 12.06*

**...სანდრო, ეს უკანასკნელი წერილია, რომელსაც გწერ. რამდენიმე რამ მაინც დამრჩა უთქმელი და ეს მაწამებს:**

**შენ ყველაზე დიდი შეცდომა ხარ ჩემი ცხოვრების და ამას ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს... ეტყობა, ჩემი სასჯელიც ეს იქნება — უპა-**

ტიებლობა... თუმცა არ ვიცი, ჯერ როგორ გამოიხატება ეს ჩემში....

შენ უპრინციპო აღმოჩნდი, მე კი — სულელი და გულუბრყვილო... ყველაფერი ჩემი ბრალია და ამას ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თავს... ნამდვილად ვარ იმ სასჯელის ღირსიც, რაც საკუთარ თავს გამოვუტანე...

მაინც მიჩნდება რამდენიმე კითხვა: რატომ მოექეცი ჩემს გულწრფელობას ასე? ნუთუ ვერაფერი გაიგე ჩემი? წინასწარ გათვალე ყველაფერი თუ საკუთარი თავისაც ვერ გაგიგია ვერაფერი? კმაყოფილი ხარ?..

თუ ოდესმე საკუთარ თავთან მარტო დარჩები, თუ ერთხელ მაინც გამოხვალ საკუთარი კანიდან და შეხედავ შენს თავს გარედან, გამიხსენე და სხვისი პოზიციიდან შეაფასე შენი საქციელი... იქნებ რაიმეს მიხვდე... ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ერთად აღარ ვართ, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერს წინასწარ გეუბნებოდი, გაფრთხილებდი, გთხოვდი, გული არ გეტკინა ჩემთვის, ისედაც ბევრი ტკივილი მომაყენა ცხოვრებამ, აღარ მინდოდა ისევ იმედგაცრუება, საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, აღარ მინდოდა ისევ დაცემა... მეტი არაფერი... ახლა კი სულ მაინტერესებს ეს იყო შენი მიზანი, რომ ასეთი გენახე — მდგომარეობიდან გამოსული, საკუთარ თავზე განრისხებული და თვითგვემისათვის განწირული? რატომ? რატომ გააკეთე ეს?

მორჩა... მეტი აღარაფერი აღარ მინდა გითხრა... თუ ოდესმე ამ კითხვებს თავად გავეცი პასუხი, მაშინ საკუთარი თავისადმი რწმენა შეიძლება ისევ დავიბრუნო... მაგრამ მეეჭვება... ბევრი რამ მაინც აუხსნელი და უპატიებელი მრჩება...

*ლანა. 22.06.*

როგორც კი კითხვას მორჩა, ნატალიმ ფურცლები მაგიდაზე დადო და ლანას ოდნავ მოჭუტული თვალებით მიაშტერდა:

— იმან რა მოგწერა?

— გაინტერესებს?

— ლან, სიმართლე გითხრა, მაგარი არ მაინტერესებს შენი ისტორიები, მაგრამ მაინც?!... თუ გინდა იცო...

— რაა? იცი, იცი რას გეტყვიი?! ჩემი შვილი ხარ, მაინტერესებდა შენი რეაქცია, ეგ ისტორიები ჩემი განცდებია და სხვათაშორის, გულწრფელი განცდები, რომლებიც, როგორც ჩანს, შენ არასოდეს გეწვევა.

— დედა, წელან შენ არ მეუბნებოდი, სენტიმენტალური ნუ იქნებიო. არ მესმის რა გინდა, ჩემ აზრს ვამბობ,პროსტა, არ შეიძლება?

— знаешь, сучка ты!

კარის გაჯახუნების ექომ დედა და სახლი ერთდროულად შეაზანზარა. ფანჯარაში მზის სხივები და სიმწვანე ერთმანეთში ირეოდა...

ასეთი დარი თუ იყო მაშინაც, როცა ერთმა დედამ დატოვა მწვანედ აბიბინებული, თითით საჩვენებელი კარმიდამო და უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. კაცმა არ იცის, რას ფიქრობდა ეს დედა.

ღმერთმა აშოროს იმ დედის ბედი ამ დედას!

## ძილისპირული

(მინიატურა)

— გიორგიი, ჩამოგივიდა შვილიშვილი?!

— მააშ, კაცო, ჩამომივიდა!

შემოდგომის ქარით გადამხმარ გზაზე ორნი მიაბიჯებენ. პაპა და შვილიშვილი. შვილიშვილი — მოკლედშეჭრილთმიანი გოგონა საქონლის ნაფეხურებს სათითაოდ ადგამს გამხდარ ფეხებს და ცდილობს არ წაიქცეს.

— პაპა! ჰა პაპა?! ადამიანმა რო იფრინოს, რა უნდა ქნას?

— რას ამბობ, შვილო?!

— აი, რო იფრინოს მერცხალივით.

— ჰოო, რო იფრინოს, არა?! ჯერ მიწაზე დგომა უნდა ისწავლოს, მერე კიდე, მერე კიდე ფრთები ხო უნდა ამოუვიდეს, კაცოო...

— რო არ ამოუვიდეს?

— ბალღო, არ მოგშივდა განა?! დილას აქეთია კინკილა შოთის ამარა ხარ.

— არა, არა მშია. პაპა, ჰაა პაპა?! რო არ ამოუვიდეს?

— ელენე, ბებოს ნუ ეტყვი დათიაანთს ღვინო რო გაგაშინჯე, ხო იცი, რა ფხუკიანია, არ გაგვიბრაზდეს.

— გეშინია, პაპა, ბიბასი?

— მეშინია მააშ!

ნახევრადშელებულ ჭიშკარსა და პაპის მკლავქვეშ მიძვრება ლანა, მერე გარბის და დოინჯშემოყრილ ბიბას წელში მოხრას არ აცლის, ისე შეახტება.

— გენაცვალოს, ბებო!..

— სადა ხართ, კაცო? დავილიე თქვენი მოლოდინით.

— დათიაანთს ვიყავით, დაგვაპურეს, გამოვძეხით გემოზე!

— ბიბა, პაპამ ღვინო გამასინჯა.

— უი, მომიკვდეს თავი! მართალს ამბობს, კაცო, ეს ბალღიი?

— მართალს არა.

— ჩამოვიდეს დედამისი! რა პასუხსაც გასცემ, დაგინახავ!

— ბიბა, ხვალ ხო გავაგრძელებთ ქსოვას?

— მააშ, ბებო გენაცვალოს. ახლა დაწექი, შვილო, ხვალ ადრიანას ავდგეთ და გავაგრძელოთ.

ლანა საბანში იფუთნება, თვალები თავისით ეხუჭება. ესმის, როგორ ეჯუჯღუნება ბიბა პაპას. პაპა კიდე ბუხუნებს და ბუხუნებს. ისე ეტკბილება ეს ხმები, ისე ეტკბილება — სიამოვნებისგან გატრუნულმა აღარ იცის, რა ქნას...

## ერის წყლული

(ერთმოქმედებიანი პიესა)

**მოქმედი პირები:**

**ანა, „ეროვნული გამოცდების გამსწორებელი“ — 45 წლის.**

**ნინო „ეროვნულის დამკვირვებელი“ — 40 წლის.**

*სცენა ნახევრადჩაბნელებულია. სცენაზე დგას თეთრი ფერის სხვადასხვა გრაფიკულგამოსახულებიანი დეკორაციები.*

**ნინო** — ხო არ შეიძლება რო ყველაფერზე წერონ და მერე აქვეყნონ! დედამისი ჭკუაზე არაა თურმე. შვილის

ნაწერი რო უნახავს გადარეულა ქალი, არაფერი ცოდნია, თვითონაც პირველად წაუკითხავს.

**ანა** — იცი რას გეტყვი, გული მერევა ამ საშინელებებზე, ყველანი მეზიზღებიან!

**ნინო** — შენ გგონია, ეგ შემთხვევით ხდება? ეგეთებად უნდათ რო გვაქციონ... აღარც დედა უნდა გვიყვარდეს და აღარც მამა!

**ანა** — დესაძე თუ ვილაცა, ხო? კარგი რა, ნევრასტენიკია ვილაცაა, ერთი გამოშტერებული ბავშვია — ავადმყოფი, თავში აქვს ავარდნილი.

**ნინო** — ჰო, მაგრამ, ხო უბეჭდავს ვილაც, შენ გგონია, ეგ ისე, თავისთავად ხდება?... შეენ, გახსოვს, თინიკო რო იძახდა, მარშრუტკა რო იამაში ვარდება, მაშინ ვათავებო...

**ანა** — აბა, გოგო, რა საოცრება იყო!

**ნინო** — სად არი ახლა, რას შვრება?

**ანა** — რა ვიცი, ვერ გათხოვდა, ერთი ... (ხმადაბლა, ღიმილით წარმოთქვამს იმ სიტყვას) რა გახდა მაგისთვის ასეთი უსაშველო.

***(იცინიან, ანა ყავის მოდულებას იწყებს, თან ფანჯარაში იყურება და გაურკვეველ მელოდიას ღიღინებს.)***

**ანა** — არა, ისე რა არი ცხოვრება, ლანას კაცი არ გაუშვია და ახლაც ევასებათ...

**ნინო** — ეგ რაღაც სტრანნად იქცევა ამ ბოლო დროს...

**ანა** — მოეშვი რა ლანას, არ გვინდა ახლა რააა, ჩვენ-ჩვენი ცოდვები გვაქ ყველას.

**ნინო** — ყველა კაცის დედაც ვატირე რა...

**ანა** — რა ვიცი, კი ხარ გიორგის ყელზე ჩამოკიდებული.

**ნინო** — რა ვქნა, ეგ რო არ მყავდეს, მე მომიწევს თოხარიკი ცხენივით სირბილი, რაღაცაში ხო უნდა გამომადგეს. დავიღალე, ანა, აღარ შემიძლია...

**ანა** — მეც როგორ მომბეზრდა, იცი, ყველაფერი?!... გასწორებაზე რაები ხდება რო იცოდე, გაგიჟდები.

**ნინო** — ოოო, წაიღეს რა მაგათაც ტვინი, რას უსმენ მაგ ჩემისებს. რაო, რა?

**ანა** — გამაგიჟეს ნინო, გეუბნევი! თან, ის როცა ლაპარაკობს ხმას არავინ იღებს და ყველა თავს უკანტურებს. გუშინ გიჟივით შემოვარდა ჩვენს ოთახში და გამოგვიცხადა — არც არაფერი უკითხავს ისე: „— კლდიაშვილი და ნინოშვილი დასავლური ლიტერატურის ფუძემდებლებად უნდა მივიჩნიოთო“ — ხო იცი, თვითონ გურულია და გამსწორებლებადაც ეგენი ყავს შემოყრილი. ეგ კიდე არაფერი, — კონსტანტინე გამსახურდიას მეგრულად რო ეწერა, ბევრად უკეთესი მწერალი გვეყოლებოდაო. წარმოგიდგენია?

**ნინო** — ლადაობდა?

**ანა** — მე რა ვიცი, მაგისას რას გაიგებ.

**ნინო** — რა უთხარით?

**ანა** — რა უნდა გვეთქვა, ვინ რას ეტყოდა. მარტო ერთმა კითხა, ილია რომ კახელების ჰომეროსია, ეს რატომ გავიწყდებათო. არაფერი უთქვამს, ჩაიცინა და გავიდა. მერე ატეხეს ამათ ერთი ამბავი. ნახე, რა უცნაურ რაღაცეებს აკვირდება, ჩვენ ხო ამაზე პრინციპში არასოდეს გვიფიქრიაო. მოკლედ ატყდა უაზრო ალიაქოთი.

**ნინო** — ვაჟა?

**ანა** — რა ვაჟა?

**ნინო** — ვაჟა-ფშაველა?

**ანა** — ვაჟა-ფშაველა რა! კაცმა რო თქვას, განსმდგომი ფშაველია, აკაკიც ხომ მაგიტომ დაუპირისპირდა. თავის ენაზე წერდა და გაუგებარი იყო ეგ ენა ნახევარი საქართველოსთვის. ლექსიკონის გარეშე რა, გაიგებ რამეს!?

**ნინო** — რა ვიცი, გოგო, რა ვიცი.

**ანა** — ეგ კიდევ არაფერი, მაგას დაანებე თავი, იმან, ლიტერატურის მეტრად რო ითვლება, რა თქვა, იცი?



*მხატვარი გეგა პაქსაშვილი*

**ნინო** — რაო, რა? გეხვეწები.

**ანა** — რაო და მიშა მეორე სულხან-საბად დარჩება საქართველოს ისტორიაშიო.

**ნინო** — არ შემშალო?...

**ანა** — არ დავწვეთ? მეძინება.

**ნინო** — დავწვეთ ხო...

***(საზოგადოებრივი მაუწყებელი ამთავრებს ტრანსლაციას, ისმის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი)***

ფარდა ეშვება.

## ფიქრები სამშობლოზე

(არგუმენტირებული ესეი)

ამ ქვეყანაში თავისუფლებას ითხოვენ და ამავდროულად მორალურ აკრძალვებსაც აწესებენ. ის ხალხი, ვინც თავისუფლებას ითხოვს, თავისუფლების საკუთარსავე ინტერპრეტაციას სთავაზობს საზოგადოებას. მაგალითად, როგორც კი რომელიმე „ამორალური“ ყმანვილკაცი არ დაერიდება საკუთარი ნაფიქრის (არცთუ მთლად კარგად გააზრებულის, მაგრამ მაინც საკუთარი ნაფიქრის) საზოგადოებისთვის გამჟღავნებას, ჰუმანიტარული აზრის სა-

ქეთმპყრობელთა და ფილოლოგ ქალთა გილდია ერთობლივად ითხოვს უზნეობის, როგორც თვითონ ამბობენ — „გენიტალიური აზროვნების“ აკრძალვას ლიტერატურაში და მწერლებს კონსტრუქციული და არააგრესიული, ლალი ლიტერატურის შექმნისკენ მოუწოდებენ. ოღონდ არავინ უწყის და მეტად ძნელი გასარკვევია, ვინ, ვის და როდის დაავალა ლიტერატურისა და ქვეყნის ბედზე ზრუნვა.

აქ უფრთხიან რეალური გრძნობებისა და განცდების ხმამაღლა გამოხატვას; სირცხვილად ითვლება ადამიანური სისუსტეების გამომჟღავნება, ამიტომაც ყველა ერთმანეთს ატყუებს: მშობლები — შვილებს; შვილები — თანატოლებს; ქალები — კაცებს; კაცები, ქალები და ხელისუფლება კი ერთმანეთს.

საგულისხმოა ისიც, რომ აქ ყველას ერთმანეთის პირადი ამბავი და ისტორია აინტერესებს, ოღონდ მხოლოდ ისტორია, ამბავი და არა ის ადამიანი, რომელიც ამ ისტორიას ქმნის. ეს ფაქტი ვერ აიხსნება მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით და სხვათა ცხოვრების გაკილვის ან ამ ცხოვრებით აღფრთოვანების დაუოკებელი სურვილით. ეს უბრალოდ მთელი ქვეყნის სასიცოცხლო, ფუნდამენტური ინტერესია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და უბრალო ადამიანური ურთიერთობების სტილსა და ხასიათსაც კი განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ მხოლოდ ამ ქვეყნის კუთვნილებაა და ამაში მას ვერავინ შეედავება — ახალი კულტურული ეპისტემა, რომელიც ელინისტური ესთეტიკისა და სულიერების ანტინომიურ პარადიგმად ჩამოყალიბდა და გამოხატულება პოვა ყოფით სენტენციურ ფორმულაში: „ყველამ ყველაფერი იცის“.*

* * *

ამ ქვეყანაში აზროვნებენ კარგი ტონის, პროვინციალებისა და ქაჯების, გოიმებისა და კაი ტიპების კატეგორიებით. ამ საყოველთაოდ გავრცელებული მყარი ტოპოსების ფარულ შინაარსსა და სემანტიკას კი — ხუთი დიდი გაერთიანებიდან (მეცნიერ-ინტელექტუალები; ეროვნული მოღვაწეები; კრიმინალები; ლიბერალები; რელიგიურები) ერთ-ერთისადმი მიკუთვნებულობის ხარისხი განსაზღვრავს. ეს ერთი შეხედვით ზედაპირული, მაგრამ ამ საზოგადოებისათვის სიღრმისეულად მნიშვნელოვანი მიდგომები განსაზღვრავენ კიდეც ქვეყნისა და თითოეული ადამიანის ცხოვრების წესს.

ძნელბედობის ჟამს ან „საყოველთაო მესის“ აღვლენისას ეს გაერთიანებები ერთად იკრიბებიან, ერთმანეთში ითქვიფებიან და განსხვავებულთა ერთადყოფნის სრულ ჰარმონიას განასახიერებენ.

მართალია, ზეიმისა და მძვინვარების ჟამს ერთნაირად გაურკვეველია როგორც განრისხებულთა, ისე აღტკინებულთა რეალური ზრახვანი და მისწრაფებანი, მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარია არ შეწყდეს და მუდმივად განმეორდეს დღესასწაულები და მძვინვარებები.

*** შდრ: (ძვ. ბერძნ.) „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“**

## ეპიმელეია ჰეაუტოუ**

(ეტიუდი)

რას შეიძლება ფიქრობდეს ან აკვირდებოდეს უცხოეთში პირველად მყოფი ადამიანი? ალბათ ყველაფერს, იმის გარდა, რასაც ქალი აკვირდებოდა და ფიქრობდა.

ლანას აზრით, საკუთარი სამშობლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში უარყოფილი იყო სიკვდილის ცნება. მხოლოდ დაკრძალვის ცერემონიაზე თუ მოისმენდი სიკვდილთან დაკავშირებულ აფორიზმებს: „ეჰ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ!“; ან „ეეეჰ, რას ვიზამთ, აქ არავინ დავრჩებით!“ ამ სიტყვებს ძალზე მშვიდად, მართალია ოდნავ ნაღვლიანი მზერით, მაგრამ მაინც ისეთი სიმშვიდით წარმოთქვამდნენ, რომ ძალიან ჭირდა მათ ჭეშმარიტებასა და მაგიურობაში ეჭვის შეტანა.

ცხადია, ფრანგებსაც ეშინოდათ სიკვდილის, მაგრამ, ქართველებისგან განსხვავებით, რაღაცნაირი ღია და ცივი სიმშვიდით აკვირდებოდნენ საკუთარ თავში ჩაბუდებულ სიკვდილის განცდას. თუმცა ვერც იმას იტყოდი კაცი, რომ თითქოს მათ ქონდათ გასიგრძეგანებული სიკვდილის დამთრგუნველი გავლენა ადამიანის ცნობიერებაზე. ალბათ უფრო ტრადიციას მისდევდნენ, უკვე დამკვიდრებულს და ჩამოყალიბებულს, თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულიყვნენ და ჩუმად, აურზაურისა და ზედმეტი ისტერიის გარეშე ხვდებოდნენ სიკვდილის შიშით გამოწვეულ ყოველდღიურ ტკივილებს.

რაღაც, ლანასთვის უცნობ ნიუანსებს იცნობდნენ სიკვდილისას და აღელვება და ემოციაც სადღაც გამქრალიყო. ჩვეულებრივ შეხვედრებსა და „უიკენდებზეც“ კი ერთგვარი აზარტითა და გაშმაგებით ბჭობდნენ სიკვდილსა და სიყვარულზე. ლანაც ერთვებოდა ასეთ საუბრებში. კამათისას ზოგი ძალიან გულწრფელი იყო და ვერ მალავდა საკუთარ შიშსა და შეშფოთებას, ზოგიც უბრალოდ ენამჭევრობდა და ლაზღანდარობდა. მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი, მთავარი ის იყო, რომ ეს ადამიანები ფიქრობდნენ, შფოთავდნენ და, როგორც ლანამ შეამჩნია, სიკვდილზე საუბარსაც, ქართველებისგან განსხვავებით, ნაკლებად უფრთხოდნენ.

საქართველოში სიკვდილზე ფიქრი და საუბარი აბსურდად აღიქმებოდა, ლანას მეგობრების აზრით, ეს ფრიად უსარგებლო საქმე იყო, რადგან ჯერ ერთი — მათ ასაკში ნაადრევია სიკვდილზე ფიქრი, და მეორეც — დღემდე ვერცერთმა ჭკვიანმა ადამიანმა ვერ გასცა ამ უაზრო შეკითხვებს პასუხი.

ლანას, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უძნელდებოდა მეგობრების „მყარი არგუმენტების“ უარყოფა და თავს, უკვე მერამდენედ, „საგონებელში“ იგდებდა.

## დიდი ფარდაგი

(ნოველა)

ქალს არ უყვარდა სენ-ჟანის ხმაური და ხალხმრავლობა, წყნარი ქუჩები მოსწონდა. მამაკაცმა კი რატომღაც ჩათვალა, რომ სწორედ ამ ცნობილ კვარტალში უნდა ესადი-

**** (ძვ. ბერძნ.) „იზრუნე საკუთარ თავზე; (ახ. თბილისურ.) „თავს მიხედე, ძმაო“.**

ლათ. ძველი ლიონის კრამიტით გადახურულმა, თაღებიანმა სახლებმა ქალი დაამშვიდა. ადამიანთა სიმრავლისგან გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებაც უცებ გაქრა.

კუთხეში, მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ. ქალი თავისთვის გატრუნული იჯდა, მამაკაციც ხმას არ იღებდა, ვიდრე მაგიდას გარუჯული ოფიციანტი მიუახლოვდებოდა... ქალმა პალმერის წითელი „ალტერ ეგო" და ფარშირებული კალმახი მოითხოვა, კაცმა წითელი „Lafite Rothsñhild"-ი და გველთევზა ღვინის სოუსით. საუბარი მამაკაცმა წამოიწყო:

— ლანა, ძალიან მომეწონა თქვენი ფარდაგი, შესანიშნავია, გაოცებული ვარ.

— გმადლობთ, ჰანს. ქსოვა დედაჩემის დედამ მასწავლა ბავშვობაში და მეც, როგორც ჩანს, ნიჭი აღმომაჩნდა ამ სფეროში.

— უდავოდ.

— ნატალი როგორ არის?

— გმადლობთ, არა უშავს, სწავლობს, კმაყოფილია. მადლიერია თქვენი.

— რა სათქმელია.

თავის დროზე ქალი ძალიან გააოცა ამ მოწესრიგებული გერმანელის იმპულსურმა გადაწყვეტილებამ. ჰანსმა ლანასგან ფარულად ჟან-მულენის ძვირადღირებულ უნივერსიტეტში ნატალის სწავლის საფასური გადაიხადა. სასიამოვნოდ შეცბუნებულ ქალს კი ფრიად მოკრძალებულად აუხსნა თავისი საქციელი: „— ლანა! მე უამრავ სტუდენტს დავხმარებივარ, ქველმოქმედება ჩემი ცხოვრების კრედოა. ასე რომ, ნუ შეშფოთდებით."

ახლა ლანას გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე პირდაპირ საქმეზე გადასულიყო და დროზე გაერკვია მამაკაცის რეალური ზრახვანი და სურვილები. უფრო სწორად, უშუალოდ ჰანსისგან მოესმინა ის, რაც თვითონ უკვე დიდი ხანია იცოდა.

ესიმპათიურებოდა ეს კაცი, მადლიერიც იყო, მისი ფინანსური შესაძლებლობები და კეთილშობილებაც ხიბლავდა, მაგრამ მასთან ვერაფრით ვერ იცხოვრებდა, ვერ შეეგუებოდა მოვლილ და დაძაბუნებულ სხეულს. ან იმას ნეტავ რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი...

ჰანსის ხმამ გამოარკვია.

მამაკაცს ღვინით სავსე ჭიქა მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენათი წვრილჩარჩოიან სათვალეს ისწორებდა.

მამაკაცმა ღვინო ოდნავ მოსვა, ლანას შეხედა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და ხმადაბლა, ბავშვივით თავდახრილმა ჩაილაპარაკა:

— ლანა, ძალიან მომხიბლავი ხართ!

— გმადლობთ, ჰანს... ჰანს, მაპატიეთ, მაგრამ თქვენ, თუ არ ვცდები, ჩემთან ყოფნა გსურთ არა?

— ყოფნაში რას გულისხმობთ?

— არაფერს განსაკუთრებულს, მაინტერესებს, როგორც მამაკაცს, გსურთ თუ არა ჩემთან ყოფნა?

— მე მინდა ცოლობა გთხოვოთ!

— მესმის, მესმის, და ამიტომაც გეკითხებით.

— იცით რა, ლანა, ოცი წლის ყმაწვილის სიმარდეს ვერ დაგპირდებით, თუმცა თანამედროვე მედიცინაც არ გვტოვებს ამ დროს მამაკაცებს უყურადღებოდ და უნუგეშოდ.

— იცით რა, ჰანს, მე სანამ ფარდაგის ქსოვას არ დავამთავრებ, ვერაფერს გადავწყვეტ. ჩვენთან ტრადიციაა ასეთი, სანამ ქალი მისთვის მნიშვნელოვან საქმეს არ მორჩება, ვერ გათხოვდება. ფარდაგი კი საკმაოდ დიდია და დრო მჭირდება. ამას გარდა ამ ფარდაგს ჩემს ქვეყანაში ელოდებიან, იქ ქორწილი ამ ფარდაგის გარეშე ვერ ჩატარდება. არ მინდა ნათესავებმა იფიქრონ, რომ მათ მიმართ უყურადღებობას ვიჩენ.

—კარგით, მე დაველოდები ფარდაგის დასრულებას.

ქალი და მამაკაცი კვლავ ჩუმად, უბრადმყოფებივით ისხდნენ. ერთმანეთს არც უყურებდნენ. მალე წამოდგნენ. მამაკაცმა თანხა მაგიდაზე დატოვა, ორივე დაემშვიდობა ოფიციანტს და გარეთ, სენ-ჟანის მოკირწყლულ ქუჩას მშვიდი ნაბიჯებით გაუყვა.

## საგაზეთო ქრონიკა

(დეტექტივი)

მთავრობის მოედნის მეოთხე ქუჩაზე გვამი დილის ოთხ საათზე აღმოაჩინეს. პოლიცია და ორი დეტექტივი ოთხის ოცდაათ წუთზე უკვე შემთხვევის ადგილზე იყვნენ. დაახლოებით სამოცდაათი წლის მამაკაცის გვამი ბაზალტის ფილაქნებიან იატაკზე ეგდო. სახლში სამი ქალი იმყოფებოდა. ორმოცდახუთი წლის ემიგრანტი, მისი შვილი — ოცდაორი წლის სტუდენტი გოგონა და ფრანგი მოსამსახურე ქალბატონი.

მოსამსახურე ქალბატონის ცნობით, დილის ოთხ საათზე იგი ხმაურმა გამოაღვიძა. ქვევით ჩასვლისას კი იატაკზე უსულოდ მყოფ სახლის პატრონსა და სისხლის ლაქებს გადააწყდა. დედა-შვილიც იმავეს იმეორებდა. საერთოდ, სახლში მყოფთა ვერსიით, ნასვამ მამაკაცს ფეხი დაუცურდა, თავი ველარ შეიმაგრა და ბუხრის ძგიდეს ჩამოჰკრა კეფა. ქალბატონების ვერსია საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა. მკვლელობის მოტივი კრიმინალისტებმაც იმთავითვე გამორიცხეს, რადგან გვამს ძალადობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. დიდხანს არ დაყოვნებულან. ფოტოსურათები გადაიღეს და მეორე დღისთვის პოლიციაში დაკითხვაზე გამოცხადება სთხოვეს ქალბატონებს.

ყველაფერი ჩვეულებრივ ჩაივლიდა, დაკითხვაც ფორმალურ ხასიათს მიიღებდა და საქმეც დაიხურებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რომელმაც თავდაყირა დააყენა საქმის მსვლელობა. დეტექტივმა ფორმალობა არ დაარღვია და საემიგრაციო სამსახურს სთხოვა, ინფორმაცია მიეწოდებინათ დედა-შვილის შესახებ. განსაკუთრებით დედის საქმიანობით დაინტერესდა. დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ შვილი ორი წლის წინათ არალეგალური პროსტიტუციისთვის დეპარტამენტის პოლიციას ერთი თვით ჰყავდა დაკავებული. მისი გათავისუფლების თანხა კი სწორედ გარდაცვლილ ბიზნესმენს ჰქონდა გადახდილი...

— ნატალი, რატომ იცრუეთ როცა თქვით, რომ არასდროს ყოფილხართ ნასამართლევი?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით.

— ჩვენ უკვე ბევრი რამ შევიტყვეთ თქვენ შესახებ. მოგვიყევით.

## პროზა

— მოსაყოლი არც არაფერია. თხოვნა მექნება თქვენთან, ნუ გააშუქებთ ამ საქმეს დაწვრილებით.

— გპირდებით.

— რა გითხრათ, ჰანს ბიოლტენი სამი წლის წინათ გავიცანი. ქართველი გოგონები აქ ღამის კლუბებში ვიკრიბებით და ბიზნესმენებს ვემსახურებით. ისიც იქ გავიცანი. მასთან მხოლოდ ერთხელ მქონდა სექსუალური ურთიერთობა. ჰანსი იმ ღამით გვიან მოვიდა, დედაჩემს და ლილიანს არ შეუტყვიათ მისი მოსვლა, ეძინათ. მან ვისკი დალია, შემდეგ მოურიდებლად ხელი მომხვია და სექსი შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი. სკამიდან წამოდგა, უკვე ბარბაცებდა. მხარზე დამადო ხელი, მე ჯერ ცალი ხელით, შემდეგ კი ორივე ხელით საკმაოდ უხეშად ვუბიძგე. ჰანსმა თავი ველარ შეიკავა, ბუხრის ძგიდეს მიენარცხა და ძირს მოცელილივით დავარდა. როგორც კი იატაკზე სისხლს გუბეს მოვკარი თვალი, შეშინებული სასწრაფოდ საძინებლისკენ გავქანდი. მერე თქვენც იცით, რაც მოხდა.

— ნატალი, იცით, რა მაინტერესებს?

— ძალიან გთხოვთ, ნუღარ გამაგრძელებინებთ, დეტალები შემდეგისთვის გადავდოთ. ახლა დამასვენეთ, თუ შეიძლება, ცუდად ვგრძნობ თავს.

— კარგით, გმადლობთ...

### აჰაიდა

(ჰაიკუ)

**საქართველოში აგვისტოს ხვატია,**
**საფრანგეთში შენობებს ცეცხლი უკიდია.**
**საქართველოში „ეროვნული გამოცდები“ გრძელდება,**
**საფრანგეთში — არჩევნების მეორე ტური.**

## ლიტერატურული ცხოვრება

# შეიქმნა ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოება



ამასწინათ თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში გაიმართა ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წარდგინება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია მეორე**, სხვა სასულიერო პირები, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ სამადაშვილი**, თბილისის მერიის მეცნიერებისა და ხელოვნების განყოფილების, პრესისა და რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლები.

„ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოება“ დაარსდა 2010 წლის 26 ნოემბერს. დაარსების ინიციატორები არიან **მარეხ ჩოფიკაშვილი**, პროფესიით იურისტი და **ეკატერინე ჩოფიკაშვილი**, პროფესიით ექიმი.

საზოგადოების პრეზიდენტია **მარეხ ჩოფიკაშვილი**, ვიცეპრეზიდენტი — **მარინა ღუდუშაური**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წევრები: **საველი მარსაგიშვილი** (პოლიტოლოგი, ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი), **ეკატერინე ჩოფიკაშვილი, ვანო ფიცხელაური** (ინჟინერი).

გამგეობა არჩეულია ოთხი წლის ვადით.

საზოგადოების საპატიო პრეზიდენტია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

„ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოების“ მიზნებია: ალექსანდრე ყაზბეგის მემკვიდრეობის დაცვა; ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურული ღონისძიებებისა და პროგრამების ორგანიზება და ჩატარება, წიგნების გამოცემა.

საზოგადოების საზეიმო წარდგინება გახსნა თბილისის 1 კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა **ამირან ჯამაგიძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი ქართველი მამულიშვილი ალექსანდრე ყაზბეგი გახლავთ ამ გიმნაზიის კურსდამთავრებული და 1 საჯარო სკოლა ვალდებულია ღირსეული პატივი მიაგოს დიდი ქართველი მამულიშვილისა და მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ნათელ ხსოვნას. შემდგომ ამ სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ყაზბეგის შემოქმედებიდან ნაწყვეტები და შეასრულეს პატრიარქის მიერ შექმნილი საგალობლები. „ქართული ხმების“ ჩოხოსან ბავშვთა სტუდიის წევრებმა იმღერეს „მრავალჟამიერი“ და ხევისბერი გოჩადან „კარკუჩით წამოიყვანეს“, რამაც დამსწრე საზოგადოების მქუხარე ოვაცია გამოიწვია. შემდგომ გამოვიდნენ ქართული ესტრადის ცნობილი შემსრულებლები **ეკა მამალაძე, ლიზა ბაგრატიონი** და **ნატო მეტონიძე**, ხოლო სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი **რევაზ მიშველაძე**, პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **აპოლონ სილაგაძე**, ფილოლოგი, პროფესორი **გიორგი ალიბეგაშვილი**, ლიტერატორი, პროფესორი **გურამ ბენაშვილი** და საზოგადოების პრეზიდენტი **მარეხ** ჩოფიკაშვილი.

**კობა ალიბეგაშვილი**

ლევან ლორიას პროზას ერთი გამოკვეთილი თავისებურება ახასიათებს, ავტორი სრულიად იგნორირებულია, მისი კვალიც კი არ ჩანს ტექსტში, რომელიც მთლიანად, მთელი თავისი მასალით, ცხოვრებიდან მოედინება.

მისი პერსონაჟები კინოობიექტივის წინ შემთხვევით მოხვედრილ გამვლელებს ჰგვანან, რომლებიც თავისდაუნებურად საკუთარ თავს თამაშობენ დაუწერელი სცენარით.

ამ ადამიანების ცხოვრება შიგნიდან, შინაარსიდან არის დანახული.ამიტომაც, ერთი შეხედვით, საინტერესო არაფერია, ყოფიერების ბანალურობა აბსურდის ზღვარს უახლოვდება. ქაოტური დროის შვილები არიან, ცუდები, საკმაოდ „ძნელები", მაგრამ საიდანღაც ჩნდება რაღაც მოტივი, რის გამოც გვსურს, რომ ისინი შინაგანად სუფთა, შეურყვნელ ადამიანებად წარმოვიდგინოთ. სხვათა შორის, შესაძლოა, სწორედ აქ, ამ არაფორმალურ განზომილებაში იგრძნობოდეს ავტორი, რომელიც, როგორც ითქვა, ტექსტში არ ჩანს.

სიცოცხლის იმპულსი მოდის პერსონაჟთა ხასიათებიდან. რამდენადაც უშუალოები და გულუბრყვილოები არიან, იმდენად გვაოცებენ შინაგანი ენერგეტიკითა და არსებობის საფანელით. მეტიც, მათი ძალა ინფანტილურობაშია.

და კიდევ: იუმორი! იუმორი როგორც კომპოზიციური საწყისი.

ლევან ლორია

# ზეგამდე ჯერ ხვალ არის...



საერთოდ ცხრამეტი წელია არაყს არ ვსვამ, მაგრამ სანამ ტატასთან მივიდოდი, შემცივდა. გაზაფხულია, მაგრამ მხოლოდ კალენდარზე — ამინდს არ ეტყობა. მეთქიშევთბე, თან ვირუსებს ანადგურებსო, თან იუბილარის სადღეგრძელო იყო. ერთი დავლიე და მერე წავიდა და წავიდა...

დედაჩემი მეუბნება, გასათხოვარ გოგოს დალევა არ შეეფერებაო, არც ხმამაღალი სიცილი და სიმღერაო...

დღეს იმდენი დავლიე, ვიცინე და ვიმღერე, მგონი, ვეღარც გავთხოვდები... მერე ვიცეკვე გიგასთან. ამ გიგას, მგონი, ვუყვარვარ. ნუ, თუ მის სიტყვებს დაეჯერება, როგორც კი დამინახა, შევუყვარდი. სადღაც ადრეც ვუნახივარ ტატასთან ერთად და მაშინ გამარჯობაც მითხრა, მე კი აინუნშიაც (ასე თქვა) არ ჩავაგდე და იქიდან ვუყვარვარ. მაშინ ტატამ თურმე ერთმანეთი გაგვაცნო — მე არ მახსოვს.

ხო, ტატას დაბადების დღეა. ბლომად ხალხი ყავდა, ბოლოს ექვსნი დავრჩით: ტატა, მისი შეყვარებული ნიკა, ლაშა — ნიკას დეიდაშვილი, მისი შეყვარებული მარგარეტ (ლაშა ეძახის ასე), გიგა და მე... სხვებმა, მერე მანქანები არ იქნებაო, შეიძლება შუქი გამოირთოს და მეტროს გვირაბში გავეჩხიროთო. ერთმა, აუ, მაგარია, მეტროს გვირაბში ჯერ არ გამიჩხერიაო, წავედი ახლა მეტროშიო, და წავიდა. ზოგი მასავით ფეხით წავიდა, ზოგიც, ვისაც მანქანა ყავდა და ბენზინი ჰქონდა, მანქანით. მეც მინდოდა წასვლა, ტატამ, არ წახვიდე რა, ცოტა ხნით დარჩიო და დავრჩი... მერე გიგამ მითხრა, რო წასულიყავი, შეიძლება თავი მომეკლაო, მგონი, აფრენს... ნიახური ხომ არაა, მეორედ მოვიდეს...

გიგა ლაშას და ნიკას საერთო ძმაკაცია, თან რომელიღაც შეიარაღებული საძმოს წევრები არიან... მგონი, აფხაზეთშიც იბრძოდნენ, მაგრამ ომის ამბებს არასოდეს ყვებიან. მეც მინდოდა წასვლა, მაგრამ დედამ არ გამიშვა, რომელი მაია წყნეთელი შენ ხარო. რომ შევედი, პალტოები და ავტომატები გვერდი-გვერდ ეკიდა. მერე ტატამ თქვა, წავედით ახლა მუშტაიდში, უკვე ოცი წლის გავხდი და აქედან ცხრამეტი წელი იმაზე ვოცნებობ, დაბადების დღეზე „ეშმაკის ბორბალზე" დალიონ ჩემი სადღეგრძელოო. მგონი, ამანაც გააფრინა, მაგრამ იუბილარია და უარი ვერ ვუთხარით... ლაშამ ისე, სხვათაშორის, იკითხა, ახლა იქნებაო?! ნიკამ, კი იყო, ყოველ შემთხვევაში, რომ გამოვიარე იდგა, ჯერ არ მოუპარავთ და არც გაუყიდიათო...

ტატა პლეხანოვის ბოლოში ცხოვრობს, იქვე მუშტაიდთან დაბალსართულიან და მაღალჭერიანი სახლის მეორე სართულზე. გარეთ რომ გამოვედით, ციოდა... ქუჩაში თითოოროლა მანქანა დადის. ბინდდება. საერთოდ ამ დროს უბრალო მოქალაქეები სახლიდან მანქანით არ გამოდიან და თუ გამოდიან, შინ უმანქანოდ ბრუნდებიან. ათასი დაჯგუფება და საძმოა, ხან რომელს სჭირდება მანქანა და ხან რომელს...

უცებ დედამიწამ რყევა დაიწყო, თავიდან ვიფიქრე, ალბათ მიწისძვრაა-მეთქი, მაგრამ სხვები მშვიდად იდგნენ. მაშინ მივხვდი, მე თვითონ ვირყეოდი და გიგამ ხელი რომ მომკიდა, გამეხარდა კიდეც, არადა შეიძლება წავქცეულიყავი. რყევებმა გამიარა და გიგას ხელი გავაშვებინე. ეწყინა, წყრომით სავსე თვალებით შემომხედა. უფ, არ ამატიროს. რა ახირებაა ეს „ეშმაკის ბორბალი", თან თავი მტკივა და, მგონი, თმის ძირები. თავი, რო დავლიე, მაშინ ამტკივდა, თმის ძირები კი, ახლა მახსენდება — ეს გიგა ცეკვის დროს რო მომეტმასნა, სხეულის შუა ნაწილში გასაგებია, რაც ამოებზუკა და მომედო, მაშინ თითქოს თმებმა წკრიალი ატეხეს. მე კი გავიწიე, მაგრამ ჩემს უკან ხელი აშკარად იმაზე მეტად წაიღო ქვემოთ, ვიდრე ცეკვას შეეფერება. კიდე კარგი, დავუჭირე. ვიფიქრე გავუბრაზდები-მეთქი, მაგრამ დამეზარა, ზარმაცი ვარ — ისლა ვუთხარი, დავიღალე, არ მინდა ცეკვა-მეთქი და სავარძელზე დავჯექი, და მაშინ უკვე თმა ამტკივდა. რა მექნა, ტატას ხო არ ვეტყოდი, თმა მტკივა-მეთქი... თან, მგონი, თმის ტკივილის წამალი არც არსებობს.

მთელი მუშტაიდი ცარიელი დაგვხვდა. „ეშმაკის ბორბალთან" მოხუცი კაცი იყო მხოლოდ, ალბათ კონტროლიორი, და იქვე ქალი ყვავილებს ყიდდა... რადგან ტატასთან დასალევი არაფერი არ დარჩა, მანამდე ბიჭებმა არაყი და ერთჯერადი ჭიქები იქვე, ბალის შესასვლელთან მდგარ პატარა ჯიხურში აიღეს, მასაც ძლივს მივუსწარით, ქალი ტიროდა – ყველას ნისიად უნდა, ორი რვეული მაქვს სავსე ნისიებით, რვეულები ვაჭამო შვილებსო?

მდგომარეობა შეიძლება შევაფასოთ: მოვედით... — თქვა ნიკამ, როცა ეშმაკის ბორბალთან მივედით, — ახლა ვიღებთ ბილეთებს და ავდივართ კალათაში და მივფრინავთ!

— ბიძიებო, ერთად არ დაჯდეთ, აქ ოთხი ადგილია, თქვენ კი ექვსნი ხართ, ორნი მეორე კალათს გაყევით? – ეს კონტროლიორია, რომელიც რატომღაც ძლივს დგას ფეხზე და ირყევა. სხვებიც რომ ასე მორყეულები დავინახე, მივხვდი, ისევ მე მაქანებს. კიდე კარგი გიგა ისევ ჩემს გვერდით დგას და ახლა მე მოვკიდე ხელი. ეტყობა გაეხარდა და ლოყაზე კოცნა მომინდომა. ვერ მივართვი. დროულად ავარიდე თავი...

— მოიცა რა, ბაბუ, ერთად გვინდა, თან ოთხი ადგილი არც გვჭირდება, ჩვენ სამი სკამიც გვეყოფა... – ამბობს გიგა და მღერის: „მაღლა ცაში გავფრინდები ვაი, ვაი, გავფრინდები, გავფრინდები ვაი"... – მღერის გიგა, ეტყობა დევი გონია თავი, „ჭინჭრაქადან", და იმედი აქვს მუხლებზე დავუჯდები, რომ მერე ხელები მიფათუროს. იოცნებოს. ისე კი თბილი ხელები აქვს. ეტყობა თბილსისხლიანია, მჩქეფარე...

– არ შეიძლება! – ეს ბაბუაა, არ გვიშვებს ერთი კალათით, არ შეიძლებაო.

– ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ... – გაილექსა ლაშა.

– „შეიძლება, მხოლოდ მაშინ შეიძლება..." – აყვა სიმღერით მარგარეტ. რა დაბალია ეს მარგარეტ, არადა რამხელა სახელი აქვს, სანამ ბოლომდე იტყვი, დაიღლები. ნეტა არ შეეცოდათ ბავშვი, მარგარიტას რომ არქმევდნენ? თუმცა რა, მარგარიტა ერქვა ფიროსმანის ნაშას... ისიც ვიცი, მილიონი ვარდი რომ მიუტანა ნიკალამ საჩუქრად, მაგრამ გაგრძელება არ ვიცი, მერე რა მოხდა, მიცა მარგრიტამ თუ არა, არადა მაინტერესებს... შეიძლება მერე გაკოტრდა ნიკალა, აბა მილიონ ვარდს ხო ფული უნდოდა?! ალბათ მილიონი დოლარი, ან ნახევარი მილიონი მაინც. ეჰ, ახლა მისი ერთი ნახატი ღირს მილიონი, ნეტა თუ იცის მაინც... ალბათ იცის, ჩვენ კი მისი საფლავიც არ ვიცით. ეს გიგა კი დებილია, აი ვარდები იყიდება, ერთი მაინც იყიდოს...

– ბაბუ, ვითო-ვითო ვერ დაინახე, შენ არხეინად იყავ, არაფერი არ მოგვივა... – ეს ნიკა აბამს თავის ჭკუით კონტროლიორს, თუმცა, მგონი, ახერხებს.

– ფულს ვინ იხდის?

– ჩვენ!

ლაშამ ფული მისცა — ერთი დასტა კუპონები. ხურდა არ მინდაო. ბაბუმ გადათვალა და: პირიქით, დამატება სჭირდებაო. ლაშამ, ესო ასვლისაა, უკან რომ დავბრუნდებით, ერთ ჯიბეს კიდე დაგიმატებთ, მანამდე კურსი თუ არ შეიცვალაო. კარგიო, იმ ბაბუამ და დააყოლა, მხოლოდ ერთი წრე, მერე უნდა წავიდე, ვიკეტებითო... მე სიცილი დავიწყე, რო წარმოვიდგინე, როგორ კეტავენ ამხელა ბორბალს.

გიგა, მგონი, მთლად დებილი არ არის: ყვავილების გამყიდველ ქალთან მიდის, სამ ვარდს ყიდულობს და გოგოებს გვჩუქნის... ტელეპატია, მგონი, ფიქრს მიმიხვდა.

– ლაშა, მეშინია... – ამბობს მარგარეტ.

– ჩემთან ერთად ნურაფრის გეშინია, ჩემო სიცოცხლე! – ლაშამ ორივე ხელი მოკიდა და კალათზე ასვა თავისი გულის სწორი ვარდიანად, რომელიც მართლა გულამდე წვდება. ასეა, სიყვარულმა სიმაღლე არ იცის! მარგარეტ მეტრნახევარია ნახტომში, მაგრამ ლამაზია. საერთოდ, ძნელად ვინმე გოგოზე ვთქვა, ლამაზია-მეთქი, ალბათ გოგო რომ ვარ, იმიტომ. ეს მარგარეტ კი მართლა ლამაზია, ვხვდები, მიუხედავად იმისა, რომ მთვრალი ვარ... ხო, რა მოვისმინე, სანამ ბალში მივიდოდით, ეს მარგარეტ მე და ტატას გვეუბნება, სადღაც წავიკითხე, თურმე მალე ისეთი ტელეფონები გამოვა, შეგეძლება ყველგან თან ატარო... დარეკო და დაგირეკავენო... მე მგონი, ჩემზე მეტად მთვრალია ეს მარგარეტ!

– წავედით... – ყველანი ყვირიან.

– წავედით... – მეც ვყვირივარ, ზუსტად იმ კუსავით, ფეხი რომ გამოყო, პენალტს დავარტყამო.

ყველანი კალათში ვართ. ტატა ნიკას დაუჯდა მუხლებზე, მარგარეტ ლაშას. მე მოვიგერიე გიგა და ცალკე დავსვი. კიდე კარგი ოთხი სკამია. ბუდესავით არის ახლა ეს რკინის კალათი და ჩვენ ბარტყებივით ვზივართ... ბიჭები გოგოებით, გოგოები ვარდებით. მე, ცალკე სკამზე, მეც ვარდით... გიგაც ცალკე, პირზე მიხატული ღიმილით, ნეტა რა უხარია? მიყურებს და იცინის. თუმცა ცალკე ზის, ისე ახლოა, მის სითბოს ვგრძნობ...

ტატა ამბობს, ყველაზე უხიფათო ცაში ყოფნაა, ოღონდ ფრენა უნდა იცოდე, ძალიან მიყვარს ცაში ყოფნა, ასე მგონია, წინა ცხოვრებაში ჩიტი ვიყავიო. მგონი, მართლა აფრენს... თან ლექსი გამახსენდა ერთ მწყერზე, რომელიც – სანამ ბალახებში დადიოდა – მშვიდად იყო და მერე, ცაში რომ აფრინდა, საფანტი დაახალეს, თან შავი... ანუ სულაც არ არის ფრენა უხიფათო. მე არასდროს მიფრენია, ერთხელ დავტრიალდი ამ ბორბალზე და სულ ზემოთ რომ ავედი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გაჩერდა. შემეშინდა... როგორია, ცაში ხარ გამოკიდებული... ლექსში რომ არის: „არც მიწისა ხარ, არც ცისა". უცებ ქარი რომ ამოვარდეს და წაგიღოს?! ახლა არაფრის არ მეშინია, ალბათ მთვრალი რომ ვარ, იმიტომ... არა, გიგასი მეშინია, რომელსაც უნდა თავის სკამზე გადამიყვანოს, მერე თავის ცხელი ხელები მომხვიოს, მერე მაკოცოს. როგორ არა – მივართმევ! ჩემთან მოდიო, მანდ არ გცივაო? – თითქოსდა სადაც თვითონაა, ცენტრალური გათბობა ქონდეს გაყვანილი... მე მინდა ვკითხო, ხო არ აჟრიალებს... მაგრამ მეზარება... ვეუბნები, რომ აქ მირჩევნია. ისე ძალიან თუ შემცივდა, შეიძლება გადმოვიპატიჟო კიდეც. ის მეუბნება, რომ მაშინ თვითონ გადმოვა ჩემთან (ხო ვამბობდი, ტელეპატია-მეთქი)... მე ვეუბნები, რომ მაშინ შეიძლება წონასწორობა დაირღვეს და კალათი გადაყირავდეს, და შოშმინდება... მაშინ ლექსს ვიტყვიო... ჯერ ტატას სადღეგრძელო ვთქვათო, ამბობს ნიკა და არაყს ხსნის და ყველას ჭიქებს გვირიგებს და გვისხამს...

– აბა აინთო „ზაჟიგალკები“, – ამბობს ნიკა, და მერე „ჰეფი ბიორსდეი ტუ იუ“-ს მღერის...

ყველანი ავდევთ... ხუთი „ზაჟიგალკა“ აინთო, მე არ ვატარებ... ვეწევი, მაგრამ ალაგ-ალაგ – არ მინდა დედამ გაიგოს... ჭიქა მიჭირავს ხელში და ვუყურებ, როგორ ვშორდებით თანდათან მინას... მერე რიგრიგობით ამბობენ ტატას სადღეგრძელოს, გიგამ ლექსი თქვა, „ტანო ტატანო...“, ბოლომდე... ზუსტად არ ვიცი ალბათ ბოლომდე, იმიტომ, რომ მე ამ ლექსის მხოლოდ დასაწყისი ვიცი, თან ლექსს რომ ამბობდა, მე მიყურებდა, ანუ მე მეუბნებოდა... თანდათან მომწონს ეს გიგა, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ მთვრალი ვარ, ან იმიტომ მომწონს, რომ მე მოვწონვარ, ანუ კარგი გემოვნება აქვს, კიდე იმიტომ მომწონს, რომ ხო სიცივეა, მაგრამ მის გვერდით ყოფნა მათბობს... რეებს ვბოდიალობ... დედაჩემი მიყურებდეს ახლა, წნევა დაარტყამს და მოკვდება... რა საშინელებაა სიკვდილი... უცებ წარმოვიდგინე, რომ დედა მოკვდა და მე ვტირი... მართლა ავტირდი... ღვარღვარად მომდის ცრემლები... ტატა ამბობს, აი ჩემს დაქალს როგორ ვუყვარვარ, ჩემს სადღეგრძელოზე ტირისო. ნიკამ, რა ვქნა, მეც ავტირდეო?.. მე მინდა ვთქვა, რომ დედა მოკვდა და იმიტომ ვტირივარ, მაგრამ მერე მახსენდება, რომ დედა არ მომკვდარა, უბრალოდ წარმოვიდგინე, რომ მოკვდა და ახლა მიხარია რომ დედა შინ მელოდება და ხვალ დილით გაზი და დენი თუ არ გაითიშა, კარტოფილს შემიწვავს... სანამ რამეს ვიტყოდი, გიგა შეწუხდა, რატო ტირი, მე ხო არ გაწყენინეო... არა, თვალში რაღაც ჩამივარდა-მეთქი... ამოვიღებო, და თვალებზე დამაკვირდა და უცებ ორივე თვალზე მაკოცა, ჯერ ერთზე, მერე მეორეზე... ხო ვთქვი, გიჟია-მეთქი.... თან გაბრაზება ვერ მოვასწარი, არადა ხო შემეძლო შუალედში - სანამ მეორე თვალზეც მაკოცებდა, გავბრაზებულიყავი?! მართლა ზარმაცი ვარ... კოცნა რომ დაამთავრა, მერე მინდოდა მეთქვა, რომ წავიდეს და... მაგრამ აქ სად წავა...



მხატვარი ნინო ხურცილავა

ყველამ დავლიეთ ტატას სადღეგრძელო და ის იყო ქვემოთ უნდა დავშვებულიყავით, კალათი და მთელი ეს ამხელა ბორბალი ერთი შექანდა და გაჩერდა... თავიდან ვიფიქრე, მომეჩვენა, აი როგორც დედის გარდაცვალება, და თვალები დავხუჭე... თან კიდე იმიტომ დავხუჭე თვალები, რომ ორმა წყვილმა ზასაობა დაიწყო, მე მათი ყურება მეუხერხულა, ქვემოთ გადახედვა კი მეშინოდა... თვალდახუჭულმა ვიღაცის ცხელი სუნთქვა ვიგრძენი და ტუჩი როგორ შემეხო ტუჩზე, ანუ მკოცნის ვიღაცა... მეც ვუპასუხე, გოიმი არ ვეგონო-მეთქი... ალბათ გიგაა, გიგას სუნი ქონდა... განგებ არ ვახელ თვალს... ცუდი არ იყო, თუმცა გოგოები რომ ირევიან, დიდი ვერაფერი ყოფილა ეს ტუჩებში კოცნა, მითუმეტეს თუ გაჩერებული „ეშმაკის ბორბლის“ სულ ზემო წერტილში ხარ და ძირს გადახედვის გეშინია...

მერე თვალები გავახილე... ჩემი ვარაუდი ახდა... მართლა გიგა იყო და იკრიჭებოდა... მორჩი-მეთქი და თავის სკამს დავუბრუნე.... ისე ერთსაც ვაკოცებდი, მაგრამ მეშინია, დედამ არ დამინახოს... მგონი, მეც ვაფრენ, აქ როგორ დამინახავს...

ვცდილობ დაბლა გადავიხედო... ქალაქში შუქი აქა-იქ ბჟუტავს, ალბათ სანთლები... აშკარა იყო, რომ პარკში და მთელ ქალაქში შუქი გამოირთო... შორს რომელიღაც ქუჩაზე დიდი ცეცხლი შევამჩნიე. ცეცხლის ირგვლივ ჭიანჭველებივით ირევა ხალხი, ალბათ ისევ ქუჩა გადაკეტეს და შუქს ითხოვენ... უცებ გაწვიმდა... წვიმს... მე კი ჩემი პირველი კოცნა ვიღაც გიგას ვაჩუქე, რომელიც რაღაც არა მგონია, ჩემი შვილების მამა გახდეს და ჩემი შვილიშვილების ბაბუა, იმიტომ, რომ დებილია და ქურდი – თვალდახუჭულს დღეს კოცნა მომპარა, თუმცა რა იცი, ხვალ რა ხდება!

წვიმამ გადაიღო... ვერ ვხვდები, თუ ასე მალე გადაიღებდა, საერთოდ რას დაიწყო... უცებ ცაში მოფარფატე თეთრი ჩიტი დავინახე... თან მისი ნეგატივი... თავიდან მეგონა, რომ ნეგატივი ორი იყო... მტრედი და ყვავი... რაღაც რეკლამა გამახსენდა, ტიპი დადის - ხან თეთრ და ხან შავ ფერში... სადაც წავიკითხე, რომ საერთოდ ცხოვრება კოპლებიანი ბურთია, თეთრი ფერი, შავი ფერი. ახლა ის მახსენდება, ნოემ – კიდობანში რომ იყო ორმოცი დღის შემდეგ ჯერ ყვავი გააგზავნა ამბის გასაგებად, რა ხდება ქვეყანაზეო, და მერე მტრედი... იქნებ ეს კალათიც ახალი ნოეს კიდობანია... ან იქნებ ეს მტრედი და ყვავიც მეჩვენება. გიგას ვეკითხები, მტრედს და ყვავს ხედავ-მეთქი?.. არაო, მე მხოლოდ შენ გხედავ, რა ტკბილი ხარო... გიჟია ეს გიგა, თუმცა მაინც მესიამოვნა, ასე რომ მითხრა... ამასობაში მტრედიც და ყვავიც ცას შეერივნენ...

ის ორი წყვილი კოცნაობას აგრძელებს... გიგა ფინია ძალლივით შემომციცინებს, ერთი კუდის გაქნევაღა აკლია, ალბათ კიდევ უნდა კოცნა... ვერ მივართვი...

– შენ იცი, რომ აღარ მივდივართ-მეთქი, – ვეკითხები... და სად მივდიოდითო... მართლა დებილია, იმასაც ვერ გრძნობს, რომ გავჩერდით. ის ორი წყვილიც ბრუნდება რომელიღაც სამყაროდან...

– გავჩერდით?! შენ გააჩერე? - ნიკა ეკითხება გიგას...
– მე რა გავაჩერე, შეჩემა. კიო კი არა ვარ... – ბრაზობს გიგა. მოუხდა გაბრაზება, წელან ფინია ძაღლივით რომ მიყურებდა და კოცნას მთხოვდა, არ უხდებოდა...

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

– მგონი, შუქი წავიდა, ტო... ნახე ირგვლივ შუქი არსად არ ჩანს... – ამბობს ლაშა...

– მდგომარეობა შეიძლება შევაფასოთ მოკლედ: დაგვერხა... მაგრამ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება... ვიყოთ აქ, ვითომ ბუდეა, ჩიტები სულ ბუდეში არ ცხოვრობენ?! – იცინის გიგა. ხო ვამბობ, გიჟია-მეთქი, აქ თუ ვიქნები, ხვალ დილით დედა ვის შეუწვავს კარტოფილს... რა კარგი იქნებოდა ახლა ის ტელეფონი გვქონდეს, მარგარეტ რომ ამბობდა, თან სატარებელი... დავურეკავდი და ვეტყოდი, რომ ცაში ვარ და არ შეწვას კარტოფილი დილისთვის. არა, ცაში ვარ მეთქი, როგორ ვუთხრა, ხო შეშინდება, ან კალათში ვარ მეთქი, იმას ხო ვერ ვეტყვი. რა კარგია, რომ ის ტელეფონები, მარგარეტ რო ბჟუტურობს ჯერ არ არსებობს.

მომბეზრდა აქ. დედა მომენატრა და მიწა. უცებ მომაფიქრდა, რომ ტატას დაბადების დღე კი არ არის, არამედ დედამიწის, და ვამბობ: იცით, დღეს დედამიწის დაბადების დღეც არის-მეთქი („ც“ – იმიტომ დავამატე, ტატას რომ არ წყენოდა). მაშინ დავლიოთო, ნიკამ და ბოთლში ჩარჩენილი არაყი ექვს თანაბარ ნაწილად დაყო. ლაშამ, დედამიწას გაუმარჯოს, ქრისტესშობიდან უკვე თითქმის ოცი საუკუნეა და მანამდე კიდე, ვინ იცის, რამდენი საუკუნე გვაპურებს და გვაპურებს და კიდევ ვინ იცის, რამდენი საუკუნე დაგვაპურებსო... მოშივდა ეტყობა... მერე მე ვთქვი, გოგოებო, მოდი ეს ვარდები დედამიწას ვაჩუქოთ, იმედია, გიგას არ ეწყინება-მეთქი... გიგამ, კარგიო, იმენნა მაგარი რამე მოიფიქრეო... მართლაც სამ თვლაზე გოგოებმა დედამიწას ვარდები გადავუყარეთ...

ეს იყო და უცებ ქვემოთ სროლა ატყდა... თავიდან ტეტე ისროდა, მას ჯერ მაკაროვი აყვა, მერე კალაშნიკოვი... ასე სამ ხმაში ისმოდა სროლის ხმა... ბოლოს საიდანღაც „მუხა“ დაემატა, აშკარად სხვა ტონალობაში, სულ აურია... ისე შევეჩვიე სროლებს, უკვე ზეპირად ვხვდები, რა იარაღიდან ისვრიან... ვცდილობთ ქვემოთ გადავიხედოთ, რა ხდება...

– ჩვენ გვესვრიან, ტო?! – კითხულობს ნიკა და კარგი მზვერავივით ათვალიერებს გარემოს.

– აბა საიდან ვიცით, ვის ესვრიან, ჯერ დაჭრილებიც არ გვყავს, თან ტყვიების ზუზუნიც არ ისმის... შეიძლება ერთმანეთს ესვრიან, ან ქეიფობენ და „პად კაიფ“ ისვრიან „დილიხორზე“ – პასუხობს ლაშა და ისიც მიდამოს ათვალიერებს...

– „მუხებით“, შეჩემა... – ეს გიგაა, რა „დერზკია“, უხდება...

– მოიცა რა ტო, ტიპი ვიცი, დაბადების დღეზე ტანკით მივიდა და დაჟე სროლასაც აპირებდა, კიდე კარგი ჩაეძინა... – ეს ლაშაა.

- იარაღი გვაქვს ჩვენ რამე?! - ბიჭებს გადახედა ნიკამ.

- მე ხელყუმბარა... – ამბობს გიგა... მე ის რაღაც გამობზეკილი მახსენდება, ალბათ ხელყუმბარა იყო, მე კი როგორ შემაშინა...

- მე ბერეტა მაქვს... – ამბობს ლაშა...

- მე „კალაშნიკოვი“ ტატასთან დავტოვე, – ამბობს ნიკა და დანას იღებს და კიდევ რაღაცას ეძებს, - სამაგიეროდ „ბაბოჩკა“ მაქვს და მაუზერი...

– თუ რამე ზედმეტი იარაღები გაქვთ, ჩვენც დაგვირიგეთ! – ვამბობ მე, თითქოს მაგარი შემსრულებელი ვიყო, ის კი არადა, დღეს საერთოდ პირველად ვაკოცე ბიჭს... თუმცა უკვე აღარ ისვრიან... ცოტაც და ქვემოდან საუბრის ხმა ისმის... ეს ჩვენი ბაბუაა, კონტროლიორი, და ვიღაც სხვა, ეტყობა, ხელოსანი, თან მთვრალი, იმიტომ, რომ თუმცა ბინდია, მაგრამ ვამჩნევ, რომ ყანყალებს... მე აქ ნამდვილად არ ვყანყალებ, იმიტომ, რომ ვზივარ და თან მგონი, შევფხიზლდი... ზემოდან ვამჩნევ, რომ რაღაცის ამუშავება უნდათ, ალბათ „დვიჟოკის“... ეს მთვრალი ხელოსანი რაღაც თოკს გამოწევს, ის რაღაცა - „ტრახ-ტრახ-ტრახ“, დაიწყებს, აბოლდება და ჩერდება... და ასე, რამდენჯერმე... მერე იმ ხელოსანმა „დვიჟოკს“ გინება დაუწყო და გამწარებულმა ურტყა ფეხი... ამან გვიშველა, მაშინ ამუშავდა. არათანაბარი „ტრახ-ტრახი“, თანაბარი „თრრრრუ“-თ შეიცვალა... ცოტაც და ჩვენმა ბორბალმა სვლა გააგრძელა...

მიწაზე რო დავდგით ფეხი, უცებ შუქიც მოვიდა... ახლა ამაზე ატყდა სროლები, ალბათ სიხარულის. ერთიორი ჩვენებმაც ისროლეს... ყველანი ბედნიერები ვიყავით. აბა რომელი ამერიკელი მიხვდება, რა ბედნიერებაა შუა ქალაქში შუქის მოსვლა...

ახლა შინ ვარ... დედამ, რას გავხარო... მე სარკეში ჩავიხედე, გამეგო, რას ვგავდი... ვერაფერი შევნიშნე, ცოტა თმა მქონდა აწეწილი... „დე, რაზე მითხარი-მეთქი“, ისე ვუპასუხე, თითქოს ვიღაც გიგასთვის არც კი მეკოცნოს, ბევრი არ დამელიოს და ხმამაღლა არ მემღეროს და მეცინოს, გაჩერებული „ეშმაკის ბორბლის“ კეწწეროდან დედამიწის სადღეგრძელო არ დამელიოს და რავი კიდე რა... აი თმა რას „გიგა“-ვსო. ისევ „გიგა“. ახლა გამახსენდა, რომ მკოცნიდა, თმაში ჰქონდა ხელი და მიჩეჩავდა... ეს „ეშმაკის ბორბალზე“ რომ ვიყავით, ქარი ამოვარდა-მეთქი... – თითქოს თავი დავიძვრინე. რა ფანტაზიორი ხარ, „ეშმაკის ბორბალი“ საიდან მოიფიქრეო... ხო, ვფანტაზიორობ-მეთქი, დავეთანხმე...

ხო, გიგამ: ცოლად გამომყევიო – სახლამდე რომ მომაცილა მაშინ მითხრა, - ახლა შინ ვინ იქნება, შენი ხელი ვის უნდა ვთხოვოო... დღეს არა და ზეგ მოდი ხელის სათხოვნელად-მეთქი. რომელ საათზეო, – მეკითხება. ხუთს არ გადააცილო-მეთქი... კარგიო. მართლა დებილია, დაიჯერა... ისე დებილია, შეიძლება მართლაც მოვიდეს ზეგ... ერთხელ ვაკოცე და ასე გონია, მიყვარს. კინაღამ ვუთხარი: წადი რა-მეთქი... ისე ცოტა გული დამწყდა, რომ დავშორდი... თბილია, თან მამაკაცურია და ოდნავ უხეში.... მართლა ხო არ გავყვე ცოლად... ტელეფონის ნომერი მთხოვა, სახლის ნომერი მივეცი... მეც კარგი ტიპი ვარ, აბა სხვა რა ნომერი უნდა მიმეცა?! ის ხო არა, მარგარეტ რომ ბაზრობდა, თან სატარებელი ტელეფონები. უცებ წარმოვიდგინე – მარგარეტ ქუჩაში თავისხელა სატარებელი ტელეფონით, დადის და თან ვიღაცას ებაზრება... მეცინება. დედამ: რა გაცინებსო. დე, დილით კარტოფილს ხო შემიწვავ-მეთქი... კარგიო... ჩახუტება მინდოდა, მაგრამ არყის, სიგარეტის ან გიგას სუნი არ მქონდეს-მეთქი და ჩემს ოთახში გავედი... ხო, გიგამ თვითონაც დამიწერა ნომერი, მაგრამ, მგონი, გადავაგდე, აბა რად მინდოდა, მე ხო არ დავურეკავ?!

ალბათ როგორც კი მივა სახლში, დარეკავს...

რავი, მართლა ხო არ გავყვე ცოლად... არ ვიცი, ვნახოთ... ჯერ დარეკოს... ზეგამდე ჯერ ხვალ არის...



ალბათ უცნაური არაფერი იქნება იმაში, თუ ვიტყვით, რომ პოეტი არ ირჩევს სტილს, სტილი თვითონ ირჩევს პოეტს. სტილი - ეს სულია, სულისკვეთებაა, ხასიათია, მეტიც - ბედია, რომელიც თან დაჰყვება პოეტს და გასაქანს არ აძლევს, ჩარჩოებში მოიქცევს და აიძულებს იყოს იქ, სადაც მეტია საკუთარი თავის მიგნების შესაძლებლობა.

თამარ შაიშმელაშვილი გამოხატვის აკადემიური ფორმის მიმდევარია, ამ სტილიდან იღებს საფანელს ინდივიდუალური მანერის შესაქმნელად. მან კარგად იცის, რას აკეთებს, იცის, რას ქმნის და რისთვის ქმნის, არც გემოვნება ღალატობს და არც ალღო.

ეს არის ლირიკა შეგრძნებათა პოეტიკის სფეროდან - ყოველი სტრიქონი დამუხტულია საგანთა აღქმის განსაკუთრებული უნარით, რასაც აგვირგვინებს სიყვარულის გამოხატვის საოცრად ბუნებრივი ფორმა - მონიწება, რომლის გარეშე, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს ეს ყველაზე ადამიანური და ხალასი გრძნობა.

## თამარ შაიშმელაშვილი

* * *

გონიოს სიო მთვლემარე
ნაწვიმარ ნისლში ქროდა,
მაგნოლიების ჩურჩულზე
მზე შენს თვალებში ცხონდა...
თოლიის სუნთქვა გავშალე,
გული ტალღებში თრთოდა,
წამიყვან, თეთრო ხომალდო?
ზღვა სიყვარულით ცხონდა...

* * *

აქ ბედისწერა დამხვდა თვალლია,
სიყვარულმა და ლექსმა ამრია...
ერთი ზღაპარი გასრულდა თითქოს
და სამყაროსგან მზის ნაჟურს ვითხოვ...
შენ და სამშობლო დამრჩებით ობლად
და მირაჟიდან ლექსებად მოვალთ...
ჟამია სევდა, ჟამშია დარდი,
ჟამის გვირილებს გავყვები ქარში...
.................................................
აქ ბედისწერა დამრჩა თვალლია...

### არაგველების გამოხმობა

*დიდ ომებში ნასახელებნო,*
*გამოგვეშველეთ, არაგველებო!*
**გოდერძი ჩოხელი**

ქარნი ხეობებს ისევ ქორავენ,
ძველ ბაირალებს ნისლი მაგონებს,
ჩამოვიწოდე ციდან მთოვარე –
არაგველების ნათელს ვაგროვებ!
დარდი მწვავს. გზაზე თრიმლებმზიანი
სხივნი ყვავილებს ლოცვით ამკობენ,
და ცის ნათელთან თანაზიარი
არაგველების ღიმილს ვაგროვებ!
მოვდივარ, მომაქვს სამასი ფიცი
სული ნალაღი ყაჯარს არ მონებს,
ვიდრე მწუხრამდე კრწანისზე ვიცდი -
არაგველების ცრემლებს ვაგროვებ!
გამონვდილია ირაკლის ხმალი,
სვე გულმოკლული დღემდე არ მტოვებს...
ქედს მომიდრეკავს უნდობი ხანი –
არაგველების ძახილს ვაგროვებ!

### ჩამოვიკიდე გულზე...

გულს გათენების ნისლი
ზღვის სილურჯეში რთავს...
და შენი სუნთქვა ისმის,
ბედის სიმღერას ჰგავს.
თეთრი ხომალდი მიჰქრის,
ვის ანაცვალებს თავს?...
ტალღებს მოვტაცებ ფიქრებს,
ჩვენს მზესევდიან წამს...
ჩამოვურიგებ ურვებს
თბილ ევკალიპტებს გზად,
ჩამოვიკიდე გულზე
სუმბულისფერი ზღვა...

* * *

ჩემს თითებში
მოქცეული
ვედრების ზღვა
ისეთი ვრცელი
და უკიდეგანოა,
მოიოკეანებს
თვით სამყაროსაც...

* * *

დრო ყვავილობას საშენოდ იწყებს,
ცამ სინანულით ვერ გაიაზრა,
რომ გაუსაძლის აგვისტოს სიცხეს
კახეთში ოდენ გაუძლო ვაზმა.
დარდი მიხუთავს სუნთქვას,
— ფარული, —
მუწაკებივით მესევა იმ წამს...
აქ ჰერეთიდან გამოპარული
თეთრი ღრუბელიც სამშობლოს იცავს!
დრო უშენობის სიმღერას იწყებს
და ვარკვლავების ფაეტონს დაძრავს...
გაუსაძლისმა აგვისტოს სიცხემ
სული დალია ბიბლიურ ვაზთან!

## გულის კარი დამრჩა ღია...

გულის კარი დამრჩა ღია,
ვარსკვლავებით ცა მოვფინე...
სიყვარულო, თუნდაც გვიან
ქარის სული მაპოვნინე!
რად ეჭვნეულ მიცქერ, დღეო,
სულეთისკენ მარტო ვვლიდე...
შენ მლოცველო, ნატვრის ხეო,
ცრემლის დედა მაპოვნინე!

## სავედრებელი...

გზააბნეული ქარივით
მთვარე ფერს იცვლის
        მთებს იქით...
ქართული რვალის ფერია
მზენალვლიანი გედიქი*...

შენთან ვარ. ჩემო გულის ხმავ,
რამ დაგვამუნჯა, ვერ ითქმის,
ქართული ღამის ფერია
სავედრებელი სვეხილვის...

თვალდაშრეტილი დავდივარ,
ჩაობლებული დღემილმით,
ქურმუხთან ჩიტი-ბელურა
შემომღუღუნებს შენი ხმით...

ნატვრა მწუხრსაგზალად
        მიმყვება...
რვალისფერია გედიქი!
გზასავალს ამომინათებს
ლოცვა და ცრემლი
        ქედს იქით...

## ივლისის სევდისპირული

გზად ბედისწერის მომხვდა ისარი,
ვარ დასეტყვილი სიჩუმე ვაზის...
იმქვეყნად ერთი კოცნით მიცანი,
შენს შესახვედრად გაზაფხულს ვგზავნი...
ვერც ტკივილებით, ვერც ქარიშხლებით
ვერ დამილურსმა ზამთარმა გული,
და შებინდების სვედამშვიდებით
მოურჩენელი მირჩება წყლული...
ამდევნებია შუქი დილის მზის,
გადაიბინდა საწუთროც უკვე...
და ასკილივით ტირის ივლისი,
როგორც დეიდის მთრთოლვარე უპე...

---

** ხევი ტიბაანში. ამბობენ, რომ გედიქი წარმოიშვა სიტყვიდან ქედს იქით. ქედს იქით კი ჰერეთია, ქართველთა მოუშუშებელი ტკივილი და სევდა...*

## სადაც ღრუბელი მიშვილებს...

ვით გაზაფხულის სიზმარი
ჩემს ბედისწერად გიცანი
და ნისლის ფარშევანგებით
დაგელოდები იმ ცაში...
სიცოცხლის მდელოს ნაპირზე
სხივნი გამყვება მზისანი.
სადაც ღრუბელი მიშვილებს,
ჩემი საცრემლეც ის არი.

## ანანური

შემოვივლი საარაგვოს
ფეხაკრეფით, განაბული...
ანგელოსის ნათელივით
გაიბრწყინებს ანანური...
თეთრი ირმის კამარას კრავს
საარაგვოს უცხო რული.
სიზმარიდან ცხადში კრთება
ცამტირალა ანანური...
ირიალებს დილის სიო
მღელვარე
სულდანამული...
მონანიე ანანური -
მზიანი და...მზემალული...

## შატბერდის მონატრება

შენს თვალებში
თოვს,
შატბერდი ირეკლება,
გზა შორია და უცრემლოდ
დაგეძებ,
ვით ცის
ლაჟვარდს,
გუმბათების
გაოცებას, მაგრამ მწუხრი
დაუგიათ
შავ მტრედებს...
გზა შორია.
გეძებ მშვიდი
შარი-შურით,
მზის სალბუნით
მოგიშუშებ
იარას,
ტირის გული,
წვეთავს
შავი საფერავი.
ზედ რამდენმა ქარიშხალმა
გიარა.
ნანგრევებში ჩამარხულა
ჩემი სევდა,
თვალებს ვახელ

სივრცეების ფერებით.
ჩამოქცეულ, მავედრდებელ
ტაოს კართან
რას უბნობენ
მექორწინე ბერები?
ტირის თოვლი, ვით
შროშანი მარიამის,
ცრემლს იშრობენ
ჩამოშლილი თაღები.
ჩემო ტკივილგამოვლილო
სიყვარულო,
უფლის კართან
ღამეს თეთრად
ათევდი.
გზა შორია და
ღამეულ
სიჩუმეში
მოდის ლანდი
მზედშობილი
შატბერდის.
ჩემო ობლად სულს
შთენილო სასოებავ,
ამ ადრიან გაზაფხულზე
რას მეტყვი?

* * *

ამ დილით
ზღვას
ჩემი თვალები აქვს,
ჩემს სათქმელს
მეუბნება:
უსიყვარულო სამყაროში
ცივდება გული –
ცის გაზაფხული!

## ღრუბელი – ანგელოზი

აქ სულში ტირიან ჩანჩქერები,
მგონია, წამიყვანს ცამკლავებით...
ნისლებად კოშკების სამეფოში
იელვებს თამარის ნაკვალევი...
ვილვიძებ თეთნულდის სიჩუმეში,
მფარველი თოვლია - ავგაროზი...
და მზისკენ ფარფატით მიმაცილებს
ღრუბელი - სვანეთის ანგელოზი...

* * *

იმდენჯერ მიხმეს
ტალღებმა ღელვით,
ისე შავცრემლად
გამიშალა
ზღვამ
სავედრალი...
გული გავუყავი!

## ზღვაზე

აქ მომავლის გემს ველოდი,
დრო შენს ლოდინში გაჩერდა...
და სიყვარულის სიზმარი
ბრმა ბედისწერას მაჩვევდა...
მზის ცრემლს ვეძებდი ნაპირზე,
ჩემი ტკივილიც წამ იყო...
შენ დაგრჩა სავედრებელი,
გული...ზღვის ტალღამ წაიღო...

* * *

დეკემბრის ქარები
საქარავნო
გზაა –
ზამთრის სულში
სახეტიალო...

## გრაალის მცველი

*კოტე ხიმშიაშვილს*

თვალს უსწორებდი ჯალათს - ავგოროზს,
ეს ბედისწერა ხომ არ გეძნელა?
გულის ჯიბეში, როგორც ავგაროზს
დაატარებდი სპეტაკ ენძელას...
სულს გადაქცევა ენადა მერცხლად,
მზეს თავის მოკვლა ვინ განუსაზღვროს...
და მუჭისხელა სამშობლოს ზეცა
სატუსაღოდან ჩანდა უსაზღვრო
ზარდამუნჯებით თოვდა კოჯორში,
სევდა მოჰქონდა შინდისფერ თოვას...
ატრიალებდა გლობუსს ორჭოფი -
შუშისთვალება შიში და ძრწოლა...
იდექ უტეხი – ერთი ყველასთვის
ბნელშიც სხივებით ბეთანიობდი...
და რაინდული საქართველოსთვის
რვალზე უმტკიცეს სიცოცხლეს თმობდი...
შენს სამშობლოში თენდება ისევ,
ვით ლაჟვარდებში ღვთისმშობლა ცრემლი
და ქართოვლიან ბილიკებს მისდევ
თავშეწირული გრაალის მცველი...
გულის ჯიბეში, როგორც ავგაროზს
დაატარებდი სპეტაკ ენძელას,
რომ სივრცეებშიც თან დაიმგზავრო
სიყვარულის და ნათლის მძებნელად!...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე მარიო პედრო ვარგას ლიოსა (დ.1936) პერუელი პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწეა. 2010 წელს სწორედ მას ხვდა წილად ნობელის პრემია ლიტერატურაში „ძალაუფლების სტრუქტურის დეტალური ასახვისა და ამბოხებული, მებრძოლი და დამარცხებული ადამიანის მკაფიოდ წარმოჩენისათვის".

ავტობიოგრაფიული შთაბეჭდილებებით აღსავსე მისი პირველი რომანი „ქალაქი და ძაღლები" (1963), რომელმაც ადგილი დაუმკვიდრა ინტელექტუალთა შორის, ლეონსიო პრადოს მოედანზე დაწვეს. ამან კიდევ უფრო გაზარდა მწერლის პოპულარობა. რომულო გალიეგოსის პრემიის მოსაპოვებელ ბრძოლაში ლიოსამ თვით მარკესსაც კი სძლია, თუმც ამას ხელი არ შეუშლია, დისერტაცია სწორედ მარკესის შემოქმედებაზე დაეცვა და კოლუმბიელი მეტრი პოლიტიკურ და სალიტერატურო საკითხებში გაეკრიტიკებინა კიდეც. ორ ცოცხალ კლასიკოსს შორის ურთიერთობის გამწვავება იმით დასრულდა, რომ 1976 წელს ლიოსამ ჟურნალისტთა წინაშე მარკესს სილაც კი გააწნა. 1975 წელს მწერალი საერთაშორისო პენკლუბის პრეზიდენტად აირჩიეს. 1990 წელს პერუს პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინეს. პერუელებმა მას მომავალი დიქტატორი ალბერო ფუხიმორი ამჯობინეს.

ლიოსა ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი, ევროპისა და ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ასტურიის პრინცის, სერვანტესის, იერუსალიმის, გერმანიის წიგნითმოვაჭრეთა, ჩინო დელ დუკას პრემიათა ლაურეატია. გთავაზობთ მის ნობელის ლექციას, რომელიც 2010 წლის 7 დეკემბერს სტოკჰოლმში წაიკითხა.

მარიო ვარგას ლიოსა

# კითხვისა და წერის სადიდებელი

კითხვა ხუთი წლისამ, ბოლივიაში, კოჩაბამბაში მდებარე დე ლა სალეს აკადემიაში, მამა იუსტინიანეს კლასში ვისწავლე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იყო, რაც კი ოდესმე თავს გადამხდენოდა. თითქმის სამოცდაათი წლის გასვლის შემდეგ, ახლაც მკაფიოდ მახსოვს ის სასწაული, როცა წიგნში დაბეჭდილი სიტყვები სახეებად გარდაიქმნა და ამან ისე გაამდიდრა ჩემი ცხოვრება, დროისა და სივრცის ბარიერები დაამსხვრია და საშუალება მომცა, კაპიტან ნემოსთან ერთად ოცი ათასი კილომეტრი გამევლო ზღვის ქვეშ, დ'არტანიანის, ათოსის, პორთოსისა და არამისის მხარდამხარ მებრძოლა დედოფალს დამუქრებულ ინტრიგათა წინააღმდეგ იდუმალი რიშელიეს ხანაში, ჟან ვალჟანად გარდაქმნილს პარიზის მიწისქვეშეთში მებორძიკა და მარიუსის უსიცოცხლო სხეული ზურგით მეთრია. კითხვა ოცნებას ცხოვრებად გარდასახავდა და — პირიქით, ლიტერატურულ სამყაროს იმ ბიჭუნას ახლომახლო უჩენდა ადგილს, ოდესღაც რომ ვიყავი. დედაჩემმა მითხრა, რომ ჩემი პირველი თხზულება იმ წაკითხულ მოთხრობათა გაგრძელებანი იყო, რომელთა დასასრულიც სევდას მგვრიდა და მათი შეცვლა მინდოდა. კაცმა რომ თქვას, გაუცნობიერებლად მთელი ცხოვრების განმავლობაშიც ამას ვაკეთებდი: ზრდის, მოწიფვისა და დაჭარმაგების თანადროულ დროში ვაგრძელებდი იმ ამბებს, რომლებიც ჩემს სიყმაწვილეს ალფრთოვანებითა და თავგადასავლებით ავსებდა. მინდა დედაჩემიც აქ იყოს ახლა, ქალი, რომელსაც ამადო ნერვოსა და პაბლო ნერუდას ლექსების კითხვა უცრემლოდ არ შეეძლო; ასევე — დიდცხვირა და მელოტი პაპა პედრო, რომელმაც ჩემი ლექსები მოიწონა; ბიძია ლუჩო, რომელიც გულმხურვალედ მარწმუნებდა, ჩემი სული და სხეული წერისათვის მიმეძღვნა მაშინ, იმ დროსა და სივრცეშიც კი, როცა ლიტერატურა ძალზე მწირ გასამრჯელოს თუ უხდიდა თავის მიმდევრებს. ჩემს ცხოვრებაში ბევრი მათდარი ადამიანი ყოფილა, ხალხი, რომელიც ეჭვითშეპყრობილს მამხნევებდა და საკუთარი რწმენით მაავადებდა. მადლობელი ვარ მათი, და რა თქმა უნდა საკუთარი სიკერპისა და ცოტაოდენი იღბლისაც, რომ შევძელი, ცხოვრების დიდი ნაწილი ვნებისთვის, მანკიერებისთვის, წერის სასწაულისთვის, პარალელური ცხოვრების შექმნისათვის მიმეძღვნა, რომელშიც უბედურების ჟამს თავშესაფრის მიკვლევა ძალგვიძს, რომელიც უჩვეულო ბუნებრიობასა და ბუნებრივ უჩვეულობას რომ წარმოშობს, ქაოსს ფანტავს, სიგონჯეს ამშვენიერებს, წამს აუკვდავებს და სიკვდილს წარმავალ სანახაობად გარდაქმნის.

წერა ადვილი საქმე არ ყოფილა. როცა ამბავი სიტყვებად გადაიქცევა, ჩანაფიქრი ქაღალდს შეაშრება, იდეები და სახეები კი უფერულდება, როგორ უნდა გააცოცხლო ისინი? საბედნიეროდ, ოსტატები არსებობენ, მოძღვრები, რომელთაგან ისწავლი და რომელთაც წინ წარიმძღვარებ. ფლობერმა მასწავლა, რომ ტალანტი მწყობრი დისციპლინა და დიდი მოთმინებაა. ფოლკნერმა მიმაჩვია, რომ ფორმას — წერასა და სტრუქტურირებას — თემის ამაღლებაც ძალუძს და გალატაკებაც. მარტორელმა, სერვანტესმა, დიკენსმა, ბალზაკმა, ტოლსტოიმ, კონრადმა, თომას მანმა შთამაგონეს, რომ მასშტაბი და ჩანაფიქრის სიდიადე რომანისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც — სტილისტური სისხარტე და თხრობის სტრატეგია. სარტრისაგან შევითვისე, რომ სიტყვები ქმედებაა, რომ რომანი, პიესა ან ესეი აწმყოსა და სწორ არჩევანს უკავშირდება: მათ ძალუძთ ისტორიის გეზის შეცვლა. კამიუსა და ორუელს დავესესხე, რომ მორალისგან განძარცული ლიტერატურა არაადამიანურია, მარლოსგან კი ის ვისწავლე, რომ ეპიკურობა და ჰეროიზმი აწმყოშიც ისევე შესაძლებელია, როგორც — არგონავტების ხანაში, „ოდისეასა" და „ილიადაში". აქ ყველა მწერალი რომ ჩამომეთვალა, რომელთაგან დიდად თუ მცირედ დავალებული ვარ, მათი აჩრდილები თავს წყვდიადში ამოგვაყოფინებდნენ. ისინი უთვალავნი არიან. იმასაც დავძენ, რომ მათი შეგირდობა მავალდებულებს, კაცობრიობის უძირო სიღრმეები ვიკვლიო, თაყვანი ვცე მის გმირობას, თავზარი დამეცეს მისი სისასტიკით. ეს მწერლები იყვნენ ერთგული მეგობრები, რომელთაც სული ჩაუდგეს ჩემს მონოდებას; მათ წიგნებში აღმოვაჩინე, რომ ყველაზე ცუდ გარემოებაშიც კი არსებობს იმედი, რომ სიცოცხლე ღირს, რადგან უმისოდ ვერც წავიკითხავდით და ვერც ამბებს შევთხზავდით. დროდადრო ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა: წერა სოლიფსურ ფუფუნებად ხომ არ უნდა აღმექვა, განსაკუთ-

რებით ჩემსა და ჩემის მსგავს ქვეყნებში, სადაც თითოოროლა მკითხველს თუ იპოვიდი, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა ლატაკი და წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათ, სადაც ამდენი უკანონობა სუფევდა, სადაც კულტურა ერთეულთა პრივილეგია იყო. მიუხედავად ამისა, ამ მერყეობას მაინც არ ჩაუხშვია ჩემი მონწოდება, მაინც განვაგრძობდი წერას მაშინაც კი, როცა არსებობაზე ფიქრი მთელ ჩემს დროს ნთქავდა. მწამს, რომ სწორად მოვიქეცი, და ეს აუცილებელი იყო. იმისთვის, რომ ლიტერატურა აყვავებულიყო, საზოგადოებას ჯერ მაღალი კულტურისთვის უნდა მიეღწია, სხვაგვარად — თავისუფლება, კეთილდღეობა, კანონიერება ვერასოდეს დამკვიდრდებოდა. მაგრამ ლიტერატურის, მის მიერ ჩამოყალიბებული ცნობიერების, მის მიერ შთაგონებული სურვილებისა და ოცნებების, სინამდვილისაგან განხიბლვის წყალობით, მშვენიერ ფანტაზიაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ცივილიზაცია ნაკლებ სასტიკი დაგვხვდა, ვიდრე მაშინ, როცა მწერლები თავიანთი იგავებით ცდილობდნენ სიცოცხლის გაადამიანურებას. ჩვენ მიერ წაკითხული კარგი წიგნების გარეშე იმაზე უარესები ვიქნებოდით, ვიდრე ვართ, უფრო კონფორმისტები, უფრო მშვიდნი, უფრო მორჩილნი, პროგრესის მამოძრავებელი კრიტიკული სულისკვეთება კი საერთოდ არ იარსებებდა. წერის მსგავსად, კითხვაც სიცოცხლის უკმარობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია. როცა წარმოსახვას იმის მოსაპოვებლად ვიმარჯვებთ, რაც ცხოვრებაში გვაკლია, ხმამაღლა უთქმელად და გაუაზრებლად ვამბობთ, რომ სიცოცხლე — ადამიანური არსებობის საფუძველი — წყურვილს ბოლომდე ვერ გვიკლავს და იგი უნდა გაუკეთესდეს. წარმოსახვას იმიტომ ვეძლევით, რომ როგორღაც იმაზე მეტი ცხოვრებით ვიცხოვროთ, ვიდრე გვაქვს: ჩვენს განკარგულებაში ხომ სულ რაღაც ერთი სიცოცხლეა! უწიგნოდ უფრო ნაკლები გვეცოდინებოდა ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო თავისუფლების მნიშვნელობასა და იმაზე, თუ რა ჯოჯოხეთად იქცევა ხოლმე ცხოვრება, როცა მას ტირანი, იდეოლოგია ან რელიგია თელავს! მას, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ლიტერატურა არა მხოლოდ მშვენიერ და ბედნიერ ოცნებებში გვძირავს, არამედ სხვადასხვაგვარი ჩაგვრისგანაც გვაფხიზლებს, ჰკითხოს საკუთარ თავს, ყველა რეჟიმი აკვნიდან საფლავამდე რატომ აკონტროლებს ადამიანის ქცევას, რომელიც იმდენად აკრთობთ, დასაურვებლად ცენზურის სისტემას უწესებენ და თავისუფალ მწერლებს იჭვნეულ მზერას არ აცილებენ. ამას იმიტომ სჩადიან, რომ წარმოსახვის ნებაზე მიშვების, წიგნებში თავისუფლად მოგზაურობის რისკს აცნობიერებენ; იციან, რად გადაიქცევა მეამბოხე წარმოსახვა, როცა მკითხველი მასში გამოხატულ თავისუფლებას, რომელმაც შესაძლებელი გახადა წარმოსახვა, ობსკურანტიზმსა და შიშს ადარებს, რეალურ სამყაროში რომ ჩასაფრებია.



*მარიო ვარგას ლიოსა ნობელის სიტყვის წარმოთქმისას*

ნებით თუ უნებლიეთ, განზრახ თუ გაუცნობიერებლად, მწერლები დაუკმაყოფილებლობას ქადაგებენ, ათვალსაჩინოებენ, რომ სამყარო ნაკლულია, გამოგონილი ცხოვრება უფრო მდიდარია, ვიდრე — რუტინული ყოველდღიურობა. ამ ფაქტის გამო, თუ იგი გრძნობა-გონებიდან იღებს სათავეს, მოქალაქეები უფრო ძნელად სამართავნი ხდებიან, უფრო ნაკლებად ეგუებიან გამომძიებელთა და ციხის უფროსთა ცრუპენტელობას, თითქოს ისინი გისოსებსმიღმა გაცილებით უსაფრთხოდ და უკეთესად ცხოვრობდნენ.

კარგი ლიტერატურა ხიდს დებს განსხვავებულ ადამიანებს შორის და სიხარულის, ტანჯვისა და გაოცების ხარჯზე — ენის, რწმენის, ჩვევებისა და ჩვეულებათა, ცრურწმენების მიუხედავად — გვაერთიანებს. როცა დიდი თეთრი ვეშაპი კაპიტან აჰავს ზღვაში მიუჩენს სამუდამო განსასვენებელს, მკითხველის გული ერთნაირად თრთის ტოკიოში, ლიმასა თუ ტიმბუქტუში. როცა ემა ბოვარი დარიშხანს ყლაპავს, ანა კარენინა მატარებელს უვარდება, ჟულიენ სორელი ეშაფოტისკენ მიემართება, „სამხრეთში" დოქტორი ხუან დალმანი დუქნიდან ავაზაკის დანასთან პირისპირ შესახვედრად გამოდის, ანდა როცა აღმოვაჩენთ, რომ კომალაში, პედრო პარამოს სოფლის ყველა მკვიდრი მკვდარია, ბუდას, კონფუცის, ქრისტეს, ალაჰის მიმდევარი იქნება თუ აგნოსტიკოსი, ჰალსტუხი ეკეთება, პიჯაკი ეცმება, ჯალაბა, კიმონო თუ ბომბაჩა, ყველას ერთი და იგივე თრთოლვა შეიპყრობს. ლიტერატურა ანათესავებს ადამიანებს განსხვავებულობასა და ბინდში, იგი უხეშობის, იდეოლოგიის, რელიგიის, ენისა და სიბრიყვის მიერ აგებულ საზღვრებზე მაღლდება. სხვა საშინელი პერიოდებივით ჩვენი დროც ფანატიკოსთა, თვითმკვლელი ტერორისტების უძველეს სახეობათა ხანაა, მათი ჟამია, ვისაც სწამს, რომ მკვლელობით სამოთხეს მიეახლება, უმანკოთა სისხლით კოლექტიურ შეურაცხყოფას ჩამოიბანს, უკანონობას შეცვლის და სიმართლეს ყალბ რწმენაზე და-

ამყნობს. მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად აურაცხელი ადამიანი ეწირება მათ, ვინც თავს აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებლად ასაღებს. ტოტალიტარულ იმპერიათა მსხვრევასთან ერთად ვირწმუნეთ, რომ თანაცხოვრებამ, მშვიდობამ, პლურალიზმმა და ადამიანის უფლებებმა ძალაუფლებით აღგვჭურვა და სამყარო უჰოლოკოსტოდ, უგენოციდოდ, დაუპყრობლად, გამანადგურებელი ომების გარეშე იარსებებს. მაგრამ ასე არ მოხდა. ფანატიზმით წაქეზებული ბარბაროსობის ახალი ფორმების აყვავება, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება თვალს გვიბამს და ველარ ვამჩნევთ, რომ შეშლილ მხსნელთა კინკლაობამ ერთხელაც შესაძლოა ბირთვულ კატაკლიზმამდე მიგვიყვანოს. უნდა შევეწინააღმდეგოთ, დავუპირისპირდეთ მათ და დავამარცხოთ ისინი. მათი რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ მათი მგრგვინავი დანაშაული მთელ პლანეტას აზანზარებს და მათ მიერ პროვოცირებული კოშმარები ძრწოლას გვგვრის.

ნება არ უნდა დავრთოთ საკუთარ თავს, მათ შეგვაშინონ, ვისაც თავისუფლების მოტაცება სურს: თავისუფლება ჩვენ ცივილიზაციის გრძელ გზაზე მოვიპოვეთ. მოდი, დავიცვათ ლიბერალური დემოკრატია მისთვის ნიშანდობლივი ყველა შეზღუდვით, განვაგრძოთ პოლიტიკური პლურალიზმის, თანაარსებობის, ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების, კრიტიკის პატივისცემის, კანონიერების, თავისუფალი არჩევნების, ძალაუფლების მონაცვლეობის გასიგრძეგანება; ყოველივე იმის მნიშვნელობის გაცნობიერება, რაც ველურობას გვაცილებს და — თუნდაც ვერასოდეს მივწვდეთ მას — ლიტერატურის მიერ გამონაგონ მშვენიერ, სრულყოფილ ცხოვრებასთან გვაახლოებს, რომლის მოპოვება მხოლოდ წარმოსახვით, წერითა და კითხვით შეიძლება. ფანატიკოს მკვლელებთან შეწინააღმდეგებით ჩვენ ვიცავთ საკუთარ უფლებას — ვიოცნებოთ და ეს ოცნება გავანამდვილოთ. ახალგაზრდობაში, ჩემი თაობის ბევრი სხვა მწერალივით, მარქსისტი ვიყავი და მწამდა, რომ სოციალიზმი განგვკურნავდა ექსპლუატაციისა და იმ სოციალური უსამართლობისაგან, რომელიც განსაკუთრებით დაუნდობელი ხდებოდა ჩემს ქვეყანაში, ლათინურ ამერიკაში, მესამე სამყაროს დანარჩენ ნაწილში. ჩემი განჯადოება სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკისა და კოლექტივიზმისაგან, დემოკრატად და ლიბერალად გარდაქმნა, როგორიც დღეს ვარ — ან ვცდილობ ვიყო — გრძელი და ძნელი გახლდათ. ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა, როგორც — ცალკეულ ეპიზოდთა შედეგი: მაგალითად, საბჭოთა კავშირის ვერტიკალურ მოდელად გარდასახული კუბის რევოლუცია, რომელსაც თავდაპირველად დიდი ენთუზიაზმით ვუჭერდი მხარს; იმ დისიდენტთა აღსარებანი, რომელთაც გულაგის მავთულხლართიანი ღობისთვის გვერდის ავლა მოახერხეს; ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში; და ასევე, იმგვარი მოაზროვნენი, როგორებიც იყვნენ რაიმონდ არონი, ჟან ფრანსუა რეველი, ისაია ბერლინი, კარლ პოპერი: მათ ვუმადლი, რომ დემოკრატიული კულტურისა და ღია საზოგადოებისადმი დამოკიდებულება შევიცვალე. ეს შემოქმედნი იყვნენ მაგალითი გამჭვირვალობისა და გაბედულებისა, როცა დასავლური ინტელიგენცია, ქარაფშუტობისა თუ ოპორტუნიზმის გამო, საბჭოთა სოციალიზმის, ან უფრო უარესი, ჩინეთის კულტურული რევოლუციის კუდიანთა სისხლიანი თემობის ცთუნებას დაჰყვა. ყმაწვილობისას ვოცნებობდი ერთხელაც პარიზში ჩავსულიყავი, რადგან, ფრანგული ლიტერატურით მოჯადოებულს, მჯეროდა, რომ იქ ცხოვრება, ბალზაკის, სტენდალის, ბოდლერისა და პრუსტის ნასუნთქი ჰაერი ნამდვილ მწერლად გადამაქცევდა. პერუდან რომ არ წამოვსულიყავი, მხოლოდ ფსევდომწერლად, საკვირაო მოვლენათა და დღესასწაულთა აღმნუსხავად თუ გამოვდგებოდი! გამოგიტყდებით, საფრანგეთსა და ფრანგულ კულტურას უნდა ვუმადლოდე იმ დაუვიწყარ გაკვეთილებს, რომელთა თანახმადაც ლიტერატურა იმდენადაა მოწოდება, რამდენადაც — დისციპლინა, შრომა, შეუდრეკლობა. მე იქ მაშინ ვცხოვრობდი, როდესაც სარტრი და კამიუ ცოცხლები იყვნენ და წერდნენ... ეს იყო ხანა იონესკოსი, ბეკეტის, ბატაისა და სიორანისა... ეს გახლდათ ბრეხტის თეატრისა და ინგმარ ბერგმანის ფილმების, ჟან ვილარის ნაციონალური სახალხო თეატრისა და ჟან-ლუი ბაროს ოდეონის აღმოჩენის დრო... მაშინ გამოჩნდა ახალი ტალღა და ახალი რომანი... ანდრე მალრო თავის მშვენიერ მოხსენებებსა და ლიტერატურულ ფრაგმენტებს კითხულობდა... მაგრამ იმდროინდელი ევროპის ყველაზე მშვენიერი სანახაობა მაინც მეხთამტყორცნელ გენერალ დე გოლის პრესკონფერენციები იყო. თუმც შესაძლოა საფრანგეთის მადლობელი ყველაზე მეტად იმიტომ ვიყო, რომ მან ლათინური ამერიკა აღმომაჩენინა. იქ შევიტყე, რომ პერუ ერთიანი ისტორიის, გეოგრაფიის, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების, ცხოვრების თავისებური სტილის, მშვენიერი ენის მქონე ვეება თანამეგობრობის ნაწილია, რომელზეც წერს და ლაპარაკობს. იმხანადვე წარმოიშვა ახალი, ძლევამოსილი ლიტერატურა. იქ წავიკითხე ბორხესი, ოქტავიო პასი, კორტასარი, გარსია მარკესი, ფუენტესი, კაბრერა ინფანტე, რულფო, ონეტი, კარპენტერი, ედუარდსი, დონოსო და სხვები, რომელთა შემოქმედებამ ამოატრიალა ესპანურენოვანი ლიტერატურა და რომელთა წყალობითაც ევროპამ და მსოფლიოს საკმაოდ დიდმა ნაწილმა შეიტყო, რომ ლათინური ამერიკა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებების, ოპერეტული დესპოტების, წვეროსანი პარტიზანების, მამბოსა და ჩა-ჩა-ჩას მარაკასების კონტინენტი კი არ არის, არამედ — იდეების, არტისტული ფორმების, ლიტერატურული ფანტაზიისა, რომლებიც სცდება ეგზოტიკურობას, უნივერსალურია. იმ დროიდან დღევანდლამდე, ბევრი შეცდომისა და ბარიერის მიუხედავად, ლათინური ამერიკა განვითარდა, თუმც, როგორც ჩეზარ ვალიეხოს ლექსშია ნათქვამი, Hay, hermanos, muchisimo que hacer (საკეთებელი, ძმებო, კვლავაც უამრავია!). ახლა წინანდელზე ნაკლები დიქტატურები გვაყენებენ ტკივილს: ვგულისხმობ კუბასა და მის სახელოვან მემკვიდრე ვენესუელას, ასევე ზოგ ფსევდოხალხურ, ტაკიმასხრულ დემოკრატიას, როგორიც ბოლივიასა და ნიკარაგუაშია. კონტინენტის დანარჩენ ნაწილში დემოკრატიაა, რომელიც განმტკიცებულია დიდი სახალხო თანხმობით, და პირველად ჩვენს ისტორიაში, ბრაზილიის, ჩილეს, ურუგვაის, პერუს, კოლუმბიის, დომინიკის რესპუბლიკის, მექსიკისა და ლამის მთელი ცენტრალური ამერიკის მსგავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად, მემარცხენეებიცა და მემარჯვენეებიც პატივს სცემენ კანონიერებას, კრიტიკის, არჩევნების, ხელისუფლების მემკვიდრეობითობის თავისუფლებას. ეს სწორი გზაა, და თუ კვლავაც გაგრძელდება ცბიერ კორუფციასთან ბრძოლა და მსოფლიოსთან ინტეგრაცია, ლათინური ამერიკა მომავლის კონტინენტი აღარ იქნება, აწმყოს კონტინენტად გადაიქცევა. არასოდეს მიგრძვნია თავი უცხოელად ევროპაში, და კაცმა რომ თქვას — არც სხვაგან. იქ, სადაც მიცხოვრია, პარიზში, ლონდონში, ბარსელონაში, მადრიდში, ბერლინში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ბრაზილიასა თუ დომინიკის რესპუბლიკაში, ყველგან შინაურად ვგრძნობდი თავს. ყველგან ვპოულობდი ბუნაგს, სადაც შემეძლო სიმშვიდისა და საქმის მოძიება, სწავლა, გრძნობების აღზრდა, მეგობრების შეძენა, კარგი წიგნების წაკითხვა და მათი აღმოჩენა, ვისზეც დავწერდი. სულაც არ მგონია, რომ ჩემი მსოფლიო მოქალაქეობა დაასუსტებს, როგორც ამბობენ, „ჩემს ძირებს", ჩემს ურთიერთობას საკუთარ ქვეყანასთან — რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს — ვინაიდან, ასე რომ ყოფილიყო, ჩემი პერუული გამოცდილება არ გამზრდიდა მწერლად და ყოველთვის არ წარმოჩნდებოდა ჩემს ნაწერებში, მაშინაც კი, როცა მოქმედება პერუდან ძალზე შორს ხდება. პირიქით, მწამს, რომ იმ ქვეყნიდან შორს ყოფნა, სადაც დავიბადე, ამ ურთიერთობას აძლიერებს, მკაფიო პერსპექტივას ანიჭებს მას, ნოსტალგია მთავარს მეორეხარისხოვნისაგან აცალკევებს და მოგონებებს აახლებს. იმ ქვეყნის სიყვარული, რომელშიც მავანი დაიბადა, სავალდებულო კი არა, სიყვარულის სხვა სახეობათა მსგავსად, გულისმიერი სპონტანური აქტი უნდა იყოს, რომელიც სატრფოს, მშობლებს, შვილებსა და მეგობრებს აერთიანებს.

პერუს გულით დავატარებ, რადგან იქ დავიბადე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი, იქ მივიღე ბავშვობისა და სიჭაბუკის გამოცდილება, რომელთაც განსაზღვრეს ჩემი პიროვნება, ჩამოქნეს ჩემი მოწოდება, იქ მიყვარდა, მძულდა, მიხაროდა, ვიტანჯებოდი და ვოცნებობდი. რაც იქ ხდება, უფრო მოქმედებს ჩემზე, უფრო მაღელვებს და მაშფოთებს, ვიდრე სხვაგან მომხდარი მოვლენები. ეს არც მომინდომებია, არც თავისთვის მომიხვევია. უბრალოდ, ასეა. ზოგი ჩემი თანამემამულე ღალატში მადანაშაულებდა, და უკანასკნელი დიქტატურის დროს, როცა მართლაც კინაღამ დავკარგე პერუს მოქალაქეობა, მსოფლიოს დემოკრატიულ მთავრობებს ვთხოვე, რეჟიმზე ეკონომიკური და დიპლომატიური სანქციების მეშვეობით ემოქმედათ. მუდამ ასე ვექცეოდი ნებისმიერ დიქტატურას — იქნება ეს პინოჩეტი, ფიდელ კასტრო, ტალიბანი ავღანეთში, იმამები ირანში, აპარტეიდი სამხრეთ აფრიკაში, უნიფორმიანი სატრაპები ბირმაში (ახლა რომ მიანმარი ჰქვია). ასე მოვიქცევი ხვალაც — დაე, ბედს არასოდეს მოესურვებინოს და პერუელებს არასოდეს დაეშვათ ეს — თუ პერუს კვლავაც იმსხვერპლებს სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც გაანადგურებს ჩვენს მყიფე დემოკრატიას. ეს არ ყოფილა ნაწყენი კაცის ნაჩქარევი, ემოციური ქმედება, როგორც ზოგიერთმა მჯღაბნელმა დაწერა, რომლებიც დაჩვეულნი არიან თავიანთი კნინი საზომით განსაჯონ სხვები. ეს გახლდათ ჩემი რწმენის გამოხატვა, რომ დიქტატურა ქვეყნისთვის აბსოლუტური ბოროტება, სისასტიკისა და მანკიერების წყაროა... ის იმ ჭრილობებს აღრმავებს, რომელთა მოშუშებას ძალზე დიდი დრო სჭირდება ხოლმე, ის წამლავს ერის მომავალს, წარმოქმნის დამანგრეველ ჩვევებსა და პრაქტიკას, რომლებიც თაობებს სწვდება, და დემოკრატიულ გარდაქმნებს აფერხებს. აი, რატომ უნდა ვებრძოლოთ ყველა დიქტატურას უყოყმანოდ, ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, მათ შორის — ეკონომიკური სანქციებითაც. დასანანია, რომ დემოკრატიული მთავრობები, ნაცვლად იმისა, მაგალითი მისცენ და მხარი დაუჭირონ ისეთებს, როგორიცაა „თეთრსამოსიანი ქალები" კუბაში, ვენესუელას ოპოზიცია, დიქტატურასთან მედგრად მებრძოლი აუნგ სან კუი და ლიუ ჰიაბო, პატივისცემით ეპყრობიან არა მათ, არამედ — მათ მჩაგვრელებს. თავიანთი თავისუფლებისათვის მებრძოლი ეს მამაცი ადამიანები ამავე დროს ჩვენი თავისუფლებისთვისაც იბრძვიან. ერთმა ჩემმა თანამემამულემ, ხოსე მარია არგუედასმა, პერუს „მრავალსისხლიანი" ქვეყანა უწოდა. არა მგონია, სხვა სიტყვა უკეთ გამოხატავდეს იმას, რაც ჩვენ ვართ და რაც ყველა პერუელშია, მოგვწონს თუ არა ეს: ტრადიციების, რასების, რწმენის, კულტურათა ერთობლიობა, ოთხ ძირითად ნაწილად რომ იყოფა. მეამაყება, რომ მემკვიდრე ვარ იმ პრეესპანური კულტურებისა, რომელთაც შექმნეს მაუდი და ბუმბულის მანტიები ნასკასა და პარაკასში, მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებში გამოფენილი მოჩიკური და ინკური კერამიკა; მემკვიდრე ვარ მაჩუ პიჩუს, გრან ჩიმუს, ჩან ჩანის, კუელაპის, სიპანის, ლა ბრუჯას ყორღანების, ელ სოლის, ლა ლუნას შემქნელთა; ესპანელებისა, რომელთაც აბგებით, ხმლებითა და ცხენებით ბერძნული, რომაული, იუდეო-ქრისტიანული ტრადიცია, რენესანსი, სერვანტესი, კუევადო, გონგორა, ანდებით დამტკბარი უხეში კასტილიური ენა პერუში შემოიტანეს. ესპანეთთან ერთად შემოვიდა აფრიკა — თავისი ძლიერებით, მუსიკით, შუშხუნა წარმოსახვით, რათა პერუს მრავალეროვნება გაემდიდრებინა. მცირე გამოკვლევითაც კი ცხადი გახდება, რომ პერუ, ბორხესის ალეფისა არ იყოს, მთელი სამყაროს დამცრობილი ფორმატია. რა უჩვეულო ფუფუნებაა ქვეყნისთვის, არ გააჩნდეს ერთი იდენტობა, რადგან ყველა იდენტობა მასშია თავმოყრილი! ამერიკის დაპყრობას, როგორც ყველა სხვას, სისასტიკე და ძალადობა მოჰყვა. ამის მოწონება შეუძლებელია, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ვინც ძარცვავდა და დანაშაულს სჩადიოდა, ძირითადად ჩვენი დიდი პაპები და პეპერები იყვნენ — ამერიკაში მოსული ამერიკულ ყაიდაზე გარდაქმნილი ესპანელები და არა — ესპანეთში დარჩენილნი. სამართლიანობა მოითხოვს, კრიტიკა თვითკრიტიკული იყოს. ორასი წლის წინათ ესპანეთის ჩაგვრისაგან გავთავისუფლდით და დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. მათ კი, ვინც ყოფილ კოლონიებში ძალაუფლება იგდო ხელთ, იმის ნაცვლად, რომ ინდიელები გაეთავისუფლებინათ და ძველი შეცდომების ნაცვლად კანონიერება დაემკვიდრებინათ, ჩაგვრა დამპყრობლისათვის ნიშანდობლივი სიხარბითა და სისასტიკით განაგრძეს. ზოგ ქვეყანაში მკვლელობებითა და მოსახლეობის გაჟუჟვით მომხდურთაც კი გადააჭარბეს. ნება მომეცით, სავსებით მკაფიოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვაცხადო: აბორიგენი მოსახლეობის ორსაუკუნოვან ემანსიპაციაზე ჩვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა, რომელიც უგულებელვყავით. ეს კვლავაც გადაუჭრელ საკითხად რჩება მთელ ლათინურ ამერიკაში, თუმც ჩვენი შემარცხვენელი და თავლაფდამსხმელი ერთადერთი გამონაკლისი როდია. ესპანეთი პერუსავით მიყვარს მისი ვალდებულიც ვარ და მადლიერიც. რომ არა ესპანეთი, ვერასოდეს ავიდოდი ამ ტრიბუნაზე, ვერასოდეს გავხდებოდი ცნობილი, და შესაძლოა, ზოგი ჩემი უიღბლო კოლეგასავით, გამომცემლის, ჟილდოს, მკითხველის მოლოდინში მწერალთა სალხინებელში მეხეტიალა. ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ამ მწერალთა ნიჭიერებას ერთხელაც მომავალი თაობები აღმოაჩენენ. ყველა ჩემი წიგნი ესპანეთში დაიბეჭდა, სადაც გადაჭარბებული აღიარება და მეგობრები: კარლოს ბარალი, კარმენ ბალკელსი და მრავალი სხვა მოვიპოვე. მათ იზრუნეს, რომ ჩემს ნაწერებს მკითხველი ჰყოლოდა. ესპანეთმა მომანიჭა მეორე მოქალაქეობა, როცა პირველს ვკარგავდი. არასოდეს მიგრძვნია მცირედი შეუთავსებლობაც კი, როცა პერუელი გახლდით და ესპანურ პასპორტს ვატარებდი, რადგან ესპანეთსა და პერუს ერთი მონეტის ორ მხარედ აღვიქვამ, არა მხოლოდ ჩემი მოკრძალებული პიროვნების, არამედ არსებითი სინამდვილის გამო, როგორიცაა ისტორია, ენა და კულტურა. ეს წლები ესპანეთის მიწაზე ვცხოვრობდი. ყველაზე მკაფიოდ მახსოვს 1970-იანი წლების დასაწყისში უსაყვარლეს ბარსელონაში გატარებული ხუთი წელიწადი. ჯერ ისევ ფრანკოს დიქტატურა იყო და ხალხს ესროდა. მაგრამ იმხანად ეს გახლდათ ძველმოდურად შემოსილი გადმონაშთი, რომელსაც, განსაკუთრებით კულტურის სფეროში, ადრინდელი ზეგავლენის შენარჩუნება აღარ ძალუძდა. ის ღრიჭოები და ღიობები გაიხსნა, რომელთაც ცენზურა ვეღარ დაგმანავდა. მათი შემწეობით ესპანური საზოგადოება ახალ იდეებს, წიგნებს, ცნობიერების ნაკადებს, არტისტულ ფორმებსა და ფასეულობებს ითვისებდა, მანამდე ანტისამთავრობოდ რომ ითვლებოდა. არცერთ სხვა ქალაქს ამ „ღიაობით" ისე არ უსარგებლია, იმდენი გამოცდილება არ შეუძენია იდეებისა და შემოქმედების ყველა სფეროსაგან, რამდენიც — ბარსელონას. ის ესპანეთის კულტურულ დედაქალაქად იქცა, იმ ადგილად, სადაც მომავალი თავისუფლების წინათგრძნობით უნდა გესუნთქა. ბარსელონა გარკვეულად ლათინური ამერიკის კულტურული დედაქალაქიც იყო აქ შეგროვილი ლათინოამერიკელი მხატვრების, მწერლების, გამომცემლების, მსახიობების გამო, რომელთაგან ზოგი უკვე დამკვიდრებულიყო, ზოგი კი წინ და უკან მიმოდიოდა. სწორედ აქ უნდა ყოფილიყავი, თუ პოეტობა, მწერლობა, მხატვრობა ან კომპოზიტორობა განგეზრახა. ჩემთვის ეს მეგობრობის, გეგმებისა და ნაყოფიერი ინტელექტუალური შრომის წლები გახლდათ. ადრინდელი პარიზივით ბარსელონა ბაბილონის გოდოლი, კოსმოპოლიტური, უნივერსალური ქალაქი იყო, სადაც სიცოცხლე და შრომა ფასდებოდა, სადაც პირველად — სამოქალაქო ომის შემდეგ — ესპანელი და ლათინოამერიკელი მწერლები შეერწყნენ, დანათესავდნენ, ერთურთს ერთი და იმავე ტრადიციისად მიიჩნევდნენ. ისინი ერთმა მიზანმა და რწმენამ შეადუღა: დიქტატურის დასრულება გარდაუვალი იყო და დემოკრატიულ ესპანეთში კულტურას მთავარი გმირობა უნდა ეკისრა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზუსტად ასე არ მომხდარა, დიქტატურიდან დემოკრატიად ესპანეთის გარდასახვა თანამედროვეობის საუკეთესო ამბად იქცა. ამ მაგალითით უპირატესობა სალ აზრს მიენიჭა და პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა საერთო სიკეთისათვის განდგომაზე უარი თქვეს. მოვლენები ისევე საოცრად განვითარდა, როგორც რეალისტურ რომანებში ხდება. ესპანეთის გარდაქმნამ ავტორიტარულიდან — თავისუფლად, განვითარებადიდან — წარმატებულად, მესამე სამყაროს ეკონომიკური კონტრასტებიდან და უთანაბრობიდან — საშუალო კლასების ქვეყნად, მისმა ინტეგრაციამ ევროპასთან და მცირე ხანში დემოკრატიულ კულტურად ჩამოყალიბებამ მთელი სამყარო გააოცა და ესპანეთის მოდერნიზაცია დააჩქარა. ეს ამაღელვებელი და ჭკუის სასწავლებელი შეიქნა ჩემთვის. მეიმედება, რომ ნაციონალიზმი, თანამედროვე სამყაროსა და ასევე, ესპანეთის უკურნებელი სენი, ვერ დაანგრევს ამ ბედნიერ ზღაპარს. მძაგს ნაციონალიზმის ნებისმიერი ფორმა, პროვინციული იდეოლოგია ან რელიგია, რომელიც ბეცი და შეზღუდულია, რომელიც ავიწროებს ინტელექტუალურ ჰორიზონტს და ზურგს უკან მალავს ეთნიკურ და რასისტულ ცრურწმენას: მისი შემწეობით მავანის დაბადების ადგილის შემთხვევითი გარემოება უზენაეს ფასეულობად, მორალურ და ონტოლოგიურ უპირატესობად გარდაიქმნება. რელიგიასთან ერთად, სწორედ ნაციონალიზმია მიზეზი ყველაზე საშინელი სასაკლაოებისა, ორი მსოფლიო ომისა და ცენტრალურ აღმოსავლეთში მიმდინარე სისხლისღვრისა. ნაციონალიზმზე მეტად არაფერს შეუწყვია ხელი ლათინური ამერიკის ბალკანიზებისათვის: მის გამო მოითხვარა უაზრო ბრძოლებსა და შერკინებებში დაღვრილი სისხლით, მის გამო დაიხარჯა ასტრონომიული რესურსები იარაღის შესაძენად, ნაცვლად სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების აგებისა. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ბრმა ნაციონალიზმი, „უცხოს" მიუღებლობა — სისასტიკის სათავე, და პატრიოტიზმი — იმ მიწის სიყვარულის მხსნელი, დიდსულოვანი განცდა, რომელზეც ვიშვით, სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, სადაც ჩვენი პირველი ოცნებები გამოიჭედა, რომლის საყვარელი გეოგრაფიული პეიზაჟები და მოვლენები მეხსიერების ნიშნულად გარდაისახა — ის გვიცავდა მარტოობისაგან. სამშობლო დროშები, ჰიმნები ან სიმბოლურ გმირებზე წარმოთქმული სახოტბო სიტყვები როდია! ეს გახლავთ ერთი მუჭა მიწა და ადამიანები, რომლებიც ჩვენს მოგონებებში სახლობენ, მელანქოლიით ავსებენ მათ. ეს არის ჩვენში გამჯდარი უთბესი გრძნობა, და იმის მიუხედავად, სად იმყოფები, ეს ის კერაა, სადაც დაბრუნება შეიძლება. პერუ ჩემთვის არეკუიპაა, ადგილი, სადაც დავიბადე, მაგრამ არასოდეს მიცხოვრია, დედაჩემის, ბებიებისა და პაპების, დეიდებისა და ბიძების ქალაქი, მათი მოგონებებისა და სურვილების გავლით ჩემში რომ შემოაღწია, რადგან ჩემი მოდგმის ხალხს — არეკუიპელებს თავიანთი მოხეტიალე არსებობისას ყოველთვის გულით დაჰქონდათ თეთრი ქალაქი. ეს გახლავთ უდაბნოში გაშენებული პიურა, მესკიტის ხეები, მრავალტანჯული სახედრები, რომელთაც ჩემი ახალგაზრდობისდროინდე-

ლი პიურელები მშვენიერ, სევდიან სახელს — თავიანთ „მეორე ფეხებს" — ეძახდნენ. პიურაში აღმოვაჩინე, რომ ბავშვები წეროებს კი არ მოჰყავდათ, არამედ წყვილებს — ამაზრზენი სასიკვდილო ცოდვის ჩადენის შედეგად. ეს გახლავთ სან მიგელის აკადემია  და ვარიეტეს თეატრი, სადაც პირველად ვიხილე სცენაზე დადგმული ჩემი პატარა პიესა. ეს არის დიეგო ფერესა და კოლონის ქუჩების კუთხე ლიმას მირაფლორესში. ჩვენ მას ბედნიერ უბანს ვეძახდით, სადაც მოკლე შარვლის ნაცვლად გრძელი ჩავიცვი, პირველი სიგარეტი მოვწიე, ცეკვის სწავლა დავიწყე, სადაც შემიყვარდა და გული გოგონებს გადავუხსენი. ეს არის გაზეთ „ლა ქრონიკას" მტვრიანი, ფუსფუსა საგამომცემლო ოფისები, სადაც თექვსმეტი წლის კალმით შეიარაღებულმა ჟურნალისტმა პირველად ვიგუშაგე. ჟურნალისტის პროფესიამ, ლიტერატურასთან ერთად, მთლიანად მოიცვა ჩემი ცხოვრება და წიგნების მსგავსად, საშუალება მომცა, უფრო მსუყედ მეცხოვრა, სამყარო უკეთ შემეცნო, შევხვედროდი ყველა ჯურის ქალსა და მამაკაცს, შესანიშნავ, კარგ, ცუდ და ამაზრზენ ადამიანებს. ეს არის ლეონსიო პრადოს სახელობის სამხედრო აკადემია, სადაც შევიტყე, რომ პერუ პატარა საშუალო კლასის რედუტი კი არ ყოფილა, სადაც მანამდე დაცულად და დატყვევებულად ვგრძნობდი თავს, არამედ — დიდი, ძველი, მტრული, უთანასწორო ქვეყანა, რომელსაც ათასნაირი სოციალური ქარიშხალი არყევდა. ეს არის კაჰუიდეს ფარული უჯრედები, სადაც ერთ მუჭა სან მარკოელ სტუდენტებთან ერთად მსოფლიო რევოლუციას ვამზადებდი. პერუა თავისუფლების მოძრაობაში ჩაბმული ჩემი მეგობრებიც, რომლებთან ერთადაც აფეთქებების, ელექტროენერგიის უქონლობისა და ტერორისტული აქტების ფონზე სამი წელიწადი დემოკრატიისა და თავისუფლების კულტურის დასაცავად ვიბრძოდი. პერუ პატრიციაა, ჩემი კუზინა, აპრეხილი ცხვირითა და ჯიუტი ხასიათით, რომელზეც, გამიმართლა და, ორმოცდაერთი წლის წინათ დავქორწინდი. იგი კვლავაც იტანს ჩემს აჩემებებს, ნევროზებსა და განრისხებას, რაც წერაში მეხმარება. პატრიცია რომ არ მყოლოდა, გონზალო, მორგანა და ექვსი შვილიშვილი, ჩვენს არსებობას რომ აფართოებენ და ახალისებენ, ვერასოდეს დაიბადებოდნენ და მეც დიდი ხნის წინათ შთანმთქავდა მშფოთვარე გრიგალი; პატრიცია ყველაფერს აკეთებს და ყველაფერს კარგად აკეთებს. ის მიგვარებს პრობლემებს, უძღვება საოჯახო საქმეს, ქაოსში წესრიგს ამყარებს, ჟურნალისტებისა და აბეზარი ადამიანებისაგან მიცავს, ჩემს დროს უფრთხილდება, შეხვედრებსა და მოგზაურობას მიგეგმავს, ჩემოდნებს მილაგებს, და ისეთი დიდსულოვანია, მისი საყვედურიც კი ქათინაურად მესმის: „მარიო, ერთადერთი რამ, რაც კარგად გამოგდის, წერაა".

ახლა ლიტერატურას დავუბრუნდეთ. ბავშვური სამოთხე ჩემთვის ლიტერატურული მითი კი არ არის, არამედ — რეალობა, რომელშიც ვცხოვრობდი და ვხარობდი: კოჩაბამბა, სადაც დიდი ოჯახი ასეთივე დიდ სახლში ბინადრობდა, და ჩემს ბიძაშვილებსა და სკოლის მეგობრებთან ერთად ვდგამდით ტარზანსა და სალგარის; პიურას პრეფექტურა, სადაც სხვენში ღამურები ბინადრობდნენ, მდუმარე აჩრდილები, რომლებიც იმ ცხელი მიწის ვარსკვლავიან ღამეებს იდუმალებით ავსებდნენ. იმ წლებში წერა თამაში იყო, რომელსაც ჩემი ოჯახი მიესალმებოდა. ამ მომხიბლავმა საქმიანობამ პირველი ტაში მოუტანა შვილიშვილს, დისშვილს, უმამო ბიჭუნას... მამაჩემი უკვე გარდაცვლილიყო და სამოთხეში გამგზავრებულიყო. იგი გახლდათ მაღალი, პირმშვენიერი, მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი, რომლის ფოტოც ამშვენებდა ჩემს მაგიდას, რომელზეც ვლოცულობდი და რომელსაც ძილის წინ ვეამბორებოდი. ერთ დილით, პიურაში — მგონი, დღესაც ვერ გამოვსულვარ მდგომარეობიდან — დედა გამომიტყდა, რომ კაცი სინამდვილეში ცოცხალი იყო: სწორედ იმ დილით უნდა გავგზავრებულიყავით პერუში მასთან ერთად საცხოვრებლად. თერთმეტისა გახლდით. იმ წუთიდან ყველაფერი შეიცვალა. დავკარგე უბიწოება, შევიცანი მარტოსულობა, ძალაუფლება, ზრდასრული ცხოვრება და შიში. ჩემი ხსნა კითხვა გახლდათ, კარგი წიგნების კითხვა თავშესაფრად მექცა, სამყაროდ, სადაც ცხოვრება მშვენიერი და ღრმა იყო, ერთ თავგადასავალს მეორე მოსდევდა, იქ ისევ თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობდი თავს. იმხანადვე დავიწყე წერაც, ოღონდ ამას ისე ვაიდუმალებდი, თითქოს ენითუთქმელ ბოროტებას ჩავდიოდი, აკრძალულ ვნებას ვეძლეოდი. ლიტერატურას თამაშად აღარ აღვიქვამდი. ის გადაიქცა მტრობასთან ბრძოლის გზად, პროტესტად, ამბოხად, აუტანელი მდგომარეობიდან გაქცევად, ცხოვრების აზრად. იმდროიდან დღემდე ყოველთვის, როცა კი უგუნებობა შემიპყრობდა და სასოწარკვეთის ზღვარს მივაღწევდი, ჩემს საქმეს, მწერლობას ვუთმობდი სულსა და სხეულს, რომელიც გახლდათ სინათლე გვირაბის ბოლოს, ფიცარი, რომლითაც წყალწაღებული ნაპირზე გამოდის.

თუმც ეს ურთულესი საქმეცაა, რომელიც სისხლის ოფლს მადენს და სხვა მწერლებივით, როცა დროდადრო ენერგიისაგან დაცლა მემუქრება, შთაგონებას კი მშრალი სეზონი უდგება, არაფერი ისე არ ახალისებს ჩემს ცხოვრებას, როგორც გაურკვეველი დასაწყისი, ამბის თხზვაში გატარებული წლები და თვეები, ცხოვრებისეული გამოცდილების საწყობში სახეთა მიკვლევა, რაც მოუსვენრობად, წყურვილად, ხილვად გადაიქცევა... ეს უდგამს სულს ჩანაფიქრსა და გადაწყვეტილებას, რომ ფანტომთა შემღვრეული ღრუბელი ამბად გარდავქმნა. „მწერლობა ცხოვრების წესია", — თქვა ფლობერმა. დიახ, სრული სიმართლეა, ეს მართლაც ცხოვრების წესია, აღსავსე ილუზიებითა და სიხარულით, კოცონით, რომელიც შენს თავში ნაპერწკლებს ყრის, ბრძოლით კერპ სიტყვებთან, ვიდრე მათ დაურვებას შეძლებდე; იმ ცხოვრებისა, რომელშიც მონადირესავით იკვლევ ფართო სამყაროს და საწუკვარ საკბილოსავით მისდევ თოთო ჩანაფიქრს, რათა აზრს პირი ჩაუტკბარუნო, ამბავს გაცხოველებული მადა დაუკმაყოფილო... მაშინ კი, როცა წარმოსახვა იზრდება, ის ყველა სხვა ამბის ჩასანსვლას ლამობს.

ჯერ კიდევ თავბრუსხვევას გრძნობ ჩასახული რომანის გამო. შემდეგ ის ფორმას იძენს და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს — პერსონაჟები უკვე იძვრიან, ფიქრობენ, გრძნობენ, პატივისცემასა და ანგარიშის გაწევას მოითხოვენ — უკვე აღარ ძალგიძს, მათ საკუთარი აზრი მოახვიო თავს ან თავისუფალი ნება წაართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, თუ არ მოკალი, თუ ამბავს დამარწმუნებელი ძალა არ წარსტაცე...

ეს განცდა დღესაც იმგვარადვე მაჯადოებს, როგორც პირველ ხანებში. ის იმგვარადვე სრულყოფილია და მომთენთავი, როგორც — საყვარელი ქალის შეუსვენებელი ალერსი დღეების, კვირების, თვეების განმავლობაში.

ლიტერატურაზე საუბრისას ბევრი რამ ვთქვი რომანზე და თითქმის არაფერი — თეატრზე, მის მეორე გამორჩეულ ფორმაზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი უსამართლობაა. თეატრი ჩემი პირველი სიყვარული გახლდათ. ახალგაზრდა ვიყავი, როცა ლიმის სეგურა თეატრში არტურ მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილი" ვნახე, წარმოდგენა, რომელმაც განცდებით გათანგული დამტოვა და მაიძულა, ინკებზე დრამა დამეწერა. 1950-იანი წლების დამდეგს ლიმაში რომ თეატრალური მოძრაობა არსებულიყო, დრამატურგი უფრო ვიქნებოდი, ვიდრე — რომანისტი. ამ მდგომარეობამ ნარატივისადმი უფრო და უფრო კეთილგანწყობილი გამხადა. მაგრამ თეატრის სიყვარული არასდროს გამნელებია. ის ოთხად მოკეცილი თვლემდა რომანთა ჩრდილში, როგორც საცთური, როგორც ნოსტალგია. ამას ყველაზე მეტად მაშინ ვგრძნობდი, როცა რომელიმე თავზარდამცემ სპექტაკლს ვნახულობდი. 1970-იანი წლების ბოლოს ჯიუტმა მოგონებამ ას წელს მიტანებულ დიდ ბებიაზე, მამაზე, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში ყველანაირი კავშირი მოსხიპა გარესინამდვილესთან და მოგონებებსა და ფიქრებში გადასახლდა, ამბის შეთხზვა შთამაგონა. წინასწარ ვგრძნობდი, რომ ეს სათეატრო ნაწარმოები იქნებოდა, მხოლოდ სცენაზე შეიძენდა წარმატებული ნაწარმოებისათვის საჭირო ალმაფრენასა და ელვარებას. მე დავწერე ის გამოუცდელი მწერლისთვის ნიშანდობლივი მთრთოლვარებით და ძალზე გავიხარე, როცა სცენაზე განხორციელებული ვიხილე: მთავარ როლს ნორმა ალეანდრო თამაშობდა. ამის შემდეგ რომანებსა და ესეებს შორის რამდენიმე პიესა დავწერე. იმასაც დავძენ, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, სამოცდაათი წლისა სცენაზე სათამაშოდ (მე ვიტყოდი, უფრო საბორძიკოდ) თუ ავიდოდი. ამ დაუფიქრებელმა ავანტიურამ საკუთარ ხორცსა და ძვლებზე პირველად განმაცდევინა სასწაული, თუ რას ნიშნავს, მწერალმა, მაყურებელთან ერთად, რამდენიმე საათით ცოცხლად იხილოს გამოგონილი პერსონაჟი და მისი ცხოვრება. ვერასოდეს შევძლებ სათანადო მადლობა გადავუხადო ჩემს ძვირფას მეგობრებს, რეჟისორ ხუან ოლესა და მსახიობ ქალს აიტანა სანჩეს გიჰონს, რომელთაც გამამხნევეს, მათთან ერთად გამეზიარებინა ეს ფანტასტიკური შთაბეჭდილება (მიუხედავად თანმდევი პანიკისა). ლიტერატურა ცხოვრების ყალბად ასახვაა, თუმც სწორედ მისი დახმარებით შეიძლება ცხოვრების უკეთ გაგება, იმ ლაბირინთში ორიენტირება, რომელშიც ვიბადებით, დავბორიალობთ და ვკვდებით. ლიტერატურა ანაზღაურებს იმ ღალატსა და იმედგაცრუებას, რეალური ცხოვრება რომ გვატეხს თავს. მისი წყალობით ნაწილობრივ მაინც ძალგვიძს იმ იეროგლიფის გაშიფრვა, რადაც კაცობრიობის უმრავლესობას ჩვენი არსებობა წარმოუდგენია, უპირატესად კი მათ, ვინც გამოხატავს ეჭვს, ვიდრე დარწმუნებულობას, და აღიარებს საკუთარ დაბნეულობას ისეთ საგანთა წინაშე, როგორებიცაა ტრანსცედენცია, ინდივიდუალური თუ კოლექტიური ბედისწერა, სული, ისტორიის საზრისი თუ უაზრობა, რაციონალური ცოდნის მიქცევ-მოქცევანი. ყოველთვის მხიბლავდა ის გაურკვეველი გარემოებანი, ჩვენმა წინაპრებმა — ჯერ ისევ სულ ცოტათი რომ განირჩეოდნენ ცხოველთაგან, ხოლო ენა, მხოლოდ ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ რომ იყენებდნენ, ის-ის იყო დაბადებულიყო — გამოქვაბულებში, კოცონის ირგვლივ, ღამით ელვის კრთომით, ჭექა-ქუხილით, ნადირის ღრენით აფორიაქებულებმა ამბავთა შეთხზვა და მოყოლა რომ დაიწყეს. ეს ჩვენი ბედის გადამწყვეტი მომენტი გახლდათ, ვინაიდან ამბის მთხრობლის ხმითა და ფანტაზიით გაჯერებულ პრიმიტიულ წრეებში ცივილიზაცია დაიწყო, ვრცელი გზა, რომელმაც თანდათანობით გაგვაადამიანურა და ავტონომიური ინდივიდისაკენ გაგვიძღვა, ცივილიზაციამ ჩამოაცილა იგი ტომს, შვა ცნობიერება, ხელოვნება, სამართალი, თავისუფლება, და ძირისძირამდე გამოიკვლია ბუნების ქვაბულები, ადამიანის სხეული, სივრცე, და ვარსკვლავეთში ამოგზაურა. ის ლეგენდები, ზღაპრები, მითები, რომლებიც ახალ მუსიკასავით ახმიანდა სამყაროს საფრთხითა და იდუმალებით შეშინებულ მსმენელთა წინაშე, მარად მოგანგაშე სულთათვის ცივი აბაზანა, დამამშვიდებელი აუზი უნდა ყოფილიყო; მათთვის, ვისთვისაც ცხოვრება მხოლოდ ჭამას, თავშესაფრის მოპოვებას, კვლასა და მრუშობას ნიშნავდა. იმ დროიდან, რაც ამბის მთხრობლისაგან შეგულიანებულებმა, კოლექტიური ოცნება, სიზმრების ერთურთისთვის განდობა დაიწყეს, გადარჩენისათვის მექანიკური შრომა და პირუტყვულ დავალებათა შესრულება შეწყვიტეს. მათი ცხოვრება ოცნებად, სიამოვნებად, ფანტაზიად და რევოლუციურ გეგმად გადაიქცა: თავი გაეთავისუფლებინათ, შეეცვალათ და სრულეყოთ ბრძოლა ოცნებათა და ნატვრათა ასახდენად, რომლებიც მათ წარმოსახვაში ფუთფუთებდა, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რათა ნათელი მოეფინათ თავიანთი გარემომცველი იდუმალებისათვის. ეს მარადმედინი პროცესი მრავალფეროვანი მაშინ გახდა, როცა დამწერლობა იშვა, და მოსმენასთან ერთად ამბების წაკითხვაც დაიწყეს. ლიტერატურას მარადიულობა ხვდა წილად. აი, რატომ უნდა ვიმეოროთ ეს მანამ, სანამ ახალი თაობები არ დარწმუნდებიან: ლიტერატურა მეტია, ვიდრე გართობა, ვიდრე ინტელექტუალური სავარჯიშოები, რომლებიც მავანს მგრძნობელობას უმახვილებს და კრიტიკულ სულისკვეთებას ულვიძებს. ლიტერატურა აუცილებელზე აუცილებელია ცივილიზაციის არსებობის გაგრძელებისათვის, ის აახლებს და იცავს ჩვენში ყოველივე საუკეთესოს. ამდენად, უკან არ უნდა დავუბრუნდეთ იზოლაციის სიველურეს და ცხოვრება არ უნდა დავიყვანოთ იმ სპეციალისტის პრაგმატიზმამდე, რომელსაც ძალუძს საგნის ღრმა წვდომა, მაგრამ ვერ ამჩნევს, რა ახვევია გარს, რა უძღვის წინ და რა არის მის მიღმა. ამიტომ არ უნდა ვიქცეთ იმ მანქანათა მსახურებად, რომლებიც ჩვენდა სამსახურად გამოვიგონეთ. ამიტომ იქნებოდა ულიტერატურო სამყარო უოცნებო, უიდეალო და პატივაყრილი; იმ ავტომატთა ამარა დარჩენილი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც ადამიანს იმას ართმევს, რაც მას ჭეშმარიტ ადამიანად აქცევს: იმ შესაძლებლობას ანიჭებს, ერთი მეორის ადგილას დადგეს, იმ სხვათა ადგილას, რომლებიც ჩვენი ოცნებებისაგან არიან ჩამოძერწილნი.

გამოქვაბულიდან ცათამბჯენამდე, კლუბიდან მასობრივი განადგურების იარაღამდე, ტომის ტავტოლოგიური ცხოვრებიდან გლობალიზაციის ერამდე ლიტერატურამ გაამრავლა ადამიანური გამოცდილება, დაგვიცვა ლეთარგიისაგან, თვითშთანთქმისაგან, მორჩილებისაგან.

არაფერს დაუთესავს იმდენი შფოთი, ისე არაფერს აუფორიაქებია ჩვენი წარმოსახვა და სურვილები, როგორც ნატყუარ ცხოვრებას, რომელსაც ლიტერატურის წყალობით საკუთარსაც ვუმატებთ ხოლმე. ასე ვხდებით იმ დიდ თავგადასავალთა, დიდ ვნებათა პროტაგონისტები, რომელთაც რეალური ცხოვრება ვერასოდეს მოგვცემს. ლიტერატურული სიცრუე ჩვენით მართლდება, სურვილით დასენილი მკითხველი გარდაიქმნება, მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით ადამიანი პერმანენტულად კითხვებს უსვამს არაფრით გამორჩეულ სინამდვილეს. ნამდვილი ჯადოსნობაა, როცა ლიტერატურა გვთავაზობს იმედს, მანამდე რომ არ გვქონდა, იმად გვქმნის, რაც ადრე არ ვყოფილვართ, იმ უჩვეულო არსებობას გვანიჭებს, რომელშიც — წარმართულ ღვთაებათა მსგავსად — ერთდროულად მოკვდავებიც ვართ და უკვდავებიც, სულში ნონკონფორმიზმსა და ამბოხს გვინერგავს, რომლებიც ყოველგვარი გმირობის საფუძველია, ხელს რომ უწყობს სისასტიკის შემცირებასა და ადამიანური ურთიერთკავშირის გაცხოველებას. სისასტიკის დამცრობა მის დასრულებას არ ნიშნავს იმიტომ, რომ ჩვენი ამბავი, საბედნიეროდ, ყოველთვის დაუსრულებელი იქნება. აი, რატომ უნდა განვაგრძოთ ოცნება, კითხვა, წერა... — ეს ყველაზე ეფექტური საშუალება ჩვენი მოკვდავობის გასაქარწყლებლად, დროის კოროზიის დასამარცხებლად და შეუძლებლის შესაძლებლად გადასაქცევად.

ინგლისურიდან თარგმნა
**გია ჯოხაძემ**

**შენიშვნები**

კოჩაბამბა — ბოლივიის უმსხვილესი ქალაქი

ამადო ნერვო (1870-1919) — მექსიკელი პოეტი

ხუანოტ მარტორელი (1413-1468) — ვალენსიელი რაინდი, ავტორი რომანისა „Tirant lo Blanch"

„სამხრეთი" — ბორხესის მოთხრობა, რომლის პროტაგონისტი ხუან დალმანია

„პედრო პარამო" — ხუან რულფოს (1917-1986) — მექსიკელი მწერლის ნოველა

კომალა (კოლიმა) — ხუან რულფოს ნაწარმოებში „აჩრდილთა ქალაქად" მოხსენიებული დაბა მექსიკაში

ჯალაბა — მაროკოული ტანისამოსი, კაპიუშონიანი ბალახონი

ბომბაჩა — სამხრეთამერიკული შარვალი

რაიმონდ არონი (1905-1983) — ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და პოლიტოლოგი

ჟან ფრანკო რეველი (1924-2006) — ფრანგი ჟურნალისტი და ფილოსოფოსი

სერ ისაია ბერლინი (1909-1997) — ბრიტანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი

სერ კარლ რაიმონდ პოპერი (1902-1994) — ავსტრო-ბრიტანელი ფილოსოფოსი

ემილ სიორანი (1911-1995) — რუმინელი ფილოსოფოსი

ჟან ვილარი (1912-1978) — ფრანგი თეატრალი, ავინიონის ფესტივალის დამაარსებელი

ჟან-ლუი ბარო (1910-1994) — ფრანგი მსახიობი და რეჟისორი

ახალი რომანი ან „ანტირომანი" — ფრანგული პროზის ლიტერატურული მიმდინარეობა1940-1960 წწ.-ში, რომელიც გაემიჯნა ე.წ. ბალზაკურ სტილს. სახელწოდება პირველად კრიტიკოსმა ემილ ანრიომ გამოიყენა 1957 წელს.

ახალი ტალღა (ინგლ. New Wave) — ეს ტერმინი ნარმოქმნილი უნდა იყოს ფრანგული Nouvelle Vague-დან, რომელიც აღნიშნავდა 1950-1960-იანი წლების ახალ მიმართულებას ფრანგულ კინემატოგრაფში

კარლოს ფუენტესი (დ.1928) — მექსიკელი მწერალი

გუილერმო კაბრერა ინფანტე (1929-2005) — კუბელი მწერალი

ხუან კარლოს ონეტი (1909-1994) — ურუგვაელი მწერალი

ალეჯო კარპენტიერ ი ვალმონტი (1904-1980) — კუბელი მწერალი

ედუარდსი — ამ გვარის რამდენიმე მწერალია ცნობილი. ძნელი დასადგენია, რომელს გულისხმობს ლიოსა.

ხოსე დონოსო იანეზი (1924-1996) — ჩილელი მწერალი

სეზარ აბრაჰამ ვალეჰო მენდოზა (1892-1938) — პერუელი პოეტი

„თეთრსამოსიანი ქალები" — კუბელ დატყვევებულ დისიდენტთა ცოლები, ქვრივები და მდედრობითი სქესის სხვა წარმომადგენელთაგან შემდგარი ოპოზიციური მოძრაობა

აუნგ სან სუ კუი (დ.1945) — ბირმელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალი

ლიუ ჰიაობო (დ.1955) — ჩინელი კრიტიკოსი, მწერალი, პროფესორი, ადამიანის უფლებათა დამცველი

ხოსე მარია არგუედას ალტამირანო (1911-1969) — პერუელი პროზაიკოსი, პოეტი და ანთროპოლოგი

ნასკა — ამავე სახელწოდების ქალაქი პერუში

პარაკასი — პისკოს პროვინციის ერთ-ერთი რაიონი პერუში

მოჩე — ძველპერუული კულტურა, რომელიც ვითარდებოდა პერუს ჩრდილოეთში II-IX სს-ში

მაჩუ პიჩუ (ძველი მთა) — პერუში ურუბამბას ველზე მდებარე ქედი

გრან ჩიმუ — პერუს ერთ-ერთი პროვინცია

ჩან ჩანი — კოლუმბამდელი ქალაქი პერუში

კუელაპი — VI-XVI სს. მასიური ქვის გალავნით გარშემორტყმული ასზე მეტი არქიტექტურული ნაგებობა

სიპანი — მოჩეს კულტურის (II ს.) მეფე სიპანის სამარხი

ფრანსისკო გომეს დე კუევედო (1580-1645) — ესპანელი პოეტი

კარლოს ბარალ ი აგესტა (1928-1989) — ესპანელი პოეტი

კარმენ ბარსელსი — ესპანელი ლიტერატურული აგენტი

არეკუიპა — პერუს სამხრეთში მდებარე ქალაქი

პიურა — პერის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქი

ლეონსიო პრადოს სამხედრო აკადემია — პერუს საგანმანათლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1943 წელს დააარსა პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მანუელ პრადო უგარტეჩემ; სასწავლებელს სახელი გაუთქვა ლიოსას რომანებმა

ხუან ოლე (დ.1955) — ესპანელი რეჟისორი

აიტანა სანჩეს გიჰონი (დ.1968) — იტალიელ-ესპანელი მსახიობი ქალი

მერაბ კალანდაძე

# იყვნენ ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში?

შარშან, სექტემბერში გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ერთი საინტერესო სურათი. მას ქვემოთ აწერია „მეგრელები“, ხოლო უკანა მხარეს წითელი პასტით გაკეთებული აქვს მინაწერი „მეგრელები ნაპოლეონის ბრძოლებში“. რაშია საქმე? აქ ორი ვერსია შეიძლება არსებობდეს: პირველი: ესენი არიან მეგრელები, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის არმიაში ნაპოლეონის წინააღმდეგ. მეორე, რაც კიდევ უფრო დამაინტრიგებელია, ეს მეგრელები მსახურობდნენ ნაპოლეონის არმიაში. პირველი ვერსია სავსებით ლოგიკურია და მასში გასაკვირი არც არაფერია. რაც შეეხება მეორე ვერსიას, ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. ამიტომ გავყვეთ მას. იბრძოდნენ თუ არა ეს მეგრელები ნაპოლეონის არმიაში? კატეგორიულად რამის მტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ არც არაფერს არ უარვყოფთ. თითქოსდა ამ ვერსიის სასარგებლოდ ლაპარაკობს სამფეროვანი სამკერდე ნიშანი (საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთს ჰქონდა სამფეროვანი დროშა: წითელი, თეთრი, ლურჯი), მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ასეთი ნიშანი შეიძლებოდა ჰქონოდა სხვა ქვეყნის ცალკეულ სამხედრო შენაერთებს. ეს ცალკე საკითხია, რომელსაც ამჯერად არ შევეხებით (მას საგანგებო მოკვლევა შეიძლება მიეძღვნას).



ეს სურათი ჩვენთვის საინტერესოა სულ სხვა თვალსაზრისით. ფაქტობრივად აქ, ნებით თუ უნებლიეთ, წამოიჭრება ერთი ფრიად საინტერესო და აქტუალური საკითხი. იბრძოდნენ თუ არა ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში? ეს სურვილია გაჟღერებული უიარალოს რომანში „მამლუქი“. ამის გამორკვევა, ცხადია, არაა ადვილი საქმე, რადგან წყაროები ფაქტობრივად ძალიან ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან. ეს გასაგებიცაა. მას შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა და კვალი თანდათან წაიშალა. ამიტომ კატეგორიულად რამის მტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ ალბათობა, რომ ნაპოლეონის არმიაში შეიძლება იყვნენ ქართველები, არსებობს და ამის გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა. გასაგებია, რომ ეს მსჯელობა ჰიპოთეზების ფარგლებს არ სცილდება. მეცნიერება ხომ ჰიპოთეზების სასაფლაოა.

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რა გზით შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ ქართველები ნაპოლეონის ლაშქარში? რა თქმა უნდა, იმპერატორის არმიაში ისინი შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ მრავალი გზით, უშუალოდ რომელი, წყაროების სიმცირის გამო, ძალზე ძნელი სათქმელია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ერთ-ერთი რეალური გზა მაინც ჩანს აღმოსავლური სამყარო, პირველ რიგში კი ეგვიპტე და ერაყი, სადაც საკმაოდ მრავლად ცხოვრობდნენ გამაჰმადიანებული ქართველები.

აღნიშნულ თემაზე საუბრის დროს პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, მეხსიერებაში ამოტივტივდება ნაპოლეონის პირადი მცველის, მამელუქ რუსტამის კოლორიტული ფიგურა. ვინ იყო რუსტამი? უდავოა, რომ რუსტამი დაიბადა თბილისში 1780 წელს. ფრანგ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ იგი იყო ქართველი. ეს აზრია გატარებული რუსტამის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფის ა. ფლეიშმანის წიგნში „რუსტამი, ნაპოლეონის მამელუქი“. ფრანგმა ისტორიკოსმა ჟ. სავანმა წიგნში „მამლუქები და ნაპოლეონი“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ „რუსტამს ქართველს უწოდებენ იმიტომ, რომ დაიბადა თბილისში“. ასე წარმოიშვა რუსტამის ქართველობის ვერსია. არსებობს სხვა მოსაზრება. ფრანგ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი იმ აზრისაგან უფრო იხრება, რომ რუსტამი სომეხი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობიან რუსტამის მემუარებს, სადაც იგი წერს, რომ სომეხია. მისი მამაა რაზა უნანი, ხოლო დედა ბუდჩი ვარი. მისი ნამდვილი სახელია როსტომ რაზა. მშობლები ვაჭრები იყვნენ და ცხოვრობდნენ თბილისში. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ კონსტანტს, თითქოსდა „რუსტამი წარჩინებულ ქართულ ოჯახს მიეკუთვნებოდა“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსტამის მემუარები 1911 წელს გამოიცა სომხურად, ქართულ ენაზე კი არ მოგვეპოვება.

საგულისხმო უნდა იყოს მამელუქთა ესკადრონის შექმნა. ქართული ისტორიოგრაფია ამ თემას პირველად შეეხო პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე, მაგრამ არა ამ კუთხით. აი, რაში იყო საქმე. ნაპოლეონის ბრძანებით უნდა შექმნილიყო მამლუქთა 250-კაციანი ესკადრონი. დროთა განმავლობაში ესკადრონის რიცხობრივი შემადგენლობა ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა. საბოლოოდ 590 კაცს შეადგენდა. კავკასიელების, მათ შორის, ცხადია, ქართველების კვალი, ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონში უნდა ვეძიოთ.

გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს, ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევარს, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს ფრედერიკ მასონს მოჰყავს ერთი საინტერესო ცნობა, რომ უმაღლესი ოფიცრობის დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილს ასევე ჰყავდა მამლუქები. მოდით, გავყვეთ ამ ცნობას. ეს საინტერესოა. საქმე ისაა, რომ იმ დროს ევროპის არისტოკრატიულ სალონებში მეტად მიღებული იყო მსახურებს შორის ჰყოლოდათ ახალგაზრდა მამლუქი. ეგვიპტის ექსპედიციის მონაწილე ფრანგ გენერლებს ლანს, მიურატს, ბესიერს ჰყავდათ ეგვიპტიდან ჩამოყვანილი მსახური მამლუქები. ცნობილია, რომ 1798 წელს ინგლისელმა ზღვაოსანმა ადმირალმა ნელსონმა თავის სატრფოს — ემა ჰამილტონს — ეგვიპტიდან ჩამოუყვანა ერთი ნუბიელი ქალი.

ნაპოლეონის პირველი გადადგომის შემდეგ მამლუქთა დიდმა ნაწილმა სამხრეთ საფრანგეთში მოიყარეს თავი და ძირითადად მარსელში დასახლდნენ. მათ ბედი ტრაგიკულ დასასრულს უმზადებდა. ხელისუფლების სათავეში დაბრუნებული ბურბონები მამლუქებს არ ენდობოდნენ. მათთვის მიუღებელი იყვნენ თვით რიგითი ბონაპარტისტები. დატრიალდა დიდი ტრაგედია. ისტორიულ ლიტერატურაში დამოწმებული ფაქტია, რომ როიალისტებმა იერიში მიიტანეს მარსელში მამლუქთა კოლონიაზე, რომელიც 500 ნევრს ითვლიდა და უთანასწორო ბრძოლაში გაანადგურეს ისინი. ეს მოხდა ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ, 1815 წლის ივნისის მიწურულს.

ყველაფერი ეს საინტერესოა და გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონში ქართველებიც იყვნენ. ამ თემას უფრო მეტი შუქი შეიძლება მოფინოს საფრანგეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში კვლევამ, თუ კვალი საბოლოოდ არაა წაშლილი, რადგანაც ძალიან ბევრი დრო გავიდა.

ამრიგად, დაბეჯითებით არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ იმის ალბათობა, რომ ნაპოლეონის ლაშქარში ქართველები მონაწილეობდნენ, არსებობს, და ამის უგულებელყოფა უმართებულო იქნებოდა. აქ უბრალოდ იმის თქმა ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონში შესაძლოა ქართველებიც ერივნენ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ისინი ნაკლებად ცნობილნი იყვნენ და მათი სახელი ისტორიამ ვერ შემოგვინახა, გარდა რუსტამისა.



# საოჯახო ლოცვანი და ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღი

ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერილობისას ცალკე წიგნად მომზადდებოდა „ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები“.

ასე შეხვდებოდნენ არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში ევროპულად გამართული სტამბის 300 წლისთავის იუბილეს.

შემდგენელმა დალი მაჩაიძემ აღწერისას საგანგებოდ შეისწავლა არამარტო თვითეული გამოცემის მდგომარეობა და იერი, არამედ მნიშვნელოვანი მინაწერებიც და დანართ-ჩანართებიც და შესაფერისი კომენტარებიც მიადევნა.

განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა მინაწერები 1710 წელს გამოცემულ „ლოცვანზე“, რომელსაც აკლია ბოლო გვერდი ვახტანგ მეფის პორტრეტით, ყდა — ლურჯი კოლენკორისაა, ფორზაცი — ჟღალი, ფურცლის შემონაჭერი — მოვარაყებული, ორნამენტული.

ლოცვანი ლოცვანად, მაგრამ მნიშვნელოვანი აქ ისიცაა, რომ ეს ეგზემპლარი შანშე ერისთავის ოჯახის ნაქონია და ზედ არაერთი ქრონოლოგიური ცნობაა აღბეჭდილი.

რაც მთავარია, ზუსტად დგინდება 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თაოსანისა და გადამწყვეტ ჟამს მთავარსარდლისაც — ელიზბარ ერისთავის — დაბადების თარიღი, აქამდე ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებში რომ ჩაძირულიყო.

თუმც ბარემ გადმოვწეროთ ყველა ეს ცნობა, ერისთავთა ამ ოჯახისათვის გამორჩეულ თარიღთა შემომნახველი.

— ქ. ერისთავის ძე იასე დაიბადა ნოენ(ბრის) 30, ღამესა, 5 საათს გასულსა, მთვარესა 3, წელსა 1806.

ეს ფრაზა მიწერილია ძველი ყდის წინა ფორზაცის გვერდზე, შავი მელნით, და იქვე, იმავე ხელით:

— ქ. ერისთავის ასული მელანია დაიბადა ივლისის 16, ოთხშაბათს დღესა, მთვარესა 1, წელსა 1808.

და იქვე, იმავე ხელით:

— ქ. ერისთავის ძე ელიზბარ დაიბადა ოკდომბრის კა (21), მთვარესა 9, წელსა 1809.

ჯერ ისედაც აგვიტოკდებოდა გული ამ სტრიქონის წაკითხვისას, და მითუფრო იმ ფონზე, რაც საგანგებოდაა აღნიშნული დალი მაჩაიძის მიერ დართულ შენიშვნაში, თუ რაოდენ სხვადასხვაგვარადაა წარმოჩენილი ეს თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში და არცერთი არ ემთხვევა მინაწერისეულს.

გიორგი გოზალიშვილის სამტომიანი „1832 წლის შეთქმულების“ მეორე ტომი — და მის კვალობაზე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ და „საქართველოს ისტორია. ლექსიკონი“ — მთავარსარდლის დაბადების თარიღად გვამცნობს 1810 წელს.

მაქსიმე ბერძნიშვილის „მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიიდან“ 1808 წელს ანიჭებს უპირატესობას.

საოჯახო ლოცვანზე მიკვლეული მინაწერის შემდეგ სრულიად ზედმეტია იმ მოსაზრებათა უარსაყოფად დამატებითი არგუმენტების მოშველიება.

ყოველივე ეჭვშეუტანელი სიზუსტითაა გაცხადებული. ის, რაც მაშინდელი კალენდარული სტილით 21 ოქტომბერია, ახალ სტილზე გადმოტანისას 2 ნოემბერი იქნება.

აქ შეიძლება მოგვეთავებინა ეს შეხმიანება შემდგენელთან, თუმც ბარემ ამ მინაწერთა მთელი რკალიც ამოგვეწერა, ბოლოსდაბოლოს ელიზბარ ერისთავის ოჯახურ გარემოცვაზე გვაწვდის გასათვალისწინებელ დეტალებს, განსაკუთრებით მაინც მისი ძმის, შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილის დიმიტრი ერისთავის დაბადების თარიღის დაზუსტებას:

— ქ. ერისთავის ძე დიმიტრი დაიბადა ოკდომბრის 22, დღესა, ხუთ საათ გასულსა, მთვარესა 2 (7), წელსა 1812“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნაში აღნიშნულია, რომ 1833 წლის თებერვალში, როდესაც დიმიტრი ჩვენებას იძლეოდა საგამოძიებო კომისიის წინაშე, იგი იქნებოდა 20 წლისა და არა 28-ის, როგორც გვამცნობს ჩვენება.

ლოცვანში კი იქვე იმავე ხელს მიუწერია:

— ქ. ერისთავის ძე ალექსანდრე დაიბადა ივნისის 18-სა, დღესა, ხუთ საათ გასულსა, მთვარესა 18, წელსა 1812".

და იქვე იმავე ხელით:

— ქ. ერისთავის ძე გრიგოლ დაიბადა დეკემბრის 23, ღამესა, ნახევარ საათგასულსა, მთვარესა 22, წელსა 181 (4)".

იქვე კი იმავე ხელით კიდევ ერთი განსაკუთრებული ცნობა:

— ქ. ელიზბარ გავისტუმრეთ პეტერბურღს, წელსა 1822, დეკემბრის (2)".



ელიზბარ ერისთავი

ეს ხომ უბრალო გამგზავრება არ ყოფილა ცოდნის გასაღრმავებლად — შანშე ერისთავს განზრახული ჰქონდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი შვილის გარუსებისათვის, რათა მას ამით წარმატებული კარიერისათვის მიეღწია და სამხედრო განათლება, რომელსაც საარტილერიო სასწავლებელში შეიძენდა, იმპერიის განდიდება-განმტკიცებისათვის გადაეგო.

არადა, მოგეხსენებათ, სწორედ პეტერბურგში ჩაება ელიზბარი საიდუმლო ორგანიზაციაში, საქართველოს გამოხსნას რომ ესწრაფოდა იმპერიის კაბალისაგან, და სამშობლოში დაბრუნდა ფარული შეთქმულების ქსელის გასაშლელად.

ლოცვანის ფარზაცზე კი იმავე ხელს იქვე ესეც აღუნიშნავს:

— ქ. დიმიტრი გავისტუმრეთ პეტერბურღს, წელსა 1825 სე(კდ)ემბრის 3.

გაგზავნილია იმავე მიზნით — რუსეთი აღიაროს თავის უპირველეს სამშობლოდ, არადა, დიმიტრიც უფროსი ძმის კვალს უნდა დაადგეს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გაიხადოს უმთავრეს მისწრაფებად.

მერე კი უკანა ფორზაცის I გვერდზე შავი მელნითა და განსხვავებული ხელით ჩანიშნულია:

— სარდალ სართხუცის, ორბელიანის იოვანეს ასული, კნეინა ელენე აღესრულა გიორგობის თვის 1, ქორონიკონს ფდ (504+1312=1816 წ.).

იქვე, იმავე ხელით:

— ქ. ჯვარი დავიწერეთ წელსა 1825, თიბათვის 10, დღესა სამშაბათსა, შუაღამითგან მეათე საათსა.

შენიშვნაში დალი მაჩაიძე ყურადღებას მიაქცევს, რომ მელანია ერისთავს ლოცვანში შეუტანია ანდრია მელნიკოვთან თავისი ქორწინების თარიღი.

იქვე, იმავე ხელით:

— ქ. ტფილისში ჩამომიყვანა სეკდემბრის 6, წელსა 1825, დღესა სამშაბათსა.

შემდგენლის შენიშვნა შეგვახსენებს, რომ: ანდრია მელნიკოვის ბინა თბილისში მელანიას ძმების — ელიზბარისა და დიმიტრის — მიზეზით შეთქმულთა შეკრების ერთ-ერთ ადგილად იქცა.

ლოცვანზე კი განსხვავებული ხელით და მკრთალად აღბეჭდილა:

— წელსა 1845 ივლისის 20-ს, დღესა პარასკებს, შუაღამითგან ოთხს საათზე, მთვარის ოცდაცხრას, დაიბადა ჩემი პირველი ქალი მარიამ. ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი.

უკანა ფორზაცის (4) გვერდზე წარწერილია:

— ერისთავის ასულის მელანიასია.

იქვე კი მეორდება ის ცნობა, რომ: სარდლის ორბელიანის ასული ელენე აღესრულა გიორგობისთვის 1-ს.

გასაკვირი არ არის ეს ორგზისი აღნიშვნა, რადგანაც ელენე ორბელიანი ამ ოჯახის დედაა, შანშე ერისთავის მეუღლე და იმ იოანე სარდლის შვილი, ალექსანდრე ორბელიანი გულმტკივნეულად „ხარახურად" რომ მოიხსენიებდა სხვა მისნაირ ორბელიანებთან ერთად, „ფუქსავატადაც" და „რაღაც უბრალო ლეშადაც", და, ეტყობა, ვერც იმას პატიობდა, 1810 წლის 25 დეკემბერს საკუთარ ბინაზე მონწყობილი თათბირისას რომ განუცხადებია: დაშთეს მეფობა რუსეთისა, აღარ გვინდა მეფედ დავითიო!..

ოჯახის დედას ხომ არ ეკუთვნის ის პირველი მინაწერები?

ვიდრე მელანიაც და ალექსანდრეც გამოიყენებდნენ ლოცვანის ამ გამოცემას საოჯახო ქრონოლოგიისათვის, რაკიღა მანამდე ყველა მინაწერი ერთი ხელითაა შესრულებული, მათ შორის ელენე ორბელიანის გარდაცვალებისა და ელიზბარისა და დიმიტრის პეტერბურგში გამგზავრების თარიღები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ეს რომ შანშე ერისთავის ხელწერაა, იმ შანშესი, სიმამრიც თავისი მსოფლმხედველობისა რომ შეხვდა — რუსული ორიენტაციის, შვილებთან კი ვერა და ვერ მორიგდა და მათთან გაუთავებელ დავა-აყალმაყალში ამოხდა სული.

„ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემების" ეს ორად ორი გვერდი დალი მაჩაიძის ხელში შესაძლოა სამეცნიერო ნარკვევის კომპოზიციურ ქარგადაც იქცეს — გაშლალა სჭირდება, სხვა რა.

თუმც ჯერ მარტო ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღის გამომზეურებაც მონაპოვარია, ამ მხრივ საძებნელს რომ აღარაფერს გვიტოვებს.

და ეგებ ოდესმე მისი გარდაცვალების თარიღის დამადასტურებელი ცნობაც ვიპოვნოთ, რათა საბოლოოდ გავერკვეთ, ის ნახევარი წელიწადი აქეთ იყო თუ იქით. და ეჭვშეუვალად რომელი წელი, თვე და დღე ამოუდგება გვერდით 1809 წლის 21 ოქტომბერს.

2 ნოემბერსო, — შემისწორებს ახალი კალენდარული სტილის დიდად მოყვარული, რომელსაც 21 ოქტომბრის დამკვიდრებაში შესაძლოა რაღაც სახიფათო ტენდენციის დასაწყისიც მოეჩვენოს. ეს მაშინ, თუ ზედმეტი ზაფრა მოერევა, თორემ დასაეჭვებელიც რა უნდა იყოს.

**საბა სულხანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# „თითქოს ამ ძეგლსაც აქვს სული“

✵

## კვლავ ელიზბარ ერისთავის მემორიალთან

პირველი თოვლით დაფიფქულიყო არემარე.

ნისლიან გზებზე მიქროდა მანქანა.

იანვრის სუსხიანი დღე იყო, ოღონდ ვერც ამ სუსხს შეეშალა ხელი ტრადიციის აღსრულებისთვის.

წლების წინათ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით დადგენილიყო ეს დღე და წლების შემდეგაც ინარჩუნებდა რიტუალობას. კვლავ უნივერსიტეტის წინ, ელიზბარ ერისთავის ძეგლთან შეკრებილიყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ქალაქის საზოგადოება, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრებთან ერთად, და კიდევ ერთხელ იხსენებდნენ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ თაოსანს, სრულიად ახალგაზრდას მთავარსარდლობაც რომ ეკისრა იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხისა.

გორის უნივერსიტეტის რექტორი, **გიორგი სოსიაშვილი** ხსნიდა შეკრებას:

— ამ ქალაქის სინამდვილეს ეკუთვნის მისი სახელი და დიდი მადლობა როსტომ ჩხეიძეს, დავიწყების მტვერს რომ გამოაცალა ელიზბარ ერისთავისა და მისი რანგის მოღვაწეთა სახელები. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვმართებს მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვალში ვართ იმ პლეადის წინაშე, რომელიც რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინაშე შეთქმულებას გეგმავდაო.

**როსტომ ჩხეიძის** თქმით კი „თითქოს თავს ვავედრებთ ელიზბარ ერისთავს, თითქოს აღსარებას ვეუბნებით, გვინდა ყოველწლიურად წარვსდგეთ მის წინაშე იმის სათქმელად, რა გაგვიკეთებია ერისა თუ ქვეყნის წინაშე.

ელიზბარ ერისთავმა ბევრი რამ განსაზღვრა საქართველოს ისტორიაშიც და გორის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. წარმოუდგენელია XIX საუკუნე ელიზბარ ერისთავის გარეშე, XX საუკუნე ელიზბარ ერისთავის გარეშე და მარადიული საქართველოც წარმოუდგენელია ელიზბარ ერისთავის გარეშე. თითქოს ამ ძეგლსაც აქვს სული და, თუ ვერ შევინარჩუნებთ მის სახელს, სული დაგვტოვებს, როგორც ხატი ტოვებდა ხოლმე თავის ადგილს და ახალს ირჩევდა.

ხშირად მახსენდება ვანო ჩხიკვაძის პიესა — ძალიან დრამატული, მძაფრი ვნებებით აღსავსე — რეფრენად რომ გასდევს ფრაზა: ორ მდინარის შესართავთან კვდება ქალაქიო.

უნდა გაცოცხლდეს ის ქალაქი. რეალობად უნდა იქცეს ის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება, რის გარეშეც წარმოუდგენელია ერის არსებობა... და დაე ელიზბარ ერისთავმა განსაზღვროს ეს ყველაფერი იმ დიდ სახელებთან ერთად, ვის გვერდითაც იბრძოდა და ილვწოდა საქართველოს გაბრწყინებისათვის“.

მზად იყო თავისი ქვეყნისათვის შეეწირა თავი და ამასთანავე ბევრი რამ გაუკეთებია გორისთვისაც. პირველი ქალაქისთავი გახლდათ და დიდი ენერგიაც შეულევია ნამდვილი საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის გამოღვიძებისთვისაც. მისი ღვაწლის ამ მხარეზე რომ გაამახვილებს ყურადღებას გორის უნივერსიტეტის პროფესორი **ელდარ მამისთვალიშვილი**, ელიზბარ ერისთავის მიერ ატენის ხეობაში დაარსებულ შუშის ქარხანასაც გაიხსენებს, ბადალი რომ არ ჰქონია იმდროინდელ ამიერკავკასიაშიც და რუსეთის იმპერიაშიც.

სამშობლოს წერას ადევნებულიყო და თავადაც წერად გადაექცეოდა საკუთარი ერისა და ქვეყნის ბედი. ათწლეულების შემდეგ კი, აგვისტოს ომის ავბედით დღეებში, მის ძეგლსაც დაუმიზნებდნენ ტყვიას... და ამ სათქმელს ახლა გორის უნივერსიტეტის წინ ლექსად ამოთქვამდა პოეტი **ჯემალ ინჯია**.

— ძეგლსაც სული აქვსო... და იმ სულის ამორთმევასაც თუ აპირებდნენ ისინი, ჯიუტად რომ ცდილობდნენ საქართველოს წაშლას და ახლა ამ დიდი მოღვაწის ხსოვნის გაქრობაც მოენდომებინათ, რადგან მარადიული საქართველოც წარმოუდგენელია ელიზბარ ერისთავის გარეშე; ან როგორც პოეტი **ვანო ჩხიკვაძე** იტყვის, ქვეყანა მაშინ წაიქცევა და ერი მაშინ შეწყვეტს არსებობას, როდესაც ასეთ ხალხს დამფასებელი და გამხსენებელი არ ეყოლება.

— ბედნიერებაა ისიც, რომ ჩემი დიდი მასწავლებლის, კლასიკოსი მწერლის, ოთარ ჩხეიძის შვილი აგრძელებს დიდ მისიას, იმ სულიერების გზას, რომელიც დღეს ასე სჭირდება ქართველ ხალხს, როგორც არასდროს — თვალსაჩინოდ, ჩვენი ცხოვრების წესად ვაქციოთ ის სულიერი მოძრაობა, რომლის სათავეშიც იდგა ელიზბარ ერისთავი 1832 წელს. სწორედ მაშინ დაინახა თვითმპყრობელობამ, რომ ამ ხალხთან ხიშტით ლაპარაკი არ შეიძლება და რომ იმპერიული წნეხი კიდევ უფრო ააგზნებს მათში თავისუფლების წყურვილს.

გვაქვს საუნჯე, ასეთ წინაპართაგან დათესილი, და დროა მოვუაროთ ამ ჯეჯილს, მუხად ვაქციოთ, ფესვმაგარ მუხად, რომელსაც შევეფარებითო, — აღნიშნა გორის უნივერსიტეტის პროფესორმა **შოთა ქურდაძემ**.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა **თინა სოსანიძემ** კი წლევანდელი შეკრება ახალგაზრდების სიმრავლით გამოარჩია და დასძინა, რომ ამ ყველაფერს გორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიღწევად მიიჩნევს.

— მათ დააინტერესეს ახალგაზრდები ელიზბარ ერისთავის პიროვნებით. ჩვენს მუზეუმში არის სტენდი, რომელიც ელიზბარ ერისთავს ეძღვნება... და გთხოვთ ყველას, თუკი შესაძლებელი იქნება, მოგვაშველეთ ნივთები თუ საარქივო მასალა ექსპოზიციის შესავსებად და გასამდიდრებლად, რათა კიდევ უფრო მეტი რამ მოვუთხროთ დამთვალიერებელს ამ მოღვაწის შესახებ.

ახალგაზრდებზე გაამახვილებს ყურადღებას თავის გამოსვლაში სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი **ნინო ვახანია:**

„გაფიქრება იმისა, რომ წლების შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, იქნება ეს ძეგლი — და მის წინ იდგებიან ახალგაზრდები, რომლებიც არასოდეს იკითხავენ, ვინ იყო ელიზბარ ერისთავი, რადგან გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს ყოველთვის ეცოდინებათ მისი ღვაწლი — იმედით მავსებს, რწმენას მმატებს შეგნება იმისა, რომ კვლავაც იარსებებს ის იდეალი, ელიზბარ ერისთავს რომ მოეხაზა და ზერელე სიტყვად არ მიიჩნევენ სტრიქონებს: „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“.

იანვრის სუსხიანი დღე იყო.

თეთრად დაფიფქულიყო არემარე და სიმბოლურად მიიჩნევდა მაინცდამაინც ამ დღეს თოვლის მოსვლას პროზაიკოსი **ზაურ წაქაძე,** იმ სიწმინდედ მოიაზრებდა, ელიზბარ ერისთავის ხსოვნაში რომ გასიმბოლოვებულიყო.

ცოტა მოგვიანებით ეს განცდა თუ მიგვყვებოდა ატენის ხეობაშიც.

ღრუბლებში სუსტად, მაგრამ რაღაცნაირად იმედიანად ენთო მზე. მთების თოვლიან კალთებზე ალივლივებული სხივები მწვერვალებისკენ იკრიბებოდნენ. და ასდიოდა ხეობას ნისლები, „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი“. მერე უფლისციხესაც შევავლებთ თვალს, კლდეზე გადმომდგარ ტაძარს, ბაგრატ მესამის მიერ აგებულს სიმბოლოდ იმისა, რომ სწორედ აქ შეკრიბა დარბაზობა, აქ გამოასვენებინა ხატი, რომლის წინაშეც საქართველოს მთავრებს ფიცი დაედოთ, რომ ერთი დროშის ქვეშ გააერთიანებდნენ ქვეყანას.

**ზურაბ სადაღაშვილი,** უფლისციხის მუზეუმის დირექტორი, მიგვიძღვებოდა სამიათასწლოვანი ძეგლის ისტორიაშიც და გზებზეც, რომლებიც სულ ახლახან შეუკეთებიათ და თანამედროვე სტანდარტებით რესტავრირებულ კომპლექსს ახლა საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, კაფე-ბარი და მაღაზიაც დაამშვენებს.

რაღაცას თავისას ჩხრიალებდა მტკვარი.

მზე მთების უკან ჩაგორებულიყო.

ბინდი წვებოდა საქართველოს გზებზე.

XXI საუკუნე გვახსენებდა თავს ანთებული ელექტრონებით და უცნაური განცდა გვიპყრობდა, განცდა წარსულისა და მომავლის გზასაყარზე დგომისა, თითქოს აქედან, უფლისციხის ქვაბულებიდან ერთდროულად გავცქეროდით ისტორიის ლაბირინთებსაც და ახალი ათასწლეულის გზებსაც...

ოღონდ ეს იქნებოდა მერე...

ჯერ კი კვლავ ელიზბარ ერისთავის ძეგლთან ვიდექით და ის გაიცქირებოდა სადღაც შორს, რაღაცნაირი სევდიანი მზერით, აუხდენელი ოცნების ტკივილითა თუ დარდით.

და ახალგაზრდა მწერალი **ზვიად კვარაცხელია** ამბობდა თავის სიტყვას:

— საგულისხმოა ის, რომ ელიზბარ ერისთავის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოშია და ყველა თაობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შეუძლიათ დაიბეჯითონ, იცოდნენ, თვალწინ ჰყავდეთ ეს გმირი და იწამონ როგორც შეწირული.

დღევანდელი დღე გაგრძელებაა იმ დღეებისა, რომელიც მარტო ელიზბარ ერისთავს კი არა, მთელ ქვეყანას ეკუთვნის და ელიზბარ ერისთავის გახსენებით ვიხსენებთ იმ საქართველოს, რომელზეც იგი ოცნებობდა.

ეს საქართველო ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გვაქვსო.

მერე პედაგოგი **ნინო ქოქოშვილი-ხუციშვილი** და ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი **თეონა ქურთაული** მადლობას უხდიდნენ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას ამ დღის დამკვიდრებისათვის.

მერე გორის უნივერსიტეტის პროფესორი **მარინე გიგაშვილი** ამთავრებდა იმდღევანდელ შეკრებას და ამბობდა, რომ სრულიად ახალი ცნობები აღმოჩენილიყო ელიზბარ ერისთავის შესახებ და ახლა ამ მასალებს სჭირდებოდა გამოკვლევა.

მერე, გორის ხარების ტაძარში დეკანოზი **ალექსანდრე დარახველიძე** აღავლენდა ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პარაკლისს და ლოცავდა და აკურთხებდა ყველა შეკრებილს ამ დიდი მოღვაწის ხსოვნის პატივგებისათვის.

მერე კი... დღის ბოლოს ახალი ათასწლეულით განათებულ გზებზე რომ მიქროდა მანქანა და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, თითქოს ვალმოხდილნი დიდი წინაპრის წინაშე, ცოტათი შეციებულნი და მანქანის გალღუნებულ სალონში მომთენთავად ჩამთბარნი, ამ დღის მადლითა და ატენური ღვინით გაძლიერებულნი ჩვენ-ჩვენ ფიქრებს რომ შევყოლოდით, აი, სწორედ მაშინ იყო, რომელიღაც ჩვენგანმა რომ ჩაილაპარაკა:

— რაღაცნაირი იმედიანი დღე იყო და იმედიანადაც დაღამებულაო...



*ელიზბარ ერისთავის მემორიალი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკვერში*



მისწრაფებათა მრავალმხრივობა გიზო თავაძის პიროვნებას განსაკუთრებულ კოლორიტულობას სძენს და დასამახსოვრებელს ხდის მის ლექსსაც, მოთხრობასაც, პუბლიცისტურ სტატიასაც, მის განსხვავებულ იუმორსაც... მნიშვნელოვანს ხდის მის ბიოგრაფიასაც, და არამარტო ქუთაისის (სადაც წარმატებით მოღვაწეობს კულტურული ცხოვრების შესაქმნელად), არამედ მთელი ქვეყნის ფონზე — თავისი დისიდენტური წარსულითაც და ამჟამინდელი ენერგიული მოქმედებითაც. უამრავ სასიკეთო საქმეს დააჩნია თავისი კვალი — ხან როგორც მონაწილემ და ხელშემწყობმა, ხან როგორც ინიციატორმა და ორგანიზატორმა. მისთვის საქვეყნო სატკივარი ყოველთვის ღრმადპიროვნული განცდა გახლდათ, ქვეყნის ნყლულთა მოზარეობა — ცხოვრების სტილი. ლექსი — „და ავირჩიოთ ნაზარეველი!" — რომელსაც ამჯერად ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს, რელიეფურად, შთამბეჭდავად, ნამდვილი სამოქალაქო ლირიკისათვის ნიშანდობლივი პათოსითა და დაურიდებლობით, კონტრასტების მარჯვე მონაცვლეობით წარმოაჩენს იმ მძაფრ დრამატიზმს, რაც პოეტის სულში ტრიალებს და გამოსავალს დაეძებს, რათა ჩვენი სახელმწიფოებრივი ძალმოსილება ძალზე შორეული და ბუნდოვანი ოცნება კი არ იყოს, არამედ ხელისგანვდენაზე საგულვებელი რეალობა.

გიზო თავაძე

## და ავირჩიოთ ნაზარეველი!

მე შენზე დარდით, ვიცი, მოვკვდები,
მე შენზე დარდი დღემდე მინელებს,
ვით ზამთრის პირას მკვდარი ფოთლები,
ვით გამოცლილი ღვინის ბოთლები,
არ მოვაკლდები თვით ჩემს ბინელებს.

არ მოვაკლდები ქარიყლაპიებს,
თავისუფლება რომ არ გვალირსეს,
თავად მონებმა, ვერ გვაპატიეს
ურჩობა, ჰოდა დაგვახარისხეს
და მიგვაკერეს ბითურ პარტიებს.

ვერ შეველიეთ წითელ ბელადებს,
დღემდე ტაშს ვუკრავთ
ცინიზმს, ლიზლობას,
გვიხარია, რომ ვლებავთ ვერანდებს,
მაინც ვატარებთ გულში ვერნადებ
ავად სახსენებ კომუნისტობას.

ლამის ნახირად იქცა თაობა,
თუმც საძოვრები ერთობ მცირდება,
მე შენზე ლექსი არ მომწყინდება,
ოღონდ არ შეგვრჩეს არარაობა,
ოდენ პური და სანახაობა!

მე შენზე დარდი გადამიყოლებს,
ვერ გეგუები აგრე მძინარეს,
ბერბიჭაშვილებს, გიგლა-გიგოლებს,
გუგულის კვერცხებს ვინაც გიგორებს,
ნუ მიენდობი პირმომცინარეს!....

ჟამი მოვალს და ერთად იქუხებს,
ჟამი მოვალს და ერთად იელვებს,
დედასამშობლო კვლავაც იკრუხებს,
მცხეთას მირონი ისევ იდუღებს,
დედას ვუტირებთ გადამთიელებს.

უფლის ნებაა, თუ ვინ გადარჩეს,
უფლის დედაა - ჩვენი სავანე,
ვერ გამოგვიტანს ვერვინ განაჩენს,
ხვალ ისტორია იტყვის დანარჩენს,
ვინ უპატრონებს ზვრებს და სამანებს.

და მაინც, მაინც შიში მანვალებს,
ტაძრად ურწმუნო რომ არ ჩასახლდეს,
ურჯულოები გკვეცენ ნაწნავებს,
შავი ფრჩხილებით ფრესკებს კანრავენ,
ვაითუ გაძლოს და არ ჩაძაღლდეს.

ჩვენ ვერ დავრჩებით ხელის ბიჭები,
თუ ვინმეს მოსწონს, ღმერთმა შეარგოს,
ცაზე ღრუბლები წვანან იჭვებად,
ორად ვერავინ ვერ გაიჭრება,
ელადისაკენ მიცურავს არგო....

იქ ბევრს აჭამეს ალიყურები,
თრიაქის კვამლშიც ბევრი გაბოლეს,
ვახშმად მიუგდეს ხარის ყურები,
აქეთ არცერთი არ იყურება,
გააბანკროტეს და გააბონეს.

გადაავიწყდათ სნო და არლუნი,
იმშობლიურეს ცივი კანადა,
ვილაცას უნდა გეი ალლუმი,
ვილაცას ბომბი ანუ ლალუმი
და ცოტას ახსოვს შობა-კალანდა!...
მოდური გახდა სიტყვა ბიზნესი,
აქ იყიდიან, იქ გაყიდიან,
ვინაც ვერ შეძლო, მათი ვის ესმის,
არადა მცოდნე ვერდის, ბიზესი,
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე კიდია....

მე შენზე დარდმა ბევრჯერ მომცელა,
ვით ებრაელნი სასტიკმა გეტომ...
იმან ქვეყანა ასე მოწველა...
ამან სამშობლო ისე მოწველა...
ხმა ამოიღე, ინტელიგენტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიადაგ ისმის: კლანი, მაფია,
ხვალაც მრავალი გამათხოვრდება...
წუთისოფელი ვისთვის თაფლია,
ჯიშს კი აწუხებს დემოგრაფია,
ქალი კი არა, კაცი თხოვდება!?.

მე შენთვის ურჩხულს შევერკინები,
მარად იმათი მტერი ვიქნები,
რომელთ გაზიდეს ხე-ტყე, რკინები,
დღეს კი გვმოძღვრავენ მორომშკინები,
ო, დავიღალეთ მათი ლიქნებით...

შემოიძარცვეს ტანზე სამოსი,
ვინ მოიზომოს ჯვალო, ფლასები,
გოგო ოცისა, კაცი სამოცის,
ზოგჯერ პირიქით,—ყმაწვილს გამოცდის,
შუახნის ქალის მასტერკლასები...

მტერს და მოყვარეს ცნობა კი უნდა,
თუ ომში შეხვალ, ფარით ან ფარზე...
მოკეთემ ჩვენს სისხლს ჯამი მიუდგა,
რის მეზობელი?—არის იუდა!
რომ გადაგვყლაპოს, მომდგარა კარზე.

ყველამ შეირგოს ქვა და გორეხი,
მშობლიურ მიწის ბაკმი ართვალი, -
ტაძარი კლდეში ნაშენ-ნათალი;
ვინც სომეხია, იყოს სომეხი!
ვინც თათარია, იყოს თათარი!

ძაღლმაც კი იცის ძაღლის დანდობა,
თუ მგლების ხროვა მოადგა ფარას,
ჩვენ ვერ დაგვღალა დარდიმანდობამ,
სიმღერამ, როკვამ და თამადობამ,
მაინც ჯიუტად მივყვებით შარას...

იყო დრო,
როცა ფრანგულს ველტვოდით,
სპარსულის სიტკბომ ბევრი ამღერა,
ორას წელიწადს რუსულს ვეტრფოდით
და ვიდრე ბრეტანთ ენით ვიტყოდეთ,
ვთქვათ გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა! -
სიტყვა რამხელა...

სული ცაშია, როგორც ფრინველი,
დარუბანდიდან მიქრის ნიკოფსით...
დედამიწაზე ნომერ პირველი
ადამიანი, — ჩვენი მითოსი, —
ღმერთმა გვიცოცხლოს კათალიკოსი!..

ბევრმა კირთებამ გადაიარა,
მტერს კვლავ იზიდავს ჩვენი ტყე-ველი,
სამშობლო ლამის იქცეს პიარად,
მართალს ვემტკიცოთ, მტყუანს კი არა
და ავირჩიოთ ნაზარეველი!

და ავირჩიოთ ნაზარეველი!



კოტე კაიშაური

# მაკამა და მისი სიცოცხლის ძარღვი

სანიმუშოდ მოხმობილ ხუთ მაკამას შორის „თბილისური მაკამაც" შემოგვანათებს.

ალ-ჰარიფ იბნ ჰამმამი შორეულ გზას რომ დაადგება ლოცვა-ლოცვით, ბოლოს თბილისამდე უნდა ჩამოაღწიოს და აქ ერთი შეიხის თაღლითობის შემსწრე შეიქნეს, დავრდომილს რომ თამაშობს, რათა ამ ხერხით — და ამასთან ენაწყლიანობით — ფული მოკრიბოს.

მთხრობელს რაღაც იდუმალმა ხმამ უნდა უბიძგოს, რათა შეიხს უკან გაჰყვეს, და იმასაც გუმანმა უნდა შთააგონოს, ვინც ფეხდაფეხ აგდევნებია, შენი გამოაშკარავება კი არ განუზრახავს, არამედ მონათესავე სულია და მასთან დამეგობრება ორივესთვის სახეირო იქნებაო.

ასეც მოხდება და მაკამა კიდეც მთავრდება, რაც ნიშანდობლივია ამ ჟანრისათვის, არაბული ენობრივ-ესთეტიკური წიაღიდან რომ იშვა და ასწლეულთა მანძილზე თითქმის უცვლელად შეინარჩუნა თავისი ფორმაც და შინაგანი სტრუქტურაც.

თბილისი საიდან გამოჩნდა ამ ჟანრის დაუსრულებელ ნაკადში?

ეს შემთხვევითობა არა ყოფილა, რადგანაც ჩვენი დედაქალაქი არაბთა გზასავალზე იდო მათი ბატონობისასაც და მფლობელობის დამხობის შემდეგაც და მაჰმადიანი მოსახლეობაც საკმაოდ მომრავლებულიყო თბილისის ცხოვრებაში. აგერ მთხრობელი მაჰმადიან მლოცველთა მთელ ჯგუფს უნდა გადააწყდეს, რომელნიც ავლადიდებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ლოცვას არავინ უშლით და ქრისტიანულ გარემოში შინაურულად გრძნობენ თავს.

როდესაც რამდენიმე მაკამა უნდა დაერთოს ამ ჟანრისადმი მიძღვნილ წიგნს სანიმუშოდ, ცხადია, მკვლევარს — და იმავდროულად მთარგმნელს — თბილისთან დაკავშირებული ნიმუში არაფრისდიდებით არ გამორჩებოდა და შესაფერის ადგილსაც მიუჩენდა.

თვალსაჩინოებისათვის დართული ეს ნიმუშები ის ერთგვარი ჭაშნიკია, რაც თავისთავად მოითხოვს შევსებასა და ცალკე კრებულად გამოცემას, რაკიღა ამ მონოგრაფიის — „მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010) — წყალობით გზა უკვე გახსნილია, ნინო დოლიძის მთარგმნელობითი ხელოვნება კი იმ მომავალ წიგნს ისეთივე განუყოფელ ნაწილად აქცევს ჩვენი სამწერლო პროცესისათვის, როგორც მურიდ ალ-ბარღუთის „მე ვნახე რამალას" ქართული ვერსია და ეს მონოგრაფია აქცია.

„მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში" ისეთი ერუდიციითა და სიღრმითაა გააზრებული, ისე ხელშესახებად და ნიუანსობრიობით გადაგვეშლება მისი თავგადასავალი, რომ კიდევ ერთი ბელეტრისტული ნაკადის არსებობა ავსებს ჩვენს თვალსაწიერს, და ამასთან ერთად კიდევ გვიდასტურებს, თუ რას ნიშნავს ეროვნული ლიტერატურული ტრადიციის ერთგულება — მაკამა ხომ უშუალოდ არაბული ჟანრია, მისი წიაღიდან ამოზრდილიც და კლასიკურადვე ჩამონაკვთულიც, და თუმც შესაძლებელი გახლდათ მისი ერთგვარი გაფერმკრთალებაც დროთა მანძილზე, XX საუკუნე ახალი სიცოცხლით ალავსებდა და გაათვალსაჩინოებდა, რომ მაკამას გაქრობის საფრთხე უკვე აღარ შეიძლება დამუქრებოდა.

ამ ჟანრს ზოგიერთი მკვლევარი რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც მიანიჭებდა და დაიწყებდა მტკიცებას, რომ მაკამაში არსებულმა თაღლითობის ელემენტებმა საკმაო ზეგავლენა მოახდინეს ესპანური პიკარესკული რომანის ჩამოყალიბებაზე, ხოლო რაკიღა პიკარესკული რომანი მიჩნეულიყო ევროპული რომანის წინამორბედად, თურმე სადამდე შეიძლება აზიდულიყო მაკამის დამსახურება დასავლური ლიტერატურის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ახალი წიგნები



წინაშე — ევროპული რომანის დაფუძნება მას განუსაზღვრავს და ეგაა.

ცხადია, მთლად ვერ გავიზიარებთ ამგვარ მოსაზრებებს, თუმც ამ ჟანრსა და პიკარესკულ რომანს შორის საერთო ნიშნების მიგნება და ამ მიმართულებით ძიების გაგრძელება ზედმეტი ნამდვილად არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ ჟანრის ზეგავლენას ებრაულ, სირიულ, სპარსულ სამწერლო პროცესებზე, ახლოაღმოსავლურ კულტურაზე, ის კი არა, ვეება სივრცეზე — ინდოეთიდან ესპანეთამდე, იქ ეს საკმაოდ თვალსაჩინოა, რაკილა მაკამა თავისი კლასიკური აღნაგობითაც განმეორებულა ამ სხვადასხვა ენობრივ სივრცეში და დიდი პოპულარობაც მოუპოვებია თავისი შთამბეჭდაობითა და დიდაქტიკურისა და სახალისოს მოხდენილი ურთიერთგანმსჭვალვით... მაგრამ თანდათან ამოუწურავს ამ ჟანრს თავი ყველა ამ გარემოში და კიდეც გასულა ასპარეზიდან. ამ ქვეყნების მწერლები დიდად არ გამოსდევნებიან და მისი ახალი სიცოცხლით აღვსებაზე არ უზრუნიათ, რაკილა გარედან იყო შემოსული. დაე მისი განახლება იმათვე მოენდომებინათ, ვინც საკუთარ გამოგონებად და მიღწევად მიითვლიდა მაკამას.

აკი კიდეც მოება თავი მის გადახალისება-აღორძინებას.

მაინც რას გულისხმობს მაკამა?

ნინო დოლიძე ამ ჟანრის თავისებურებას ამგვარად განგვიმარტავს, რომ: ესაა მცირე მოთხრობა გამოგონილ გმირზე, რომლის შესახებაც მთხრობელი ჰყვება. ავტორი ჩვეულებრივ ქმნის რამდენიმე ათეული მაკამისაგან შემდგარ ციკლს, რომლის გმირიც ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობს და გვიყვება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ამბებს იმპროვიზაციის იშვიათი ნიჭითა და მჭევრმეტყველებით, რასაც სხვათა მოტყუება-გაცუცურაკებისათვის იყენებს. მაკამა შეიცავს ქადაგებას, შეგონებას, დიალოგს, ამა თუ იმ თემის განსჯას, ანეკდოტს, ეპისტოლეს, ლექსებსაც. მათ ჩაურთველად წარმოუდგენელია ეს ჟანრი, ისევე, როგორც გარითმული პროზის — არაბულად: საჯ'ი — გარეშე.

თავის დროზე ისე აღიარებულიყო და ერთადერთ ლიტერატურულ ჟანრად დამკვიდრებულიყო არაბულ სამყაროში სალექსო ფორმა კასიდა, ისეთი მოქალაქეობა მოეპოვებინა და ხელისუფალნიც სრულ თანადგომას უცხადებდნენ, ძნელი წარმოსადგენიც კია, რომ მის გვერდით ეს პროზაული ჟანრიც გამოკვეთილიყო, მაგრამ იდუმალმა კანონზომიერებამ სხვაგვარად განსაჯა და მაკამა იშვა, რათა გარეგნული ფორმა სამუდამოდაც შეენარჩუნებინა, ეგაა, მოდერნიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის ჟამს ათი საუკუნის წინათ მასში საგრძნობლად გამჟღავნებულ დიდაქტიკას უნდა შელეოდნენ და კიდევ უფრო გაემკვეთრებინათ იუმორისტული ელემენტები, რამაც გამოიწვია ამ ჟანრის გარდაქმნა სატირულ-იუმორისტულ ყაიდაზე და კიდეც იხსნა გაქრობისაგან. ხოლო ის ერთგვარი ეკლექტიზმი, რაც იმთავითვე მოჰყვებოდა მაკამას ერთ უმთავრეს თავისებურებად, პოსტმოდერნისტული სტილისტიკის ფონზე უკვე ჩვეულებრივ მოვლენად წარმოდგება.

მაკამა, როგორც ჟანრი, გადაგვარდა და მარტოდენ ფორმა შემოგვრჩა, გარეგნული, ფორმალური ნიშნები და არა სულიო, — ეს შეხედულებაც გამოთქმულა, თუმც ნინო დოლიძე, ერთიანად მოქცეული ამ ჟანრის მხატვრულ სინამდვილეში, ვერ გაიზიარებდა ამ გულისტკივილსა თუ სინანულს, რაკილა გარეგნული ნიშნების შენარჩუნების კვალდაკვალ მაკამის სულის გადარჩენასაც თვალნათლივ ხედავს და დამაჯერებლადაც ასაბუთებს.

და მისი ძიებების წყალობით მკითხველიც რწმუნდება, რომ შინაგან განახლებას, ერთგვარ გარდასახვას მაკამის სული არ დაუკარგავს, დასავლური ჟანრების მოძალებას მაკამის სული არ გაუქრია, და ამიტომაც „მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში" მარტოდენ ისტორიული ტრადიციის გააზრება-გათვალისწინებისათვის კი არ გამოგვადგება, არამედ მისი, როგორც დღევანდელი და სამომავლო სამწერლო ნაკადის სიცოცხლისუნარიანობის შესაცნობად — როგორ გადაირჩინა თავი გასაქრობად განწირულმა ჟანრმა თავისი ეროვნული ძარღვის წყალობით, რაც ასერიგად მნიშვნელოვანია ზოგადესთეტიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც.

## ქრონიკა

დიდ რეჟისორს **მიხეილ თუმანიშვილს** 6 თებერვალს 90 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღს მიეძღვნა კვირეული, რომელიც რუსთაველის თეატრში გახანგრძლივდა 7 თებერვალს. იმავდროულად, რჩეული თეატრის მცირე დარბაზში – დიდი ტაძრის მორჩილ სამლოცველოს რომ ჰგავს, გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა **„მარადი ბერიკა"**. ავტორი არის ცობილი თეატრმცოდნე **ნათელა არველაძე**. მრავალმხრივ საინტერესო, ჩვეული პროფესიონალიზმით აღბეჭდილი ეს მშვენიერი კრებული ავტორმა მიუძღვნა დიდი მაესტროს მოღვაწეობას, მის დაუვიწყარ სახელს. ღონისძიება გახსნა რუსთაველის თეატრის დირექტორმა მსახიობმა **ზაალ ჩიქობავამ**.

სალამოს შთამბეჭდავად უძღვებოდნენ **ნათელა არველაძე** და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იოსებ ჭუმბურიძე**, რომელიც რედაქტორი არის ამ ახალი წიგნისა.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწენი: **გურამ საღარაძე, სოსო ლალიძე, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, ნუგზარ ბაგრატიონი, გივი ჩუგუაშვილი, გოგა პიპინაშვილი.**

თითოეული გამომსვლელის სიტყვა იყო სიყვარულისა და მადლიერების გაცხადება დიდი მაესტროსადმი. ამავე დროს არც ახალი გამოცემის ავტორის ღვაწლი გამორჩენიათ.

ნათელა არველაძის წიგნი „მარადი ბერიკა" შესაფერისი ეპითეტებით შეამკო და მიმოიხილა ქართული ჟურნალისტიკის უხუცესმა წარმომადგენელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ნოდარ ტაბიძემ**. საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარეს მსმენელს მხატვარმა **ემირ ბურჯანაძემ** და მუსიკათმცოდნემ **გომარ სიხარულიძემ**. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა **ნინო კასრაძემ** და **თემურ ჭიჭინაძემ** წაიკითხეს ამონარიდები ახალი წიგნიდან.

დასასრულ სამადლობელი სიტყვის წარმოთქმისას, ნათელა არველაძემ აუდიტორიას აუწყა, რომ შრომა არ დაუსრულებია მიხეილ თუმანიშვილის ღვაწლის წარმოსაჩენად, და უკვე ემზადება უფრო სრულყოფილი, საინტერესო მასალებით გამდიდრებული ახალი წიგნი შესთავაზოს მკითხველს – ქართული თეატრის ერთგულ თაყვანისმცემელს.

ლიზიკო გაბუნია

# სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა

*ერთად ვიყავით, ჩვენ ყოველთვის*
*ერთად ვიყავით,*
*სინამდვილეა, არ ეგონოს ვინმეს იგავი.*
*სიმონ ჩიქოვანი*

მსოფლიო პოეზია იცნობს უამრავ შესანიშნავ ლექსს, რომელიც ხოტბას ასხამს ქალს, მისადმი სიყვარულს. ეს დიდი გრძნობა ხშირად შედევრთა შექმნის მიზეზი ხდება. მაგ.: ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე", გალაკტიონის „მერი", გიორგი ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე", ტიციან ტაბიძის „ანანურთან", პუშკინის, ბაირონის და სხვათა მრავალთა საქვეყნოდ ცნობილი ლექსები. ხშირად პოეტები არა ერთ ან ორ, არამედ მთელ ციკლებს უძღვნიან საყვარელ ადამიანს. გავიხსენოთ დანტე ალიგიერი და მისი მშვენიერი ბეატრიჩე, რომელსაც პოეტი არც კი დალაპარაკებია, მაგრამ მთელი ცხოვრება ეტრფოდა მიუწვდომელს და საოცნებო ქალბატონს. ასეთივე საოცნებო ქალბატონი იყო ბლოკის სატრფიალო ლექსების ადრესატი. „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე" ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ალეგორიულად სამშობლოს სიყვარულს და მასზე დარდს გამოხატავს, ეს „მშვენიერი ქალბატონი" მის სამშობლოს განასახიერებს.



*სიმონ ჩიქოვანი თვალდაშრეტილობის ჟამს*

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა განსხვავებული ხასიათისაა მისი რეალობიდან გამომდინარე. სიმონმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თვითონვე მოუყარა თავი მეუღლისადმი მიძღვნილ ლექსებს, ჩაალაგა საქაღალდეში და დააწერა „მარიკას". ეს ლექსები ნიკა ჩიქოვანმა 1977 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „შინ შემოგაქვს ყვავილები" („ნაკადული"). გადავწყვიტე, ამ წიგნსა და სხვა პუბლიკაციებზე დაყრდნობით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამეანალიზებინა სიმონის სატრფიალო ლირიკა და მეჩვენებინა იმ ლეგენდის შექმნის გზა და რეალური საფუძველი, რომელსაც სიმონისა და მარიკას სიყვარული ერქვა. რით განსხვავდება სიმონ ჩიქოვანის სასიყვარულო ლექსთა ციკლი სხვა ანალოგიური ხასიათის ლექსებისაგან? 1. ეს ლექსები რეალურ ქალს ეძღვნება; 2. ეს ქალბატონი პოეტის მეუღლე მარიკა ელიავა-ჩიქოვანია და 3. ციკლი მთელი ცხოვრების მანძილზე იქმნებოდა (გაცნობის დღიდან პოეტის გარდაცვალებამდე). სიმონს აქვს სხვა ქალებისადმი მიძღვნილი ლექსებიც, მაგრამ ისინი 1927 წლამდე, მარიკას გაცნობამდეა დაწერილი.

აღნიშნული ციკლის ლექსებში ოცნება და სინამდვილე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. დროსთან ერთად პოეტის გრძნობებიც განიცდის ტრანსფორმაციას და ეს ჩანს ტონალობაში, მეტაფორაში, დინამიკაში. მჩქეფარე ოცნებას ცვლის თავდაჯერებული, ბედნიერი კაცის ფიქრი, რომელსაც გვერდით ჰყავს ბედნიერების წყარო. როგორ წარმოიშვა ეს გრძნობა, როგორ ჩამოყალიბდა, როდის და რატომ? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, ამაში უდავოდ განგების ხელი ურევია. მაგრამ რომ მივუახლოვდეთ მაინც მისი წარმოშობის მიზეზებს, უნდა გავიხსენოთ ზოგიერთი რამ პოეტის ბიოგრაფიიდან.

სიმონ ჩიქოვანი დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკაოში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. ბებიამ და მამამ ზეპირად იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი" და ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პოემის სტრიქონთა თქმაში. რასაკვირველია, ამანაც ითამაშა როლი ბავშვის სულიერების ჩამოყალიბებაში. საყურადღებოა, რომ მას სულ ადრეული ასაკიდან რაღაც ტრაგიზმი სდევდა თან. დედა მის გაჩენას გადაჰყვა. უმცროსი დაიკოც ახალგაზრდობაში გარდაიცვალა. ამან დიდი დაღი დაასვა მის მომავალ ცხოვრებას. უდედობას ძიძა და ბებია უმსუბუქებდნენ. ძიძაც ადრე დაკარგა. არც ბებიას უცხოვრია დიდხანს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადრე დაღუპულ ქალბატონებს პოეტმა ძალიან თბილი ლექსები უძღვნა. ბავშვი უდედობას დიდად განიცდიდა. ძალიან ადრე დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. მამას ესმოდა, რომ აუცილებელი იყო მისთვის განათლების მიღება და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიაბარა. ის მოწყდა მშობლიურ სოფელს, გარემოს, სახლს და ახლობლების სითბოსა და ალერსს. ქუთაისში მის მარტოობას ლიტერატურისადმი სიყვარული ავსებდა. მაშინ ამის პირობები იყო. მადლიერების გრძნობით იხსენებდა რეალური სასწავლებლის ქართულის მასწავლებელს. დაუმეგობრდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეებს, მათთან ერთად მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოებში. მერე მამაც გარდაიცვალა. მამის დანატოვარი ეყო სასწავლებლის დამთავრებამდე (მან და მისმა დედინაცვალმა ნაესაკაოში სახლი გაყიდეს და ფული გაიყვეს), სწავლის გაგრძელების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალება კი აღარ მიეცა. თბილისში პირველად ავბედით 1921 წელს ჩამოვიდა, რათა ჯარში მოხალისედ ჩაწერილიყო და დამოუკიდებელი საქართველო დაეცვა. ჯარში ის და მისი მეგობრები მიიღეს, მაგრამ ბრძოლაში არ გაიყვანეს, ალბათ ასაკის გამო (17-18 წლისანი იყვნენ). მან დამარცხებულ ჯართან ერთად გაიარა გზა თბილისიდან ქუთაისამდე, რაც დიდ ტრაგედიად აღიქვა. ეს მის შემოქმედებაშიც აისახა და პირად საუბარშიც იგრძნობოდა. 18-19 წლის ბიჭი თავიდან რომელიღაც გაზეთში ტექნიკურ მუშაკად აიყვანეს. თბილისში მას დიდი გაჭირვება ელოდა და ერთადერთი, რასაც შეეძლო მისი გადარჩენა, იყო მისი შემართება, ლიტერატურული და პოეტური ნიჭი, რომელიც მაშინ უკვე იკვეთებოდა, და აგრეთვე ცოდნის შეძენის დაუღალავი და თავგანწირული ჟინი, რომელსაც უნდა შეევსო უმაღლესი განათლების არქონა. 1921 წლიდან გადაეშვა 20-იანი წლების ბოჰემურ ცხოვრებაში, რომელიც მაშინ საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი იყო. მისი იმდროინდელი მატერიალური მდგომარეობის დასახასიათებლად კმარა მეგობართან ერთად ბესიკის ქუჩის ბოლოში დაქირავებული ერთი ბეწო ოთახი, რომელშიც პატივსაცემი სტუმრის მიღება შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, მეგობრები ხშირად სტუმრობდნენ. ისინი ისეთივე უპოვარნი იყვნენ, როგორც მასპინძლები. ლიტერატურაში უკვე ჩამოყალიბებული ბუმბერაზების გვერდით მათი ადგილი არ იყო. მათ რაღაც ახალი სიტყვა უნდა ეთქვათ ქართულ ლიტერატურაში. ეს ახალი სიტყვა ფუტურიზმი აღმოჩნდა. მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს ახალი მიმართულება ჩამოყალიბდა ან ყალიბდებოდა და ახალგაზრდა ჯგუფმა ფუტურისტობა გადაწყვიტა. 1924 წელს ახალგაზრდა აქტიური ფუტურისტი, რომელიც მხოლოდ ორი ლექსისა და ერთი ექსტრავაგანტური ლიტერატურული სტატიის ავტორი იყო, ახალდაარსებულ ჟურნალ „მნათობში“ ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს, შემდეგ კი მწერალთა კავშირში რაღაც თანამდებობაზეც მიიღეს.



*მარიკა ელიავა-ჩიქოვანი*

1926 წელს რუსთაველის პროსპექტზე მეგობრებთან ერთად იდგა 23 წლის დამწყები პოეტი.მისი ყურადღება 18-ოდე წლის გოგონამ მიიპყრო. იგი უფროს დასთან ერთად მოდიოდა. სიმონი ველარავის ხედავდა მის გარდა. ის იყო ტანკენარი, ნაზი, ცისფერი მონგოლური ჭრილით დამშვენებული თვალებით, ჭკვიანი და ამაყი.

— ვინ არის ეს გოგო სუსანა ელიავასთან ერთად რომ მოდის! — იკითხა გონზე მოსულმა სიმონმა.

— მისი უმცროსი და მარიკა – უთხრეს მეგობრებმა.

— სწორედ მაგას შევირთავ ცოლად!

ეს საკმაოდ თამამი ნათქვამი იყო. სიმონმა განსაკუთრებული მოკრძალებით და სიფრთხილით დაიწყო სიყვარულის ბადის მოქსოვა. იგი ეთაყვანებოდა მარიკას, როგორც რეალურ ქალს და როგორც ოცნებას, სწორედ ეს ჩანს ერთ-ერთ პირველ ლექსშიც, რომელიც დაქორწინებამდე, 1927 წელს, მიუძღვნა სატრფოს.

**ეს გული შენკენ ქარივით ილტვოდა,**
**არ მსურდა სიწმინდის შელახვაც,**
**მე შენი სხეულიც მინდოდა**
**და შენი ბავშვობის შენახვაც.**

მარიკა საკმაოდ მკაცრი და, ამავე დროს, მოკრძალებული იყო და სიმონს მოგვიანებით ლექსი ასე შეასწორებინა:

**მე შენი ტრფიალიც მინდოდა**
**და შენი ბავშვობის შენახვაც.**

ბევრი რამ ელობებოდა მათ წინ. 7 წელი მოუნდა თავისი სიტყვის შესრულებას პოეტი და 1933 წელს მან ცოლად შეირთო მარიკა ელიავა. არც ქორწილი ჰქონდათ, არც ბეჭდები, არც თაფლობის თვე. ორი მოწმე წაიყვანეს ზაგსში – ირაკლი აბაშიძე და ზურაბ ელიავა – მარიკას ძმა, რომელიც მათი შეუღლების მომხრე გახლდათ. მათი შეუღლების მომხრე მარიკას მამაც იყო. ბრწყინვალე ინტელიგენტმა ნიკო ელიავამ სიმონს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა (ნიკო და ზურაბი 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა). დები ტიროდნენ – ეს ვის მიყვება ჩვენი დაო! დედა თავშეკავებით იქცეოდა. ზაგსის შემდეგ ისადილეს ერთად და ახალშერთული ცოლი სიმონმა მწერალთა კავშირში მიიყვანა, იქ მას დროებით ერთი ოთახი გამოუყვეს. მეტი არაფერი გააჩნდა. დაქორწინებამდე რომელიღაც მეგობარი თურმე სიმონს ურჩევდა „ნუ შეირთავ მაგ გოგოს, რად გინდა? თავისნებაა, განებივრებული, თანაც ავადმყოფიაო“. „როგორ არ შევირთო, მე მაგ ქალთან მთელი ცხოვრება წინასწარ მაქვს წარმოდგენილიო“.

მართლაც მარიკა გათხოვებამდე მძიმედ ავად გახდა. მშობლებმა ქობულეთში წაიყვანეს და იქ ჰყავდათ ორი თვე. ყოველ შაბათს სიმონი ჩავიდოდა და იმ ფანჯარასთან გაივლიდა, სადაც მარიკა იწვა. უმეტესწილად ვერც კი ნახულობდა და ისე მიდიოდა თბილისში. შემდეგ კი ლექსიც დაუწერია. აი, ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

**შენ ავადა ხარ, ორი თვე არის,**
**გაწუხებს სიცხე, გამაგრებს ლოგინს,**
**წევხარ, გადგია სიყვითლე კვარის**
**და ველარ იტან ღამეს და ლოდინს.**
**..................................................**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შემოდგომის დასასრულს ვიშვი
და მაშინებდა ყოველთვის მარტი,
მუდამ ველოდი სექტემბრის საწყისს,
შემოდგომის ფერს ქვეყნად დაფოთლილს.
ეხლა ვზივარ და ცრემლები მაწვიმს
და ველი შრება, როგორც ნაფოტი.

*1929-30 წწ.*

დაქორწინებამდე პოეტმა თავის მუზას ბევრი ლექსი დაუწერა, ეს ლექსები უმეტესად მიუწვდომელი სანატრელი ქალისადმია მიძღვნილი. მათი გაცნობის შემდეგ 1927/8 წლებში დაიწერა ლექსები, რომელთაც მან „ხუმრობის მსგავსი" უწოდა, კომპლიმენტებს უფრო წააგავდა, უცებ რომ დაუწერს პოეტი ლამაზ გოგონას.

შრიალებენ ხეები და ნაწნავი შენი
შრიალებს, როგორც ფუჩეჩი სიმინდის
მინდა გამკობდეს სითბო ბურბუშელის,
ხაო აბრეშუმის, ფერი გიშერის.
..........................................
შენი სხეული გათლილია როგორც კრისტალი,
შენი ფეხები ხეებია მარმარილოზე,
ეგებ შენ იყავ კრიტიკოსზე უფრო მართალი,
როცა მითხარ: სასაცილო ხარ სასაცილოზე.

ამ ხუმრობით ნათქვამ ლექსებში უკვე ღვივის ის ნაკვერჩხალი, რომელიც შემდეგ ნამდვილი წრფელი გრძნობით აგიზგიზდება.

1923-25 წწ. დაწერილ ლექსებში საოცნებო ქალის სიყვარული ჩანს.

შენთვის ვიწროა ჩემი ოთახი,
ფართო ოთახი ძვირად ფასდება,
ვერ ჩაეტევა შენი ღიმილი
და შენი ლანდიც ვერ მოთავსდება.
......................................
შემოდი ჩემო სულის ღიმილო,
სუნთქვით გავათბოთ ჩემი კედლები,
შენა ხარ ჩემი თეთრი მიმინო
და მე ბაზიერს ღამე ვედრები.

### წერილი მთიდან

მე შენზე ოცნებას ვუფრთხი და
გულს მაინც ედება ხანძარი,
სვანეთში, მთებშიაც დამშვილდე,
მიყვარხარ,
ვინ იცის რარიგად.
ეგების ლატბარზე დავმშვიდდე,
ბარში რომ ვშფოთავდი ღარიბად,
მაფიქრებს ღრუბელი მღელვარი,
მივდივარ, გზა მხვდება ახალი.
სვანეთში ბევრია მწვერვალი
და შენ ხარ ყველაზე მაღალი.

შემდეგი ლექსია „მგზავრის სიმღერა". ეს ლექსი 1927 წლითაა დათარიღებული, მაგრამ აქ ან თარიღია არაზუსტი ან პოეტური ხილვა და წინათგრძნობაა გადმოცემული, ლექსში რეალური ქალის მიწიერი სიყვარულია გადმოცემული შესანიშნავ პოეტურ ფორმაში და აქვე გამოთქმულია თხოვნა, რომ სატრფო მის სულიერ ცხოვრებაში ჩაერთოს. ეს ლექსი უფრო გვიან უნდა იყოს დაწერილი.

ახალგაზრდული ტრფობა გადმოცემულია პირველ კუპლეტებში:

მომგონებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული,
ეს ვაგონები მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.

შენ დარჩენილხარ მთების გადაღმა,
მიკვირს, რომ გული კიდევ მთელია,
გზამ დაგვაშორა, ტურფავ ამაღამ
და ეს მანძილიც ჩვენი მტერია.

შემდეგ სტროფებში ტრფობასთან ერთად პოეტი სთავაზობს საყვარელ არსებას, გაინაწილოს მისი ცხოვრების მთავარი მიზანი – სამშობლოს მსახურება. გული უგრძნობს, რომ ის შესძლებს მისი მეგობარი და თანამებრძოლი გახდეს, რომ უმისოდ ეს ტვირთი მისთვის ძალიან მძიმე იქნება.

სად მიმაქროლებს გზა ანთებული,
მთები განვვლე და განვვლე ჭალები,
საით გავრბივარ შეშფოთებული,
მით მომაშველე ფართო თვალები.

სადგურში მივალთ დანიშნულ დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე,
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

შემდეგი ეტაპი მათი სიყვარულისა გადმოცემულია 1938-41 წლებში დაწერილ ლექსებში. საყურადღებოა „ღამეს ვათევ და..." ამ ლექსში ჩანს არა მარტო სატრფიალო, არამედ სულიერი და ინტელექტუალური ურთიერთობის დასაწყისი.

ღამეს ვათევ და ვერ ვწერ ოქტავებს,
დაწვება ნისლი, შიკრიკი ცისკრის,
შენ მაგონდები და ვერ დაგტოვებ,
სანამ ძარღვებში მღელვარებს სისხლი.

მთაში შეპყრობილ ჯიხვივით მყავდი,
გასწავლე სიბრძნე და გამოგზარდე,
ჩემ სიყმაწვილეს შენ გინახავდი
და საუბრის დროს ვერ გტოვებ ადრე.

ტურფავ მოსულო შორეულ კლდიდან,
ჩემო ჯიხვო და ჩემო ველურო,
ჩემი ხელები ალერსით გზრდიდენ
და ჩემთან რა გაქვს სასაყვედურო.

აქვე მოვიყვან ნაწყვეტს ამავე დროს დაწერილ უსახელო ლექსიდან, რომელშიც იგივე აზრი გამოკრთის:

**შენ თვალებს მოწყდა ეს ვარსკვლავები,**
**მე ავკრიფე და შინ მოვაგროვე.**
**თუ სადმე შეგხვდეს წკვარამი ღამე,**
**ჩუმად მიხმე და შენთან გავჩნდები,**
**ვარსკვლავებს დავთვლი და დაგიბრუნებ,**
**რომ ღამე ხევში გზა გაიშუქო**
**და ჩემი სულის კუნჭულებს ჩაწვდე.**

30-იანი წლების დასაწყისში მათ მიიღეს ბინა მარჯანიშვილის ქუჩაზე აშენებულ მწერალთა სახლში. ეს იყო ეზოში გამავალი პატარა, საკმაოდ ბნელი ბინა, მაგრამ კერა შეიქმნა. ეს ალბათ სიმონისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, იგი ხომ ბავშვობიდან სხვის სახლში ცხოვრობდა. ამ პატარა სახლში – კი მას უსაყვარლესი ქალი ელოდა. მაგრამ მათ ბედისწერა საშინელ განსაცდელს უმზადებდა. დაიღუპნენ მათი უსაყვარლესი ადამიანები – მარიკას ძმა და მამა. რეპრესიებს ემსხვერპლნენ სიმონის უსაყვარლესი პოეტებიც – ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, ფუტურისტი პოეტი, სიმონის უახლოესი მეგობარი, ჟანგო ღოღობერიძე. მათ სახლში გაჩნდა უდედმამოდ დარჩენილი პატარა ნიკა, ზურაბ ელიავას უსაყვარლესი არსება, და შემდგომ, სიმონის ერთადერთი საამაყო ვაჟი. გადატანილმა უბედურებამ კიდევ უფრო დააახლოვა სიმონი და მარიკა. 1938 წელს დაიწერა ლექსი „მიძღვნა".

**მოგშორდები და მგონია თითქოს**
**მე შენი გული მარქაფად მახლავს,**
**ჩემსავით ღელავს, ჩემსავით ფიქრობს,**
**მხოლოდ ერთ ვარსკვლავს ულიმის მაღლა.**

**მე ავჩქარდები შინისკენ მაშინ,**
**თუმცა მეც გიძღვენ ლანდი ამგვარი,**
**არ დამეკარგოს შენი ხმა ქარში,**
**შინ დარწეული, როგორც აკვანი.**

**მართლაც მე ფიქრმა აგრე მაცნობა,**
**რომ ჩემი გული ბუდეა შენი,**
**შენა ხარ ჩემი ახალგაზრდობა**
**და მომავალი სიბერის დღენი.**

ამ ლექსში იგრძნობა, რომ ორივემ ბეწვის ხიდზე გაიარა და რომ სიმონს დარჩა შიში უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვისა (მარიკა თავისუფლად შეეძლოთ დაეჭირათ, როგორც ნიკო ელიავას შვილი, ასეთსავე მდგომარეობაში იყო დედაჩემი სუსანა და მათი უმცროსი და ელისო).

მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე ოჯახი ჰქონდათ, მათი ურთიერთობა არ გაუბრალოებულა, არ დაუკარგავს ამაღლებული ტონალობა. 1941 წელს დაიწერა მეტად მნიშვნელოვანი ლექსი, რომელსაც ჰქვია „მარიკას". ამ ლექსში პოეტი იხსენებს თავის შმაგ სიყვარულს, საბოლოოდ რწმუნდება, რომ ყრმობიდან დაეძებდა მხოლოდ მას:

**პირველყოფილი თუ ვიყავი კაცი ველური,**
**როგორც პირველ კვამლს, დაგხაროდი გაკვირვებული,**
**თითქოს ყრმობისას გამოვჭედე ოქროს ბეჭედი**
**და ამ ბეჭედში ჩასასმელად შენ თვალს ვეძებდი.**

ამავე ლექსის შემდეგ სტრიქონებში აშკარად მინიშნებულია ის ტრაგედია, რომელიც მან გადაიტანა.

**ორმოცდაერთი და მშფოთვარე ოცდაჩვიდმეტი,**
**რამდენ შემთხვევამ გადაგვალვა ჩემი იმედი,**
**გამკრავი ქარი, მოგონება და სინანული,**
**რასაც მთლიანად ეწოდება მართლა მამული.**

საკვირველია, ამ სტრიქონების დაწერა და სახლში შენახვაც კი საფრთხეს შეიცავდა, გამოქვეყნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ის მოგვიანებით — 1977 წელს — დაიბეჭდა. და ბოლოს, ამავე ლექსში არის მრავლისმთქმელი სტრიქონები, რომელიც გახდა მიზეზი მარიკას, ზოგიერთებისთვის გაუგებარი, გადაწყვეტილებისა. მარიკამ სიმონის გარდაცვალების შემდეგ დაგვიბარა, დაგვენვა მისი ცხედარი და სიმონის საფლავზე მიმოგვებნია ფერფლი, რათა სიკვდილის შემდეგაც ერთად ყოფილიყვნენ.

**დაფნა რად გვინდა, გავეხვიოთ ციხის სუროში**
**და როს მოვკვდებით, მოვთავსდებით ჩვენ ერთ კუბოში.**

რაც ახდა კიდეც.

პოეტმა შარლოტა კვანტალიანმა სწორედ ამ ფაქტს უძღვნა ტრიოლეტი „მარიკა და სიმონი", სადაც წერს:

**დღეს მთაწმინდაზე ერთ კუბოში წვანან ისინი,**
**ცოლი მხევალი, ძვირფას ბატონს წაჰყვა ჰადესში...**

სიმონ ჩიქოვანს აძლევდნენ ორდენებს, ნიშნავდნენ თანამდებობებზე, სტალინური პრემიაც მიანიჭეს, 1939 წელს სრულიად მოულოდნელად პირველი დიდი ბინა მისცეს თერთმეტსართულიან სახლში (ეს ბინა ყოველთვის ღია იყო მთელი მათი ცხოვრების განმავლობაში ყველასთვის, ვისაც ლიტერატურა და საქართველო უყვარდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახლს არაერთი ქართველი, რუსი და უცხოელი მოღვაწე იხსენებს. ის ნამდვილ ლიტერატურულ სალონად იქცა). მიუხედავად ამისა, ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ! ალბათ აშკარად ჩანდა, რომ ის სოციალისტური რეალიზმის ადეპტი არ იყო... სიმონ ჩიქოვანი ყოველთვის ნამდვილ ლიტერატურას იცავდა და თვითონაც ცდილობდა მცირე დათმობებზე წასულიყო. ახლანდელ ახალგაზრდობას წარმოდგენაც არ შეუძლია, რა დღეში იყვნენ მაშინდელი მწერლები, გაუთავებელი ფორმალიზმის ძიება მათ შემოქმედებაში, ყოველ სიტყვასა და პწკარზე გამოკიდება. „ფორმალისტობა, ფუტურისტობა, მოდერნისტობა დღეს უწყინარი ტერმინებია, — თქვა როსტომ ჩხეიძემ სატელევიზიო გამოსვლისას, — მაგრამ მაშინ, ეს სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, სიმონ ჩიქოვანმა ღირსეულად გაუძლო და ხშირად სხვებსაც იცავდა ამგვარი შემოტევებისაგან." მძიმე იყო მისთვის ყოველივე, რაც ხდებოდა მის ირგვლივ. ცხოვრება აღსავსე იყო კარგით და ავით, რომელსაც მარიკა და სიმონი ერთად უმკლავდებოდნენ. 1946 წელს იგი დაავადდა დიაბეტით, შემდეგ კი თვალისჩინი დააკლდა და სიცოცხლის ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო წლებში სულ დაკარგა სინათლე. „ჰომეროსივით დაბრმავდა, მაგრამ შინაგანი შუქით იყო განათებული" (როსტომ ჩხეიძე). მას ერთი დიდი ბედნიერება აჩუქა განგებამ – მარიკა ყოველთვის გვერდით ედგა, ინაწილებდა მის წუხილს, უმსუბუქებდა ტკივილებს. მან ბოლომდე შეიგრძნო და გაითავისა პოეტის სულის ყველა ხვეული. სიმონს რომ გვერდში ასეთი ქალი არა ჰყოლოდა, შეიძლება გაცილებით ადრე დაეტოვებინა ეს ცოდვილი ქვეყანა. მარიკა მისი იმედი და დასაყრდენი იყო. ამაში ნამდვილად გაუმართლა პოეტს. მისი მუზა მშვენიერი დიასახლისიც იყო, მეგობარიც და მისი ლექსების პირველი მკითხველიც. ბოლოს კი, მძიმე ავადმყოფობისას, შეუძლებელს აკეთებდა – უსინათლო ნათელში გამოჰყავდა, იწერდა მის ნაკარნახევს. მძიმედ დაავადებული მარიკა დღიურებში წერდა: ხელჩაკიდებულები დავდივართ ოთახიდან ოთახშიო. ძნელი სათქმელია რომელს რომელი დაჰყავს... 50-იანი წლების ლექსებში მეუღლისადმი მადლობის გრძნობა და დიდი სინაზეა ჩაქსოვილი.

**ოცი წელი გზა განვლიეთ წყვილად,**
**მთა და ბარში ხვეული და სწორი,**
**მთაში ბევრგზის შეგვხვდა დილა,**
**კართან ბევრგზის მოგვეწია თქორი**
**მოგვაფრქვია სიხალისე,**
**ჩამოგვრეცხა მტრის შური თუ ჭორი**
**შენ შემომრჩი ხელში ისე,**
**როგორც ვაზი ან ლამაზი ქორი.**

განსაკუთრებით გამოირჩევა ამ წლების ლექსებში თავისი პოეტურობით და ღრმა შინაარსით 1950 წელს დაწერილი „რიწის ტბაზე თქმული".

აქ სამშობლოს სილამაზე, დიახ სამშობლოსი, და საყვარელი ქალის მშვენიერება თითქოს გადახლართულია ერთმანეთში.

**ცისკარმა შვა მთებში რიწა,**
**თუ შენს ცალ თვალს გაელვიძა**

**მთის უბეში ჩაჭედილა,**
**ეგებ ცრემლი ჩარჩა ცირას**
**ბინდში ტბა წევს, როგორც დილა**
**და შენ გნატრობ ამ ტბის პირას.**

**მე გავთალე ლერწმის ღერო,**
**მინდა ტბასთან შენ გიმღერო.**

ტრაგედია იქნებოდა მისთვის რომ დღეს რიწა ქართველებისათვის მიუწვდომელია.

არაჩვეულებრივი სითბოთია დაწერილი იმდროინდელი ლექსიც „შინ შემოგაქვს ყვავილები".

**შინ შემოგაქვს ყვავილები,**
**სურნელება მთის კალთის და მინდვრის**

**შენ შრომობ და არ იღლები**
**და ბუნება თითქოს სალამს გითვლის**

**ყვავილები იზრდებიან,**
**ოთახს ყანის დასდებია ფერი**
**ყვავილები ცისკრებია,**
**გაზაფხულის ცისკრებია წრფელი.**

დაბოლოს უსათაურო ლექსი, ალბათ 60-იან წლებში დაწერილი, რაც უჭკნობი სიყვარულის დასტური იყო. ერთ-ერთი ბოლო ლექსი, რომელშიც ნაადრევი განშორების ტრაგიზმია გადმოცემული. პოეტს უჭირს სამშობლოსთან, სიცოცხლესთან, თავის საყვარელ საქმესთან განშორება და თავის უსაყვარლეს მეგობარს საყვედურობს – რომ სამუდამო განშორებისთვის გაიმეტა და ვერ უშველა:

**როგორ მეგონა, სასწორს გადახრი,**
**სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები**
**ვიცი საფლავზე მიწას დამაყრი,**
**მე მაინც ვწუხვარ, ადრე გშორდები.**

**კიდევ მინდოდა ლექსით ჭიდილი,**
**მეც მამა-პაპას ძვლები გავუთბე,**
**თუ გზაზე შეგხვდა ერთი სიკვდილი,**
**მიკვირს, რომ ჩემი თავი დაუთმე.**

**კიდევ მინდოდა თხელი ნისლივით,**
**შემოვხვეოდი საყვარელ მხარეს**
**გურამიშვილის მერგო წისქვილი,**
**როდესაც წილი მამულში ყარეს.**

**გზაზე დავტოვე ჩემი ამქრები,**
**სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები.**
**ნუთუ ნისლივით მალე გავქრები**
**ნუთუ უდროოდ ასე გშორდები?**

სწორედ იმხანად ხშირად ვსტუმრობდი ჩემს დეიდასა და ბიძას და ასეთი ამაღელვებელი დიალოგის უნებლიე მოწმე შევიქენი: მარიკა ეუბნებოდა სიმონს, „რომ იცოდე, როგორ დავბერდი და დავუშნოვდი." სიმონი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა: „ეგ შეუძლებელია, მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, მაშინ მე არ ვნანობ, რომ დავბრმავდი"...

მარიკამ სიმონის გარდაცვალების შემდეგ მკურნალობაზე უარი თქვა, რითაც დააჩქარა მათი მარადიულ სამყოფელში შეხვედრა. მათ ერთი კუბო იმყოფინეს მთაწმინდაზე. მათი სიყვარულის ლეგენდა ასე ამაღლებულად დაგვირგვინდა.

ციკლი საკმაოდ დიდი რაოდენობის ლექსებისგან შედგება – მიმოხილვაში, რასაკვირველია, ყველას ვერ გავწვდით. ეს ლექსები თავისი ხასიათის და შინაარსის მიხედვით რამდენიმე ქვეჯგუფს შეიცავს. ნახევრად ირონიული კომპლიმენტებიდან დაწყებული, მიუწვდომელი, სანატრელი ქალის სიყვარულით დამთავრებული. მათში ტრფობის გარდა, სულიერი სიახლოვეც იხაზება. სხვა ლექსები ოჯახური სითბოთი, მადლიერების გრძნობით, შემოდგომის მზის სინაზით არის გამსჭვალული. უკანასკნელი ლექსები მოახლოებული ნაადრევი დაშორების ტრაგიზმით არის სავსე. იმ განხილვის შემდეგ ჩვენს წინაშე წარმოისახება ერთიანი პოემა სიყვარულზე, რომელიც უახლოვდება სიმონ ჩიქოვანის საყვარელ ჟანრს – ლირიკულ პოემას.

ანა ბერძენიშვილი

# მართალი წიგნის ფორმულა



*რატი და გიორგი ოქუაშვილები, ნატო და როსტომ ჩხეიძეები*

ერთხელაც იყო და... მამისთვის უკითხავს:

— თუ შეგიძლია ერთი წინადადებით რომ თქვა, მწერლობა რა არის?

— შემიძლია, რად არ შემიძლია. მწერლობა ის არის, რასაც რო ვერ ელევი, იმას უნდა შეელიო. ეს ერთი წინადადებითა. შენ თუ გინდა, ორი წინადადებითაც შევძლებ, მამიკო, — უპასუხია მამას.

ერთხელაც იყო და... ნატო ჩხეიძე თვითონაც შეეცადა მწერლობის იდუმალ შრეებს ჩასწვდომოდა... მერე ეს ყველაფერი ერთხელაც იყო და ბევრჯერაც და აი, ახლახან წიგნიც გამოსცა — „ის ოთხი წელიწადი“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე), პირადად მე პოლიტიკური წერილების კრებულად რომ წარმომედგინა და რეალურად კი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში შემრჩა ხელთ.

ოთხი წლის სიმბოლიკა ჩვენთვის უწინარესად ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ უკავშირდება, მტკიცედ რომ არის დამკვიდრებული ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში და მისი კიდევ ერთი განზოგადება საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბევრგვარი მღელვარებითა და დრამატიზმით აღსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ასახავს, 1999-2004 წლების საპარლამენტო ყოფას, თავისი უცნაური ხვეულებით. ეს მემუარული ჩანაწერები მნიშვნელოვანია მოვლენათა მიუკერძოებელი შეფასებითაც, ღრმა ანალიტიკური განსჯითაც და დოკუმენტური მასალის სიუხვითაც.

მამისადმი — ოთარ ჩხეიძისადმი — მიძღვნილი წიგნი კიდევ ბევრი რამით არის საგულისხმოც და საინტერესოც. მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების ცენტრში გამართულ წარდგინებაზე სწორედ ამ ყველაფრის შესახებ საუბრობდნენ შეკრებილები.

* * *

— ეს წიგნი რამდენიმე წლის წინათაც უნდა გამოცემულიყო, მაგრამ ავტორი გარკვეულ დროს ელოდებოდა, რათა ფორმა მოეძებნა მისთვის. ის ჯერ კიდევ ადრე თარგმნიდა ამერიკულ ნოველებს და განზრახულიც ჰქონდა, კრებული შეედგინა, მაგრამ... მერე ცხოვრება ისე წარიმართა, არაერთი პუბლიცისტური სტატიის, საპარლამენტო გამოსვლისა თუ ინტერვიუს გამოქვეყნება მოუნია და თავი მოიყარა დიდძალმა მასალამ, რომელიც წიგნის გარეკანში უნდა მოქცეულიყო, თანაც ისე, რომ მხოლოდ წერილების კრებული არ ყოფილიყო და მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშადაც წარმომდგარიყო.

ასეც მოხდა. წიგნი შეიკრა, დაერთო შესაფერი კომენტარები, გაგრძელება წერილებისა და ერთ მთლიან კომპოზიციურ ქარგაში მოექცა.

წიგნის ქვაკუთხედია საპარლამენტო ცხოვრება, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აირეკლავს ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობასაც და, შესაბამისად, მთელ ქართულ ბედისწერასაც გადასწვდება.

თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, წიგნი კიდევ ერთი მინიშნებაა იმისკენ, რომ პარლამენტარებმა თავი მოუყარონ, წიგნებს თუ არა, წიგნაკებს მაინც, რათა აისახოს მათი საქმიანობაცა და საპარლამენტო ცხოვრებაც.

მოხდა ისე, რომ ქართულ მწერლობაში დოკუმენტურმა ჟანრმა ძალიან გადააჭარბა ბელეტრისტიკას. სჯობს, გარკვეული წონასწორობა იყოს, მაგრამ რაც რეალობაა, ამას ვამბობ, და ეს ტენდენცია თავისთავად, ძალდაუტანებლად გადმოვიდა ჩვენს მწერლობაში, ბელეტრისტიკაშიც კი საკმაოდ მკვეთრად შემოიჭრა დოკუმენტური ფონი. ამიტომ ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ 1999-2004 წლების საზოგადოებ-

რივ-პოლიტიკურ რეალობას აღადგენს და თავისებური გზამკვლევიც არის იმდროინდელი ეპოქისა, ამასთანავე საკმაოდ ნოყიერი მასალაა ლიტერატურული კრიტიკოსებისათვისო, — ასე გახსნა შეკრება როსტომ ჩხეიძემ.

თავის დროზე სწორედ მას შეუგულიანებია ქალბატონი ნატო ამ წიგნის გამოსაცემად.

* * *

ერთხელაც იყო და... როსტომმა, თვალს რომ ადევნებდა დის საქმიანობას, უთხრა:

— საკმაო მასალა დაგიგროვდა, შესაძლებელია, ეს ყველაფერი წიგნად დაიწეროს.

მაგრამ მასალა მასალაა. თუ გინდა, რომ ის წიგნად შეკრა, რაღაც კომპოზიციური ქარგა უნდა გამოძებნო, ჩარჩო, რომელშიც მოაქცევ ამ ყველაფერს. ეს კი არც ისე იოლი აღმოჩნდა.

დრო გადიოდა... დროს ვინ გააჩერებდა, აი, საქმე კი ვერ მიიწევდა წინ — მასალა თავისთვის იდო და ქალბატონი ნატოც დროდადრო თუ შეხედავდა, ხვალინდელი დღის იმედით.

მერე... მის ცხოვრებაში ტრაგედია მოხდა — მამა გარდაეცვალა.

2007 წლის 13 დეკემბერი იყო.

მერე ის იყო, რომ საოცრად მოუნდა, რამე მიეძღვნა მამის ხსოვნისათვის. ახლა რომ იხსენებს, ამბობს:

— როსტომმა დაწერა, ჩემი აზრით, ძალიან კარგი წიგნი „აგვისტოს შვილები". მეც მინდოდა რაღაც გამეკეთებინა, მაგრამ თავს ვერაფერს ვაბამდი. მერე ეს ორი სურვილი — წიგნის დაწერისა და მამისადმი მიძღვნისა — რაღაცნაირად გაერთიანდა და კომპოზიციური ქარგაც ჩამოყალიბდა — პარლამენტში ყოფნისას ჩემი აზროვნება, თემებისადმი დამოკიდებულება, აქცენტები აკი სწორედაც რომ მამისადმი მიძღვნა იყოო.

ჰოდა, დაიძრა საქმე, რომელსაც ველარ შეაჩერებდი. აი, იმ დროსავით, უკანმოუხედავად რომ მიდიოდა (თუ გადიოდა) ჩვენი წუთისოფლიდან და თუკი რამეს ჩაეჭიდებოდი, თუკი რამეს გადაარჩენდი მისი ნაკვალევიდან, ყველაფერი გამორჩეულ მნიშვნელობას შეიძენდა.

უამრავი მასალა გადაირჩა და დალაგდა. წიგნის თემებად შეირჩა 8 მარტისა და 14 მაისის თემა — საქართველოში ქალთა დღედ გვეზეიმა 14 მაისი, თამარ მეფის ხსენების დღე; კიდევ — ნარკოტიკები, ძალიან აქტუალური და, ამავე დროს, ძალიან საფრთხილო თემა. ხომ იცით, ერთია რა დაკანონდება, მაგრამ მეორეა, როგორ აისახება ის ცხოვრებაში, ამიტომ შემდგომ წლებში თვალს ადევნებდა საზოგადოებრივ ყოფას და ამანაც დაუგროვა ამდენი საინტერესო მასალა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მისი წარდგინება კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურად — მწვავე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საკითხი, როცა უკვე შემდგარი პარლამენტი უნდა გადანაწილებულიყო და თუ არა მოლოდინი მწვავე პოლიტიკური ცვლილებებისა, ვერაფერს გახდებოდი. ქალბატონი ნატოც სწორედ ამ პროცესებში აღმოჩნდებოდა, ჭორიც რომ მოჰყვებოდა და მართალიც, და წლების გადასახედიდან ძალიან საინტერესოც იქნებოდა ამ ყველაფრის აღწერა.

ინტერვიუები და სტატიებიც იმის მიხედვით დალაგდებოდა, მიძღვნას რომ გაუადვილებდა. ასე რომ, ყველაფერი მზად იყო. ერთიღა რჩებოდა — მიძღვნა. ცხადია, ამერიკულ-ევროპული სტილის მსგავსად, ადვილად შეეძლო დაეწერა: ვუძღვნი მამაჩემსო, მაგრამ ფრანგული სტილი ერჩია — დაეწერა ესეი და ამგვარად ეპასუხა კითხვებისათვის: ვის, რატომ და რისთვის? აი, ასე უნდა გაშლილიყო და შეკრულიყო წიგნი, რომელსაც დრო თავის ადგილს მიუჩენს და ბევრნაირად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ჩვენს ლიტერატურულ (და არა მხოლოდ) პროცესებში.

ჯერ კი...

ჯერ ის მხოლოდ ახლა გამოდის ასპარეზზე და ქალბატონი ნატოც ამ ყველაფერს რომ გვიამბობს, უსმენს დარბაზი — ხან ღიმილიანი, ხან გაკვირვებული, ხან გულაჩუყებული, განსაკუთრებით მამისადმი მიძღვნილი ესეით, დამოუკიდებელ ნაწარმოებად რომ გვევლინება, ერთ წიგნად რომ იკმარებდა, აი, იმ ესეით.

* * *

**მაკა ჯოხაძე:**

„იმდენად მწარეა რეალობა, რომ უკვე აშკარად იქმნება განცდა — საქართველო მითია.

და მაინც... დავესესხები დიდ ბერძენ მოაზროვნეს და მცირეოდენი პერიფრაზით ვიტყვი: ის, ვინც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, მოვალეა განაგრძოს მარადიული მითი — საქართველო. ოთარ ჩხეიძე საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. როდესაც თვალს მიადევნებ მისი ყოველდღიური ცხოვრების წესს, მოღვაწეობას, დიდ შემოქმედებას, ხედავ და გჯერა, რომ არცერთი წამით არ უცხოვრია საკუთარი ქვეყნის ინტერესების მიღმა. ჩვენს აუდიტორიას ამის შეხსენება არ სჭირდება, უბრალოდ მინდა მისი სიცოცხლის ბოლო დღეებს გავუსვა ხაზი.

გარდაცვალების წინ მან შვილებს ანდერძი დაუტოვა: გოგებაშვილს მოუარეთო.

უცნაურია, სამყაროში უკვე აღარ ტოვებენ ასეთ ანდერძებს. დღევანდელი მსოფლიო ამ სათხოვარს ვერაფერს გაუგებს. რაღა მსოფლიო... აქვე, საქართველოშიც არიან ადამიანები, რომლებიც ვერ გაიგებენ ამ სიტყვებს, გაუკვირდებათ. მაგრამ ოთარ ჩხეიძემ იცოდა ვის და როგორ აღზრდილ შვილებს უტოვებდა ამ ანდერძს. ღვთის წყალობით შვილების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მთელი პასუხისმგებლობით აგრძელებენ დიდი მამის გზას. თქვენ კარგად იცნობთ როსტომ ჩხეიძის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ მასზე.

რაც შეეხება ნატო ჩხეიძეს, რა თქმა უნდა, მამისათვის უნდა მიეძღვნა ეს წიგნი თავისი სიმბოლური სათაურით. ილიას ნათქვამი ის ოთხი წელიწადი ხომ ფორმულად იქცა და ასეთი საყვარელი, ახლობელია ქართველობისათვის. როგორც ჩხეიძეებს სჩვევიათ, ნატოს წიგნიც მართალი და ნიჭიერად დაწერილი წიგნია. საერთოდ კი, ნატო ჩხეიძის ნიჭიერება, პირადად ჩემთვის გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ეს წიგნი დაიწერებოდა, ვიდრე პარლამენტში შეუდგებოდა მოღვაწეობას. იგი ექიმია და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი. მაგრამ როდესაც თავის დროზე გაზეთში „ჩვენი მწერლობა" და ჟურნალში „ომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა“ დავიწყე მუშაობა, ნატო ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის. იგი შორს იდგა ისეთი წვრილმანი ვნებებისაგან, როგორიცაა მეპატრონისა და დამფინანსებლის ამბიციური ჩარევა ლიტერატორთა საქმეში. მაგრამ ჟურნალ-გაზეთის დიზაინიდან დაწყებული შინაარსით დამთავრებული, ვხედავდი როგორ ზუსტ, საჭირო და პროფესიულ რჩევებს და შენიშვნებს იძლეოდა.

რაც შეეხება მის პარლამენტში მოღვაწეობას და წიგნში შესულ წერილების უმრავლესობას, ძალიან კარგია, რომ ამ ყველაფერს ნატომ თავი მოუყარა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც დოკუმენტური პროზა შეიქმნა, არამედ რეტროსპექტივაში, დღევანდელი გადასახედიდან ჩვენ უკვე შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ყველაფერს, რაც იმ დროს ხდებოდა პოლიტიკის სფეროში.

ამ ტიპის თხზულებებში დიდია ცდუნება ილაპარაკო საკუთარ თავზე, წარმოაჩინო შენი პერსონა, შენი როლი ამ ასპარეზზე. ამიტომ პირადად მე, განსაკუთრებით საქართველოში, ეჭვის თვალით ვუყურებ ამგვარ წიგნებს, ამგვარ მოგონებებს, რომლებშიც გაცილებით მეტია გაზვიადება, სიცრუე და ეგოიზმი, ვიდრე მოვლენებისა და პროცესების პირუთვნელი, ობიექტური აღწერა.

პირდაპირ ვიტყვი: ნატო ჩხეიძის წიგნში ვერ ვნახე ვერცერთი სტრიქონი, ვერცერთი სიტყვა, ვერცერთი სიტუაცია, რომელშიც ავტორს არ დავუჯერებ. ღმერთია მოწმე, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ეს ოჯახი მიყვარს, ვიცი ამ ოჯახის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ სრულიად ობიექტურად, პიროვნულად დავინახე, რომ ავტორი არცერთი წუთით არ იპრანჭება, ყურადღების მისაქცევად, ზერელედ, სასხვათაშორისოდ არაფერს ამბობს. მთელი არსებით, საერთო საქმისათვის სასიკეთოდ გულანთებული ცდილობს კოლეგები გაარკვიოს იმაში, რაშიც გარკვეულნი არ არიან.

ამ წიგნის დაწერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ხომ ვუყურებთ პარლამენტის სხდომებს, ჩვენ ხომ იმდენი რამ გადავიტანეთ, იმდენი გადაგვაქვს და ვინ იცის კიდევ რა გვაქვს გადასატანი. ჩვენს თვალწინ იმდენი რამ გაუფასურდა, დაწყებული სიტყვით, დამთავრებული საქმით. ღირებულებები შერყვნეს, შელახეს. ჩვენც ნელ-ნელა გადავსხვაფერდით, გავგულგრილდით, ეჭვად ვიქეცით. ჩვეულებრივი დიპლომატიური გამოთქმა — შეხვედრა კარს მიღმა — გვაშფოთებს, გვაღიზიანებს, რადგან დარწმუნებულები ვართ, რომ „კარს მიღმა“ არაფერი მოხდება ქვეყნის სასიკეთოდ. ღია სხდომებზე კი ვუსმენთ ემოციურად წყობიდან გამოსული ადამიანები როგორ იცავენ რაღაცას გააფთრებით, მაგრამ 90%-ით ეჭვი გვეპარება, რომ მართლაც იმას იცავენ, რაც დასაცავია...

და აი, როდესაც ამ წიგნს წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ ნიჰილისტურად განწყობილ დღევანდელ საქართველოში სიტყვას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ფასი და ამ სიტყვის ფასს ნატო ჩხეიძე არაჩვეულებრივად უფრთხილდება იმ სამოღვაწეო ასპარეზზე, იმ „ბრძოლის ველზე“ (როგორც პიტერ ბრუკი იტყოდა), რასაც პარლამენტი ჰქვია. ის პარლამენტი, რომელიც აბსოლუტურად გულგრილად შეხვდა, ვთქვათ, თავის დროზე ყბადაღებული მეთადონის ჩანაცვლების პროგრამას. გულგრილი, ხელჩაქნეული, დარდიმანდულად განწყობილი პარლამენტარები ნატო ჩხეიძემ თავისი გამოსვლითა და პროზაული ცხრილით (რომელიც წიგნშიცაა შეტანილი) ჩვენ დავინახეთ როგორ მიიმხრო კოლეგათა უმრავლესობა, არა როგორც მშვენიერმა ქალმა, არამედ ადამიანმა, ექიმმა, რომელმაც სრულყოფილად შეისწავლა პრობლემა. კერძოდ, ეს წამალი და მისი შედეგები. და პარლამენტი დაფიქრდა იმაზე, რომ ამ კანონის მიღება ასე იოლად არ შეიძლებოდა.

ეს იყო ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა და რაღაცით ზღაპარს ჰგავდა, რომელშიც ძალიან მარტივად ხდება გადარჩევა, გარჩევა ბოროტსა და კეთილს შორის, თეთრსა და შავს შორის.

შესანიშნავია წიგნში ის ადგილი, როცა ერთ-ერთ წვეულებაზე ნატო ჩხეიძეს მასწავლებელი ეტყვის: მოსაკლავი მყავხარო.

რატომო? — გაკვირვებული ჰკითხავს ნატო და თან დაძაბული გონებით იხსენებს რა დანაშაული მიუძღვის პედაგოგის წინაშე. ის კი: — როგორ, ერთი დღე გვქონდა მასწავლებლებს იმისათვის, რომ პატივი მოეგოთ და ისიც გინდა დაგვიკარგოო?

აქ მთელი სოციუმი იხატება, იხატება თუ რა დღეშია ეროვნული ცნობიერება. ამიტომ იყო, რომ ნატო ჩხეიძე 8 მარტსაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ რანგში განიხილავდა, თორემ პირადად მისთვის, იზეიმებდა ამ თარიღს საქართველო თუ არა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ ჰქონდა.

დიდხანს შეიძლება ისაუბრო ამ წიგნზე, მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ ბევრმა მითხრა — წიგნის შესავალი ცრემლის გარეშე ვერ წავიკითხეთო.

ეს კიდევ სხვა ღვთის წყალობაა სამშობლოს გულშემატკივრობის თვალსაზრისით. ამ ოჯახს გაუმართლა, ეს ოჯახი ერთნაირად იღვწის და იხარჯება საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად.

ჩვენ კი დაველოდებით წიგნს, რომელშიც არა მხოლოდ პარლამენტში გატარებული ოთხი წელი იქნება გაშუქებული, არამედ ის მძიმე პერიპეტიები და განსაცდელები, რომელიც პირადად მის ოჯახსა და მასთან ერთად მთელს ჩვენს ქვეყანას მოევლინა და პერმანენტულად ევლინება დღემდე“.

* * *

გულწრფელობის გუნებაზე მოეყვანა **ჯანსულ ჩარკვიანი** ცალკე წიგნსა და ცალკე დარბაზში არსებულ განწყობილებას.

— წავიკითხე ეს ყველაფერი და უფლება არ მაქვს, არ გამოვხატო ჩემი გაკვირვება: ყოველთვის ძვირფასი შთაბეჭდილება მქონდა ნატო ჩხეიძეზე, როგორც ბრწყინვალე მამისა და, საერთოდ, ბრწყინვალე ოჯახის შვილზე, მაგრამ არ ვიცოდი, რომ თვითონაც ნიჭიერი მწერალი გახლდათ. გულწრფელად რომ გითხრათ, ისიც არ ვიცოდი, რას მივეცი მაშინ ხმა და რას არა, საერთოდ არაფერი ვიცოდი ამ ქვეყანაზე და აი, ნატომ ისე დამილაგა ყველაფერი, თვალნათლივ მიჩვენა მთელი მაშინდელი ვითარება.

ერთ რამეს მივხვდი კიდევ:

თუ ჭეშმარიტების გზით არ დადიხარ, სამართალს ვერ იპოვი, ნატო ჩხეიძე თავის სამართალს კი არა, ქვეყნის სა-

მართალს იცავს. ეს არის იურისტი მწერლის მიერ დაწერილი წიგნი. წაიკითხეთ და მიხვდებით, როგორი მოამაგე ადამიანი სჭირდება საქართველოსო.

ოთარ ჩხეიძის მიერ ჩამოყალიბებულ ფორმულაზე გაამახვილებს ყურადღებას **გიორგი გაჩეჩილაძე:**

— მწერლობა ის არის, რასაც რო ვერ ელევი, იმას შეელიოო. ეს არის კონცეპტი, რომელზეც აგებულია მთელი კულტურის ფილოსოფია. ე.ი. „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, თუ სდევ წადილთა ნებასა“.

ამ სიტყვების შემდეგ ლიტერატურა საოცარი დოკუმენტია ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელსაც აქვს პრეტენზია ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ცოდნისა. ასევე მაქვს გარკვეული დანაშაულის გრძნობა, რომ ამდენი ხანია, ვერაფერი დავწერე ღირსშესანიშნავი, რადგან სულ მეშინია — რაც მსურს, ისეთი დიდია, ისეთი... რომ მგონია, ვერ დავძლევ.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია სათაურიც. როცა ილია იმ ოთხი წლის შესახებ წერდა, პეტერბურგიდან ბრუნდებოდა საქართველოში.

ვინც ისტორიისა და კულტურის ფილოსოფია იცის, მოეხსენება, რომ ცივილიზაციის ამაღლობისა და დაღმავლობის ფრაზები უკავშირდება ერის შემოქმედებითი ბიოგრაფიების საკუთარი სასიცოცხლო სივრციდან გასვლისა და დაბრუნების პარადიგმას.

წავიდნენ თერგდალეულები რუსეთში და დაბრუნდნენ რეფორმატორებად, მაგრამ წავიდნენ ბოლშევიკები რუსეთში და დაბრუნდნენ მე-11 არმიით; ამიტომ მნიშვნელოვანია არა თავად გასვლა და დაბრუნება, არამედ ის, თუ ვინ გავიდა და ვინ დაბრუნდა.

ნატო ჩხეიძის ეს წიგნი, მიკრომასშტაბში, არის ოჯახიდან გასვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე და პირნათლად დაბრუნებაო.

* * *

ეს მერე იყო, როცა ნატო ჩხეიძეს თავისი ორატორობითაც მოეხიბლა დარბაზი და პიროვნული თვისებებითაც, და იმასაც გაფიქრებინებდა, რომ რასაც უნდა მიაღწიო ქალმა, როგორი ადგილიც უნდა დაიმკვიდრო ცხოვრებაში, ყოველთვის უნდა გახსოვდეს, საიდან მოდიხარ, მადლიერი უნდა იყო უფლის, ოჯახის, მეგობრების, ნათესავების, კოლეგების, ადამიანების, რომლებმაც, უბრალოდ, გაიელვეს შენს ცხოვრებაში, ან თუნდაც პაექრობით გასწავლეს ბევრი რამ. ამის დასტური იყო ისიც, რომ ნატო ჩხეიძემ წარდგინებაზე თავისი წიგნის ბევრი ისეთი პერსონაჟიც მიიწვია, რომლებიც მაშინ მის მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. მათ შორის იყო ნინო ბურჯანაძეც, ვისთან პაექრობასაც ამ წიგნის დაახლოებით მეხუთედი ეძღვნება. ქალბატონმა ნინომ საღამოზე მოსვლა ვერ მოახერხა და, ნიშნად პატივისცემისა და მადლიერებისა, ყვავილების თაიგული გამოგზავნა.

ქალბატონმა ნატომ კი:

— თუ ვინმესთან დამარცხებას ვისურვებდი, ისეთ პოლიტიკოსთან, როგორიც ნინო ბურჯანაძეაო.

თქვენი არ ვიცი, მე კი მგონია, რომ ესეც პირნათელი გასვლაა საკუთარი ოჯახიდან, და პირნათელი ტარებაც ღირსების იმ დიდი შლეიფისა, ოთარ ჩხეიძის გვარს რომ მოსდევს.

* * *

**იოსებ ჭუმბურიძე:**

— ნატო ჩხეიძის წიგნი გვიჩვენებს, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა, პარლამენტარმა „ის ოთხი წელიწადი“ ანუ ერთი საპარლამენტო ვადა ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს — იბრძოლოს, იკამათოს, იღვაწოს...

შესაძლოა, ზოგჯერ (გნებავთ, ხშირადაც) უმცირესობაში აღმოჩნდეს და სიმართლე ვერ გაიტანოს, მაგრამ თავისი პრინციპულობით, ერის ღირსება დაიცვას და საზოგადოებას დაანახოს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

ბოლოს და ბოლოს, თვითონ პარლამენტის ღირსების დაცვაც დიდი საქმეა.

ხომ უნდა აღმოჩნდეს თავმოყვარე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში თუნდაც ერთი წევრი, ვინც, კრიტიკულ სიტუაციაში, კოლეგებს ასე მიმართავს:

„დეპუტატებო, კოლეგებო, უფლებას ვიტოვებ, გავიხსენო პოლ ვალერის სიტყვები: „ძალაუფლება მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს მისი ბოროტად გამოყენების გარეშე“. როგორც ვხედავთ, ქალბატონი თავმჯდომარე ცდილობს, ეს მომხიბვლელობა არ დაუკარგოს თავის თანამდებობას“.

რა დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს ასეთ გამოსვლას იმ პარლამენტში (მომიტევოს რამდენიმე პატივსაცემმა პიროვნებამ), რომლის წევრთა უმეტესობას ვალერი მხოლოდ გელბახიანი გაუგია.

...სხვა შემთხვევაში, ნატო ჩხეიძე პარლამენტში ამას იტყვის: „როცა პარლამენტში საკითხი ასე დგას: 8 მარტი თუ თამარის 14 მაისი, ეს არჩევანიც კი მოწმობს, როგორ მოშლილა პოლიტიკური ცნობიერება, როგორ დაშლილა მწყობრი იდეოლოგია, როგორ აცდენილა გზას სახელმწიფო პოლიტიკა. ნუთუ მართლა არ ვიცით, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, რა გვინდა, რისკენ მივისწრაფით?“

პარლამენტში ასეთი კითხვის დამსმელი თუნდაც ერთი წევრი მაინც უნდა აღმოჩნდეს!

წიგნში უხვად არის ეპიზოდები, სადაც მკაფიოდ მოჩანს ავტორის ინტელექტი, ერუდიცია, ნიჭი, ჭკუა...

ჟურნალისტიკის ერთ კარგ სახელმძღვანელოში (ოღონდ, რუსულში!) ნათქვამია, რომ ზოგჯერ შეიძლება სულელურ შეკითხვასაც ჭკვიანური პასუხი მოჰყვეს. მთავარია, შეკითხვას ვის დაუსვამენ.

ნატო ჩხეიძის წიგნში ინტერვიუც უხვად არის. ერთგან ეკითხებიან:

„— რატომ არის წვიმის წყალი რბილი?

პასუხი: „იმიტომ, რომ არ შეიცავს კალციუმისა და კალიუმის მარილებს“.

ეს პასუხი სრულიად საკმარისი იქნებოდა. 231 პარლამენტარი (სულ 235!) აქ გაჩერდებოდა.

ნატო ჩხეიძე კი დასძენს:

**„იმიტომაც, რომ ციდან მოდის, ღმერთი გვიგზავნის“.**

ამით არის ის **ნატო ჩხეიძე.**

* * *

ამ წიგნს 400-მდე პერსონაჟი ჰყავს და როცა მათ ეცნობი, იგებ, რომ არიან ადამიანები, რომლებმაც სიკეთეს ხმა მისცესო, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას

**ტარიელ ჭანტურია**, ვისთვისაც 8 მარტისა და 14 მაისის თემა განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდება და იუმორნარევი სარკაზმითა თუ სარკაზმნარევი იუმორით აღნიშნავს:

— საქართველოში ოდესღაც ასეთი დროც იყო — ჩამოვიდოდა ვინმე უცხოელი და ქართველი კაცი მის წინაშე თამარ მეფით იწონებდა თავს. ეს იყო მეფე, რომელმაც ბარბაროსულ XII საუკუნეში სიკვდილით დასჯა აკრძალა, მსოფლიომ კი ამის შესახებ არაფერი იცის. ეს იყო ქალი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ დაუწერეს, ქართველი, რომელმაც გვიჩვენა, რომ რუსთან გაყრა აუცილებელია და მერე აუცილებელია ოვსთან შეყრაც. დღეს კი, ვდგავართ ევროამერიკის კართან, მეხსიერებადაბინდულნი — აღარ გახსოვს, საიდან მოვდივართ, რის პატრონები ვართ, რა მიგვაქვს. თამარიც დავივიწყეთ და ეს უზარმაზარი ფიგურა ჩვენს ისტორიაში სხვა ღირებულებებით ჩავანაცვლეთ, ამიტომაც მგონია, რომ ნატო ჩხეიძის დაწყებული საქმე დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია და მან ეს ყველაფერი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. უნდა გაჩნდეს საზოგადოება „თამარიც“, რომელიც ქართულ სიტყვასაც განავითარებს და ქართულ ფასეულობებსაც დაიცავსო.

**ზურაბ ქაფიანიძე** დარბაზიდან მიმართავს ქალბატონ ნატოს, ჩვეული ემოციურობითა და ექსპრესიით:

„მაპატიეთ, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში ვერ გაგიგეთ, რამხელა ქართველი ყოფილხართ. თქვენმა წიგნმა მე დამანახა, რა მოგვიტანა თავისუფლებამ საქართველოში და რა ცოტანი არიან თქვენნაირი ქართველები.

მადლობა ილიას ჯარისკაცობისთვის...

აკაკის ჯარისკაცობისთვის...

თამარის ჯარისკაცობისთვის...

მადლობა თქვენს ოჯახს, გვარს, ჯიშს... და თქვენს წილ საქართველოს!“

საღამოს დასასრულს კი **დავით ნერედიანი** იტყვის:

— ბოდიში მინდა მოგიხადოთ, რადგან პოლიტიკაში და ასეთ საქმეებში მაინცდამაინც ჩახედული არ ვარ. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ჩემთვის გასაკვირი აღმოჩნდა ის, რომ ჩვენს პარლამენტში, მართალია ძნელად, მაგრამ მაინც შეიძლება საქმის კეთება. დიდი მადლობა ნატოს ამ ღვაწლისათვის. ყველა საქმეში წარმატებები მინდა ვუსურვო, მაგრამ პარლამენტარობისთვის...

რა გითხრათ, პარლამენტარობისთვის, ცოტა არ იყოს, მენანება.



სალომე კაპანაძე

# ზაზა ბიბილაშვილის მდოგვის მარცვალი

ერთი ამოსუნთქვით იკითხება. თუმცა ხშირად სუნთქვას გიკრავს, რადგან მედიუმივით ატარებს ჩვენი არსებობის, ჩვენი ყოფიერების „ბზარსა“ და „იარას“, ტვირთს, რომლის გარეშე სიცოცხლის გზაზე სიარული შეუძლებელია.

წუთისოფელი გამომშრალი ბარხანებისთვის შეუდარებია. „როგორ მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალიო“ — თავს იმართლებს, როცა „ირგვლივ ხორშაკნი და ხანძარია, როცა წყლისა არც ღარებია, არც ჭები და არც წყალი“.

თუმცა მივუბრუნდეთ იმ მდოგვის მარცვალს „ცათა სასუფეველს რომ წააგავს ჩვენს ყანაში დათესილს. იგი ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ როდესაც იზრდება, ყოველ მწვანეულზე დიდია და ხედ იქცევა, ისე რომ მოფრინდებიან ცის ფრინველები და მის ტოტებს შეაფარებენ თავს“.

ზაზა ბიბილაშვილის საბედისწერო, მტანჯველი კითხვის პასუხი „როდის მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალიო“, ისევ იმ სააზროვნო სივრცეში დევს, სადაც ეს კითხვა დაიბადა. ეს მარცვალი მაშინაც ხარობს, როცა პოეზიის საუფლოში შედიხარ და ირანელი პოეტი ქალის რაბიასი არ იყოს, ღმერთამდე მისასვლელად ამ გზას ირჩევს. აქ, ალბათ დროა ფრჩხილები გავხსნათ და ვაღიაროთ — ზაზა ბიბილაშვილის პოეტური კრებული „ჩემი მდოგვის მარცვალი“ მისი პოეტური ორიენტირების ჩამოსაქნელად წინ გადადგმული ნაბიჯია, ჩვენთვის კი შესაძლოა იმ ტოტების მისიას ასრულებდეს, სადაც თავის შეფარება სულიერი ხსნის ტოლფასია. აქვს პოეზიას ასეთი უნარი, თუკი მკითხველსა და მწერალს შორის კომუნიკაცია შედგება, თუკი ორთავე შეძლებს სიტყვის საერთო განმარტების მოძებნას და ასოციაციურ ხილვებში ერთმანეთს შეეხიდებიან. როცა მწერალი სიტყვას ნათელი ფიქრის სამოსად აქცევს და „სიწრფელეს არ ეთვალთმაქცება“. თუკი იგი იტყვის „და ვანთებდი ლექსს, როგორც სანთელსო“, და სამყაროს ფერების გაფერმკრთალებას ისე განიცდის, როგორც ზაზა ბიბილაშვილის ამ ლექსშია;

**ზღვა არ იყო ლურჯი ფერის**<br>
**ზღვაში მზე არ ხარობდა,**<br>
**ხარხარებდა ლუციფერი**<br>
**ჯოჯოხეთის ხაროდან**<br>
**ფრთები ფრთიანს დაეცალა**<br>
**სადმე სამარდებოდა**<br>
**მარტს საიედ არ ეცალა,**<br>
**მაისს სავარდებოდა**<br>
**სიყვარული შებილწული**<br>
**ყველას ყელზე ეკიდა,**<br>
**თვალს ხუჭავდა მეფისწული**<br>
**ვერ ითხრიდა ეკლითა.**<br>
**ნაღმერთალი მონეტები**<br>
**ყალბი იყო ცრემლივით...**<br>
**და კვდებოდნენ პოეტები**<br>
**ციდან ჩამოცვენილი**

სიყვარულის სევდა არაერთხელ გახმიანდება ზაზა ბიბილაშვილის ამ ლირიკულ კრებულში. მის ტაეპებს ზოგჯერ ირონიული ტონალობაც შეერევა, რადგან სიყვარულის სიმაღლესა და კნინ სინამდვილეს შორის კოლიზია მართლაც წარმოშობს კომიკურ ეფექტს ისე, როგორც მის

ერთ-ერთ ლექსშია, რომელსაც „განცხადება“ (გაცნობა-დაოჯახების კლუბის არქივიდან) ჰქვია.

**გამახსენდა განცხადება ასე სულ არ იწერება**
**ვის ადარდებს, თვალები გაქვს**
**ბრიალა თუ მინაბული?**
**ქერა ხარ თუ — შავგვრემანი,**
**უწვერო თუ — თხის წვერება —**
**შენი ბედის გრაფებია:**
**„სამსახური“, „ბინა“, „ფული“**

სიყვარულის საგალობელს სმენაშეჩვეული ქართველი მკითხველი ზაზა ბიბილაშვილის პოეტურ სივრცეში სტერეოტიპებსა და მონოტონურობას ვერსად წააწყდება. აქ არის აღმოჩენის ის ნეტარება, რაც დიდ სულიერ გამოცდილებასა და მისი გადმოცემის ნიჭიერებას მოყვება ხოლმე. პოეტის ტალანტს ყოველთვის თან ახლავს არამარტო ეროტიკული, არამედ ზნეობრივი კონფლიქტით გამოწვეული დრამატიზმი და უსიყვარულოდ დარჩენის ტრაგიზმი.

**უნდა დაგიბრალო,**
**ვიდრე მოგონებით მთვრალი ვარ და**
**სანამ თვალები მაქვს**
**ალის ათინათით შენაფერი:**
**ვიდრე მარტოობა**
**თავში თრიაქივით ამივარდა**
**ვიდრე წავედი და**
**ყულფის თავშესაფარს შევეფარე...**

„ოცნებათა ამირბარი“, „უილბლო მოალყე“ — მიჯნურის ასეთ მეტაფორებს, რა თქმა უნდა , აღმოჩენის სასწაული ახლავს, ახალი სიტყვის აელვარების ნათება მოსავს. მით უფრო, როცა ზაზა ბიბილაშვილის „ქრონიკული ტრფიალის ქრონიკას“ ასეთი პეიზაჟი ალამაზებს:

**სათიბში მიჯნური**
**მთვარე დაბარბაცებს,**
**იციან — იწვიან**
**ვარსკვლავთა ნარგისნი.**

მშვენიერი სქესისადმი მიძღვნილი სტრიქონები მხოლოდ მოუხელთებელ „მასთან“ არის ასოცირებული. მისი ჯიუტი ტრფიალის სურვილი აქ პროეცირდება. განშორების სევდით მთვრალი, ერთად ყოფნის ბანალობას განრიდებული იგი იმ სიყვარულს დაეძებს, „რომელიც ზღაპარს ჰგავდა. უმრავლესობას — ათასერთის კი არა და — ერთი ღამისას“. მოყმის არქეტიპის შთაგონებითა და ფოლკლორული ვარიანტის მუსიკალობით ჟღერს ბალადა სიყვარულზე. მისი მოყმე სიყვარულის მდევარია, სატრფოსგან ცალად დაგდებული. სწორფრობის სიხარულს გაშორებული. ჭიუხებში აფთრის ნაწოლი მის ნაწოლად ენიშნება და „კოცნის სახმილით დამწვარი“ გრძნობას ვერ იურვებს:

**ეგებ ფიქრობ, მოვრჯულდე**
**უმადურ კვალზე ნათრევი,**
**ვერცხლის ბომონებს დავაკლა**
**ჩემი უბელო ნატვრები,**
**გავთბე სარკმლიდან სამადლოდ**
**შემოგდებული მზის სხივით,**
**ტრფიალი აღარ მომშივდეს**
**აუღებელი სისხლივით.**

გამიჯნურებულთა უძველესი მოდელი — ვარდბულბულიანიც კი ზაზა ბიბილაშვილთან ახალ სუნქვას იწყებს, თანამედროვე ემოციონალობით იტვირთება. იგი ახალ მგრძნობელობას ანიჭებს მიჯნურთა ამ სიმბოლოს და განცდათა მოდელირებას ისე წარმართავს, როგორც თანამედროვე პრაგმატულ სამყაროს შეშვენის:

**მღერი — მგონი ამომღერდე**
**სულ ბოლომდი,**
**ზურმუხტებში ვარდი ისე ძონისთვალობს...**
**მაგრამ ქარი რად ქირქილებს,**
**გულბოროტი:**
**სთველი ესე ვერასოდეს**
**მოისთვალო! —**
**თითქოს სული ტრფობის ალით კი არ იწვის —**
**შეშლილობის სენით განუკურნებელი,**
**და სურნელი, ასე მძაფრი,**
**მწიფე მიწის —**
**ბედისწერის მომწამვლელი სურნელია.**

პოეტური ჩანაფიქრი — მონატრების სიყვარულის ვიტამინებით მკურნალობა, მისი შიგთავსის ანატომიურ-ასოციაციური მსგავსება სიყვარულის ძირ-მწარესთან, განხიბლვა და კვლავ შეყვარება, განშორება და მონატრების სიხარული. მარადიული წრე-ბრუნვის ეს მაცოცხლებელი ენერგია ლექსიდან ლექსში გადადის, სხვადასხვა ინტონაციებში ტყდება, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ზაზა ბიბილაშვილისათვის დამახასიათებელ „შინა – სახეს“. სულის ასეთი ძახილი ადვილი სატარებელი არ არის. ყველა როდია მტვირთველი და სიყვარულის გოლგოთის გზაზე გამსვლელი. რადგან

**სიყვარული გრიპი არ არის —**
**ორჯერ და სამჯერ**
**ანდა ყოველ წელს**
**ყველას კი არ შეუძლია გადაიტანოს.**

ზაზა ბიბილაშვილის ეს პოეტური კრებული უკმარისობის გრძნობას არასოდეს ბადებს ისეთი მოდიფიკაციის გასააზრებლად, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა. მისთვის ნიშნეულია თვითგამხელისა და თვითშემეცნების გზით სიარული ზურგზე ჯვრითა და გულში წყევლის ლახვარით, ადამიანურ ცოდვათა აღიარებითა და ტალახის გუნდის სროლისგან გაჩენილი ტკივილით, მოყვარე-დუშმანთა გარემოცვით. და მაინც, პოეტი სიცოცხლეს იღებს როგორც ღვთის საჩუქარსა და ამავდროულად სასჯელს. ხშირად ულმერთობის განცდაც უჩნდება და უფლისგან მიტოვებულ ადამიანთა სიბრალულს იტკივებს. ამ ტკივილთან ზიარებისას გოლგოთას პირნათელი გადის, რადგან ზნეობა და სინდის-ნამუსი ვერ დაუთმია.

**ვერ მოგიშორე, შავეთო,**
**საქაჯე-სამიკიოტე!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ან უნდა ქვებნელს ჩავერთო**
**ან მარად უნდა მტკიოდე,**
**ანდა იუდას ფიცივით**
**დარეცილ-დანანაცრები**
**ურჯულოს ბილწი სიცილით**
**ვითვალო ჩემი ტაძრები.**




ის იმ სამყაროში ცხოვრობს, მოძრაობს და ფიქრობს, სადაც „გაბევრებია ქალაქს სახვნეში", სადაც არ არიან, „და თუ არიან ღრუბლის მწყემსავენ ფარას ღმერთები". სადაც „ჟამია უჟმური და სიკვდილისთვისაც კი აფერმკრთალებენ". სადაც „კარიც არ დარჩა შემოსამტვრევი — გამტვრეულია ყველა შიგნიდან." ასეთი აპოკალიფსური შეგრძნებები იმ რეალობასთან არის შენივთებული, რომლის ფერადოვნების მიღმა ინისლება სიმართლე დამსხვრეულ იმედებსა და ღვთისგან მიტოვებულ ადამიანებზე.

**რად მოველ,**
**რა ვნახე და**
**რა იმედებით მჯეროდა —**
**ატლანტს შევცვლიდი, გოლიათს —**
**ზეცა მჭეროდა მხრებითა**
**ცხოვრება რამე გვგონია, სანამდე შევეყრებითა.**

დროის წარმავლობის ხატოვანება, მასთან დამარცხების სევდიანი ოდისეა ზაზა ბიბილაშვილთან სიკვდილთან შეხვედრის შიშსაც კი არარად აქცევს. მთავარია, რაც შეიძლება მეტი მოასწროს, მეტი შეისუნთქოს და მისი ამქვეყნად მოვლინება გაამართლოს. დროის მდინარების ასეთ მხატვრულ ასოციაციას კი ბევრგან ნამდვილად ვერ შეხვდები.

**წუთების ფოთოლი ცვივა:**
**წითელი, ყვითელი, მწვანეც.**
**ვაგროვებ მშვენიერ წამებს —**
**ზამთრისთვის ავისხამ მძივად.**

ზაზა ბიბილაშვილის ლირიკული ლექსების კრებულში მინორული განწყობილებანი ჭარბობს. იგი მართალი უნდა იყოს საკუთარ თავთან და, რა თქმა უნდა, მკითხველთანაც. ის, რაც მას ასევდიანებს და შემდეგ ამაღლებს კიდეც, ტაძრისკენ სავალ გზას გვიჩვენებს. ეს გზა კი მარტო სევდის გორაკებიდან მოჩანს ძველი დროშით, რომელზეც წარწერა არ იკითხება. გულით, რომელსაც კოცონის ძიებაში ნელთბილი ნაცარი შერჩა, სინდისისგან გაძარცული არადროებით, გაყიდული ანთეოსითა და ბოლოს—ბატის ფრთისა და დახლის ნაძალადევი დამოყვრებით. წინ კი ნისლიანი აღმართია, სადაც მობრუნებას დანაშაულად მიუთვლის საკუთარ თავს და ამბობს:

**განა არ ვიცი? — ამოდის კიდეც.**
**მეც ეგ არ მიკვირს? — სულ ჩასვლაზე რად მეწერება?**

ამ ლექსს ჰქვია „წელიწადი, როგორც ერთი დღე". დღიურები. როსტომ ჩხეიძემ სამართლიანად აღნიშნა, ლექსს კი არა, ლირიკულ პოემას დავარქმევდიო. დავეთანხმები. მწერლის ბეწვის ხიდზე სიარულს მიაგავს აქ თითოეული სტრიქონი. თითქოს ერთად უნდა შეკრას ის, რაც აქამდე უთქვამს და უფიქრია. „იმდენს ვფიქრობდი, ველარ ვიცხოვრეო" — ამბობს ერთგან და მერე დასძენს „ვერ ვისნავლე თქვენი ცხოვრება, ჩემი კი ვერა და ვერაო".

ეს მოკრძალებული და თანაც მართალი განცდა თუ არ ახლავს მწერალს, ის ვერასოდეს აივლის თავის აღმართს ისე, რომ უკან დახევის ჩვევა არ გაითავისოს. უკანდასახევი ხიდით მხოლოდ ერთეულები არ სარგებლობენ, როგორც თავგანწირული მეომრები ბრძოლის დროს, რადგან ბრძოლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი. წუთისოფლის საბაჟოზე მოღუღუნე მტრედები სწორედ მათ დაბადებას აღნიშნავენ დროულად. მტრედები აქ შემთხვევით როდი ვახსენეთ, ისინი ადამიანის დაბადებისა და სიცოცხლის ახალ ქრონოლოგიაზე მსჯელობენ „საბაჟოს წინ ამოყლარწულ სიცოცხლის ხეზე" ზაზა ბიბილაშვილის ლექსში „საბაჟო ცხოვრებისა ანუ დაბადება რამდენიმე წლის ასაკში". ამ ლექსში მოჩანს პოეტის რეფლექსია ადამიანის მოვლინების არსსა და დანიშნულების დიალექტიკაზე. თითქოს ირღვევა აქამდე არსებული ყველა ჭეშმარიტება. პოეტისათვის აქაც იმანენტური რჩება არსებული იდეალების ანალიზი, შემოწმება, ახალი იდეების პროვოცირება იმისათვის, რათა ცხოვრება დაუნანევრებლად გაიაზროს. დროის დიდ კონტექსტში წარმოქმნილი ადამიანური ყოფიერების დრამა ზაზა ბიბილაშვილთან უმოკლეს დროში განიცდება. მისი სააზროვნო სივრცე იშლება ისე, რომ სრულიად საკმარისია მდოგვის მარცვლის ნაყოფის სახილველად.

პოემა „წერილი ბოთლიდან" ტრივიალური თვალსაზრისით შეიძლება ბადებდეს კითხვებს მის ჟანრობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზაზა ბიბილაშვილის პოეტური ფიქრი, მისი გრადაცია, გამომსახველობითი საშუალებანი ერთბაშად გიკარგავს ამ მიმართულებით წაიყვანო მსჯელობა. მით უფრო, როცა ბოთლში შენახული წერილი „დაფდაფებითა და დიპლიპიტოთი შეფერილ" იმ აწმყოზე გაფიქრებს, სადაც მეფე ერთდროულად „ალია, უფალი და მეფისტოფელი" და იქვე „შვილთა ორგიაა დაუსაბამო". მათ გადაივიწყეს „როდის და სიდან მოსულან". აწმყოს მიყურადებული პოეტი წარსულს უხმობს საშველად, იქნებ განგაშის ზარების რეკა დაგვიანებული არ არის.

**ჰოი, ხრწნამორეულ სააქაოს სუნში ჩამპალო —**
**ეულ-შორეულ-გზააბნეულ-სულშესაფარო!**
**ჰოი, დატეხილო ჩემი ხელით ნგრევის თავზარო!**
**ჰოი, გატეხილო ცხრაკლიტულო, ციხევ, ტაძარო.**

დაბოლოს, ვერლიბრი, ყველამ ვიცით, რომ პოეზიის ნოვაცია არ არის, მაგრამ მისი გასრულყოფილების პროცესი კვლავაც ძალაშია, ვინაიდან აკუსტიკურ-მუსიკალური ეფექტები აქ არ არსებობს, იგი სათქმელში საზრისის პრიმატს უშეღავათოდ მოითხოვს. ზაზა ბიბილაშვილის პოეტური ესთეტიკა ამ შეღავათებს არ საჭიროებს. განცდის სიფაქიზეს, მაღალი რეგისტრის ემოციურობასა და აზრის აქტუალობას მოაქვს მისთვის პოეტის მანდატი — მან თავისი ყამირი უკვე გაკვალა.

ნანა კუცია

# რეკვიემი პატარა ქალაქისათვის

*არარსებული ბუნებაში ჩემი სოფელი.*
ლია სტურუა

ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ 2009 წლის XI ნომერში ინგა მილორავას ნატიფი ნოველის, „პატარა ქალაქში“, წაკითხვისას მარინა ცვეტაევას უსათაურო, პატარა, „მუსიკასავით მეტყველი“ ლექსი მომაგონდა, იდუმალი სევდით და მწუხარე მელოდიით რომ ავსებს სულს:

**Я бы хотела жить с вами в маленьком городе,**
**где вечные сумерки и вечные колокола.**
**И в маленькой деревенской гостинице –**
**Тонкий звон старинных часов –**
**Как капельки времени.**
**И иногда, по вечерам, из какой-нибудь мансарды – флейта,**
**И сам флейтист в окне.**
**И большие тюлпаны на окнах,**
**И, может быть, вы бы даже меня не любили...**
**Посреди комнаты – огромная изразцовая печка.**
**На каждом изразце – картинка: роза – сердце – корабль.**
**А в единственном окне – снег, снег, снег...**

ლექსის ნაღვლიანი მელოდია პეიზაჟსაც ამოიყოლებს თითქოს, პასტელის ფერებს, მქრქალ, ბუნდოვან, უკონტურო მონასმებს, ერთმანეთში რომ ილვრება საზღვრებწანისლული, ბოლოს რომ სპეტაკ ნათელად, თოვლის გამჭვირვალე ბლონდებად გადაეფაროს ტილოს («Снег, снег, снег»). სხვისი პეიზაჟია, მაგრამ ტკივილია ყველასი, საერთო, ზოგადადამიანური.

მელოდია და ფერები ერთად მოქსოვს განწყობას — მეგაპოლისის ზრიალ-გნიასით დაღლილი სული მოინატრებს სიმყუდროვეს პატარა ქალაქისა (სოფლისაგან რომ თითქმის არაფრით განსხვავდება — აკი ლექსის პირველ სტრიქონში „პატარა ქალაქია“ კონსტატირებული, მესამეში კი, რატომღაც (რატომღაც?!) — „სოფლის(!) პატარა სასტუმრო“).

სული მოინატრებს სიმყუდროვის ფერს — „მარადი ბინდის“ («вечные сумерки»), სიმყუდროვის მელოდიას — მარადი ზარების («вечные колокола») ან ფლეიტისა (ედგარ პოს როდერიკ აშერიც მოგაგონდება, მხოლოდ „სიმებიანი საკრავების თავისებური ჟღერა [რომ] არ ზარავდა“, მისი იდუმალი სახლიც, რომელსაც „ოდინდელი სიძველე ჰქონდა უმთავრეს ნიშნად, კედლები კი მთლად გაუფერულებულიყო ჟამთა სვლაში, სახლის პირი სულ ჩამოებურა წვრილ-წვრილ ხავსს...“

„სული ბუნებით ქრისტიანიაო“, ტერტულიანეს დაიმოწმებს მაკა ჯოხაძე დიდი ტკივილითა და სინათლით გალიცლიცებულ წიგნში „სამოთხე უსიყვარულოდ.“

„ბუნებით ქრისტიანი სული“ თუ მოინატრებს მარადიული (რა საიმედო, დამამშვიდებელი სიტყვაა!) მწუხრის ზარების სევდიან გადაძახილს, მარადიული ბინდის ფერებს. რაღა ცვეტაევა, ბარათაშვილის მწუხარე სულს განა მთაწმინდაზე შემოღამების „დაბინდული ქლიავისფერი“ არ ესალბუნებოდა?!

„ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენ-ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არ ვიცით ხოლმე“ — დოჩანაშვილის სტრიქონებშიც იგივე იდუმალი სევდაა...

რატომ ტოვებენ ადამიანები თავიანთ სევდიან პატარა ქალაქებს, სევდიან ფესვებს, სევდიან სახლებს, სევდიან ხეებს, სევდიან სასაფლაოებს?! მით უფრო უცნაურია ეს განრიდება, რადგან „არა თუ შენ ძირი იგი გიტვირთავს, არამედ — ძირსა მას — შენ“ [რომ. 11, 18].

იქნებ იქ, დიდი ქალაქის ზრიალ-გნიასში უფრო იოლია, გაექცე ყველაზე მთავარ, ყველაზე ძნელ თვისებას — ფესვებზე, საზრისზე ფიქრს, რომელიც, თვისებაზე მეტად, ალბათ, „დანიშნულებაა და საღმრთო ვალი“?!

იქ, მეგაპოლისის რეკლამების „უტიფარ ნათებაში“ (ნოვალისი), ლაზერშოუს მკვდარ იისფერში (არაფრით რომ არ ჰგავს „იისფერ თოვლის ხიდიდან ფენას“ — მარადიულ, სულიწმიდისგან ნაკარნახევ მეტაფორას) „მარადი ბინდი“ ფეხაკრეფით მიიპარება ისევე, როგორც „მარადი ზარების“ ნაღვლიანი გადაძახილი, მხმობი, მხსნელი — ათასი მანქანის („მანქანებაი ეშმაკისაი“ — საბანისძის ქრესტომათიული ფრაზა) ღრჭიალში...

მახსოვს ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი პირველი წიგნი — ნინო ბეზარაშვილის „სახლი.“ წიგნზე მეტად ბროშურას ჰგავდა, თხელი, სიფრიფანა, გულისმომწყვლელი. გარეყდაზე დათოვლილი სახლი ეხატა, პატარა, კოხტა, ქართული სახლი. კითხვა ჯერ არ ვიცოდი, დედა მიკითხავდა. კითხვისას ეცვლებოდა ხმა, ნაღველი ელვრებოდა.

„წაკითხულ წიგნთა საღამოის [პირველი] მსუბუქი ბინდიდან“ მახსოვს, როგორი მარტოსული იყო მიტოვებული კერა, როგორ ამაოდ ევედრებოდა ეზოში შემთხვევით შეხეტებულ მელიას, მგელს, ვის აღარ, ბუხარში ცეცხლი დაენთოთ, თვითონაც დამთბარიყვნენ, სახლიც გაეთბოთ.

„ბავშვ(ობ)ის ხანა უგრძესია ყველა ხანაზე“ (გრიგოლ რობაქიძე) და, ალბათ, ამიტომ მიუსაფრობის, მიტოვებულობის, უდაბურების პარადიგმად ჩემს წარმოსახვაში სწორედ ბავშვობის იმ ფარატინა წიგნის სახლი რჩება, თუმც მერე იყო ათასი სხვა სახლიც — ისევ — „წაკითხულ წიგნთა საღამოის მსუბუქი ბინდიდან“ — გოდერძი ჩოხელის, რეზო ინანიშვილის ნოველების მიტოვებული სოფლების მწუხარე სახლები, რომელთა მორყეულ კიბეებზეც, სამი თაობის ნაცვლად, ჭინჭარი ადიოდა, კლდიაშვილის სევდიანი ოდები, გრაფი სეგედის „ნადგურცემული“ ოთახი თუ აშერთა ჩამოქცეული სახლი, ან რეი ბრედბერის „მარწყვიანი ფანჯარა“ — მარსელების ყველაზე დიდი ნოსტალგია...

სახლის საკრალური არსის საოცარი დეფინიცია მაგონდება, ავთანდილის ტევადი მობოდიშება, „სახლი არ მახლავს, არ ძალ-მიც გაცემა საბოძვარისაო...“ — ნუხილის საფანელი.

საოცარი სტრიქონებიც, სულ სხვა კონტექსტის დამმარხველი, ეპოქის სიმრუმის, უსაყრდენობის ანარეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსებიდან“: „თავი დაანებე საკუთარ სახლზე ოცნებას, რადგან ჯერაც არ აგებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ადამიანის ოცნებად რომ ღირდეს, ჯერაც არ აგებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ერთხელაც არ დაინგრეს.“

სახლი იქნებ მართლაც არაა მარადიული, მაგრამ არსებობს გალაკტიონისეული „საოცარი შენობა“ — უზუსტესი პარადიგმა ტაძრისა.

მარადიული წარწერაც: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის-ვსცე ტაძარსა წმიდას“ — სიონის კარიბჭეზე ამოტვიფრული სტრიქონი ფსალმუნისა — ერთადერთი მხსნელი მისამართი სულისთვის, რომელიც ჯერ სხეულის ტაძარშია დავანებული („ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“ — სახარებისეულს გაიმეორებს იოვანე საბანისძე).



ინგა მილორავა

როგორც კი კაცი ივიწყებს ამ აქსიომურ სიბრძნეს, სწყდება ფესვებს, ტოვებს სოფელს თუ პატარა ქალაქს, „სულის სიმშვიდის ვერსადმპოვნელი“ უცნაურად ემსგავსება აგასფერს, სრულიად განსხვავებულს უფლის მაღალი მსხემებისაგან.

ლირიკულ ინტერმეცოში მწერალი ჰკითხავს პერსონაჟს, კონსტანტინე გამსახურდია — დიდ იოსებს:

„ეგებ, მეწყერებს თან გადაჰყვა შენი წილი ვენახიცა და შენი წილი წალკოტიც?! ბედისწერამ გადმოგტყორცნა ამ ამღვრეულ, დაბურდულ, განადგურებულ დომხალივით არეულ ტფილისში, უთუოდ ბედისწერამ არია შენი ცხოვრების ეტლი და... მრუდე ბილიკებზე შეგაყენა შენც“.

ეს ძალიან (ან იქნებ არცთუ) შორეული რემინისცენციები უნებლიეთ მიჩნდებოდა ინგა მილორავას სევდიანი ნოველის კითხვისას.

ამგვარი სტილი იქნებ წერილს სულაც კიტჩს ამსგავსებდეს, რომელსაც „ახასიათებს მასკულტურის ისეთი სტილისტური ელემენტები, როგორიცაა სენტიმენტალიზმი, ორნამენტულობა, ცრემლიანი ფსიქოლოგიური რეალიზმი, ეკლექტიზმი, უნიჭო იმიტაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ორიგინალს“ ***(ნანა გაფრინდაშვილი, მაია მირესაშვილი, ნინო წერეთელი, სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წ. II).***

„ორიგინალი“ — ინგა მილორავას ნაღვლიანი, მშვენიერ-ტრაგიკული (და მაინც — იმედიანი) ნოველა ერთი გამორჩეულ ნიმუშთაგანია დახვეწილი ქართული მსოფლაღქმისა, ტექსტი, სადაც მთელ სიუჟეტს, ყოველ ფრაზას, დეტალს, ნიუანსს, ფერს, ხმას (სიტყვას — მითუმეტეს), პერსონაჟთა სახელებსაც კი გემოვნებიანი შემოქმედის, ხელოვანის სულიდან წარმომავლობა ეტყობა.

უსაფუძვლოდ როდი მომგონებია პრეტენზიული სიტყვები: „შემოქმედი“, „ხელოვანი.“

ისეთი ტექსტია, ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ ფაქტად ხომ თავისთავად აღიქმება, მაგრამ, იმავდროულად, თითქოს მზა სცენარია დახვეწილი ფილმისთვის, სულ ორი პერსონაჟი რომ ეყოლება (დანარჩენები — არანაკლებ მნიშვნელოვანნი — იგულისხმებიან), ან ლიბრეტო ოპერისათვის, ანაც — მელოდია და ტექსტი ულამაზესი, ნაღვლიანი სიმღერისათვის...

ძველი გობელენის გაცრეცილ, კონტურებწანისლულ ნახატსაც მაგონებს, სწორედ წანისლული კონტურებით რომ ხდება უფრო მნიშვნელოვანი, „წარმავლობის საკმევლით“ (მაკა ჯოხაძე) გაჟღენთილი.

„პატარა ქალაქში“ კლასიკური ნოველაა, ჟანრის კანონების ულრმესი ცოდნითა და შეგრძნებით დაწერილი (პროფესორ ინგა მილორავას პირველი დისერტაცია ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის ისტორიის საკითხებს ეხებოდა). არც ერთი ზედმეტი ბგერა, მოძრაობა, ფერი — ყველაფერი — მხოლოდ — ბედისწერასავით გარდაუვალი, ტექსტისათვის აუცილებელი.

სტილი — სადა (გემოვნების უპირატესი ნიშანი), მშვიდი, თითქოს დაღლილი თხრობა, კადრის ხან მოახლოება, ხან — დაშორება [წუთისოფლის რაკურსიც ხომ ასეთია — ხან გიახლოვებს სახეებს, ხან — გაშორებს. დიდი ლიტერატურის რაკურსიც].

ძველი სადგური (გალაკტიონისეული — ხარაგაულის სადგურის „აცვენილი აგურიც“ მომაგონდება), წვიმიანი დღის ჩუმი მელანქოლია, სველ ძელსკამებზე სველი ყვითელი ფოთლების აჟურული მაქმანი — პირველივე სტრიქონები ნოველისა ასე ჩვეულებრივ, ასე არაჩვეულებრივ ხილვებს წამოშლის, „უმიზეზო ნაღველს, არსაიდამ რომ არაფრით არის ნაკარნახევი“ — ვინ არ ჩასულა ოქტომბრის დამლევის ან ნოემბრის დასაწყისის წვიმიან საღამოს პატარა ქალაქის პატარა ბაქანზე, სადაც თითქმის არავინ, სულ არავინაა?!

კვლავ ლიტერატურული მოგონება: „ბაქანს არ უყვარდა ჩქარი მატარებლები“ (გურამ დოჩანაშვილი); სხვაც, ისიც — წიგნისმიერი — გალაკტიონისეული, უწვიმარი ოქტომბრის დამლევი, ყვითელი ფოთლების მოკრძალებული, გაუბედავი ვალსი:

**ეს იყო ოქტომბრის დამლევს,**
**იმ დროს, როდესაც თვითეული ღრუბელი ცაზე**
**ვერსალსა ჰგავს.**
**დაღალული მზე ველარ ათბობს. შემოდგომაა.**
**გარინდებით იდგნენ ხეები, ისეთი გარინდებით...**
**თავისით, როგორც ცრემლი, ხანდახან სწყდებოდა**
**უიმედო ტოტს ფოთოლი — ყვითელი... ყვითელი...**

**ყვითელი ქარვა გროვდება ბაღის ბილიკზე,**
**გადამხმარი ტოტები და ფოთლები...**
**მათში რაღაც ფუსფუსებს და ერთადერთი,**
**ეს შრიალია,**
**რომ იწვევს მთელს იდუმალებას შემოდგომისას...**

ეს ნოველის პირველი კადრებია, პირველი ეპიზოდები.

ამ ფერებმა თემო ჯაფარიძის ტილოების მაკა ჯოხაძისეული აღქმაც მომაგონა, „უცნაური განათება, როცა ღრუბლიანი დღე ირეალური შუქითაა შიგნიდან შეძრული და ეს სინათლე წარმავლობის საშინელ ფერს მშვიდად აგუებს ქალაქს".

ბაქანზე არავინაა, გარდა მოხუცი გიორგისა, სასიძოს, ახალგაზრდა გიორგის რომ ელის, „ვერცხლისფერჩარჩო-იანი სათვალის სიღრმიდან თაფლისფერი თვალებით ცნობისმოყვარეობით, თან — ცოტა შემკრთალი" რომ იმზირება.

ისეთი ბუნებრივია ეს ცნობისმოყვარე და შემკრთალი მზერა — სასიძოს, უბრალოდ ადამიანს კი არა, თითქოს საკუთარ მომავალს უმზერდეს მოხუცი, გაუბედავი შიშით, მაინც — იმედით...

შეკრთომის მიღმაც დიდი სიმშვიდეა, მოხუცი თავის პატარა ქალაქშია — ყოფილი ექიმი თუმც უკვე აღარ მუშაობს, „ამ ქალაქში თითქმის ყველა [მის] ხელშია გაზრდილი, ბავშვები ახლაც [მასთან] მიჰყავთ ხოლმე."

მოხუცი გიორგი შინაა, მ ა რ ტ ო, მაგრამ შ ი ნ.

თუმც ნოველაში არ კონსტატირდება, მაგრამ იგუ-ლისხმება, რომ „შემკრთალია" ახალგაზრდა გიორგიც, ალბათ, მოხუცზე მეტადაც — ის უცხო პატარა ქალაქშია, რომელთანაც მოგონებები (ანუ წარსული) არ აკავშირებს და ნოველის საწყის ეპიზოდებში თითქოს საეჭვოა, მომავალმაც დააკავშიროს — აკი მისმა საცოლემ, მოხუცი გიორგის ქალიშვილმა, მაიამ, არც კი ინება საქმროსთან ერთად სწვეოდა მამას, ერთმანეთისთვის გაეცნო თავის-თვის უახლოესი ადამიანები ( „პროექტი ჰქონდა დასამთავ-რებელიო", საცოლის გამართლებას უხერხულად ცდილ-ობს საქმრო, თუმც, მამას არ უკითხავს, რად არ ჩამოჰყვა მაია. იქნებ იმ ბუნებრივ უხერხულობასაც აარიდა თავი, ყოველთვის რომ ახლავს ამგვარ წარდგინებებს, ან უდედო სახლს გაუუცხოვდა ან უბრალოდ, წვიმიან, ცივ დღეს მგზავრობა დაეზარა (მამასთან? მამისკენ?! მამისკენ, იმ დიდი მამის სახე და ხატი რომაა, სულ რომ გველის ჩვენს „პატარა ქალაქში", ჩვენ კი სულ „პროექტი გვაქვს დასამთავრებელი", წვიმიან, გულისგამაწვრილებელ დღეს „მგზავრობა" გვეზარება... [მაგრამ აკი სწორედ წვიმიან დღეს მიდიან „ნისლების სანახავად" რეზო ინანიშვილის ერთი მშვენიერი ნოველის შეყვარებული პერსონაჟები!].

„შენ რა გითხარი, მაია", — თავისთვის ფიქრობს ახალ-გაზრდა გიორგიც და ეს ფიქრიც (ტექსტის დასაწყისში) სავსებით ბუნებრივია (ინგა მილორავა უზუსტეს რემარ-კებს პოულობს) — გაშინაურება „გულის გახსნა" (გრიგოლ რობაქიძე) ყოველთვის დიდ სულიერ ძალისხმევას მოითხოვს, სულიერი მცონარების დაძლევას, ასე რომ გაუ-რბიან დაღლილი თუ გარდაგულარძნილი ადამიანები...

ერთმანეთს წუთისოფლის ბაქანზე ხვდება ორი თაობა — წარმავალი და მომავალი, და ის, რაც შემაწუხებელია ახალგაზრდისათვის, ათასგზის განცდილი და გადალახუ-ლია მოხუცისათვის. უკანასკნელი საოცარი ტაქტით, სიბრძნით, მოთმინებით განამქრევს სიცივის, გაუცხოების, გულგაუხსნელობის მღვრიე ველს. ბაქნიდან ფეხით გაუყვებიან „სველ, ნისლიან ქუჩებს" (ესეც სიცივის და გაუცხოების ველია), რადგან სახლი „აქვეა, ახლოს" — სახლი ყოველთვის „აქვეა, ახლოს" (როგორც — (გავიმეორებთ ზემოთქმულს) „ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხან-დახან არ ვიცით ხოლმე") [იქნებ, უცნაური პარალელიც იყოს, მაგრამ, რატომღაც „ვეფხისტყაოსნის" ის პასაჟიც მაგონდება, ავთანდილი რომ ტარიელს ცხენდაცხენ გაატარებს, მშვიდად ესაუბრება, რათა წუხილით გათან-გულის გულს მიესალბუნოს ნაბიჯის სიმშვიდეცა და თანა-მოსაუბრის მშვიდი სიტყვაც – სალბუნთაგან უკეთესი].

„ქალები ზოგჯერ ხელს გვიშლიანო", დარდიანი, ტკივილიანი ტაქტით გაეხუმრება სასიძოს მოხუცი, სიტყვით ფლეთს დაძაბულობის უსიამო, სქელ აბლაბუდას, ორივეს რომ შემოსალტვია, თან, ქალიშვილის არყოფნის უხერხულობასაც გამართლებას უძებნიდეს თითქოს.

მერე — დეტალები, ნიუანსები, უნათლესად რომ წარმოაჩენენ, როგორ ნელ-ნელა ელვრება შემცივნულ სულს („სულო, ჭაობზე უნოტიესო" (გალაკტიონი) სითბო — უბრალო, მარადი, სულ გვერდით მყოფი არსებების, საგნების, ამბების წიაღიდან გადმოღვრილი — ამ სითბოს იმარხავენ კატა მართა, თუთიყუში სოკრატე, ბუხარში მთვლემარე, ნიადაგ გასაღვიძებელ-სალოლიავებელი ცეცხლი, წიგნები, წიგნები, წიგნები ყველგან, წიგნებში — მოხუცი გიორგის გარდაცვლილი მეუღლისა და მაიას დედის მიერ ოდესღაც ჟურნალებიდან ამოჭრილი რეცეპტები („მაიასთვის უნდა გადაეწერა რვეულში, ველარ მოასწროო", უბრალოდ განუმარტავს მოხუცი შეწუხებულ ახალგაზრდას, როცა უკანასკნელს კარადიდან გადმოღე-ბული წიგნიდან ფარატინა ფურცელი გადმოუფარფატდე-ბა), წიგნის ფურცლებში ჩაყუჩებული, გამხმარი ყვავილები — სხვისი მოგონებების სევდიანი ანამცვრევები.

ამ არსებებზე, საგნებზე, ამბებზე — „ჩვეულ ბედნიერე-ბებზე" საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

დეტალებით იქსოვება ნოველის ნაღვლიანი მხატვ-რული ქსოვილი, გობელენი. სწორედ დეტალი წარმოაჩენს ხელოვანის გემოვნებას, ტაქტს, არსს.

ინგა მილორავა დეტალების ხატვის ოსტატია.

ერთსართულიანი, განზე გადგმული სახლი. არაფერი ზედმეტი.

ყველაფერი სუფთა, მოვლილი, პატრონის თბილხელშე-ნავლები. ამ უპრეტენზიო ყოფას „რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი" (ქრესტომათიული სტრიქონები მოგვაგონდება) მოხუცისა აქვს თავისი ულრმესი ახსნა. მაკა ჯოხაძეს დავესესხებით: მოხუცი გიორგისნაირი „კაცები უსასრულოდ ბევრს ფიქრობენ, ბევრს კითხულობენ, ცოტას ჭამენ. ერთი ნაჭერი პური, ერთი ჭიქა ჩაი და ლიმონის თხელი ფენა სრულიად საკ-მარისია სააზროვნოდ და სამუშაოდ. ჩაცმითაც სადად, პრაქტიკულად აცვიათ. პრიორიტეტს ჯემპრეებს ანიჭე-ბენ, ვინ იცის, იქნებ, იმიტომაც, უხეში შალის მკბენარა ქსოვილი წლების განმავლობაში მოკლებული სითბოს მარაგს ასე მწვავედ რომ უნაზღაურებს და უბრუნებს სხეულს. არსებობისთვის საჭირო საგნებისა თუ ნივთების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი და ეს ხელმომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირნეობით კი არაა განპირობებული, არამედ იმ ცხადი პრიორიტეტით, რომ სულიერი საწყისი აშკარად ჯაბნის და ჩრდილავს ნივთიერს, სხეულებრივს".

პარმაღზე პირველი ფისო მიეგებებათ, უბრალოდ ფისო კი არა, ფისო მართა — სახელდარქმეული (ანუ — გულზე მირქმული) [ერთ-ერთი წმინდა მამის (სამწუხაროდ, ვერ ვაკონკრეტებ) ფრაზა მაგონდება, „წარმოიდგინეთ ის წამი, უფალმა რომ სამოთხეში ადამს ყოველი სულიერი მიჰგვარა და მათი სახელრქმევა უბრძანა, ანუ თანაშემოქმედად გაიხადა — სახელრქმევა პატრონის ყოლას გულისხმობს, ადამი, ადამიანი სამყაროს პატრონად იყო უფლისაგან მოაზრებული. როგორი თრთოლით ელოდნენ, ალბათ, სულიერნი სახელს, მათი ერთადერთობის, განუმეორებლობის დადასტურებას"].

მოხუცი ტკბილად უსაყვედურებს, „აბა, რას ჰგავს ეს, მართა, აქ რომ დამჯდარხარ და სველდები. ფანჯარა ხომ ღიაა, ვერ გადაძვერი? ეჰ, შენ რა გითხარი, სულ სველი ხარ!"

ყოფის საზრისი ზრუნვაა. ბაქანზე მიმავალ მოხუცს არ დავიწყებია, შინარმყოფი კატისთვის ფანჯარა ღია დაეტოვებინა, აკი ჩვენ „პასუხს ვაგებთ მათზე, ვინც მივიჩვიეთ" — ეგზიუპერის ფრაზა არაფრითა ჰგავს ციტატას საბავშვო წიგნიდან, რომლიდანაც უნდა ამოიზარდო...

[„ძაღლი მყავდა და მომიკვდაო", განუმარტავს სასიძოს, მერე — უნათლესი სტრიქონები: „ჩემს ასაკში ახლის მოყვანა არ შეიძლება. ძაღლი სხვაა. ცოდო იქნება მერე ძაღლი", — კაცმა გიორგის თვალი აარიდა და ცეცხლს შეხედა" — აქ ყველაფერი ტაქტითაა გაჯერებული, ნაღვლიანი სიტყვა „მერეც" და „თვალის არიდებაც", მზერის ცეცხლისთვის გასწორებაც. მაგონდება ჰემინგუეის ბერიკაცი ხიდთან (ამავე სათაურის მქონე ნოველაში), მტრისაგან დაბომბილ მშობლიურ პატარა ქალაქს რომ უნდა გაეცალოს (ყველგან — ეს პატარა ქალაქი!), ველარ კი ელევა, და „ის, რომ კატებმა თავის მოვლა იციან, უკანასკნელ ნუგეშად დარჩენია".

ოთახში შესვლისას გალუმპული კატა მუხლებზე შეახტება ახალგაზრდას. გიორგი ძრწოლით გადაუსვამს ხელს (ჩანს, დიდად როდი ეპიტნავება კატები, თანაც — სველი!), მერე, ტექსტის შუაგულში, გაფუებული, გაფუმფულებული გაეტვრინება ფისო — ენდობა. ცხოველები (ბავშვებივით) უზუსტესად გრძნობენ, სწვდებიან ადამიანის შინაგან არსს.

[ულმერთოდ, უსიყვარულოდ, უადგილისდედოდ, უწარსულოდ დარჩენილი სამყაროს შემაძრწუნებელ სურათს ასე ხატავდა ჩეხოვი: „აღარ არის პაპა და დიდედა, აღარ არის ძველი ხატები და პაპისეული ავეჯი, მეურნეობას ეტყობა, რომ აკლია წარსული, აკლია ტრადიცია. არ არის სახატე და, თუ არის — ძალიან ღარიბი და ულიმლამო, ულამპრო, მოურთავ-მოუკაზმავი, არ გააჩნიათ ზნეჩვეულებანი, ავეჯი თითქოს შემთხვევით ხასიათს ატარებს, თითქოს ოჯახი საკუთარ სახლში კი არა, ვინმესთან იდგეს, ჩამოსულიყოს და აქაურობას ჯერ ვერ შეთვისებოდეს; *არ არის კატა*, ზამთრის ღამეში არ ხმიანობს კრუალა და, რაც მთავარია, არ არის სამშობლო" ***(მაკა ჯოხაძე, სამოთხე უსიყვარულოდ)***.

პატარა ქალაქის პატარა სახლში ფირუზისფერი თუთიყუშიც ცხოვრობს, ისიც სახელდარქმეული, თავიდან რომ კიკი რქმევია, მერე, პატრონმა რომ „სიბრძნე შეატყო" — სახელგადარქმეული — სოკრატე.

ჯერ უნდოდ უცქერის სტუმარს, მეორე დღეს კი თითთან ფაფუკ ყელს მიუტანს, ფისოსავით გაეტვრინება ისიც. ყელზე ეფერება „რბილ და თბილ" ფრინველს გულაჩუყებული ახალგაზრდა.

გიორგი ლეონიძის დეიდა მაიკოსავით ტკბილი მოხუცია გიორგი.

პატარა ქალაქში სხვა „პროექტებია", სხვა პროექციები, ძველი, მარადი ფასეულობები და ჭეშმარიტებანი, ნაკლულ გონს რომ რუტინად ეჩვენება, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტად ინტელექტუალურ ცნობიერებას შეუძლია, ყოფითში, ერთი შეხედვით, რუტინულ-ბანალურში, მარადიულის ბრკიალა ანარეკლები დაინახოს [აკი დიდ ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას უკიჟინებს ოტია ქამუშაძეს სიდუხჭირით გაავებული მეუღლე, რადგან „სონიას არაინტელექტუალური ცნობიერება ვერ განიცდის თავს ბუნების ნაწილად" ***(მაკა ჯოხაძე, მზერის გადანაცვლება)***... დგას მერე ლიანდაგთან ეკვირინე „დროშაკით" ხელში...

მოხუცი გიორგი სწორედ ინტელექტუალური ცნობიერების გამო განიცდის თავს ბუნების, თავისი პატარა ქალაქის, მთელი უნივერსუმის ნაწილად, ის მშვიდია („ბალახი არ ცდილობს, ბანიანის ხედ გადაიქცეს და ამიტომ დედამიწა მომხიბლავი მწვანით იმოსება" (რევაზ ინანიშვილი), ყოფნის თავისი ლოკალი — ის დრო და სივრცე, არსთაგამრიგემ რომ განუსაზღვრა, თავისი *აწმყო* — სახლი, მართა, სოკრატე, მაიას გაუმხელელი მონატრება, გარდაცვლილი ცოლის მიერ წიგნებში ჩატოვებული გამხმარი ყვავილები, წიგნები, თავისი *წარსული* — ცოლის ნაქსოვი ძველმოდური, მაგრამ ლამაზი მუქყავისფერი სვიტერი, ნარინჯისფერირმებ-და ფანტელებჩაქარგული (შემცივნულ სასიძოს რომ ჩააცვამს მორიდებით, თუ იკადრებო. ბედნიერდება, ახალგაზრდა რომ არ იუკადრისებს მოხუცის სამოსს და ჩათბუნდება, ჩამყუდროვდება), *თავისი მომავალი* — მაიას და გიორგის მომავალი ბედნიერება (ბედნიერება, რადგან ახალგაზრდა გიორგი უცნაურად ჰგავს სასიმამროს, სახელიც ხომ ერთნაირი ჰქვიათ), მისი გულიც გახსნილია სამყაროსადმი — ისე იოლად შედიან ამ გულში მართაც, სოკრატეც, უპირველესად კი — მოხუცი გიორგი, რადგან აქ, პატარა ქალაქში, „პროექტების" ალიაქოთისაგან შორს, გიორგი იცნობიერებს მთავარს — კერიის, ადგილის დედის მადლს, ფესვების, ჰარმონიის მისტერიას.

აქ, პატარა ქალაქში, ადამიანს საკუთარ წარსულს, თანამოქალაქეთა, თანაწუთისოფლელთა პატივისცემას — სიცოცხლის საზრისს — ვერავინ წაართმევს. მოხუცი ექიმისათვის გასამრჯელო ნატურით მოაქვთ — ყველით, ახალი კვერცხით, ხორცით და ეს პაწია მოსაკითხი ისეთ სიყვარულს მოიყოლებს, ისეთ სიმშვიდეს — რომ სჭირდებით, უყვარხართ...

პატარა ქალაქებში არავინ მიჰყავთ მოხუცთა თავშესაფრებში. ამ ვიწრო, მყუდრო, სანდო ლოკალში მოხუციც აწმყოა და არა წარსული.

აქ, პატარა ქალაქის პატარა სახლში წიგნებში ჩაყუჩებულან „დროისაგან გალეული და დანისლული", გამხმარი ყვავილები და ძველი ჟურნალებიდან ამოჭრილი რეცეპტები (კერიის ლბილი სულნელის დამმარხველი — ალბათ, სააღდგომო კექსების, ნუშის ნამცხვრების, მარციპანის მსუყე სურნელებისა — „საკმევლის, ვარდის, თაფლიანი წანდილის სუნის" (ესმა ონიანი).

სასიძოს გულს ისე გადაუხსნის მოხუცი, თითქოს იმ

მარადის, უნათლეს სიძეს უტყდებოდეს: „ბევრ წიგნშია ასე ჩალაგებული. ვიცი, მაგრამ არ ამომიღია. ხანდახან წიგნს გადავშლი და უცებ ვპოულობ და იცი, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ის სადღაც აქ არის, მისი სუნთქვა მესმის, არ ვიცი, როგორ აგიხსნა. ვგრძნობ, რომ ხომ იყო, ფიქრობდა, უყვარდა, რაღაცას აგროვებდა, რაღაცას აპირებდა და ეს არსად გამქრალა, ისევ არის... მე რომ ყვავილები მომქონდა, ყოველთვის ინახავდა. ამ წიგნებში უამრავი ფურცელია — ქაღალდის და ყვავილის. დროდადრო ვპოულობ, ვუყურებ და ის ისევ მოდის ჩემთან. თითქოს არც არსად წასულა. სიცოცხლეც ესაა. სულ ესაა. აღარ ვარ მარტო...“

„ადამიანი ხსოვნაა და რეაქცია“ (მაკა ჯოხაძე).

თაობათა ასწლიან მარტოობას ხსოვნა განამქრევს, ხსოვნის ლბილი, ყუჩი ნათელი.

პატარა ქალაქის პატარა სახლში ბუხარი ანთია.

„ცეცხლი მხიარულობდა, თითქოს ყველას მაგივრად უხაროდა რაღაც, არც წვიმის ეშინოდა, არც ქარის, სახლში იყო, ბუხარში, თავის პატრონთან, დაცული და არ ეგონა, თუ ოდესმე დაქრებოდა“ [ერნესტ ჰემინგუეი].

ეს დიდი სიმშვიდე, შინყოფნის განცდა — „სახლში, თავის პატრონთან“ შინდაბრუნების, მარადიული სიმყარის, საიმედოობის ანარეკლია, ყოფიერების ის დავიწყებული ნირი, „პროექტები“ და „საქმე“ რომ უნისლავს ბიბლიური მართასავით „მიმოდაზრუნვით“ (ანუ — ამო-ზრუნვა-ფუსფუსით) გაწამებულთ, სულის ბნელ ტალანებში კი — მარიამივით უფლის სიტყვას დანატრულთ.

და ახალგაზრდა, სულ ერთი დღით რომ „ჩამოირბინა“ სასიმამროს გასაცნობად, დავრჩებიო, აღუთქვამს ბედნიერ მოხუცს, დარჩენას რომ ეხვეწება გაუბედავად.

გიორგი ჰპირდება, რომ სანადირო ადგილებს დაათვალიერებინებს, სადაც აწ გარდაცვლილ მეგობრებთან ერთად ნადირობდა (მშობლიურ ქალაქში ყველგან წარსულია და სახსოვარი) და, თუ ვერაფერს მოინადირებენ, „გაჩვენებ მაინც, რა სილამაზეა აქო“, ჰპირდება.

სომერსეტ მოემის „ედვარდ ბარნარდის დაცემის“ პერსონაჟი მაგონდება, ჩიკაგოში „პერსპექტიულ“ მომავალს რომ ტაიტიზე მშვიდი, მყუდრო ყოფა არჩია [სხვათა შორის, ინგა მილორავას აღნიშნულ ნოველაზე ჩინებული ესეი აქვს დაწერილი ***(„სად არის ტაიტი?“, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 12-18 დეკემბერი, 2003).***

არ ვიცი, ოდესმე იტყვის თუ არა ახალგაზრდა გიორგი ედვარდ ბარნარდის სიტყვების მსგავსს: „მე ავაშენებ სახლს ჩემი მარჯნის კუნძულზე, გავზრდი პალმებს, გავფცქვნი ქოქოსს, გავაშენებ ბაღს, ვითევზავებ. იმდენი საქმე მექნება, მოსაწყენად არ მეცლება და არც სამუშაოსგან გამოვსულელდები. მექნება წიგნები, მეყოლება ევა და ბავშვები და, რაც მთავარია — ზღვისა და ზეცის უსასრულო ცვალებადობა, ულამაზესი განთიადი და დაისი, ღამის გულუხვი მშვენიერება. რაღაცას შევქმნი, შეუმჩნევლად გავა წლები და, როცა დავბერდები, ჩემ უკან დარჩება ბედნიერი, უბრალო, მშვიდი ცხოვრება. მოკრძალებული, მაგრამ ლამაზი. ცოტა გგონია, როცა ყოველი დღით კმაყოფილი ხარ?! მე სული ვიპოვე.“

(ციტატამ ბერი პაისი ათონელის სტრიქონები მომაგონა: „თუ აქედანვე შევუდგებით უბრალო, ზომიერ ცხოვრებას, შესაძლებელი იქნება იმ მძიმე წლების ასე თუ ისე გადატანა. ვიქონიოთ პატარა მიწის ნაკვეთი, მოვიყვანოთ ცოტაოდენი ხორბალი, კარტოფილი, დავრგოთ რამდენიმე ზეთისხილის ხე, ვიყოლიოთ ცოტაოდენი საქონელი, თხა, რამდენიმე ფრთა ქათამი. ქრისტიანი ადამიანი შეძლებს თავისი კომლის გამოკვებას. რჩეულების გამო სიმძიმილის წლები შემცირდება“ ***(თუ ქრისტესთან ვართ, რატომ უნდა გვეშინოდეს ანტიქრისტესი?!“ „კრიალოსანი“ №7, 2010).***

ინგა მილორავა აღნიშნულ პასაჟს თავის ესეიში უზუსტეს კომენტარს ურთავს: „ვიღაც დაბრუნდება ჩიკაგოში და დადგენილი წეს-კანონით იცხოვრებს. ყველას თავისი ზღუდე-ჩარჩო, პირობითობა, ყველას თავისი ჩიკაგო აქვს. სადღაც არის ტაიტიც. იქნებ ჩვენს გულში? იქნებ სწორედ იქ უნდა ვეძებოთ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ტაიტი?!“

მერე რა, რომ საქმროს გადაწყვეტილებით (სამი დღით დარჩეს პატარა ქალაქში) გაღიზიანებული მაია მობილურს უთიშავს გიორგის (მანამდე ტელეფონითვე ეკითხებოდა ირონიულად: „რას შვრება, გაგიჟებს მამაჩემი?“

იქნებ როგორც ოდესღაც ლევ ტოლსტოიმ ახალშერთულ ცოლზე, მაიაზეც ჩაწეროს გიორგიმ დღიურში (თუმცა, „პროექტების“ და მობილურების ხანაში დღიურს ვიღა წერს?!): «Не Она»...

იქნებ პირიქით, ინანიშვილის შეყვარებულებივით ხელიხელჩაკიდებულნი წავიდნენ ახალგაზრდები პატარა ქალაქის სველი ნისლების სანახავად...

ცოდოა საყვარელი და საბრალოა მოხუცი, სასიძოს რომ ქუჩაში (სულ სამად-სამი ქუჩაა პატარა ქალაქში) ასეირნებს, თვალებგაბრწყინებული აცნობს თანაქალაქელთ, ანახებს საავადმყოფოს, სადაც ორმოცდაათი წელი იმუშავა, „მაიას საბავშვო ბაღს, მაიას სკოლას“, „არეულობის წლებში“ გაძარცულ მუზეუმს, ათვალიერებინებს შემორჩენილ ექსპონატებს: ბრინჯაოს ხანჯლებს, გამწვანებულ მძივებს, ლომისსახიან ბალთას, გვერდმომტვრეულ დოქებს.

მაგრამ მოხუცი მუზეუმის ექსპონატი ხომ არაა, დროდადრო რომ შეაკითხონ, მოიკითხონ მოცლილმა დამთვალიერებლებმა, გაოცდნენ, აღფრთოვანდნენ და... გაეცალონ.

არ შეიძლება გაწბილდეს მოხუცი, აღსარებასავით რომ ეუბნება სასიძოს („თითქოს ეშინოდა, ზედმეტი არ მომივიდესო“ — დააზუსტებს მწერალი): „ისე მსიამოვნებს შენთან ერთად სუფრასთან ჯდომა. კი მივეჩვიე მარტოობას, მარტო ჭამასაც... არა, ხანდახან სტუმარიც კი მყავს, მაგრამ... შენ ჩემი ოჯახის წევრი ხარ, ხო, ჯერ არ ხარ, მაგრამ იქნები. ჩემთვის უკვე ხარ. შენ გაგიმარჯოს, შვილო გიორგი...“

რობაქიძისეული მისტერია შედგა — „გული გულს გაეხსნა.“

გიორგი თავად სთხოვს მოხუცს (სიყვარულით რომ უმასპინძლდებოდა, სთავაზობდა შემწვარ ხორცსა და კარტოფილს, ქარვისფერ ღვინოს, „რომელშიც ცრემლივით კიაფობდა სინათლის სხივები“), ჩაი და ნამცხვარიც მიირთვან.

ბედნიერია მოხუცი, „გახარებული გაცუხცუხდა სამზარეულოსაკენ“ — ენძელებიანი ჭიქიდან ილვრება, ოთახში დგება ჩაის მოტკბო, გულისმომწყვლელი არომატი — სახლის, სიმყუდროვის, ოჯახის ყუჩი სურნელი.

გიორგისთან ერთად, მოხუცის სულში შემოდის იმედი — მომავლის.

გიორგისთვისაც თითქოს მშობლიურდება უცხო ქალაქი, უცხო სახლი. „ჩვეული ბედნიერებანიც“ აქაა — „მოხუ-

ცის ხელი ათასწლოვანი ლოდისგან გამოთლილს ჰგავდა, ხავსმოდებულს. ბურთივით დამრგვალებული მართა ხალიჩაზე კოხტად იჯდა. სოკრატე თავის გალიაში გრძელ და უცნაურ ამბავს ჰყვებოდა დაუღალავად."

მაიამ ჯერ არ იცის, რომ პატარა ქალაქში მისტერია შედგა, რომ საქმროს ტელეფონი გაუთიშა თუ არა, „გიორგი გვერდზე გადაბრუნდა, სახე ბალიშში ჩარგო და გამხმარი, დანისლული ყვავილების ჩურჩულს მიუგდო ყური... თვალებდახუჭული, გამხმარ ფოთლებსა და ყვავილებს ხედავდა, ჰაერში ტრიალებდნენ. შორეულ, ტკბილ სურნელს შეიგრძნობდა, თითქოს მუსიკაც უკრავდა სადღაც, ვიღაც უხილავის რბილი, თბილი ხელები ეხებოდნენ, ეხვეოდნენ, სთხოვდნენ დახმარებას" [ერთი ფიქრიც, მაიას გამართლების მცდელობა — იქნებ ამ ჩურჩულს, ამ სურნელს გაექცა მაია, დედის მონატრების უსაზმნო ტკივილს?! მაგრამ რით აიხსნება მამისადმი ასეთი განურჩევლობა („რამდენი ხანია, მაია აქ აღარ ჩამოსულა")?!].

როგორც ყოველი დიდებული ტექსტის, ინგა მილორავას ნოველის ფინალიც ღიაა. მკითხველმა თვითონვე უნდა გადაწყვიტოს, ვინ რას აირჩევს — მაია რას, ახალგაზრდა გიორგი — რას.

მოხუცი გიორგის არჩევანი ისეც ნათელია — პატარა ქალაქის დიდი ნათელი.

„მე ვიცხოვრებდი თქვენთან ერთად ციდა ქალაქში, სად სულ მწუხრია,

წკრიალებენ ზარები მწუხრის" — იქნებ ცვეტაევასავით მაიკოსაც დასცდეს ოდესმე...

პატარა ქალაქის მყუდრო სახლში მინისლული ყვავილები ჩურჩულებენ.

ღმერთმა ინებოს — ასი წლის მერეც — უკვე სხვათა „ასწლიან მარტოობაში..."

**P.S.**

„მარტოობის ასი წლის" ავტორი გასაგები გალიზიანებით წერს, ხშირად კრიტიკოსები საკუთარ აზრებს ავტორს მიაწერენო.

იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ნოველის პერსონაჟთა სახელების მეტაფიზიკაც არსებითი მგონია. მოხუცისა და ახალგაზრდის სახელად „გიორგის" შერჩევა იმ სიმშვიდესა და სიმყარის განცდას ღვრის ტექსტში, რაც საერთოდ ახლავს ამ უძველეს სახელს, ქართველთა შორის ყველაზე გავრცელებულს, საკრალურს, მიწის სურნელით გაჯერებულს — საპირისპიროდ ეფემერული, სიფრიფანა „მაიასი" — საწუთროს ჭრელი საბურველის ინდური (უცხო, არაქართული) ხატებისა...

**P.P.S.**

დასანანია, რომ ჟურნალ „კვირის პალიტრის" რჩეულ მოთხრობათა („39 მოთხრობა", 2010) მშვენიერ კრებულში ინგა მილორავას უნატიფესი ნოველა „პატარა ქალაქში" არ შეუტანიათ...

# ზაზა შათირიშვილის მორიგი ხუმრობის გამო

ზაზა შათირიშვილმა, ჩვენმა აღიარებულმა ექსპერტმა — ფილოსოფოსმა, ლიტერატორმა, სოციოლოგმა, პოლიტოლოგმა, ხელოვნებათმცოდნემ — რამდენიმე ჩამონათვალში ქებით მომიხსენია, რის გამოც მადლობას ვუხდი. თუმცა, როგორც მისგანვე ვიცი, ჩემეული არაფერი წაუკითხავს, მეგობრის, მერაბ ღაღანიძის, რეკომენდაციას ენდობა. მიუხედავად ამისა, ჩემთვის მაინც მოულოდნელი გამოდგა, რომ ყოველ ჯერზე არქაისტების დიდებულ კოჰორტაში მიჩენს ადგილს. არც მეტი, არც ნაკლები, მის მიმოხილვებში ღრმა არქაისტის იარლიყი მაკერია. კაცმა რომ თქვას, მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის. ჩვენი მთარგმნელების ნაწილი, სხვათა შორის, უკეთესი ნაწილი, არქაული მეტყველებისკენ იყო და ზოგი მათგანი დღესაც არის მიდრეკილი. ალბათ, არაერთხელ უნახავს ჩემი გვარი მათი გვარების გვერდით ჩამონუსხული და რა გასაკვირია, ინერციით მათ წრეში ვეგულებოდი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ ოდნავ ხელოვნურ-ესთეტურ ენასთან არასოდეს არავითარი სიახლოვე არ მქონია. კი, ვიიონის თარგმნისას ალაგ-ალაგ არქაული მიმოხრებიც გავათამაშე, მაგრამ ეს ყოველთვის ირონიულ კონტექსტში ხდებოდა, დამცინავ კონტექსტში, რაც ძირითადად დედნის სტილისტიკისაგან მომდინარეობს. ვისაც ქართული ვიიონი წაკითხული აქვს, უყოყმანოდ დამემოწმება, რომ მთელი ტექსტის სამეტყველო ენა ბარნოვ-გამსახურდიასეულს არა ნიშნით არ ენათესავება, არქაული და, მით უმეტეს, ხელოვნურ-ესთეტური არამც და არამც არ არის.

ზაზა შათირიშვილის მსჯელობა ხშირად ძალზე საინტერესოა, უნარი შესწევს, ზოგიერთ მოვლენას სხვა კუთხით შემოუაროს, ახალი თვალით დაგვანახოს, ფიქრისა და განსჯის საბაბი მოგვცეს, მაგრამ, როცა ქართულ მასალას იყენებს, ცხადი ხდება, რომ ამ მასალას საკმაოდ ზერელედ იცნობს. მაგისდა მიუხედავად, ან იქნებ სწორედ მაგის გამო, უყვარს ყველა ჩვენგანის სქემებში ჩასმა, რაიმე განმაზოგადოებელი სახელის მიკუთვნება, რაც, მავანთა იარლიყებისაგან განსხვავებით, შეურაცხმყოფელი არასოდეს არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმართლეს იშვიათად შეესაბამება. გურამ გოგიაშვილის რაბლე ბრწყინვალე ექსპერიმენტია, ეგრეთწოდებული აღორძინების ხანის ენაზე დაფუძნებული, მაგრამ მისი დაკავშირება ბარნოვისა თუ გამსახურდიას ენასთან სტილისტიკური ერესია. ზაზა შათირიშვილმა რაღაც ზოგადი სქემა მოიფიქრა და მეცა და გურამ გოგიაშვილიც შიგ ძალისძალით ჩაგვსხა. მე — წაუკითხავად, გურამი — მსუბუქი გადათვალიერებით (მერაბ ღაღანიძის რეკომენდაციებს უკვალოდ, როგორც ჩანს, არც აქ ჩაუვლია). ამდენად, მინდა შევახსენო, ან სულაც ვაუწყო, რომ გურამ გოგიაშვილი თანამედროვე ავტორებს თავისებური, მაგრამ აბსოლუტურად თანამედროვე ქართულით თარგმნის. რაბლესთან გამოყენებული არქაისტიკაც უაღრესად თავისებურია, ხსენებული არტისტული სტილის სრული ანტიპოდი, ამაღლებული კი არა, ღიმილიანი, განზრახ დადაბლებული. სხვა შემთხვევაში ექსპერიმენტი წარუმატებელი გამოდგებოდა. ამგვარ ნოვაციებს ჩაღრმავება სჭირდება, არა ეთიკეტების მიკვრა და ყასიდი შექება დიდი მაესტროსაგან ლოყაზე ხელის წათათუნებით.

ზაზა შათირიშვილის მიმართ ჩემი მოკრძალებული თხოვნაა, თავის ყოვლისმომცველ სქემებში მომდევნო ჯერზე როგორმე ადგილი მომინაცვლოს, ან კიდევ უფრო მადლობელი დავრჩები, თუ საერთოდაც უადგილოდ დამტოვებს. უკიდურეს შემთხვევაში წაკითხვამდე მაინც.

**დავით წერედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკის დღე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

22 დეკემბერს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ძალზე დატვირთული და ნაყოფიერი 2010 წლის ბოლო, ფართომასშტაბიანი სამეცნიერო ღონისძიება გაიმართა, რომელიც ერთდროულად მოიცავდა:



სამეცნიერო პროექტის — **„აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის პირველი ნაწილი (ათი ტომი) გამოსაცემად მომზადება“** — საანგარიშო სესიას და ინსტიტუტის მიერ აკაკის საიუბილეოდ გამოცემული თხზულებების პრეზენტაციას:

1. **აკაკის თხზულებათა I ტომი** (ტომი მომზადდა პროექტის ფარგლებში).

2. **აკაკის უცნობი პუბლიცისტიკა** — ახლადგამოვლენილი ნაწერები— (მომზადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით).

3. **აკაკის “სალამური”**— 1893 წლის გამოცემის რეპრინტი (მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით).

ღონისძიების გახსნისას ინსტიტუტის დირექტორმა **ირმა რატიანმა** აღნიშნა, რომ გასული წელი ქართველი ლიტერატორებისა და მთელი ქართველი ერისთვის აკაკი წერეთლის სახელით იყო აღბეჭდილი. მან მადლობა გადაუხადა ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგებს აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეულის მომზადებაში ჩადებული უზარმაზარი შრომის გამო და დარბაზს სთხოვა, ფეხზე ადგომით მიეგოთ პატივი ახალგარდაცვლილი მეცნიერის, ქალბატონ **ლამარა გვარამაძის** ხსოვნისთვის, რომელმაც გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გაასრულა მის მიერ შედგენილ ერთ-ერთ ტომზე მუშაობა. მან მადლობა გადაუხადა პრეზენტაციაზე დამსწრე **მეუფე დანიელს** და იმედი გამოთქვა, რომ მისი ლოცვა-კურთხევით ყველა ფინანსური სიძნელე გადაილახება და ოცივე ტომი იხილავს მზის სინათლეს.

პროექტის მონაწილემ, ტექსტოლოგმა **ჯული გაბოძემ** აკადემიური გამოცემის მომზადების თავისებურებებზე, კერძოდ კი აკაკის ოცტომეულზე მუშაობის დეტალებზე ისაუბრა. ითქვა, რომ ტომებში თხზულებანი ჟანრების მიხედვითაა გადანაწილებული, ერთი ჟანრის ნაწარმოებები კი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ლაგდება. პირველი სამი ტომი ლექსებს უჭირავს. უთარიღო და დაუმთავრებელი, ასევე ყრმობისდროინდელი ლექსები ცალკეა გამოყოფილი და მესამე ტომის ბოლოს მოთავსებული. IV ტომში პოემები, V-ში კი დრამატული პოემები დაიბეჭდება. VI-VII მოთხრობებს ეთმობა, VIII ტომში კი ორიგინალური დრამატული თხზულებანი გამოქვეყნდება. IX ტომში განთავსდა თარგმნილი და კრილოვისგან გადმოკეთებული ლექსები, X ტომში მკითხველი პიესების თარგმანებს გაეცნობა.

გამოცემის განსაკუთრებული სიახლეა ის, რომ არ არსებობს კონიუნქტურული და საცენზურო ჩარჩოები, მრავალტომეულს შეემატება საბჭოთა ცენზურისაგან აკრძალული, მივიწყებული თუ ახალგამოვლენილი ათობით ნაწარმოები მათი ავტოგრაფების, ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროების გათვალისწინებით. წინა გამოცემებისაგან განსხვავებით, ძირითად ტექსტებს პირველად დაერთვის პასპორტები, ნაირწაკითხვები, ვარიანტები, კომენტარები და საძიებლები.

ახალი აკადემიური გამოცემის პირველ ტომში, რომელიც უკვე მიიღო მკითხველმა, სრულად არის შესული მწერლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან 1890-იან წლებამდე შექმნილი არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი პოეტური ქმნილებები, არამედ მკვლევართა მიერ უკანასკნელ წლებში გამოვლენილი, სხვადასხვა არქივებსა და სამუზეუმო ფონდებში დაცული პოეტური ტექსტები.

ტექსტოლოგმა **ნანა ფრუიძემ** უშუალოდ იმ გამოცემებზე ისაუბრა, რომლითაც ინსტიტუტი საიუბილეო თარიღს შეხვდა.

მათ შორის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კრებული „აკაკის უცნობი პუბლიცისატიკა“. მასში შესული პუბლიცისტური ნაწარმოებები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თავის დროზე შესაბამის ტომებში დაიკავებს კუთვნილ ადგილს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მისი გაცნობა მკითხველმა უკვე მწერლის საიუბილეო წელს შეძლო. წიგნში თავმოყრილი მასალა არა მარტო რაოდენობრივად არის უხვი (სულ 57 ერთეული), არამედ თემატურადაც მრავალფეროვანია. ბევრ მათგანს საზოგადოებრივი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

მკითხველი კრებულში გაეცნობა სომხურ-ქართული ურთიერთობის შესახებ დაწერილ აკაკის შესანიშნავ პოლემიკურ წერილებს; სტატიებს ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის საკითხებზე, რომელსაც აკაკიმ უამრავი ძალა და ენერგია შეალია; აქვეა სტატიები საბანკო საქმეებზე. განსაკუთრებული ინტერესის საგანია მცირე ზომის წერილი „ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების შესახებ“, რომელიც სრულიად აქარწყლებს ყბადაღებულ მითქმა-მოთქმას ორი დიდი მამულიშვილის ურთიერთობის შესახებ.

მკითხველს საშუალება მიეცა გაეცნოს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მცირეფორმატიანი კრებულის — „სალამური. სასიმღერო ლექსები აკაკისა“ რეპრინტულ გამოცემას. ეს კრებული თავის დროზე, XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეს, აკაკის დიდ მეგობარს კირილე ლორთქიფანიძეს შეუდგენია. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულ კირილე ლორთქიფანიძის არქივში ახლაც ინახება კირილეს ხელით გადაწერილი აკაკის ლექსების კრებული „სალამურის სახელწოდებით“, რომელიც 1893 წელს ქუთაისშივე, ნ. გამრეკელის ტიპოგრაფიაში დაისტამბა. კრებულის მნიშვნელობის ის ფაქტიც ზრდის, რომ მასში პირველად გამოქვეყნდა აკაკის „განთიადი“.

მხცოვანმა ტექსტოლოგმა, პროფესორმა **ზურაბ ჭუმბურიძემ** ხაზი გაუსვა ახალი გამოცემების მაღალ პოლიგრაფიულ დონეს.

**როსტომ ჩხეიძემ** აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ორი უზარმაზარი პროექტი განახორციელა. თითქმის დასრულდა ილია ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის გამოცემა და დაიწყო ასეთივე ფორმატის აკაკის მრავალტომეულის დასტამბვა. ითქვა, რომ ტექსტოლოგთა მიერ მომზადებული ყოველი ახალი გამოცემა კიდევ უფრო გამდიდრებული და შევსებული წარსდგება ხოლმე მკითხველის წინაშე, თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი გამოვლინდება, მწერლის ყველა ნაწერი ხელთ გვექნება, აკაკი კვლავაც უცნობი დარჩება, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა სიღრმეა და კლასიკოსებიც იმიტომ არსებობენ, რომ ყოველ ეპოქაში ახლებურად იქნან წაკითხული. მანვე გაიხსენა გალაკტიონის ერთი გამონათქვამი, აკაკის ზოგიერთი ლექსი ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც მეთორმეტე საუკუნის, თავისუფალი და ძლიერი საქართველოს მკითხველმაო.

ტექსტოლოგია განსაკუთრებული სამყაროაო, თქვა მკვლევარმა **თამაზ ჯოლოგუამ**, **როსტომ ჩხეიძემ** კი მას იქვე მიაწოდა ახალი წიგნის იდეა: „ტექსტოლოგია, როგორც პოეზია“.



ეზრა პაუნდის ბიოგრაფია საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა. თუმცა მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი საამისოს არაფერს მიანიშნებდა. პოპულარობა მაშინვე მოიპოვა. ამასთან, ეს იყო პიროვნება, ვინც ლიტერატურით ცოცხლობდა და ყველას თავდადებით ედგა თავში, ვისაც კი ნიჭს შეატყობდა — რჩევის გაზიარება იქნებოდა, რედაქციული ჩასწორება თუ პუბლიკაციასა და გამოცემაში ხელის შეშველება. არაერთი დიდი მწერალი — თუნდაც ტომას სტერნზ ელიოტი, ჯეიმზ ჯოისი თუ ერნესტ ჰემინგუეი — არის დავალებული მისგან.

მერე მოხდა ისე, გაიტაცა ბენიტო მუსოლინის იდეებმა და იტალიურმა ფაშიზმმა და ამ პოლიტიკური დოქტრინის უანგარო პროპაგანდისტად გადაიქცა. ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ციხეში აღმოჩნდა. შემდგომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადმოიყვანეს და როდის-როდის ეღირსა თავისუფლება. სხვათა შორის, დემოკრატ მწერალთა ჩარევის წყალობით. მისი ლექსები დიდხანს იყო აკრძალული და ძალზე იშვიათად ითარგმნებოდა. როდესაც ზვიად გამსახურდიამ ქართულად გადმოიღო მისი რამდენიმე პოეტური ნიმუში და გამოაქვეყნა კრებულში „ამერიკელი პოეტები" (1971 წელი), იმხანად რუსულად პაუნდი საერთოდ არ ყოფილა თარგმნილი. კარგახანია ახსნილი ტაბუ მის სახელზე და ეზრა პაუნდი აღიარებულია ერთ-ერთ უდიდეს დასავლელ პოეტად.

ეზრა პაუნდი

### TENZONE

მიიღებს კი ხალხი მათ?
(ე. ი. ამ სიმღერებს).
როგორც დამფრთხალი ქალიშვილი გაურბის კენტავრს
(ან კენტურიონს),
ისე გარბიან უკვე ისინიც, შიშისაგან აყმუვლებულნი.

შეძრავს კი ამ ხალხს ეს სიმართლე?
მათ ქალწულებრივ უგნურებას ხომ ცდუნება
ვერ ეკარება.
გემუდარებით, მეგობარო კრიტიკოსებო,
ნუ შეუდგებით ახლა ჩემთვის მსმენელის ძებნას.

მე თავისუფალ მოდგმას ვეძმე ციცაბო კლდეზე;
უჩინარ ღრმულებს
მოესმათ ექო ჩემი ნაბიჯის,
ცივ სინათლეში,
უკუნ წყვდიადში.

### მეტროს სადგურზე

ამ სახეების გამოკრთომა ბრბოში;
ყვავილის ფურცლები სველ, შავ ტოტზე.

### ჩაიხანა

ის გოგონა ჩაიხანაში
ისე ლამაზი აღარაა, როგორიც იყო,
ამ აგვისტომაც ძალა თითქმის გამოაცალა.
ვეღარ აივლის ძველებური სილაღით კიბეს;
დიახ, ისიც ასაკში შედის,

სინორჩის სხივი, სულ რომ გვაფრქვევდა
როცა ფუნთუშა მოჰქონდა ხოლმე,
აღარასოდეს მოგვეფინება.
უკვე ისიც ასაკში შედის.

*ეპიტაფიები*

### ფუ ი

ფუ ი ეტრფოდა მაღალ ღრუბლებს და მთაგორაკებს,
ვაგლახ, იგი ღოთობამ მოკლა.

### ლი პო

ლი პომაც მთვრალმა დალია სული.
ცდილობდა მთვარეს მოხვეოდა
ყვითელ მდინარეში.

ჩვენი თანამედროვენი

ოდეს ტაიტაიტელმა პრინცესამ
შეიტყო მისი გადაწყვეტილება,
მზის შუქზე გარეთ გამოქანდა
და ქოქოსის პალმაზე აძვრა,

მაგრამ ის მაინც ამ კუნძულს დაუბრუნდა
და დაწერა ოთხმოცდაათი
პეტრარკასებური სონეტი.

### აპრილი

*Nympharum membra disjecta.*

სამი სული გამომეცხადა
გამგლიჯეს და ნაფლეთებად მიმყარმომყარეს
მიწაზე, სადაც გაშიშვლებული
ზეთისხილის ტოტები წვანან:

გაფითრებული სასაკლაო ნათელ ბურუსში.

### ალბა

ისეთი გრილი, როგორც შროშანას ფერმიხდილი,
სველი ფოთლები,
ის გარიჟრაჟზე ჩემს გვერდით იწვა.

### ცაი ჩი

ყვავილის ფურცლები ცვივა შადრევანში,
ნარინჯით ნაფერი ვარდის ფოთლები,

ოქროს ნაკვალევს ტოვებენ ქვაზე.

### მარაო მისი საიმპერატორო უდიდებულესობისთვის

ო, თეთრი აბრეშუმის მარაო,
გამჭვირვალე, როგორც ჭირხლი ბალახის პირზე,

შენც სხვასავით გვერდზე გადაგდეს.

### ლიუ ჩე

ალარ შრიალებს აბრეშუმი,
ეზოში მტვერი დაეხეტება,
ფეხის ხმაც კი არ ისმის არსად, და ფოთლები
ქარმა გროვებად რომ მიხვეტა,
წვანან უძრავად,

და მათ ქვეშაა ის, ვინც გულს მუდამ
სიხარულით ავსებდა ხოლმე:

ზღურბლს აკრული სველი ფოთოლი.

ინგლისურიდან თარგმნა
**თამარ რუხაძემ**

---

# როგორ მიიღებს ხალხი ამ სიმღერებს?

ჩვენს წინაშეა ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი მეტრის, ეზრა ლუმის პაუნდის 10 ლექსის ჩინებულად შესრულებული თარგმანი. სხვადასხვა დროს დაწერილი ათივე ლექსი გაერთიანებულია ეზრა პაუნდის ერთ-ერთ ადრეულ პოეტურ კრებულში „Lustra“ (1916).

ეს ის ხანაა, როცა პაუნდსა და მის თანამოაზრეებსა თუ თანამოკალმეებს უკვე რამდენიმე წლის ჩამოყალიბებული აქვთ იმაჟისტური მოძრაობა, რომელიც თავის ძირითად ესთეტიკურ პრინციპად აცხადებს „სინათლეს და სიზუსტეს“ ხელოვნებაში და ბრძოლას უცხადებს აბსტრაქციას, რომანტიზმს, პოეტურ სახეთა პოსტრომანტიკულ და სიმბოლისტურ ბუნდოვანებას, სიტყვათა წყობის ინვერსიას, ზედმეტი სიტყვების, განსაკუთრებით ზედსართავი სახელების ჭარბ გამოყენებას.

ამ ლექსებში ასევე აშკარად ჩანს პაუნდის გატაცება ჩინური და იაპონური ტრადიციული პოეტური ხელოვნებითა და ლექსთწყობით (მაგალითად, „მეტროს სადგურზე“ იაპონური ჰაიკუს ფორმითაა დაწერილი; აღმოსავლური სალექსო ფორმებია ასევე გამოყენებული ლექსებში: „ალბა“, „ცაი ში“, „მარაო მისი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის“, ეპიტაფიებში „ფუ ი“ და „ლი პო“; პირველი ეპიტაფია ფუ ის (554-639) მიერ დაწერილი საკუთარი ეპიტაფიის პაუნდისეული თარგმანს წარმოადგენს, ხოლო მეორე თვით პაუნდს ეკუთვნის და გადმოსცემს ლი ბოს (701-762) (პაუნდს ლი ბოს 12 ლექსი აქვს ნათარგმნი) სიკვდილის ლეგენდარულ ამბავს; დანარჩენი ლექსებიც ჩინური და იაპონური პოეტური ხელოვნების ზეგავლენის ნიშნითაა აღბეჭდილი მეტ-ნაკლებად).

სწორედ ამ პოეზიისათვის დამახასიათებელ რადიკალურ ეკონომიურობასა და მკაცრ კონვენციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პაუნდის იმაჟისტური ტექნიკისა და იმ „იდეოგრამული მეთოდის“ ჩამოყალიბებისათვის, რომლის არსიც აბსტრაქტული ცნების/შინაარსის კონკრეტული სახეებით გამოსახვაში მდგომარეობს. ამ მეთოდის შექმნა პაუნდს შთააგონა ამერიკელი პროფესორის ერნესტ ფენოლოზას შრომებმა და მის მიერ ნათარგმნმა იაპონური პოეზიისა და ნოს პიესების ნიმუშებმა, რომელთაც პოეტი 1913 წელს გაეცნო. მოგვიანებით თავის წიგნში „კითხვის ანბანი“ (1934) პაუნდი განმარტავს, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ჩინური იეროგლიფები, მაგალითად „აღმოსავლეთის“ იეროგლიფი (東). ფაქტობრივად, არის „ხის“ (木) და „მზის“ (日) იეროგლიფების შერწყმა, ანუ იქმნება კონკრეტული სურათი ხის ტოტებში „გახლართული“ მზისა, რაც მზის ამოსვლაზე მიანიშნებს, მზე კი აღმოსავლეთში ამოდის. ეს არის ისეთი სისტემა, სადაც კონცეპტები ეფუძნება კონკრეტულ შემთხვევებს/სურათებს. ანალოგიურად, აბსტრაქტული კონცეპტის „წითელი“ პრეზენტაცია შესაძლოა მოხდეს ისეთი კონკრეტული სურათების ერთად მოთავსებით, როგორიცაა ვარდი, ალუბალი, ფლამინგო, რკინის ჟანგი. ეს იყო იმაჟიზმის ესთეტიკის ამოსავალი კონცეფცია.

კრებულს „Lustra“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლათინური სიტყვის „Lustrum“ განმარტება: „Lustrum: მსხვერპლშეწირვა მთელი ერისთვის ცოდვების გამოსასყიდად, რომელსაც ადამიანებს სთავაზობდნენ ცენზორები საკუთარი მმართველობის ხუთი წლისთავზე.“ კრებული იხსნება ლექსით „Tenzone“, რომელშიც პაუნდი სვამს კითხვას: „მიიღებს კი ხალხი მათ? (ე. ი. ამ სიმღერებს)“ ანუ, პაუნდს ეეჭვება, რომ ფართო მკითხველი საზოგადოება შეძლებს მისი ამ ლექსების ადეკვატურ აღქმას, და ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ რომანტიკული პოეტური ტრადიციის გამგრძელებელი გეორგიანული პოეზიის ზეობის ხანაში ფართო საზოგადოებაში უაღრესად პოპულარული იყო პომპეზური, გულისამაჩუყებელი, პროპაგანდისტული ლექსები, რომლებიც, ფაქტობრივად, გალექსილ მორალურ ესეებს წარმოადგენდნენ, რისი ანტიპოდიც იყო პაუნდის ლექსები. სწორედ გეორგიანული პოეზიის ერთგვარი პაროდიისა თუ სარკასტულ-ირონიული ინტერპრეტაციის ნიმუშია პაუნდის ლექსი „ჩვენი თანამედროვენი“ (ანუ, გეორგიანელი პოეტები).

თამარ რუხაძისეული თარგმანები იმედს იძლევა, რომ ქართველ მკითხველს მალე ხელთ ექნება ეზრა პაუნდის ერთ-ერთი ადრეული პოეტური კრებულის „Lustra“ მაღალ დონეზე შესრულებული სრული თარგმანი.

**ირაკლი ცხვედიანი**

ჩეზარე პავეზე

# ღმერთები*



— მთა ტიალია, მეგობარო. უკანასკნელი ზამთრის გახუნებულ ბალახს ჯერაც შერჩენია ლილოჭრელი თოვლისა. კენტავრის ქათიბსა ჰგავს. ეს მაღლობები ასეა ყველა. სულ მცირედიც საკმარისია და ბარი ისეთივე გახდება, როგორიც უწინ იყო, როდესაც ყოველივე ეს** ხდებოდა.

— ნეტავი მართალია, რომ უხილავთ ღმერთები?!

— ვინ იცის?! თუმცა, ცხადია, უხილავთ. მოიგონეს მხოლოდ სახელები ღმერთების, მეტი არაფერი, — ესაა მთელი განსხვავება ზღაპრებსა და სიმართლეს შორის. "იყო ესა და ეს ღმერთი", "ეს აღასრულა, ასე ბრძანა". ვინც ალალმართალია, ამის თქმითაც დაკმაყოფილდება. წუთითაც არ შეეჭვდება, რომ შესაძლოა არ ირწმუნონ მისი. მატყუარები ჩვენ ვართ, რომელთაც არ გვიხილავს ეს ყოველივე და მიუხედავად ამისა მაინც დაწვრილებით ვიცით, რა ფერის ქათიბი მოსავდა კენტავრს, ან რა ფერის ყურძნის მტევნები მწიფობდნენ იკარიოსის ზვარში.

— საკმარისია სერი, მწვერვალი ან ზღვის სანაპირო, განმარტოებული რამ ადგილი, რომ, მაღლა აიხედავ და, ცაზე შეჩერდება შენი თვალი. ამ ალაგთა დაუჯერებლი გამოყოფა სივრცეში დღესაც აუჩქროლებს კაცს გულს. ჩემი მხრივ მჯერა, როს ხის ან ლოდის სილუეტი მოიხაზებოდა ცის კაბადონზე, მათ ღმერთებად აღიქვამდნენ პირველითგანვე.

— ყოველთვის მხოლოდ მსგავსი მოვლენები როდი ხდებოდა მთებზე.

— ცხადია. პირველად მიწის ხმები ეფინებოდა მაღლობებს, — წყაროთა რაკრაკი, ხის ფესვთა ჩქამი, ქვემძრომთა სისინი. თუკი დემონი მიწას ზეცასთან აერთებს, სინათლეზე ნიადაგის წყვდიადიდან უნდა გამოვიდეს.

— არ ვიცი. იმ ხალხმა მრავალი რამ უწყოდა. უწოდებდნენ რაიმე სახელს და ასე უდრტვინველად მოიგონებდნენ ღრუბელს, ტყეს, ბედ-იღბალს. კანთიელად იხილეს ის, რაც ჩვენ ეს-ეს არის ვიცით. არც დრო ჰქონდათ და არც ხალისი, ოცნებებში დაკარგულიყვნენ. ჟრუანტელის მომგვრელი, წარმოუდგენელი ბევრი რამ იხილეს და არც კი გაკვირვებიათ. უწყოდნენ, რაც იყო. მაგრამ თუ ისინი ტყუოდნენ, მაშ შენც დაგბნევია გონება, როდესაც ამბობ, დილაა ან წვიმას აპირებსო.

— სახელები თქვეს, ეგ მართალია. იმდენი, რომ ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, ნეტავ ჯერ საგნები არსებობდა თუ ის სახელები-მეთქი.

— იმთავითვე ერთდროულად არსებობდნენ, მერწმუნე! და არსებობდნენ აქ, ამ ტიალ, განცალკევებულ ადგილებში. ნუთუ გასაკვირია, რომ აქ, მაღლა მოვიდნენ? სხვა რა უნდა ეძია ამ განმარტოებულ მაღლობებზე იმ ხალხს, თუ არა ღმერთებთან შეხვედრა?!

— ვინ უწყის, რისთვის შეჩერდნენ აქ?! თუმც ყოველ მიტოვებულ ადგილზე ისადგურებს სიცარიელე, მოლოდინი.

— სხვა რაიმეზე ფიქრი შეუძლებელია აქ, მაღლა. ამ არეთ სამარადისოდ ჰქვიათ თავიანთი სახელები. ამ ბალახის მეტი, ცა რომ დაჰყურებს, არაფერი შთენილა და მიუხედავად ამისა მაინც ნიავის მსუბუქი ქროლვა უმალ ტევრში ამოვარდნილი გრიგალის ბუბუნს აცოცხლებს მოგონებად. არც სიცარიელეა, არც მოლოდინი. რაც იყო, სამარადისოდ არის.

— მაგრამ ის ხალხი, ის ადამიანები გარდაიცვალნენ და დაიმარხნენ. ახლა ეს არენი ისევე დგანან, როგორც მათამდე იდგნენ. მინდა დაგეთანხმო, რომ რაც თქვეს, სიმართლე იყო. სხვა რაღა რჩება? უთუოდ აღიარებ, რომ ამ ბილიკზე მეტად ველარ შეხვდები ღმერთებს. როდესაც ვამბობ, დილაა ან წვიმას აპირებს-მეთქი, ღმერთებზე არ ვლაპარაკობ.

— ღმერთებზე ამ ღამეს ვისაუბრეთ. გუშინ ლაპარაკობდი ზაფხულზე, და შენს სურვილზე, თბილი ჰაერი ისუნთქო საღამოობით. სხვა დროს საუბრობდი ადამიანზე, ხალხზე, რომელსაც შენთან ურთიერთობა ჰქონია, შენს ადრეულ გემოვნებაზე, მოულოდნელ შეხვედრებზე. ყოველივეზე, რაც ერთ დროს იყო. გარწმუნებ, ყურს ისე გიგდებდი, როგორც იმ ანტიკურ სახელებს ვუსმენ ხოლმე ჩემში ჟამიდან ჟამად. როდესაც, რაც იცი, იმას ჰყვები, პასუხად არ გეკითხები, რაღა რჩება, ან თავდაპირველად სიტყვები არსებობდნენ თუ საგნები-მეთქი. შენთან ერთად ვცხოვრობ დროში და ვგრძნობ, რომ ნამდვილად ვარსებობ.

— არაა იოლი, ისე ცხოვრობდე, თითქოს ის, რაც ოდესღაც ხდებოდა, სინამდვილე იყო. როდესაც გუშინ ნისლმა მოგვიცვა ამ ტიალ მთებზე და მწვერვალიდან ლოდი დაგორდა ჩვენს ფეხებთან, ღვთაებრივზე არ გვიფიქრია, არც დაუჯერებელ რამ შეხვედრაზე, ვფიქრობდით მხოლოდ ღამესა და დამფრთხალ კურდღლებზე. რანი ვართ და რისი გვწამს, სახიფათო მდგომარეობაში, საფრთხილო დროს გამომჟღავნდება ხოლმე.

— ამ ღამესა და კურდღლებზე, კარგი იქნება, კვლავ ვისაუბროთ მეგობრებთან, როდესაც შინ ვიქნებით. და მაინც, ეს შიში მხოლოდ ღიმილს უნდა იწვევდეს ჩვენში, თუკი დავუფიქრდებით ერთ დროს მცხოვრები იმ ხალხის მღელვარებას, რომლის გარშემოც ყველაფერი, რაც მათს ცხოვრებაში მომხდარა და რასთანაც შეხება ჰქონიათ, წარმავალი იყო. ეს გახლდათ ხალხი, რომლისთვი-

---

* ბოლო, ოცდამეექვსე დიალოგი ჩეზარე პავეზეს ნაწარმოებისა „საუბრები ლეუკოსთან".

** იგულისხმება სხვადასხვა ძველბერძნული მითოლოგიური ამბავი, რომლებსაც ეხება ამ ნაწარმოების პირველი ოცდახუთი დიალოგი.

საც ჰაერი ღამეული კოშმარებით, იდუმალი საშიშროებებით, ძრწოლის მომგვრელი მოგონებებით იყო სავსე. მარტო ავდრები და მიწისძვრები რად ღირს?! თუკი ეს სახიფათო მდგომარეობა მართლა არსებობდა, რაც სრულიად უდავოა, მაშინ ამის გვერდით მართლა არსებობდა ვაჟკაცობაც, იმედიც და ის ბედნიერი აღმოჩენაც, თურმე რა ძალა ჰქონიყო ღმერთებთან შეხვედრებს. ჩემი მხრივ არასოდეს დავიღლები, ყურს ვუგდებდე ამ ხალხს, ჰყვებოდეს თავის მიერ განცდილ ნაირგვარ ღამეულ შიშსა და იმაზე, რისიც ამ დროს მოსავნი იყვნენ.

— და გჯერა ურჩხულების, გჯერა უჩვეულო არსებების, ცოცხალი კლდეების, ღვთაებრივი ღიმილის, გამანადგურებელი სიტყვების?



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

— მჯერა იმის, რისიც ყველა ადამიანს ჰქონია სასოება და რაც ყველა ადამიანს განუცდია. თუკი ოდესღაც ამ კლდოვან მაღლობებზე ამოდიოდნენ, ან ცის ქვეშ ამქვეყნიურ ჭაობებს ეძებდნენ, ეს იმიტომ, რომ აქ პოულობდნენ რაღაც ისეთს, რაც ჩვენ არ ვიცით. ეს არ ყოფილა არც პური, არც გართობა-კმაყოფილება, არც ძვირფასი ჯანმრთელობა. ყოველივე ეს ვიცით სადაცაა, არა აქ. ხოლო ჩვენ, აქედან შორს, ზღვისა და დაბლობების გასწვრივ რომ ვცხოვრობთ, ის რაღაც დავკარგეთ.

— მაშ თქვი, რა დავკარგეთ!

— იცი უკვე. ადამიანებისა და ღმერთების ის შეხვედრები.

**იტალიურიდან თარგმნა**
**ნიკოლოზ შამუგიამ**



# ზოგჯერ სიჩუმე ყვირილზე უფრო ხმამაღალია

კოტე მარჯანიშვილის თეატრის სხვენში გაიმართა **ნინო ჩხიკვიშვილის** წიგნის **"საუბრები თემურ ჩხეიძესთან"** პრეზენტაცია.

ნინო ჩხიკვიშვილის ინტერვიუები რეჟისორთან სხვადასხვა ჟურნალში (**"ქართული მწერლობა"** და **"თეატრი და ცხოვრება"**) გამოქვეყნდა, რამაც მკითხველის დიდი დაინტერესება გამოიწვია. ეს მასალა თავმოყრილია წიგნში, რომელიც გამომცემლობა **"პეგასში"** დაიბეჭდა. რედაქტორია თეატრმცოდნე **ვასილ კიკნაძე**, გამოყენებულია **ნათელა გრიგალაშვილის** ფოტოები.

თემურ ჩხეიძე დაიბადა 1943 წლის 18 ნოემბერს. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი 1965 წელს. 1965-1967 წლებში რეჟისორად მუშაობდა შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატულ თეატრში. 1967-1970 წლებში მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. 1970-1980 წლებში იყო რუსთაველის თეატრის რეჟისორი, ხოლო 1980 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1991 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორი, 2004 წლიდან მთავარი რეჟისორი, 2007 წლიდან — სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს 70-ზე მეტი სპექტაკლი. მიღებული აქვს "ოქროს სოფიტი" სანკტ-პეტერბურგის უმაღლესი თეატრალური პრემია ნომინაციაში "რეჟისორის საუკეთესო ნამუშევარი". ჟან ანუის "ანტიგონეს" დადგმისთვის 1997 წელს.

სალამოს უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო — მსახიობები, რეჟისორები, ბატონი თემურის ოჯახის წევრები.

როგორც ავტორმა განაცხადა, მას ამ წიგნის დაწერაში დაეხმარნენ ბატონი თემურის მეგობრები, მსახიობები.

"თემური მსახიობებისთვის იმდენად საჭიროა, რამდენადაც ჰაერი სჭირდება ადამიანს" — განაცხადა მსახიობმა **ნანა ფაჩუაშვილმა.**

სიტყვით გამოვიდნენ მისი ოჯახის წევრები. მისმა მეუღლემ ქალბატონმა **ნანი ჩიქვინიძემ** დიდი მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს, ქალბატონ ნინოს და განაცხადა, რომ ბატონმა თემურმა მისი ნაწერი პირველად წაიკითხა როსტომ ჩხეიძის ჟურნალში **"ომეგა"** და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მათი ურთიერთობა. მისი თქმით "თემური უფალს უყვარს", რადგან მან ამდენს მიაღწია.

"ასეთ კაცებს წინათ ფარნით ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ" – განაცხადა მწერალმა **გურამ ოდიშარიამ.**

"თემური ამ არეულ დროში დგას მტკიცედ და მარტო, იგი სტრიქონებს შორის ხედავს ისეთ რამეს, რასაც ჩვეულებრივი მკითხველი ვერასდროს დაინახავს" – განაცხადა თეატრმცოდნე **ლილი ფოფხაძემ.**

უდიდესი მადლობა გადაუხადა უფალს მსახიობმა **ნოდარ მგალობლიშვილმა** იმისთვის, რომ ასეთი კაცი არსებობს.

ჟურნალისტმა **ვანო ჯაფარიძემ** განაცხადა, რომ უნდა დაიწეროს ანალოგიური წიგნები სხვა მსახიობებზეც.

"ამით არ უნდა დასრულდეს ამ წიგნის გამოცემა" – განაცხადა თეატრმცოდნე **ნანა ჭრელაშვილმა.**

იდეა დაიბადა, რომ ბატონმა თემურმა გამოსცეს თავისი მემუარები. ითქვა, რომ ამოუწურავად შეგვიძლია ვისაუბროთ თემურ ჩხეიძის ღვაწლზე, მის პიროვნებაზე. იგი რომ მართლაც ჰაერივით სჭირდება მსახიობსა და თეატრს.

"ეს არის წიგნი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება" – განაცხადა გამომცემლობა "პეგასის" დირექტორმა **მარინა ცხადაიამ** და იგი იმედს იტოვებს, რომ ეს წიგნი გაგრძელდება და ჩვენც, მთელ ქართულ საზოგადოებას, ამის იმედი გვაქვს.

**გვანცა შუბითიძე**

* * *

ყაზბეგობა, ცხადია, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის შემოგარენში უნდა აღინიშნებოდეს, სიმბოლურადაც და ადგილის ჩინებულების გამოც; და ეგებ იმ დღისთვისაც წინასწარ ასე ჰქონდათ განზრახული, მაგრამ წვიმიანი, ავდრიანი დღეები მიეწყობოდა ერთმანეთს და, შეშფოთებულნი, ზეიმის ადგილად დარბაზს შეარჩევდნენ.

არადა, დღე ისე გამოცისკროვნდებოდა, უკეთესს ვერც ინატრებდი!..

მაგრამ სახელდახელო ცვლილებაზე აღარ იფიქრებდნენ და ყაზბეგობა დიდი ზარ-ზეიმით რომ გადაიხდებოდა, მუზეუმი სრულიად განზე დარჩებოდა, იქით გასეირნებითაც არავინ გაისეირნებდა. ისევ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები მივადგებოდით გამოკეტილსა და მოწყენილ შენობას და ცოტა მაინც ავახმაურებდით.



ის კი არა, შესაძლოა ზეიმს ისე ჩაევლო ცეკვა-სიმღერის ტალღებზე, „ელგუჯას“ შემოქმედი ხსენებითაც არავის ეხსენებინა და მისი ვეება პორტრეტი სულაც ამოვარდნილი ყოფილიყო აჟიტირებული გარემოდან ვერავინ რომ ვერ ამჩნევს.

თავიდან კი შემიპირებდნენ ალექსანდრე ყაზბეგზე სიტყვის სათქმელად, მაგრამ ცოტა სხვაგვარად აეწყობოდა საზეიმო მსვლელობა და იმასაც გავივლებდი, მგონია აღარც ვჭირდები-მეთქი.

და კიდეც მომადგებოდნენ: წინ წამოდექით, ახლა სწორედ თქვენ გამოგაცხადებენო.

მეც დავიძრებოდი სცენისაკენ.

წამყვანი ენამზეობს.

— თქვენს წინაშე წარსდგება ადამიანი, ვისი ხმაც ეფინება მთელს საქართველოს და ყველამ შეიყვარა.

„რა საჭიროა!“ — თავმდაბლურად გამკრავდა გულში.

— მის გარეშე ლაზათი და ბრწყინვალება აკლდება საზეიმო შეხვედრებს.

„აჰ, ზედმეტია, ზედმეტი... სხვა დროს გავაფრთხილებ“.

— მისი ხმის სინარნარე დღესაც დაგატყვევებთ და, დარწმუნებული ვარ, ერთ გამოსვლას არც აკმარებთ.

რაო, რა „სინარნარეო“?

გაოგნებული ვჭერდები.

„ხომ არ გაგიჟდნენ ეს...“

— თქვენს წინაშეა უმშვენიერესი სოფიო ბედია!..

მქუხარე ტაში, რომელიც სიმღერის დასრულების შემდეგ ოვაციაშიც გადაიზრდება.

მიხვდით ალბათ — იმას ეთხოვა წამყვანისათვის, ძალიან მეჩქარება, თბილისშიც მელიან კონცერტზე და იქნებ დამაწინაუროთო.

...მაინც კარგია, რომ ყაზბეგობამ ალექსანდრე ყაზბეგის ხსენების გარეშე არ ჩაიარა და შოუს ეროვნული ტკივილი და სახელმწიფოებრივი განცდა შეერია... ამჯერად მის დიდ მწერლობას რომ არც მივხედოთ, იმ საზღვრის პირას ვიმყოფებოდით, რომლის გადასარჩენად და შესანარჩუნებლადაც „კავკასიური ილიადა“ ერთ საუკეთესო საყრდენად გვევლინება, ფარადაც და მახვილადაც ერთსა და იმავე დროს, რათა ხალხში არ ამოშრეს ნაღველი ალექსანდრე ყაზბეგისა და მის თანადასელთა მონამებრივი ცხოვრებისა.

* * *

ერთ ყელქცეულელ კაცზე ჰყვებიან.

მგონი, იმაზე, ოთარ ჩხეიძემ ღვიტას პროტოტიპად რომ გამოიყენა ნოველაში „ისევ დალლარაი“, და ის ანდაზაც მარჯვედ მოიშველია სახალისო ამბის გადმოსაცემად, როგორ მოატყუა პატარა ეშმაკმა დიდი ეშმაკიო.

მაშინ ბავშვი გახლდათ ამ ჩანაწერის გმირი და ასაკის კვალობაზე საკმაოდ მახვილგონივრულად გააცუცურაკა დროული მეზობელი, ბლის ხე რომ გაუსვლიპა, თუმც იმას ბავშვების მოსაგერიებლად ხის ძირას ძაღლი დაება. ეს კი, პატარა ბიჭი, ყოველ ავლა-ჩავლაზე ძაღლს პურის ნაჭერს გადაუგდებდა ხოლმე, შეიჩვია, დაიმეგობრა და ავმა დარაჯმა აკი ერთიც არ შეჰყეფა, როცა ის ხეს კენწეროზე მოექცა.



ახლა შინდისში გადასულიყო სოფლის დღეობაზე და, გაწევ-გამოწევა რომ ატყდებოდა, შუაში ჩაუვარდებოდა მოჩხუბრებს. ვაჟკაცობა და გაბედულება არასოდეს ჰკლებია. გაშველებით კი გააშველებდა, მაგრამ რად გინდა — ყველა მას მოუბრუნდებოდა და მუქარით დაიძვროდნენ: გაგვასწარი, თორემ ცოცხალი ვერ გადაგვირჩებიო.

ეს არც გატოკდებოდა გავეშებული ბრბოს შემხედვარე;

— აბა, მართლა მომკალით!.. მთელი ყელქცეული რომ გადმოგეჭრებათ, თქვენი ცოდვით ქვა ატირდება.

ისინი, გაოგნებულები, ერთბაშად მოეგებოდნენ გონს, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო:

— ასე უყვარხარ შენს სოფლელებს?

ეს გაცინებული:

— ვუყვარვარ კი არა და... ყველას ვალი მაქვს და, ფულის დამკარგავები და გამძვინვარებულები, შურს თქვენზე იძიებენ.

ხელშეუხებლობა დაებევებინა და ეგაა.

იცინებდნენ შინდელები და თხოვნით სთხოვდნენ: ქეიფი დილამდეა და, უარი რომ გვითხრა, იცოდე, ყელქცეულელთა შურისძიებისაც აღარ შეგვეშინდება, ამას უკვე აღარ გაპატიებთო.

— ერთი პირობითო, — ამან, ოდესღაც თვით დაღლარა რომ გაეცურებინა, — თამადობას არავის დავუთმობ და ნურც გეგონებათ, ჩემზე უკეთესი თამადა სადმე იშოვნოთ მთელს ქართლშიო.

გულში კი გაივლებდა: ცოტა ადრე რომ დავბადებულიყავი, ლეკო თათაშელის პროტოტიპად აუცილებლად მე გამომიყვანდა ძია ოთარიო.

ამ პერსონაჟზე თავისი მოსაზრებანი ჰქონდა და ოდნავადაც არ ეჭვდებოდა მისი ალსასრულის ჰეროიზმში, თუმც ამ მოსაზრებათა მოხმობა ამ ჩანაწერთა ჟანრს უნუგეშოდ დაგვირღვევს და ამიტომაც უნდა მოვერიდოთ.

* * *

რენე კალანდიას ლექსი „ჯართის ჩაბარება ზუგდიდში“ უჩა შერაზადიშვილს ეძღვნება და მიძღვნის მოტივიც იქვეა განმარტებული: აფხაზურ-ქართული „კონფლიქტის“ ჟამს დაკარგული ლექსის ნაცვლადო.

ეს პოეტური ნიმუში მწვავე დრამატიზმითაა განმსჭვალული, თუ როგორ ჩააბარა ბებერმა პოეტმა 20 კილო ჯართი და მიიღო 4 ლარი — პურის ფული.

ლექსს ეპიგრაფიც ახლავს — იმ დაკარგული ლექსიდან ხსოვნაში ჩარჩენილი სტრიქონი:

— სო რე რენე, სიორენი?

ეს მეგრული ფრაზა სიტყვის თამაშზეა აგებული, რაც აღნიშნულია იქვე დართულ სქოლიოში და ორივე შინაარსიც განმარტებულია:

— სად ხარ, რენე?

და

— სად არის, რენე, სიორენი?

ის დაკარგული ლექსიც და ეს ახალიც უჩა შერაზადიშვილს ამიტომაც ეძღვნება, რომ მან თარგმნა დანიელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ეგზისტენციური მოძღვრების მამის სიორენ კირკეგორის „ესთეტიკოსის აფორიზმები“, რითაც იხსნებოდა სკანდინავიური ესეების ქართული კრებული.

უჩა კარგა ხანია დაეძებს და ველარ უპოვნია ის პირველი მიძღვნილი ლექსი, უფრო ექსპრომტი.

რენემაც ეძება, ეძება და... რომ ველარ იპოვნა, აგერ ამ ახლით ჩაანაცვლა.

ხსოვნაში ჩარჩენილი ის სტრიქონიც დრამატული ელფერით ალბეჭდილა — სიორენ კირკეგორის სიბრძნე ალმოსაჩენი გამხდარა და მისკენ მიმავალ, უთუოდ მძაფრი სულიერი განცდებით, ეგებ ტანჯვითა და თვითგვემითაც ალსავსე გზაზე მეგზურად რენე უნდა წარუძღვეს ამ მოგზაურობის მსურველთ.

უმძიმესი მისიაა, ყოფიერების მიღმა რომ უნდა გაგახედოს და შეუცნობელში თავფეხიანად გადაგიშვას.



*მეგობრული შარჟები გია ლაფაურისა*

არადა, ეს სტრიქონი, სიტყვის ეს თავისთავად მოხდენილი თამაში, იმ პირვანდელ ვერსიაში ცოტა სხვაგვარად გამოიყურებოდა:

— სო რენე, სო სიორენი!

რაც ასე განიმარტება:

— სად რენე, სად სიორენი!

ღიმილით, იუმორით, თვითირონიით განმსჭვალული ფრაზაა.

მაშინ ამ სტრიქონზე ბევრი ვიცინეთ, მითუმეტეს, სიტყვის თამაშის კლასიკური გამოხატულებაა, რომელთან შედარებითაც ეპიგრაფად გატანილი ფრაზა აშკარად ფერმკრთალდება.

ცხადია, რენე კალანდია თვითირონიას არ მოერიდებოდა და განზრახ არ გადააკეთებდა პირვანდელ სტრიქონს, უბრალოდ ასე ჩარჩენია მეხსიერებაში, თორემ თვითირონია, პოეტური თვითგასამართლება არ აკლია მის მხატვრულ ძიებებს, „რენელოგიური მელოდიით“ დაგვირგვინებულს:

**უპირველეს რენესანსს,**
**ანუ აღორძინებას**
**ურითმავენ: რენე სვამს,**
**მალე ჩაეძინება**
**სუფრასთან და მელოტ თავს**
**მაგიდაზე ჩამოდებს...**
**რენეს უნდა შელოცვა,**
**რადგან ცხადშიც აბოდებს...**

და ასე ბოლომდე...

ეს კაცი, ამისა და ამისთანების განმცდელი იმის გამოქვეყნებას მოერიდებოდა: სად რენე და სად სიორენიო?

...მოღალატეა მეხსიერება, მოღალატეა, მოღალატეაო, — იმეორებდა და იმეორებდა გალაკტიონი, რადგანაც იმას აწუხებდა და აწუხებდა დაკარგული სტრიქონების ბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეტამორფოზა

„ეცადენით სიკვდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ყოველთა“, — ასე მიმართავს ახალგაზრდა კახელი თავადი ედიშა ვაჩნაძე ბაზალეთში საომრად გამზადებულ თანამებრძოლებს.

1626 წლის შემოდგომაა. ჯერ არავინ იცის, თუ როგორ დამთავრდება ბაზალეთის ომი. არც ედიშა ვაჩნაძემ იცის, რომ დიდ მოურავთან პირისპირ შერკინება სწორედ მას მოუწევს და ხვალინდელი დილა აღარ გაუთენდება. არც გიორგი სააკაძემ იცის, რომ მისი ყოფნა სამშობლოს მინაწყალზე უკანასკნელ წუთებს ითვლის.

საცაა დაიწყება ბაზალეთის ომი და ფიცხი ედიშა ვაჩნაძე თავისიანებს თავგამოდებით მოუწოდებს: ეცადენით, რომ მოურავი მოიხელთოთ და კარგად დაუხვდეთ, თორემ თუკი ცოცხალი დაგვირჩა, უარეს დღეში ჩაგვაგდებსო.

ბუნებრივია, გაოცება შეგიპყრობს, როდესაც ზემოთქმულს კითხულობ არჩილ მეფისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაწერებში. ასე როგორ გაიმეტეს ქართველებმა საქართველოს სახელოვანი შვილი, უბადლო გმირი და მხედართმთავარი, სულისჩამდგმელი და შემოქმედი მარტყოფის აჯანყებისა — იმ ძლევამოსილი აჯანყებისა, რომელმაც ლამის სასიკვდილოდ გადადებული ქვეყანა გარდუვალი დაღუპვისაგან იხსნა და მკვეთრად შეატრიალა ბედი ქართლისა.

როგორც ჩანს, უნიჭიერეს სარდალსა და უშიშ მეომარს შეეჭიდა ბატონობის წყურვილით დაბრმავებული პოლიტიკოსი. გულოვანებას გვერდით ამოუდგა გულზვიადობა და დაჩრდილა. თავისი ძალ-ღონისა და ჭკუა-გონების გადაჭარბებულმა შეფასებამ ახირებული აზრი წარმოუქმნა, რომ სამეფო გვირგვინის საკითხი მის ნებასურვილს უნდა გადაეჭრა.

თეიმურაზ პირველი დიახაც დავალებული იყო გიორგი სააკაძისგან, რომელმაც ოსმალეთის სამფლობელოებში გადახვეწილი მეფე კახეთისა, მარტყოფის გამარჯვების შემდეგ, სამშობლოში იხმო და წინანდელი ძალაუფლება ერთბაშად გაუორკეცა ანუ ქართლ-კახეთის ტახტზე აიყვანა (ლუარსაბ ქართლის მეფეს მემკვიდრე არ დარჩენია, ხოლო თეიმურაზს მისი დაი ჰყავდა ცოლად).

მაგრამ დიდ მოურავს უგვირგვინო მეფობა ენადა და წყალი აამღვრია. ჯერ ქაიხოსრო მუხრან-ბატონს დაადგა თვალი და ქართლის გამგებლად დასვა. მერე უკეთესი კანდიდატურა შეარჩია — ახალგაზრდა და გამოუცდელი ალექსანდრე ბატონიშვილი, იმერეთის მეფის ძე, ქართლში საბატონოდ მოიწვია. ალბათ ფიქრობდა, უფრო იოლად დავიმორჩილებ და ჩემს დუდუკზე ვაცეკვებო.

ამტკიცებენ, დიდ მოურავს საქართველოს გაერთიანება ენადაო. მაგრამ მანამდე ძლივძლივობით გაერთიანებულ ქართლ-კახეთს რომ ისევ აცალკევებდა? მართლაც საკვირველია, თავისივე გარჯით მოწეულ ნაყოფს პატივმოყვარეობის ქარს ატანდა.

საქართველოს გაერთიანება ეწადაო. ამგვარი ოცნება, ვთქვათ, დაუცხრომლად აწვალებდა. მაგრამ განა არ იცოდა, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრის გამოცხადებას ქართლის მეფედ ვერც ქართლის ფეოდალები მოითმენდნენ და, რაც მთავარია, სეფიანთა ირანის ხელისუფლება ქართლის მოქცევას ოსმალეთის გავლენის სფეროში ვერაფრით შეეგუებოდა.

იმდროინდელი საგარეო თუ საშინაო ვითარების გათვალისწინებით შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს გაერთიანების იდეა, უდავოდ, ქიმერას წააგავდა.

ამასთან ერთად, ძნელია საქართველოს გაერთიანების წადილი მიაწერო მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალს, ვისაც ოსმალეთის ხონთქარი „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა.

ცხადია, რომ იმერეთის მეფისა და ახალციხის ფაშის სამხედრო ძალების მონაწილეობა ბაზალეთის ომში (სააკაძის მხარეზე) ოსმალეთის ხელისუფალთაგან იქნებოდა ნაკარნახევი.

აღიარებული შეხედულებით, შუა საუკუნეებში მეფე მთელი ფეოდალური იერარქიის მწვერვალს წარმოადგენდა. სამეფო ხელისუფლება წესრიგს განასახიერებდა და ქვეყნის დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა.

დიდ ფეოდალთა პოზიციას, დღევანდელი სამრეკლოდან, ეგებ ერთგვარი გამართლებაც კი მოვუძებნოთ. უფრო სწორად, გავუგოთ მაინც, თუკი ვერ გავამართლებთ. როდესაც მავანი და მავანი თავისი ნიჭით, უნარითა და პოპულარობით მეფეს არ ჩამოუვარდება, მეფობის პრეტენზია რატომაც არ შეიძლება გაუჩნდეს?

ნიკიფორე ირბახის რელაცია, ჩაწერილი ვატიკანში 1628 წელს, გვაუწყებს, რომ ძლევამოსილი მარტყოფის აჯანყების შემდეგ ხალხს მოურავის მეფედ გამოცხადება სურდა, მაგრამ თავად მან არ ინებაო. ამბობდა, რომ სამეფოს კანონიერი, ღვთივკურთხეული მეფე უნდა ჰყავდეს და გადახვეწილ თეიმურაზს მოუწოდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

სამეფო ტახტი, საუკუნეთა მანძილზე, ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდა და იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ მეფის გვირგვინს სხვა ვინმე დაეპატრონებოდა — კანონიერ მფლობელზე თუნდაც ათასჯერ ბრძენი და მამაცი.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ — ალბათ ეს ჰანგი აფორიაქებდა და ძილს უფრთხობდა მარტყოფის გამარჯვების უპირველეს ავტორს. ხალხს მეფობის ღირსად მიაჩნდა, ის კი, გამოცდილი და მთელს აღმოსავლეთში სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, ბრძოლის ველზეც მეფეს უნდა დამორჩილებოდა.

პირველობის წყურვილმა ბაზალეთამდე მიიყვანა.

სულ რაღაც ერთი წლის წინათ ბაზალეთის ომის მონაწილეთა უმრავლესობა, მთავარი გმირების — თეიმურაზ პირველის, გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის ჩათვლით, სისხლს ღვრიდა სამშობლოს გადასარჩენად. ერთმანეთის მხარდამხარ ებრძოდნენ ყიზილბაშებს და აი, ახლა ბაზალეთში ისეთივე გახელებით მოძმეთა სისხლს ღვრიდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბაზალეთის ომში კაცი არ დარჩენილა დაუჭრელი. თვით თეიმურაზიც და მოურავიც დაიჭრნენო.

მარტყოფი და მარაბდა ვილას ახსოვდა! გაუხუნარი „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ ჯიუტად ახშობდა კეთილგონიერებასა და კეთილზნეობას.

## აიდი — აღვსება მათი

ეს ამბავი მოხდა XIII საუკუნის დასაწყისში. დიდმარხვის მიწურულს, როდესაც ზაქარია და ივანე მხარგრძელნი გეგუთში იმყოფებოდნენ თამარ მეფესთან, არდებილის სულტანმა ისარგებლა ამ გარემოებით და აღდგომის დილას თავს დაესხა ქალაქ ანისს. „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ თორმეტი ათასი კაცი და ქალი „ეკლესიათა შინა ვითარ ცხვარი დაკლეს“ (სომხური წყაროების მიხედვით, იმხანად ანისში ასი ათასი სული ცხოვრობდა, ათი ათასი სახლი იდგა და ათას ერთი ეკლესია).

უამრავი ტყვითა და ალაფით დატვირთული მომხდურნი გულმშვიდად გაბრუნდნენ შინისაკენ და არა უწყოდნენ, რომ სასტიკი შურისძიება ელოდათ.

საქართველოს სამეფო კარზე გადაწყდა, რომ საპასუხო დამსჯელი აქცია ჩატარებულიყო მაჰმადიანური დღესასწაულის დროს. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „და მოეახლა სჯულისა მათისა მარხვა... ესრეთ მოუწონეს ჟამი, რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი და მას ღამესა გარე მოადგეს არდაველს“.

მხარგრძელებმა თითქმის უომრად იგდეს ხელთ ქალაქი და თორმეტი ათასი იქაური მკვიდრი „მიზგითთა შინა მოკლეს ვითარ მათ ყვეს ანისის ეკლესიათა შინა“.

რომელ მაჰმადიანურ დღესასწაულს გულისხმობს ქართველი მემატიანე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გარკვეული მნიშვნელობა აქვს XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მოვლენის დასათარიღებლად.

მუსლიმურ წელიწადს მოეპოვება ორი კანონიკური დღესასწაული: იდ ალ-აზჰა (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული) ზულჰიჯეს თვის მეათე დღეს და იდ ალ-ფითრ (რამაზანის თვეში მარხვის დამთავრების დღესასწაული) შავალის თვის პირველ დღეს.

მაშასადამე, არაბული „იდ“ შემოსულა ქართულ ენაში, როგორც „აიდი“ (ალბათ სპარსულის გზით, სადაც ეს სიტყვა გამოითქმის როგორც „ეიდ“).

ქართული წყაროს გამოთქმამ „სჯულისა მათისა მარხვა“ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგულისხმება რამაზანის ერთთვიანი მარხვა. ალბათ ამიტომაც „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში (XVII ს.) სიტყვას „მარხვა“ სტრიქონს ზემოთ ჩამატებული აქვს „რამზან“.

მაგრამ მარხვა მხოლოდ რამაზანის დღესასწაულმა როდი იცოდა.

ისლამოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზულჰიჯეს თვის პირველი დღიდან ცხადდებოდა მარხვა, რომლის შესრულება ითვლებოდა უდიდეს დამსახურებად ალაჰის წინაშე. იმავე თვის მეათე დღეს მარხვა მთავრდებოდა და იწყებოდა ყურბან-ბაირამი (იდ ალ-აზჰას თურქული შესატყვისი).

იბნ აბასი, ერთ-ერთი გამოჩენილი სწავლული მუსლიმთა პირველი თაობისა, მრჩეველი არაბთა პირველი ხალიფებისა — ომარისა და ოსმანისა, ამბობს: „ყურბანის დღე ყველაზე საზეიმო დღეა. ზულ-ჰიჯეს თვის პირველი ცხრა დღე უნდა იმარხულო, ხოლო მეათე დღეს მსხვერპლი შესწირო. ეს არის დღე გამოსვლისა ჯოჯოხეთიდან და დღე შესვლისა სამოთხეში“.

იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ჩამოთვლის მუჰამედის მიერ მუსლიმთათვის დადგენილ მცნებებს, რომელთა შორის მითითებულია ათდღიანი მარხვა და მსხვერპლის შეწირვა. ცხადია იგულისხმება ზემოთქმული ყურბან-ბაირამის დღესასწაული.

როგორც ვხედავთ, VII საუკუნის არაბი სწავლული და XIX საუკუნის ქართველი სწავლული ერთხმად გვამცნობენ, რომ ყურბან-ბაირამს წინ უძღოდა ცხრა თუ ათდღიანი მარხვა.

ამგვარად, ქართულ წყაროში მოხსენიებულ „აიდს“ ვერ გავაიგივებთ მაინცდამაინც „რამაზანთან“, ვინაიდან მარხვა ყურბან-ბაირამმაც იცოდა.

საყურადღებოა, რომ ქართველი მემატიანე მუსლიმთა „აიდს“ უდარებს ქრისტიანულ დღესასწაულს — აღდგომას („აიდი... რომელ არს აღვსება მათი“).

ანალოგიური პარალელი სხვაგანაც გვხვდება.

ასე მაგალითად, იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე XVII საუკუნის ირანში ყოფნისას მოკლედ აღწერს ყურბან-ბაირამს ანუ, მისივე სიტყვით, „მაჰმადიანურ აღდგომას“; ხოლო კათოლიკე მისიონერი ჯოვანი და ლუკა 1630 წელს აფხაზეთში, სამების დღეს, გემის კაპიტანს უხსნის, რომ იტალიაში ამ დღეს დიდ ზეიმს აწყობენ ხოლმე და ეს დღესასწაული ისეთივეა, როგორც თქვენთვის ყურბან-ბაირამი ანუ აღდგომაო.

ასეთი პარალელი გამოწვეული უნდა იყოს ებრაელთა პასექის დროს შესაწირავი ბატკნის მეოხებით, ქრისტიანულმა აღდგომამაც რომ შეითვისა.

## ქრონიკა



27 იანვარს 27 წელი შეუსრულდებოდა გასული წლის ივლისში თავის შვილებსა და ახლობლებთან ერთად მუცოს მახლობლად ტრაგიკულად დაღუპულ ხელოვანს **თეონა ქუმსიაშვილს.**

თეონას არც სიცოცხლეში აკლდა მსმენელი და გულშემატკივარი, ამ ტრაგედიის შემდეგ კი მისი სიმღერა უცნობთათვისაც ახლობელი და ცრემლისმომგვრელი გახდა.

ამიტომ იყო, რომ მისი დაბადების დღეს მისივე ხსოვნის საღამოზე, რომლის ინიციატორიც იყო დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი **ზურაბ ოტიაშვილი,** დუშეთის კულტურის სახლი ფეხზე მდგომთაც კი ველარ იტევდა.

საღამოს, რომელიც გახსნა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა **მეუფე თადეოზმა, მამა თომასა და მამა თეიმურაზთან** ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი მსმენელები, დედაქალაქიდან ამოსული სტუმრები და თეონას ახლობლები, მეგობრები და მასწავლებლები თიანეთის რაიონიდან.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით 22 იანვარს გუდაურში ჩატარდა ხევსურული პოეზიის საღამო, რომლის ხელშემწყობები იყვნენ დუშეთის მუნიციპალიტეტი, სასტუმრო „გუდაური“ და „ტებულო-ტური“.

მონაწილეებმა შესანიშნავი საღამო აჩუქეს იმდროისთვის თოვლმონატრებულ გუდაურის სტუმრებს.

საღამოს უძღვებოდა პოეტი **გელა დაიაური.**

# მიხეილ ქურდიანის მოსაგონარი

ღვინობისთვის მიწურულს ნაადრევად დასრულდა სიცოცხლე თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა, აკადემიკოს მიხეილ ქურდიანისა. მან სულ 56 წლის ასაკში დატოვა სამზეო და მარადისობაში გადაინაცვლა...

მიხეილთან ანუ მიშასთან, როგორც მას ახლობელ-მეგობართა წრეში ვეძახდით, მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა. ვინც მას ახლოს იცნობდა, დამეთანხმება, რომ ის გახლდათ ფრიად კეთილმოსურნე და განსწავლული პიროვნება, რომელთანაც ურთიერთობა სასიამოვნო და მრავლისმომცემი გახლდათ.

ღრმა, მრავალმხრივი ცოდნისა და ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერი არასდროს იფარგლებოდა ლინგვისტის სტანდარტულ, ვიწრო ჩარჩოში. მას ასევე აინტერესებდა მეცნიერების სხვა დარგებიც, სადაც იმავე სფეროს არაერთ ცნობილ სპეციალისტზე მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ გაეგებოდა.

მოწოდებით კავკასიოლოგს და ამ რეგიონის უბადლო მცოდნეს გულწრფელად უყვარდა მეზობელი კავკასიელი ხალხები, განსაკუთრებით კი ქართველთა ეთნოლინგვისტურად მონათესავენი, რასაც, ბუნებრივია, ეს უკანასკნელნიც ამჩნევდნენ და თავადაც ადეკვატურად პასუხობდნენ.

მახსენდება 2008 წლის გაზაფხული... აპრილის მიწურულისათვის უჩვეულოდ მზიანი დღეები იდგა... ადიღეს რესპუბლიკის დედაქალაქ მაიკოპში ტარდებოდა საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონფერენცია. ამ ქალაქში ჩასულ სტუმართა შორის იყო ქართველ კავკასიოლოგთა 9-კაციანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც ამ სტრიქონების ავტორთან ერთად შედიოდნენ: მიხეილ ქურდიანი, ცირა ბარამიძე, ვაჟა შენგელია, რუსუდან ჯანაშია, შუქია აფრიდონიძე, რევაზ აბაშია, მიხეილ ბერომშვილი და მისი მეუღლე – თამარ უჯუხუ-ბერომშვილისა. ეს ვიზიტი აღმოჩნდა ქართველ კავკასიოლოგთა დელეგაციის ჯერჯერობით უკანასკნელი ჩასვლა ჩრდილო კავკასიაში, ვინაიდან 2008 წლის აგვისტოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, აღნიშნული მეზობელი რეგიონი ჩვენთვის "რკინის ფარდით" ჩაირაზა...

მართალია, ჩერქეზები, ისევე როგორც სხვა ძირძველი კავკასიელი ხალხები, ყველა სტუმარს ტრადიციულად პატივისცემით შეეგებნენ, მაგრამ ქართველები მაინც გამორჩეულად მიგვიღეს. მასპინძლები თავს გვევლებოდნენ. ერთი მხრივ, ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელმაც უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღო, შესანიშნავად იცის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ფასი. ის დღეები, რომლებიც მაიკოპში გავატარეთ, ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოგონება...

ჩერქეზთა მიწაზე მყოფი მიხეილ ქურდიანი თავს ჭეშმარიტად მშობლიური გარემოში გრძნობდა. ის იყო არაჩვეულებრივად ხალისიანი და ენერგიით სავსე, ასხივებდა სითბოსა და ნიჭიერებას, თავისი გასაოცარი ორატორული მონაცემების წყალობით, ანდამატივით იზიდავდა მსმენელებს, ხიბლავდა მათ და აჯადოებდა.



მიხეილ ქურდიანი, ნიკო ჯავახიშვილი 2008

აფხაზი, ადიღელი (ჩერქეზი და ყაბარდოელი), დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ბალყარელი და ყარაჩაელი კოლეგები მონუსხულივით შესცქეროდნენ ქართველ ოქროპირს, რომელიც აუდიტორიის ტრიბუნიდან თუ კერძო საუბრისას, მისთვის ჩვეული მეცნიერული ტაქტით, ფრიად გონივრულად იშველიებდა უტყუარ არგუმენტებს და კავკასიელ ხალხთა ერთობის აუცილებლობას ასაბუთებდა. იგი მოუწოდებდა კავკასიელ მეცნიერებს, რომ აღედგინათ მეგობრული ურთიერთობები ქართველ კოლეგებთან, ხშირად ჩამოსულიყვნენ საქართველოში, რომელიც ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ტრადიციულად წარმოადგენდა "სრულიად კავკასიის კარკასს".

იმჟამად, როდესაც ჩვენი ხსენებული კოლეგები, ყველასათვის გასაგებ მიზეზთა გამო, მოკლებულნი იყვნენ ჭეშმარიტ ინფორმაციას საქართველოს შესახებ, მიხეილის ეს მოწოდება ფრიად აქტუალურად ჟღერდა.

დღემდე ჩამესმის სიტყვები ერთი გამორჩეულად ახოვანი ჩერქეზისა, რომელიც გარეგნულად საოცრად ჰგავდა ყველასათვის საყვარელ ბატონ კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილს (სხვათა შორის დედით – ჩერქეზიშვილს): "კავკასიელ ხალხთა თანამედროვე ინტელექტუალური ელიტა რომ მიხეილ ქურდიანივით სიღრმისეულად ერკვეოდეს კავკასიის პრობლემატიკაში, ამ რეგიონში ჭეშმარიტი მეგობრობა და მშვიდობა დაისადგურებდა!"...

ფრიად სამწუხაროა, რომ შემოქმედებითი ენერგიით სავსე მიხეილ ქურდიანის შინაარსიანი სიცოცხლე ასე ნაადრევად შეწყდა. მისი სახით საქართველომ დაკარგა ღრმად ერუდირებული მეცნიერი, ხოლო მისმა ახლობლებმა – კეთილშობილი, გულისხმიერი და უანგარო მეგობარი.

სიმბოლურია, რომ განსვენებულის ცხედარი ძირძველი ქართული ქალაქის – მცხეთის წმიდათაწმიდა მიწამ მიიბარა...

უფალმა ნათელში ამყოფოს მიხეილ ქურდიანის სული! ...

ნიკო ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რიონის სანაპირო　　　　დავით კინწურაშვილი

ISSN 1987-7730

9 771987 773003